

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია
КОМИССИЯ ПО ИСТОЧНИКАМ ИСТОРИИ ГРУЗИИ

საქართველოს ისტორიის წყაროები

32



ИНОСТРАННЫЕ ИСТОЧНИКИ ИСТОРИИ ГРУЗИИ
XVI

**ОСМАНСКИЕ ДОКУМЕНТАЛЬНЫЕ ИСТОЧНИКИ
О КРЕПОСТЯХ АНАКЛИЯ И РУХИ
(XVII — XVIII вв.)**

Турецкий текст с грузинским переводом, введением,
терминологическим словарем, факсимиле и индексом
подготовил к изданию Н. Н. Шенгелия

**ANAKLIA VE RUH KALELERI HAKKINDAKI OSMANLI
BELGELERI
(XVII — XVIII yüzyılları)**

**Metni, Gürcüce Çeviri, Girişi, Notlar ile Faksimilesini Hazırlayan
Nodar Şengelia**

საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები

XVI

ოსმალური დოკუმენტური წყაროები
ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ
(XVII—XVIII სს.)

თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ

9 (C 41)

63.3 (2 Г)

9 (47.922) (001)+90 (56)

ა 617

ნაშრომში წარმოდგენილია ბულგარეთში, ქ. სოფიის კირილესა და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის სექტორის არქივში დაცული სხვადასხვა ტიპის ოსმალური დოკუმენტების კრიტიკული ტექსტი, ქართული თარგმანით, კომენტარებითა და ფაქსიმილეებით. დოკუმენტებში საინტერესო ცნობებია დაცული ანაკლისა და რუხის ციხეებში ოსმალთა შეიარაღებული ძალების განლაგების შესახებ, ადგილობრივ ხელისუფლებასთან ოსმალთა ურთიერთობის თაობაზე. წიგნში 100 დოკუმენტია შესწავლილი, იგი მრავალმხრივ კონკრეტულ შასალას იძლევა ანაკლისა და რუხის ციხეების ისტორიისათვის. დოკუმენტები საუკეთესო წყაროა როგორც საქართველოს, ასევე ოსმალეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის.

წიგნი განკუთვნილია საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ პირთათვის.

Впервые вводятся в научный обиход османские документальные источники о крепостях Грузии — Анаклия и Рухи, хранящиеся в архиве восточного отдела Народной библиотеки им. Кирилла и Мефодия г. Софии. Документы выданы османским финансовым ведомством начальникам османских вооруженных сил, расквартированных в упомянутых крепостях, местным правителям и др. Документы разные, есть бераты, т. н. кючук бераты, арзухалы, себеби тахрири хюкми, хазინе- и тезкере и др. Всего 100 документов.

Представлен турецкий текст с грузинским переводом, введением, терминологическим словарем, факсимиле и индексом.

Книга рассчитана на специалистов — историков-востоковедов.

მთავარი სარედაქციო კოლეგია

ზ. ალექსიძე, ვ. გაბაშვილი, ი. დოლიძე, რ. კიკნაძე (მთ. რედ. მოადგილე), გ. მელიქიშვილი, ე. მეტრეველი ს. ყაუხჩიშვილი, შ. ძიძიგური (მთ. რედაქტორი) ე. ხოშტარია, ნ. ჯანაშია (მთ. რედაქტორის მოადგილე).

სერიის რედაქტორი: თ. შაუხჩიშვილი
ტომის რედაქტორი ს. ჯიქია

ГЛАВНАЯ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

З. Н. Алексидзе, В. Н. Габашвили, Н. С. Джанашиа (зам. главного редактора), Ш. В. Дзидзури (главный редактор), И. С. Долидзе, С. Г. Каухчишвили, Р. К. Кикнадзе (зам. главного редактора), Г. А. Меликишвили, Е. П. Метревели, Э. В. Хоштарня.

Редактор серии: Т. С. Каухчишвили
Редактор тома: С. С. Джикия

საქართველოს ისტორიის წყაროების
კომისიის გამოცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან, სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ. თბ., 1976.

2. აბრამ ერევანცი, ომების ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბ., 1976.

3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1977.

4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978.

5. გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977.

6. ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978.

7. ტბეთის სულთა მატეანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ. თბ., 1977.

8. სომხურ ზელნაწერთა XIV—XV საუკუნეების ანდერქების ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978.

9. „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ. თბ., 1978.

10. ქათიზ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ.

11. Яков Цуртавели, Мученичество Шушаник, Перевод В. Д. Дондуа, введение и примечания З. Н. Алексидзе. Тб., 1978.

12. Памятник эриставов, Перевод, вступительная статья и комментарии С. С. Қакабадзе, Тб., 1979.

13. Сумбат Давити-дзе, История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Тб., 1979.

14. მ უ ს ტ ა ფ ა ნ ა ი მ ა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქულიდან თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნ. შენგელიამ. თბ., 1979.

15. ზ ა ქ ა რ ი ა ა გ უ ლ ე ც ი, დღიური, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1979.

16. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ. თბ., 1979.

17. ა რ ს ე ნ ი ს ა ფ ა რ ე ლ ი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა, ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარი დაურთო ზ. ალექსიძემ. თბ., 1980.

18. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1980.

19. ქართული წარწერების კორპუსი (ლაბიდარული წარწერები, 1) აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, V—X სს., შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1980.

20. ქართული წარწერების კორპუსი (ლაბიდარული წარწერები, II), დასავლეთ საქართველოს წარწერები, IX—XIII სს., შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ, თბ., 1980.

21. ცხოვრება საქართველოსა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა. შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1980.

22. Законы Вахтаंगा VI, перевод, введение, примечания, глосарий и указатели Д. Л. Пурцеладзе, Тб., 1980.

23. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა, თბ., 1981.

24. ი ს ქ ა ნ დ ე რ მ უ ნ შ ი, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა, თბ., 1981.

25. პ ა ჰ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი

დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეი-
შვილმა, თბ., 1981.

26. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს
შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები
დაურთო. ე მამისთვალთმა. თბ., 1981.

27. გ. ოთხმეზური, XII ს-ის დასასრულისა და XIII ს-ის დასა-
წყისის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც წყარო საქარ-
თველოს ისტორიისათვის. თბ., 1981.

28. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ძველი
ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუზ-
ჩიშვილმა, თბ., 1981.

29. Летопись Картли, перевод, введение и примсчания
Г. В. Цулая, Тб., 1981.

30. IX—XIII სს. ქართული ისტორიული საბუთები, შეადგინეს
და გამოსაცემად მოამზადეს მ. ბერძნიშვილმა, თ. ენუქიძემ, ვ. სილოგა-
ვამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1982.

31. გეორგიევსკის ტრაქტატი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა,
შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი პაიჭაძემ, თბ., 1982.

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

წინამდებარე ნაშრომის ამოცანას შეადგენს წარმოაჩინოს ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ უცხოეთის არქივებში დაცული, დღემდე სრულიად უცნობი საინტერესო დოკუმენტები, რომლებიც ერთხელ კიდევ ადასტურებენ ქართველი და აფხაზი ხალხების საუკუნოვანი მეგობრობის, თანადგომისა და უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლების ისტორიის ცალკეულ ეპიზოდებს.

აღსანიშნავია, რომ ანაკლიისა და რუხის ციხეებმა, თავისი გეოგრაფიული, სტრატეგიული მდებარეობითა და მნიშვნელობით უდიდესი როლი შეასრულეს დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროების სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. აღნიშნული ციხესიმაგრეები იმთავითვე იყო პლაცდარმი მომხდური მტრის წინააღმდეგ ცალკეული პოლიტიკური ერთეულების ერთიანი ძალებით გამოსვლისათვის.

რუხის ციხე ყველაზე დიდი თავდაცვითი ნაგებობა იყო ბარის სამეგრელოში. წინარე ხანისაგან განსხვავებით, XVII—XVIII საუკუნეებში როდესაც შინაფეოდალურ ომებთან ერთად გარეშე მტრის წინააღმდეგ გამოსვლა აუცილებელი იყო, შექმნილმა ვითარებამ აიძულა ბარის მოსახლეობა ეშენებინა დიდჭიშკრიანი ციხესიმაგრეები ვაკე და დასახლებულ პუნქტებთან ახლოს, სტრატეგიულ ადგილებზე. იმისათვის, რომ მოსახლეობას ჰქონოდა საშუალება მოულოდნელი თავდასხმის დროს თავისი მოძრავი ქონებით თავი შეეფარებინა გამაგრებული ადგილისათვის, ციხეც სოფელთან ახლოს უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ მიზნებს ისახავდა რუხის ციხის დაარსება XVII საუკუნის შუა წლებში ლევან II დადიანის (1611—1658) მიერ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ციხეების სრულყოფილი ისტორია ჯერჯერობით არაა შესწავლილი, მიუხედავად იმისა, რომ მას რამდენიმე მცირე მოცულობის მეცნიერული გამოკვლევა მიეძღვნა. ეს ალბათ წყაროების სიმწირით აიხსნება. თუმცა ევროპელი მოგზაური-მისიონერები (შარდენი, ლამბერტი, ჯუდიჩე და სხვ.) მაინც გვაწვდიან საყურადღებო ცნობებს რუხისა და ანაკლიის შესახებ. არანაკლებ მნიშვნელოვანი ცნობები აქვთ შემონახული ქართველ მემკვიდრეებს: ვახუშტი ბატონიშვილს, ფარსადან გორგიჯანიძეს და სხვ.

რუხის ციხე დაარსებისთანავე სამეგრელოს სამთავროს მთავარ სი-
მაგრედ იქცა. იგი სამთავროს ერთგვარი საეაჯრო და პოლიტიკური
ცენტრი იყო, მაგრამ მან მალე დაჰკარგა ეს მნიშვნელობა. მას სამხე-
დრო და თავდაცვითი ფუნქციები დაეკისრა. იგი წარმოადგენდა მძლავრ
საფორტიფიკაციო ნაგებობას, რასაც ხელს უწყობდა მისი ხელსაყრელი
მდებარეობა. 1672 წელს რუხის ციხეში ოსმალთაგან თავს აფარებდა
ლევა III დადიანი (1660—1680). ოსმალებმა ვერ მოახერხეს ციხის
აღება და რამდენიმე დღის შემდეგ უკუიქცნენ. ამის შემდეგ ოსმალთა
ჯარი დიდხანს არ გამოჩენილა რუხის ციხესთან. ოსმალებმა სისტემა-
ტური თავდასხმები XVIII საუკუნის დასაწყისიდან გააძლიერეს. სწო-
რედ ამ პერიოდში რუხისა და ანაკლიის ციხეებში ოსმალთა შეიარაღე-
ბული ძალების სხვადასხვა სახეობათა განლაგების, მათ წინააღმდეგ
ქართველებისა და აფხაზების ერთობლივი გამოსვლების ამსახველი
დოკუმენტებია წარმოჩენილი წინამდებარე ნაშრომში, ამიტომ მასზე
სიტყვას არ გავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ხსენებულ ცი-
ხეებსა და აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ციხე-ქალა-
ქებში — სოხუმში, ანაკოფიასა და სხვაგან, ამ პერიოდში, ოსმალთა
ლაშქარი იყო ჩაყენებული, რომლის წინააღმდეგ თავდადებით იბრძოდა
ადგილობრივი მოსახლეობა. (საამისო ოსმალური საარქივო დოკუმენ-
ტები მზადდება გამოსაცემად, რომელშიც რელიეფურად იქნება წარმო-
დგენილი ქართველი და აფხაზი ხალხების ერთობლივი ბრძოლა აფხა-
ზეთში ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ XVIII საუკუნის პირველ მე-
სამედში).

დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ყოველი ლაშქრობის დროს
ქართველები და აფხაზები მუდამ მხარში ედგნენ ერთმანეთს, ერთიანა
ძალებით გამოდიოდნენ მტრის წინააღმდეგ. 1733 წელს ოსმალთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი დასავლეთ საქართველოს შემოესია. მათ ჯერ
ოდიში დალაშქრეს, შემდეგ აფხაზეთის სამთავროსაც მისწვდნენ. მაგ-
რამ ქართველებთან თანადგომით აფხაზებმა მედგრად შეუტიეს ოსმა-
ლებს და „მოსრნეს უმეტესნი და მოიშთუნენ ზღუასა და მდინარესა შინა,
ალიღეს ალაფი მათი დიდ-ფრიად და დაუტევეს მაჰმადიანობა“ (ვა-
ხუშტი, გვ. 887).

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ
ბრძოლა ახალ სტადიაში შევიდა. იმერეთის მეფე სოლომონ I (1752—
1784) აქტიურად ჩაება დასავლეთ საქართველოს ანტიოსმალურ მოძ-
რაობაში. ამ ბრძოლაში მეფეს ერთგულ მოკავშირეებთან ერთად მხარ-
ში ედგნენ აფხაზეთის სამთავროს წარმომადგენლებიც. 1757 წლის 14
დეკემბერს ზრესილის ბრძოლაში სამურზაყანოს მფლობელმა ხუტუ-
ნია შარვაშიძემ სამაგალითო გმირობა გამოიჩინა.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს (1768–1774 წწ.) ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლა აფხაზეთის სამთავროში კიდევ უფრო გამძაფრდა. 1770 წელს რუსეთის საექსპედიციო ჯარებსა და ქართველებთან ერთად წარმატებით იბრძოდა აფხაზ მეომართა რაზმიც. 1771 წელს აფხაზეთში ანტიოსმალურმა აჯანყებამ იფეთქა. აჯანყებულებმა შეუპოვარი ბრძოლის შედეგად დაიკავეს სოხუმის ციხესიმაგრე და იქიდან განდევნეს ოსმალთა მცვიზოგნები.

სოლომონ I-ის პოლიტიკას რუსეთთან ორიენტაციის საკითხში მხარს უჭერდნენ აფხაზეთის სამთავროს ცალკეული მფლობელები. 1770 წელს სამურზაყანოელი თავადი ლევან შარვაშიძე მოლაპარაკებას აწარმოებდა ფოთში მდგარ გენ. ტოტლებენთან აფხაზეთის სამთავროს რუსეთის მფლობელობაში შესვლის თაობაზე. ეს ტენდენცია ცხოველი ინტერესით ვითარდებოდა XVIII საუკუნის მთელი 70-იანი წლების განმავლობაში.

რუსეთ-ოსმალეთის მომდევნო ომის დროს (1787–1791 წწ.) ოსმალეთის სულთანის დასავლეთ კავკასიის შავი ზღვისპირეთის ხელში ჩაგდების მიზნით შეეცადა მიემხრო აფხაზები რუსეთის წინააღმდეგ ომში. 1789 წლის მარტში სულთნის გეგმების განსახორციელებლად სოხუმში ჩავიდა ოსმალთა კორპუსის მთავარსარდალი ბათალ-ფაშა, მაგრამ უშედეგოდ — აფხაზები ქართველებთან ერთად რუსებს ამოუდგნენ მხარში. ასე რომ, საუკუნეთა მანძილზე ქართველი და აფხაზი ხალხების ერთობლივმა ბრძოლამ საგრძნობლად შეასუსტა ოსმალეთის პოზიცია დასავლეთ საქართველოში. ქართველებმა და აფხაზებმა საბოლოო გამარჯვებას ოსმალთა აგრესიის წინააღმდეგ მხოლოდ XIX საუკუნეში მიაღწიეს რუსეთის არმიის დახმარებით.

ყირიმის ომის დროს, როდესაც ომერ-ფაშას ლაშქარი დასავლეთ საქართველოს შემოესია, 1855 წლის 25 ოქტომბერს სოფ. კოკთან და კახათთან ახლოს მდ. ინგურის ნაპირებთან მას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს რუსთა, ქართველთა, აფხაზთა, უკრაინელთა, სომეხთა და აზერბაიჯანელთა გაერთიანებულმა ძალებმა. სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა უმაგალითო თანადგომამ და თავგანწირულმა ბრძოლამ გაანადგურა ომერ-ფაშას უზარმაზარი არმია და ეს ეპოქა გახდა ერთ-ერთი უკანასკნელი და გადამწყვეტი ეტაპი ყირიმის ომის ისტორიაში. ინგურის სანაპიროზე გამართული ბრძოლის ველს ხალხმა „ნალიმა“ უწოდა, რაც ნაომარს ნიშნავს. დღეს კი „ნალიმა“ მეგობრობის, ძმობის, ერთობის, გაჭირვებაში ხელის გამართვის, საყოველთაო ძმადშეფიცვის, თანადგომის, ერთგულებისა და ვაჟკაცობის სიმბოლოდ იქცა. „ნალიმას“ უმაგალითო ინტერნაციონალური ეპოქა დღეს აღაფრთოვანებს ჩვენს ახალგაზრდობას, იგი საოცრად ეხმიანება თანა-

დროულობას. ჩვენმა თაობამ შესანიშნავად იცის, რომ „ნალიმასთან“ ბრძოლა მხოლოდ ერთი ფურცელია ქართველი და აფხაზი ხალხების ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლების მატთანში.

ეს ინტერნაციონალური ტრადიციები კიდევ უფრო განმტკიცდა და გამოვლინდა 1905—1907 წლების რევოლუციური მოძრაობის მონაწილეთა გმირობაში, როცა ცარიზმთან, ბურჟუაზიულ-თვითმპყრობელურ რეჟიმთან ბრძოლებში იჭედებოდა და მტკიცდებოდა ქართველი და აფხაზი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ძმობა. ეს ერთიანობა და თანადგომა ახალი შუქით გასხივოსნდა 1917 წელს აფხაზეთში ინტერნაციონალური საბრძოლო რაზმების შექმნით, აფხაზეთის რევოლუციური რაზმის მონაწილეობით ზუგდიდის განთავისუფლებაში, რაჭა-ლეჩხუმში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობით.

დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში სოციალისტური სამშობლოს უანგარო სიყვარულისა და სამსახურის მაგალითები გვიჩვენეს საქართველოსა და აფხაზეთის შეილებმა. უფროსი თაობის ეს მხედრული დიდება დღეს თავდადებული შრომის და სწავლის სიმბოლოდ იქცა. ქართველები და აფხაზები მოძმე ხალხებთან ერთად დღეს ახალ ცხოვრებას წარმატებით აშენებენ. მათ ღრმად სწამთ ლეონი დილიაძე ბრეჟნევის სიტყვები, რომ „პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმი — ჩვენი დიადი ძალაა, ეს არის ჩვენი მრწამსის ნაყოფი და ჩვენი გულის მგზნებარება. ეს ჩვენი დროა“.

საუკუნეთა მანძილზე პატრიოტულ და ინტერნაციონალისტურ ტრადიციებზე აღზრდილი, მრავალ ქარცეცხლში გამოვლილი ქართველი და აფხაზი ახალგაზრდობის არაერთი თაობის ნაამაგარი ყოველთვის სამაგალითო იქნება ნათელი მომავლის მშენებელი ახალი საზოგადოებისათვის. ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ისტორია ყველა თაობას თავის საქმეს, თავის ადგილს აკუთვნებს. ჩვენი თაობის საქმეა დაასრულოს მშვენიერი შენობა, რომელსაც სახელად ხალხთა მეგობრობა და ძმობა ჰქვია. მისი შენება დიდი ხნის წინათ, ძლიერ დიდი ხნის წინათ დაიწყო. ჩვენმა წინაპრებმა ჩაუყარეს მას საძირკველი, მტკიცე ფუნდამენტი. მამებმა და ჩვენმა უფროსმა ძმებმა განაგრძეს ეს საქმე. ჩვენ კი უნდა დავამთავროთ იგი. ამ შენობას აგებდა თვითონ ხალხი — ქართველი და აფხაზი ხალხები, ისე როგორც ყველა ჩვენი ხალხი და, როგორც ყველა საქმეში, აქაც გვყავს უფროსი ძმა და მეგობარი — ესაა დიდი რუსი ხალხი, რომელსაც ყველანი ვუსწორებთ მხარს, რომელსაც მივყვებით ყველა...“.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

XVI—XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესასწავლად ქართულ მასალებთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს უცხოურ, კერძოდ, ოსმალურ დოკუმენტურ და ნარატიულ პირველწყაროებს. აღნიშნული ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია სათანადოდ არ არის შესწავლილი წყაროების სიმცირის გამო. ამ რეგიონის შესახებ საყურადღებო ცნობები დაცულია ოსმალთა მემკვიდრეობის, მოგზაურ-გეოგრაფოსთა თხზულებებისა და ოსმალეთის სახელმწიფო დაწესებულებებში შექმნილ ოფიციალურ დოკუმენტებში, რომლებიც დგებოდა ცალკეულ შემთხვევებსა და კონკრეტულ მოვლენებთან დაკავშირებით. ამ დოკუმენტებში რეალურად არის ასახული მაშინდელი ვითარება. საუკუნეთა მანძილზე ოსმალურ ენაზე იწერებოდა მრავალი ტიპის დოკუმენტი, დგებოდა ხალხის აღწერის თუ სხვა სახის დავთარი, ფირმანი, ბერათი, არზა-ჰუქმი და სხვ. თითოეული მათგანი მნიშვნელოვანი წყაროა სხვადასხვა საკითხის შესასწავლად. მრავალი ამგვარი დოკუმენტიცაა დაცული სტამბოლის, ანკარის, კაიროსა და სოფიის არქივსაცავებში, მაგრამ მათზე ჭერჯერობით ხელი არ მიგვიწვდება. მხოლოდ სოფიის არქივში დაცული დოკუმენტებია დღეისათვის აღრიცხული და აღწერილი. მიმდინარეობს მათი დამუშავება და სამეცნიერო მიმოქცევაში თანდათანობით შემოტანა. ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტების მთელი ფონდის შესწავლა და მეცნიერული პუბლიკაცია რთული და შრომატევადი საქმეა.

ბულგარეთის არქივში აღმოჩენილი მასალები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს შეეხება. რამდენიმე ასეული საბუთი ეხება სამხრეთ საქართველოზე. აქვე საინტერესო დოკუმენტებია დაცული აგრეთვე სომხეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის შესახებ. ეს დოკუმენტები ოსმალეთის ცალკეული უწყებების მიერაა გაცემული. ძირითადად მაინც საფინანსო უწყების ცალკეულ უჯრედების მიერ შედგენილი მასალები ჭარბობს. მათში რეალურადაა წარმოდგენილი საქართველოს ცალკეულ ციხესიმაგრეებში ოსმალთა შეიარაღებული ძალების განლაგების, რაოდენობის, მათი ფინანსური და ეკონომიკური მდგომარეობის, აგრეთვე ქართულ მიწაზე გაბატონებულ

ოსმალთა საქმიანობის ამსახველი ცნობები. ამ დოკუმენტებში მოცემული მრავალმხრივ საინტერესო ცნობები საუკეთესო წყაროა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიისათვის. ამ მასალების შესწავლა, თარგმნა-კომენტირება და ჩვენს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა ბევრ საინტერესო საკითხს მოჰფენს შუქს.

კრებულში მოტანილია ქ. სოფიის კირილე და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის სექტორის არქივში დაცული დოკუმენტების მცირე ნაწილის დადგენილი თურქული ტექსტი, რომელსაც თან ახლავს ქართული თარგმანი და ფაქსიმილე. განხილულია სხვადასხვა ტიპის დოკუმენტი: ე. წ. „ქუჩუქ-ბერათები“, „არზები“, „იაზილეები“, „ჰუქმები“ ანუ ე. წ. „სებები თაპირი ჰუქმები“ და სხვ.

ამ დოკუმენტებში ოფიციალური ცნობებია დაცული XVI საუკუნის 80-იანი წლებიდან XVIII საუკუნის შუა წლებამდე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ცალკეულ ციხესიმაგრეებში, კერძოდ, ბათუმში, გონიოში, ციხისძირში, რუხში, ანაკლიაში, ახალციხეში და ა. შ. ოსმალთა შეიარაღებული ძალების რაოდენობის, მათი პოზიციების, შეიარაღებისა თუ მდგომარეობის შესახებ. ეს მასალები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობის, ოსმალური ფეოდალიზმის მრავალი საკითხის წარმოსაჩენად უთუოდ დიდ ყურადღებას იმსახურებს.

ქვემოთ მოტანილ ე. წ. „ქუჩუქ-ბერათებში“, რომელთაც „რუჟუსი ჰუმაიუნებსაც“ უწოდებენ, ძირითადად XVIII ს. პირველი მესამედის აზნებია გადმოცემული, არზებში კი მთელი XVIII საუკუნის შესახებაცნობები. ფირმანებს შორის ყველაზე უძველესი 1580 წელს შეეხება. აქედან მოყოლებული 1726 წლამდე ფირმანები სხვადასხვა დროის კონკრეტულ საკითხებზე გვაწვდის ცნობებს, ხოლო XVII—XVIII საუკუნეების ცალკეული პერიოდების შესახებ ცნობები მოცემულია „სებები თაპირი ჰუქმებში“.

აღსანიშნავია, რომ XVIII ს. პირველ მეოთხედში გააძლიერა ოსმალეთმა თავისი ექსპანსია დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში. თუ მანამდე ოსმალეთი ძირითადად სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოთი იყო დაინტერესებული და ეს მხარე ირან-ოსმალეთის საუკუნოვანი ომების ასპარეზს წარმოადგენდა, XVIII საუკუნის დასაწყისიდან ოსმალეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა დასავლეთ საქართველოს პრობლემამ. შავი ზღვის დაუფლების საკითხის წარმატებით გადაჭრასთან ერთად ოსმალეთის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა სანაპირო-ციხესიმაგრეებში თავისი სამხედრო ძალები ჩაეყენებინა, პოზიციები გაემაგ-

რებინა და ქვეყნის შიდა რაიონებში სისტემატური ლაშქრობებისათვის პირობები შეექმნა.

XVIII ს. პირველ მეოთხედში ოსმალთა ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობასა და ქართლში „ოსმალობის“ დამყარებასთან ერთად კიდევ უფრო გაძლიერდა მათი გავლენა დასავლეთ საქართველოზე. ოსმალეთის ხელისუფლება საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიების — ახალციხისა და ტრაპიზონის საფაშოების — გამაჰმადიანებული ქართველი ბეგლარ-ბეგების სამხედრო ძალებით დასავლეთ საქართველოს სისტემატურად ესხმოდა თავს. როგორც სანაპირო ციხესიმაგრეებში, ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე მდებარე ციხეებშიც ოსმალთა ლაშქარი იყო ჩაყენებული და ადგილობრივ ხელისუფლებას უპირისპირდებოდა. ხოლო ეს უკანასკნელი ვერ ურიგდებოდა ოსმალთა მომძლავრებას და თავგანწირვით იბრძოდა მათ წინააღმდეგ. მიუხედავად დიდი მცდელობისა, ოსმალებმა დასავლეთ საქართველოს დაპყრობა, აქ ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამკვიდრება ვერ მოახერხეს. „ეს იმით აჩხნება, რომ ოსმალეთს ამ დროს ძველი ძლიერება აღარ ჰქონდა. გარდა ამისა, დასავლეთ საქართველო თურქთათვის ძნელად იისადგომი ქვეყანა იყო და მოსახლეობა წარმატებით იგერიებდა მათ შემოსევებს“¹.

ქვემოთ დასახელებულ დოკუმენტებში ნათლად არის ასახული ადგილობრივი მოსახლეობის შეუპოვარი ბრძოლა დასავლეთ საქართველოს ციხეებში მოკალათებული ოსმალთა ლაშქრის წინააღმდეგ. ციხეებში დამკველებად ჩაყენებული იანჩრების, ბეშლუიანების, აზაბების, თოფჩიების, ჯებეჯიებისა და სხვ. მეთაურები ოსმალთა ხელისუფლებას არზას უდგენენ იმის შესახებ თუ რამდენი კაცისაგან შედგებოდა ამა თუ იმ ციხეში ჩაყენებული სახელმწიფო ლაშქარი და რა თანხა იყო საჭირო მათ შესანახად. ამ არზებს თან ერთვის ცალკეულ სახელმწიფო უწყებათა მეთაურების მინაწერები, რომელთა მიხედვით აშკარაა, თუ რა სიზუსტითაა შემოწმებული და დაანგარიშებული დასავლეთ საქართველოს ციხეებში მყოფი თითოეული ჯარისკაცის შესანახად საჭირო თანხა. აქვეა შესაბამის უწყებათა გამგებლების მოსაზრებანი ლაშქრის დაფინანსების თაობაზე.

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ოსმალეთის ხელისუფლებას დასავლეთ საქართველოს ციხეებში ჩაყენებული სახელმწიფო რეგულარული ლაშქრის შენახვა მნიშვნელოვანი თანხა უჯდებოდა. ლაშქარათვის ჯა-

¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. ტომის რედაქტორი შამია დუმბაძე. თბ., 1973, გვ. 463.

მაგირის გაცემაზე უშუალოდ პასუხისმგებელი იყო მთავარი მონაგარიშე ფინანსთა უწყების მეთაური, ე. წ. ბაშ დევთერდარი და ბოლოს დიდვეზირი, რომელიც საბოლოოდ აჯამებდა ყოველი უწყების მინაწერებს და მოკლედ მოახსენებდა სულთანს ამა თუ იმ ციხესიმაგრეში განლაგებული ლაშქრისთვის ჯამაგირის გაცემის თაობაზე.

დასავლეთ საქართველოს ციხეებში დამცველებად ჩაყენებულ ოსმალთა ლაშქრის მეთაურთა არზები სულთნის ხელისუფლებისადმი სხვადასხვა შინაარსისაა. ქვემოთ მოტანილ დოკუმენტებს შორის მრავალმხრივია საინტერესო 1714 წლით დათარიღებული ორი დოკუმენტი (ფ. 1. არქ. ერთ 8839. და ფ. 1. არქ. ერთ 8916), რომელთა შინაარსი სიტყვასიტყვით ემთხვევა ერთმანეთს. საუბარია იმის შესახებ, რომ ანაკლიისა და რუხის ციხეები სუსტად იყო გამაგრებული. იანიჩრების გარდა შიგ სხვა ლაშქარი არ იყო. არ იყო აგრეთვე იარაღი, პროდუქტი და პროვიანტი. ასეთ პირობებში მეციხოვნე იანიჩრებს გაუჭირდათ დაცვა, აფხაზი და მეგრელი „ურწმუნო ყაჩაღების“ თავდასხმების მოგერიება. ამ უკანასკნელებმა დახოცეს პროდუქტებით მათ მოსამარაგებლად მოსული პირებიც. მათ განზრახული ჰქონდათ აგრეთვე ახლომხლო სოფლებიდან სავაჭროდ ჩამოსული მოსახლეობის გაწყვეტა და „ფაშას ციხის“ განადგურება. ზემოაღნიშნული ფაქტის მოწმეებად სასამართლოზე ანაკლიისა და ბათუმის მოსახლეობა წარმსდგარა.

ერთ შემთხვევაში დოკუმენტს ხელს აწერენ ანაკლიის ციხეში ჩაყენებულ ლაშქრის მეთაურები: იანიჩართა ოფიცერი, მეციხოვნე, თოხჩიბაში, იამაკთა ოფიცერი, ქედხუდა, აზაბთა ქედხუდა და ბეშლუიანების ქედხუდა. დოკუმენტს არტყია თითოეული მათგანის ბეჭედიც. მეორე ანალოგიური შინაარსის დოკუმენტს კი ხელს აწერს მხოლოდ გონიოს კაზას განმგებელი.

აშკარაა, რომ დოკუმენტში აღნიშნული ფაქტი — ადგილობრივი მოსახლეობის მიერ რუხის ციხის ოსმალთა მეციხოვნეებზე თავდასხმები და მათი შევიწროება — დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო და მოითხოვდა სასწრაფო რეაგირებას. მეციხოვნეები არსებულ რეალურ ვითარებას მოახსენებენ სულთნის ჩელისუფლებას და ითხოვენ მისგან შესაბამის ღონისძიებას. მსგავსი შინაარსის დოკუმენტი ბევრია ბულგარეთის არქივში. აქვე ვაქვეყნებთ ასეთივე ხასიათის დოკუმენტებს, არზებს. მათში უფრო ფართოდაა წარმოდგენილი, თუ როგორ ავიწროებდა და ხოცავდა ადგილობრივი მოსახლეობა ოსმალთა მეციხოვნეებს, მათ დასახმარებლად მოსულ ძალებსა და პროვიანტითა და სურსათ-სანოვავით მოსამარაგებლად მოსულ პირებს. დოკუმენტებიდან აშკარაა, თუ როგორ შეურიგებელ ბრძოლას ეწეოდა ადგილობრივი მოსახლეობა ოსმალთა წინააღმდეგ, მხოლოდ ასეთმა შეუპოვარმა წინააღმდეგობამ განა-

პირობა ის, რომ ოსმალეთის ხელისუფლებამ ვერ მოახერხა დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროებში ოსმალობის, ოსმალურ სოციალურ-პოლიტიკური სისტემის შემოღება. მათ მხოლოდ ცალკეულ ციხე-სიმაგრეებში შეძლეს ფეხის მოკიდება, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა და თავდადებით იბრძოდა მათ განსადევნად.

ბულგარეთის არქივში სხვადასხვა ტიპის არაერთი დოკუმენტი ინახება ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ. ერთი მათგანია ე. წ. „რუხს-ი ჰუმაიუნი“, რომლის ნიმუშებსაც აქვე ვაქვეყნებთ (ფ. 312ა, არქ. ერთ. 21 ა და სხვ.). ამ დოკუმენტს „ქეჩუქ ბერათსაც“ უწოდებენ ამ სახის დოკუმენტებში ჩვეულებრივ გადმოცემულია თხოვნა ან რაიმე წერილია უმაღლესი ორგანოსადმი გარკვეულ შემთხვევებთან დაკავშირებით. შესავლის (რომელიც ყოველთვის სტანდარტული ფორმულითაა მოცემული) შემდეგ მოკლედაა დასახელებული დოკუმენტის გამოცემის მიზეზი. ხშირად არის მოხსენებული ის პირები, რომლებმაც აიძულეს მთხოვნელი ან შუამდგომლობის მთხოვნელი მიიღოს მათთვის გარკვეული პრივილეგია. დოკუმენტს ბოლოში ერთვის თანამდებობის პირის, დიდგვზირის ან რომელიმე მაღალი რანგის მოხელის ხელრთვა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია ანაკლიის ციხის დამცველი ჯარისკაცის მიერ თანამდებობის მიტოვებაზე და ამ თანამდებობის სხვა პირისადმი ბოძებზე. დოკუმენტი მრავალმხრივია საინტერესო. იგი იძლევა ცნობებს იმის შესახებ, თუ როგორ იყიდებოდა ალას თანამდებობა ანაკლიის ციხეში.

დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ანაკლიისა და რუხის ციხეებში ჩაყენებულ ოსმალთა ლაშქრის სხვადასხვა სახეობათა შესანახად დოკუმენტები ცალ-ცალკეა გაცემული. მაგალითად, რუხის ციხეში მყოფი 25 თოფჩის, მეზარბაზნის შესახებ გაცემულია რუხის ციხის თოფჩიების წარმომადგენლის — ალი ალას არზა. აქვეა მეორე არზა, რამდენიმე დღის შემდეგ გაცემული ამავე ციხეში მყოფი 40 ჯებეჯისათვის ჯამაგირის გაცემის თაობაზე. ორივე დოკუმენტში (ფ. 1. არქ. ერთ. 8965. ფ.2. და ფ.1.არქ. ერთ. 8965. ფ.1.) დაწვრილებითაა დანგარიშებული ყოველდღიური გასამრჩელო თითოეულ ჯარისკაცზე და შეთანხმებულია სახელმწიფოს შესაბამის უწყებებში. ბოლოს გაცემულია ბრძანება რუხის ციხის მცველების — თოფჩიებისა და ჯებეჯიებისათვის გასამრჩელოს გაცემის თაობაზე.

ამგვარად, ციხესიმაგრეებში ჩაყენებული ლაშქრის შესანახი თანხა სახელმწიფოს ხაზინიდან გამოიყოფოდა. მაგრამ ხშირად ოსმალეთის ხელისუფლება ამა თუ იმ ციხის ლაშქრის შესანახად გარკვეულ ვალდებულებას აკისრებდა იმ პირებს, რომელთაც საგამგებლოდ ეძლეოდათ ცალკეული პროვინციები. ისინი ვალდებულნი იყვნენ მიეცვული ტე-

რიტორიებიდან აღებული შემოსავლის ნაწილი სახელმწიფო ლაშქრის ჯამაგირისათვის გაეცათ. მათ ეძლეოდათ საგანგებო დოკუმენტი, რომელსაც „განჩინების დაწერის მიზეზი“ („სებები თაპირი ჰუქმი“) ეწოდებოდა. მასში ზუსტად იყო ფიქსირებული თუ რა დროის განმავლობაში რომელ ციხეში მყოფი ჯარის ნაწილებისთვის უნდა გადაეხადათ დადგენილი თანხა. ეს იყო ერთგვარი საგადასახადო ორდერა, რომელსაც საბოლოო ჯამში ამოწმებდა სასულიერო სასამართლო. მრავალი ამგვარი დოკუმენტი არსებობს ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ.

ქვემოთ მოტანილ არზებში წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოს ციხეებში მოკალათებული ოსმალთა მოლაშქრეების — იანიჩრების, ჯებეჯიების, თოფჩიების მეთაურთა ოფიციალური თხოვნა ცენტრალური ზელისუფლებისადმი ლაშქრის შესანახად სათანადო თანხების გამოყოფის შესახებ. არზებიდან ჩანს, რომ საფინანსო უწყების სხვადასხვა ინსტანციაში ამ ტიპის დოკუმენტის მოწონებისა და შესაბამისი მინაწერების შემდეგ საბოლოოდ გამოიყოფოდა გარკვეული თანხა ოსმალთა ლაშქრის შესანახად ან გამოსაზამთრებლად.

არზები საგანგებო ფორმით დგებოდა. მარცხენა ქვედა მხარეზე იწერებოდა ძირითადი ტექსტი — თხოვნა სულთნისადმი, რომელსაც ზელს აწერდა მონა-მორჩილი, ან ხსენებული მონა (იგულისხმებოდა სამხედრო ნაწილის მეთაური). ეს ძირითადი ტექსტი შემდეგ გაივლიდა საფინანსო უწყების მრავალ ინსტანციას, დოკუმენტზე სათანადო აღნიშვნები კეთდებოდა. დოკუმენტის მარჯვენა ზედა მხარეზე მისვლილ ასოებით იწერებოდა შესაბამისი ადგილი, ე. ი. ადგილი მინაწერებისათვის. შემდეგ როგორც წესი, სიაკათის ხელით აღნიშნული იყო ამა თუ იმ ციხეში იანიჩართა ან ჯებეჯიების, თოფჩიების და სხვათა რაოდენობა. აგრეთვე მიწერილი იყო, რომ ისინი ნამდვილად რეგისტრირებულნი არიან დამცველებად და საჭიროა სულთნის განკარგულება. აქვე ეწერა თარიღიც. დოკუმენტს უსათუოდ მიაწერდა სასულთნოს მთავარი მოანგარიშე იმის შესახებ, რომ დასახელებული ჯარისკაცების ამა თუ იმ ადგილზე დამცველებად რეგისტრირება ზახინის დავთართან შესაბამისობაშია. შემდეგ იქვე, დოკუმენტის ველზე, მიწერილია პროექტი, თუ რამდენი ჯარისკაცია, რა სახეობისაა ლაშქარი, თანხა, ან პროდუქტი (ხორბალი, ხორცი, ქერი), რამდენია ნავარაუდები თითოეული ჯარისკაცის შესანახად თვეში, წელიწადში. შემდეგ კი დაჭამებულია საერთო თანხა ან მარცვლეულის რაოდენობა, რომელიც უნდა გაიცეს ამა თუ იმ ციხის დამცველებზე დროის გარკვეულ მონაკვეთში. აუცილებლად მითითებულია იმის შესახებ, რომ ჯარისკაცების გარკვეული დროით დამცველებად დანიშვნის თაობაზე თესქერე გაცემულია და მათი იქ ყოფნა კანონიერია. წერია თარიღიც.

უფრო ქვემოთ აღნიშნულია, რომ გარკვეული ციხის დასაცავად მყოფი ჯარისკაცების შესანახად გამოყოფილი პროდუქტებს ან ნივთების ფასების თაობაზე საზინის მიერ გაცემულია თესქერე და იგი რეგისტრირებულია, მოცემულია აგრეთვე მარცვლეულის საერთო რაოდენობა ან თანხა, რომელიც საჭიროა ციხის მცველთა შესანახად. ბოლოს ნათქვამია: ბრძანება თქვენზეა, ჩემო ბედნიერო სულთანო.

საფინანსო უწყების ცალკეული ინსტანციების მიერ რომელიმე ციხის მცველებზე შესანახი თანხის გაცემის შესახებ ყოველგვარი მონაცემების წარმოდგენის შემდეგ დოკუმენტის თავზე, მარცხენა მხარეს, იწერება ე. წ. თელხისი (მოკლე ანგარიში, წარდგინება) ღიდვეზირის მიერ. მასში დოკუმენტის მარჯვენა მხარეზე გაკეთებული ოფიციალური მინაწერების საფუძველზე მოკლედაა გადმოცემული, თუ რამდენად მართებულად არის დასმული საკითხი.

ღიდვეზირის მოკრძალებული რჩევისა და წარდგინების შემდეგ დოკუმენტის თავზე იწერება სულთნის რეზოლუცია: „სწორია, თელხისის თანხმად თესქერე გაიცეს. ბრძანება“. თარიღიცაა აღნიშნული, უფრო ქვემოთ კი მიწერილია: „თესქერე გაიცა“. წერია თარიღიც.

ინსტანციების გავლის შემდეგ დოკუმენტი ძალაში შედიოდა და ციხეებში განლაგებული ჯარის ნაწილებისათვის შესანახად განკუთვნილი თანხა ხაზინიდან გაიცემოდა. ამგვარი არხები თუ არხუქალები, საქართველოს ცალკეული ციხე-ქალაქების შესახებ გაცემული, სხვა ტიპის დოკუმენტებთან ერთად ინახება ბულგარეთის კირალესა და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის სექტორის არქივში.

ამ ტიპის დოკუმენტების მიხედვითაც შესაძლებელი ხდება როგორც ოსმალეთის საფინანსო უწყების სტრუქტურის შესწავლა, ასევე ამა თუ იმ რეგიონში ოსმალთა შეიარაღებული ძალების სახეობათა გათვალისწინება გარკვეულ პერიოდებში, მათი რაოდენობის დადგენა და საერთოდ ოსმალთა პოზიციების შესწავლა დაპყრობილ ტერიტორიებზე. მსგავსი დოკუმენტები საუკეთესო წყაროა სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის მრავალი საკითხის შესასწავლად. ასეთი დოკუმენტები იწერებოდა შავი მელნით მოსქელო თეთრ ქალაღლზე დაახლოებით: 24—25 × 32—33 სმ-ზე¹.

წიგნში მოტანილი ყველა ტიპის დოკუმენტის გაანალიზებას და შესწავ-

1. არზისა და სხვა ტიპის ოსმალური დოკუმენტების კონსტრუქციის შესახებ დაწვრილებით იხ. ა. ველკოვის საკანდიდატო დისერტაცია, რომლის ხელნაწერი ინახება ქ. სოფიის კ. ოხრიდსკის სახელობის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. Аспарух Траянов Велков, Османотурски документи с финансово съдържание 16—18 вв. (Дипломатическо и палеографско проучване). София. 1977. стр. 1—279.

ლას აქ ვერ ვახერხებთ. იგი მომავლის საქმეა. აღენიშნავთ მხოლოდ, რომ ოსმალეთის სხვადასხვა უწყებისა და ინსტანციის მიერ გაცემული დოკუმენტები, რომლებიც ანაკლიისა და რუხის ციხეებს შეეხება ერთერთი საუკეთესო წყაროა ადგილობრივი ვითარების ცალკეული საკითხების შესასწავლად. ეს მასალები არანაკლებ საინტერესო ცნობებს იძლევა დასავლეთ საქართველოს ოსმალეთთან ურთიერთობის ისტორიისთვისაც. ამ დოკუმენტების შესწავლა ხელს შეუწყობს თვით ოსმალური ფეოდალიზმისა და ეკონომიკის ისტორიის მთელი რიგი საკითხების ახლებურად წარმოჩენის საქმეს.

როგორც აღენიშნეთ, წიგნში მოტანილი დოკუმენტები ინახება ბულგარეთში, ქ. სოფიის კირილე და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის სექტორის არქივში. ამ არქივის ფონდიდან ამჟერად 100 დოკუმენტს ვაქვეყნებთ. განზრახულია მსგავსი დოკუმენტები და მცირე მოცულობის სხვადასხვა ტიპის დავთრები მომზადდეს და გამოქვეყნდეს ცალკეული რეგიონების მიხედვით. კერძოდ, ცალცალკე კრებულები გამოქვეყნდეს ქუთაისისა და ბაღდადის ციხეების, ფოთის ციხის, თბილისისა და გორის ციხეების, აჭარის, აფხაზეთისა და სხვა რეგიონების შესახებ. ამ დოკუმენტების რაოდენობა 4000-ზე მეტია. მის მოძიებაში, ფოტო გადაღებასა და საერთოდ ოსმალურ პალეოგრაფიასა და დიპლომატიკაში მუშაობის პროცესში დიდი დახმარება გამიწიეს და ყურადღება არ მომაკლეს ბულგარელმა კოლეგებმა, რომლებმაც არ დაიშურეს თავიანთი მდიდარი გამოცდილება. განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მინდა აღენიშნო ბულგარელი ოსმანისტების: ასპარუხ ველკოვის, სტეფან ანდრეევის, პეტკო გრუევსკის, გიორგი (გო'მო) ალექსანდროვის და მინკა ვასილევას გულისხმიერი, ყოველდღიური კოლეგიალური დახმარება და ყურადღება სოფიის არქივში მუშაობის დროს. ასევე არ შემოიძლია დიდი მადლობა არ მოვახსენო ცნობილ ბულგარელ ოსმანისტებს: აკად. ნ. ტოდოროვს, პროფ. ვ. მუტაფჩიევას, პროფ. ბ. ცვეტკოვას, პროფ. სტრ. დიმიტროვს, დოც. მ. კალიცინას, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ბალკანისტიკის ინსტიტუტის მთელ კოლექტივს და კირილესა და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას, რომელთაგან უსაზღვროდ დავალებული ვარ. მადლობას მოვახსენებ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორს აკად. გიორგი მელიქიშვილს, რომელმაც შემიქმნა ყოველგვარი პირობა, რომ არაერთგზის ხანგრძლივად ვყოფილიყავი მივლინებული ბულგარეთში.

ქართული თარგმანი

№ 1

ის (ალაპი) შეეწიოს

უმწეო მლოცველის არზა ბედნიერების უდიდებულესი კარისადმი ისაა, რომ ქუთაისის კაზასადმი დაქვემდებარებული ოდიშისა და სამეგრელოს ვილაიეთში დანიშნული დადიანის სახელწოდების ქაფურები და აფხაზი ქაფურები ფორმალურად მორჩილნი რომ იყვნენ, მორჩილებიდან გამოვიდნენ. ხმელეთზე აჯანყებულ დადიანს ზღვაზე ქაფური აფხაზი შეუერთდა. ჩვენს მხარეში ისლამის ტახტის მფლობელობაში არსებული რუხისა და ანაკლიის ციხეები დაიკავეს. ზღვითა და ხმელეთით გამოგზავნილ პროვიანტს გზები ჩაუკეტეს. შიგნით მყოფი მცველი იბადულლაპი წამებით მოკლეს. ყოველგვარი მიზეზის გარეშე საკვებად გამოსადეგი პროვიანტი დაიკარგა. ამას წინათ აჯანყებულმა დადიანმა ანაკლიის ციხე დაიკავა და შიგ მყოფ მცველ იბადულლაპთან ერთად დაწვა. სახელმწიფოს მიერ მასზე დაკისრებული აუცილებელი ვალდებულება—ჯიზია და ფეშქაში არ გადაიხადა. ქვეყნის ოთხივე მხარესა და გზებზე მყოფი ვაჭრები დაზოცა, მათ ჭონება და პროდუქტები წაართვა და გაანადგურა. ამ საძაგელი საქციელის გამოსასწორებლად ამჟამად ტრაპიზონის ვილაიეთის მუთასარიფმა—ვეზირმა როშენ აბდულლაპ ფაშამ, მაღალმა ალაპმა ხანგრძლივყოს მისი სიცოცხლე, ოპერის უდიდებულესობას აუწყა ყოველივე. ამის საფუძველზე დადიანისა და აფხაზი ყაჩაღი ქაფურების საქმიანობის გამო პატიოსან ბრძანებასთან ერთად კაცი დაინიშნა და გაიგზავნა. პასუხი მოეთხოვათ იმის გამო, რომ უმიზეზოდ აჯანყდნენ. ფორმალურად მორჩილებაში მყოფ აჯანყებულ ქაფურებს ამ წელს ასეთსავე მდგომარეობაში ყოფნა თუ აქვთ გადაწყვეტილი, მაშინ ძლევამოსილ საზღვარზე მდებარე ციხეების, მაღალმა ოპერტმა ნუ ქნას, ალება გადაწყვეტილია. აჯანყებული დადიანისა და ამბოხებული და აბოხოქრებული აფხაზების მიერ ჩადენილ საქმიანო-

ბაზე საჩივარი იყო, ამის თაობაზე დედაქალაქის სააჯო კარზე არა
გაიგზავნა. აწი ფირმანი თქვენს სამართლიანობაზეა.

დაიწერა ჯემაზი ულ-ეველის თვის დასაწყისში, წელი 1116¹.

ვარდციხესა და ბაღდადჯითან ახლოს მდებარე ქუთაისის კაზას
ყადი, ელჰაჯ ომერი — მლოცველი მონა.

შეუნდოს ალაჰმა.

¹ ჯემაზი ულ-ეველის თვის დასაწყისი, წელი 1116—1.9, 1794.

№ 2

თქვენი ფეხთა მტვერი მონის მოხსენება სამეფუფეო კარს, სამყა-
როსა და პალატების ცენტრს, ზეციურ ხელისუფლებას ისაა, რომ ანაჟ-
ლის ციხის სანახებში არსებული ოდიშის ვილაიეთის მოამაგე ურწმუნ-
ო დადიანისა და ურჯულო აფხაზების შესამოწმებლად მუბაშირ კოლ-
გუზის დანიშვნის ბრძანება გაიცა. [მაგრამ] შერიფი არ დაემორჩილა.
ზემოხსენებულნი განადგურების მიზნით ციხეს მულამ თავს ესხმოდნენ,
მის ოთხივე მხარეს აჯანყებასა და ბოროტ საქმიანობას ეწეოდნენ, ხე-
ლებს იგრძელებდნენ. დღე და ღამ დაცვის სამსახურში მყოფი ძლევა-
მოსილი ლაშქრის პროვიანტის ნავებს თავს ესხმოდნენ, ბრძოლითა და
ზოცვით არბევდნენ. ბევრი მაჰმადის ჯამათი სარწმუნოებისათვის დახო-
ცეს, მათი ქონება იავარჯყვეს, ნავები დაწვეს. ახლა ჯემაზი ულ-ეველის
მე-19 დღეს¹ ჩვენი ნავები გამოგზავნილი პროვიანტით ხელთ იგდეს,
შიგ მყოფი ცხრა კაცი სარწმუნოებისათვის აწამეს. ჩვენი პროვიანტი და
მარცვლეული ნავებთან ერთად გაანადგურეს. ხმელეთით, მოჯანყე და-
დიანის ურწმუნოებმა და ზღვიდან, ურჯულო აფხაზებმა თავდასხმა მოა-
წყვეს. ჩვენს მხარეში ისლამის [ცენტრის] სახით არსებული რუხის ცი-
ხეც გარემოიკვეს. ზღვიდან და ხმელეთიდან სურსათ-სანაოვანის მისა-
წოდებელი გზები გადაკეტეს. რადგანაც ციხეში არავითარი პროდუქტი
არ იყო, მცველად მყოფი იბადულლაჰ მუსლიმინი შიმშილისაგან გარ-
დაიცვალა. ჩვენი მდგომარეობა მეორე დღეს გაუარესდა. ყოველგვარი
საარსებო საშუალებანი განადგურდა. უბედურებას ვერც მცირე მოცუ-
ლობის ნავი გადაურჩა. ერთი ლაზი ხან ხმელეთით, ხან ნავით ზღვაზე
არაერთგზის გაიყვანეს, მაგრამ სამშვიდობოს მისი გადასვლა ვერ მოხე-
რხდა ვერც წყლით და ვერც ხმელეთით.

რადგანაც ამ გარკვეული რაოდენობის განწირული ადამიანების
დასახმარებლად ჩვენ უმწეონი ვიყავით, მოჯანყე ურჯულოებმა ამის გა-
მო გადაწყვიტეს სასაზღვრო პირას მდებარე ისლამის ციხეების აღება.

ალაპის მოციქულის წყალობით ჩვენს მდგომარეობას მშვიდად, მოწყალების თვალით შეხედეს. მტრის ხელით რომ არ დავხოცილიყავით, დახმარება აღმოგვიჩინეს და ამგვარად თავისუფლების ბოძების ბრძანების საკითხი უკვე გადაწყდა და რაც მოხდა, იმის შესახებ არზა შედგა. საბოლოო ბრძანება თქვენზეა, ჩემო მოწყალეო სულთანო.

ანაკლის ციხის ახლანდელი აზაბები, მონა მაჰმუდი [ბეჰედი]

ანაკლის ციხის ახლანდელი ბეშლუიანები, მონა მუსტაფა

[ბეჰედი]

ანაკლის მცველი სერ თოფჩი მონა ისლამი.

ანაკლის ციხის ახლანდელი მცველი მეციხოვნე მონა ომერი

[ბეჰედი]

ანაკლის ციხის ახლანდელი მცველი მონა მუჰამედ ალა [ბეჰედი]

[მეორე გვერდზე]: ანაკლიიდან მოსული.

¹ ჭემაზი ულ-ეველის მე-19 დღე; რადგანაც ამ დოკუმენტში წელი არაა მითითებული, აღნიშნული თვის მე-19 დღის დადგენა შეუძლებელია, ვინაიდან ჭემაზი ულ-ეველის თვე წლების მიხედვით სხვადასხვა თვეს თანხვდება.

№ 8

ის [ალაპი] შეეწიოს

სწორია.

თელხისის თანახმად აუცილებლად საჭირო ბრძანებები გაიცეს. ბრძანება.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ ამჟამად საქართველოში სამსახურისთვის გამწესებული არზრუმის ვალის დიდებული ვეზირის, ბედნიერი ჰალილ ჭაშას უდიდებულესობის ამჯერად მოსულ „კაიმეებში“ აღნიშნულის მიხედვით, მალალი ალაპის წყალობით დადიანის ქვეყანაში არსებული და დასაუფლებელი რუხისა და ხეთის ციხეების დასაპყრობად ტრაპიზონის ვალის დიდებული ვეზირის იუსუფ ჭაშას უდიდებულესობის ინიციატივით ბათუმიდან გემები და ფირმანი გაიგზავნა. ამჟამად რიზეში ამბოხების საქმეების მოსაგვარებლად მყოფი ათი ეშკამფუიასთან ერთად ბათუმისთვის ურიცხვი ლაშქრის გაგზავნა აუცილებელი შეიქმნა. როდესაც ჩაიბარეს რაჰვილის ციხეში შენახული ზარბაზნები, პროვიანტი და ჭაბახანა გაგზავნეს. ჰუეიესა და გონიოში არსებული სახელმწიფო პროდუქტებიდანაც საკმაო რაოდენობით გაიგ-

ზავნა დასაცავად მყოფი ჯარისკაცების ყველაზე მცირე რაოდენობის წლიური პროდუქტები. რადგანაც საგანგებო მდგომარეობა შეიქმნა, მათი ჯარისკაცების, ნავეების, გემების მსახურთა ხელფასი და ამბოხებასთან დაკავშირებული სხვა წამოჭრილი საკითხები სასწრაფოდ გათვალისწინეს და საამისოდ ყველაფერი იღონეს. 1116 წლ. არზრუმის ხაზინიდან ავარიზისა და ნუზლის თანხის, ხოლო არზრუმის საბაჟოდან 5000 ყურუმის გაგზავნის თაობაზე შეატყობინეს. ამბოხების საჭიროებისათვის გაგზავნილი ხარჯები ამ მხრიდან ნაღდი თანხის სახით აღნიშნული ეშკამფუთიათი რომ გაიგზავნა, სახელმწიფოს ეუწყა. გასულ წელს გაგზავნილი სახელმწიფო პროდუქტებიდან კი საწყობში იყო 13600 ქილა ფქვილი, 1100 ყანთარი ორცხობილა, 195565 ქილა ქერი და 7145 ქილა ხორბალი. საჭირო რაოდენობის პროდუქტები აქედან გაიცა. მხოლოდ ზოგიერთი მოულოდნელი ხარჯისთვის გათვალისწინებული იყო ის თანხა, რომელიც ემართა ამას წინათ გარდაცვლილ მუსტაფას. მოვალეობის შემსრულებელთაგან და პატიოსანი ეფენდისაგან გაცემული ფირმანის მიხედვით 4500 ყურუმი, ისპაკ ფაშას ვალიდან — 800 ყურუმი სავალდებულო ახჩა და ჯიზედარის ვალიდან — 300 ყურუმი აღირიცხა და გაიცა. 4000 ყურუმი დაინიშნა და გაიგზავნა. თუ ამაზე ფირმანი გაიცემა, საჭირო ბრძანების დაწერის საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთანის უდიდებულესობაზეა.

1 1116 წელი — 1704. 6.5. — 24.4 1705.

№ 4

ის [ალაპი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო, ჯანმრთელად იყოს. თქვენი უდიდებულესობა. რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების კანონიერი სარგოების ბოძების განკარგულების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო სულთანო. |

თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ზოგიერთი ჯამათის 1118 წლის მასარის¹ სარგოს შესახებ.

აღნიშნულის თანახმად, რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა 1118 წლის მასარის სარგო კანონიერია.

ოთხი კვარტლის იჯმალი გაიცეს.
იჯმალი ხელზე ებოძა იაზიჯიების ოჯახს: [1] 1118 წლის 28 შევალი²-
დადგენილია ზოგიერთი სარგო.

¹ 1118 წლის მასარი — 1706 წლის აპრილი, მაისი, ივნისი.

² (1)1118 წლის 28 შევალი — 1,2. 1707.

№ 5

ის [ალაპი] შეეწიოს

ბედნიერების უმაღლესი სამეუფეო კარისადმი თქვენი ფეხთამტ-
ვერი მონის არა ისაა, რომ რუხის ციხის ბეშლუიანებს, მუსტაფაზებებს,
თოფჩიებსა და აზაბთა ჯარისკაცებსა და მონებს 1119 წლისთვის¹ ანო-
ნიერად განკუთვნილი სარგოები არ მიუღიათ. ძირითად ხელფასებად
დადგენილი იყო სარგოები. მაგრამ, რადგანაც ხელფასება არ იყო,
დიდი ამბები მოხდა. მეორე დღეს უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმო-
ჩნდნენ. ყველანი ერთად შეიკრიბნენ, რადგანაც ხსენებულ სასაზღვ-
რო რაიონში ქაფირებს შორის იმყოფებოდნენ. იმის გამო, რომ ამ ად-
გილების დატოვება არ შეიძლებოდა, მაღალი ფადიშაჰისაგან მოწყალეზა
ითხოვეს, რომ ხსენებული ჯარისკაცებისათვის აღნიშნული წლისათვის
კანონიერად განკუთვნილი სარგოები ებოძათ. უპირველეს ყოვლისა სა-
ჭირო იყო საამისო ბრძანება, რაზედაც სასახლის ზღურბლს ეუწყა. აწი
ბრძანება და ფირმანი ჩემი სამართლიანი მფარველის ნებაა.

[თქვენი] მონა-მორჩილი აჰმედი — ახლანდელი აზაბთა ალა.

[თქვენი] მონა-მორჩილი სულეიმანი — ახლანდელი ბეშლუიან-
ების ალა.

[თქვენი] მონა-მორჩილი მაჰმუდი — ახლანდელი სერ თოფ-
ჩიანი.

[თქვენი] მონა-მორჩილი მუსტაფა — ციხის ახლანდელი მე-
ციხოვნე.

[თქვენი] მონა-მორჩილი იუსუფი — უწინდელი მცველი.

შესაბამისი ადგილი:

არზრუმის მხარეში, საქართველოს ვილაიეთში რუხის ციხის ადგილობ-
რივი ჯარისკაცებისთვის პროდუქტების თანხები და სარგოები გადაკვე-
თილია 1118 წლის მუჰარემის დასაწყისიდან² ამავე წლის ზილ-ჰიჯეს

მიწურულამდე³. ამ თანხის გადახდა დაეკისრათ არზრუმის ეიალეის თიშარებისა და ზიამეთების მფლობელთა სავალდებულო გადასახდელი ფინანსებიდან. საამისოდ 1119 წ. შემოსავალ-გასავლის თესქერე გაიცა არზრუმის ვალის დიდებული ვეზირის იბრაჰიმ ფაშას არზის, მინაწერის, თელხისის, მალალი ფირმანისა და პატიოსანი ბრძანების საფუძველზე.

ჯარისკაცები — 55

სარგო გადაკვეთილია — წელიწადში:

ახჩა — 266916

ყურუში ესედიტ დაანგარიშებულია — 82,5. თითოეული ყურუში 160 ახჩა და 9 ფარაა.

დღე — 754

პროდუქტების ფასი:

თვეში: ხორბალი:

ქილა — 27,5

წელიწადში:

ქილა — 330. თითოეული ქილა 30 სალი ახჩაა

ახჩა — 9900

ყურუში ესედიტ დაანგარიშებული — 82,5

ჯამი — ყურუში ესედი — 1750,5 [და] 9 ფარა.

თესქერე გაიცა [1]119 წლის ჯემაზი ულ--ახირის 28-ს⁴

ანაკლიის ციხის სარგოთა და პროდუქტების თანხები:

ყურუში ესედი — 2968 [და] 17 ფარა

აღნიშნულის თანახმად, ზემოხსენებული ციხისათვის [1]118 წლის მუჰარემის დასაწყისიდან აღნიშნული წლის ზილ-პაჯეს მიწურულამდე ერთი წლით სარგოსა და პროდუქტების თანხებისთვის განკუთვნილია 175 ყურუში. მითითებულ რიცხვში ანაკლიის ციხის სარგოები პროდუქტების თანხასთან ერთად არზრუმის ეიალეის 1119 წლის ფინანსებიდან გაიგზავნა. აღნიშნულ რიცხვში გაცემული თესქერე შემოსავალ-გასავლის დავთარში რეგისტრირებულია. ფირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა.

1120 წლის 4 ჯემაზი ულ-ეველი⁵

ხაზინის თესქერე გაიცა 18 ჯემაზი ულ-ეველს, 1120 წლისა⁶.

შეჯერებულია.

ბეკედი დასმულია, ფირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა. 1120 წლის 7 ჯემაზი ულ-ეველი⁷.

[1]119 წლის გადასახადი ვის მართებს? ვალი რა მდგომარეობაშია? რეზოლუცია იხილეთ!

როდესაც აბუბეკრ ალას ვალი ემართა, განსვენებული ომერ ალას-

გან არზრუმის ეიალეთის 1119 წლის თიმარებისა და ზიამეთების მფლობელთა შემოსავლის სანაცვლო ძიილო და ისმაილ აღას ჩააბარა.

ჩაბარებული პროდუქტებიდან ყურუმში ესედი — 205ჰ.

აღნიშნულის თანახმად, დავთარში რეგისტრირებულია. ფირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა. 1120 წლის 10 ჟემაზი ულ-ეველი⁸.

თქვენი მონა-მორჩილის წინადადება ისაა, რომ არზრუმის მხარეში გურჯისტანის ვალაიეთში მდებარე რუხის ციხის ადგილობრივი ჯარისკაცების რაოდენობა 55-ია და [1]118 წ. მუჰარემის დასაწყისიდან აღნიშნული წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე ერთწლიანი სარგობებისა და პროდუქტების თანხები 1750 ყურუმს შეადგენს. ანაკლიის ციხის სარგოთა და პროდუქტთა თანხები [1]119 წ. არზრუმის საგადასაზადო ფინანსებიდან გაიგზავნა. შემოსავალ-გასავლის შესახებ გაცემული თესქერე მინაწერშია მითითებული, მაგრამ ამჟამად ზემოხსენებული ჯარისკაცების [1]119 წლის სარგოებს მათთან არ მიუღწევია. გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა, რადგანაც ზემოხსენებული ციხე ქაფირებს შორის იყო, [შიგ მყოფნი] ყველანი შეიკრიბნენ. ვინაიდან წასვლის საშუალება არ ჰქონდათ, ხსენებული წლის სარგოთა ბოძების თხოვნით იმათმა აღაებმა არზა და კოლექტიური თხოვნა წარადგინეს. გაიგზავნა აგრეთვე მათ ხელთ არსებული არზრუმის უწინდელი ვალის, დიდებული ვეზირის მეჰმედ ფაშას უდიდებულესობის არზებიც. როდესაც სასახლეში ცნობილი გახდება ხსენებული წლის სარგობებისა და პროდუქტების თხოვნის შესახებ, გაიგზავნოს. მინაწერის საფუძველზე თესქერეს გაცემის შესახებ მაღალი ფირმანი თუ გამოვა, ბრძანება ჩემი ბედნიერი, პატივმოსილი სულთნის უდიდებულესობაზეა.

პატივცემულო დევთერდარ-ეფენდი, იხილეთ და მომახსენეთ. ბრძანება. თელხისის თანახმად თესქერე გაიცა. ბრძანება. სწორია!

(1)120 წლის 12 ჟემაზი ულ-ეველი⁹.

[მეორე გვერდზე:] ასლთან ერთად.

1 1119 წელი — 4,4 1707. — 22.3. 1708

2 1118 წლის მუჰარემის დასაწყისი — 15.4. 1706

3 1118 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურული — 3.4. 1707

4 1119 წ. 28 ჟემაზი ულ-ახირი — 26.9. 1707

5 1120 წლის 4 ჟემაზი ულ-ეველი — 22.7. 1708

6 1120 წლის 18 ჟემაზი ულ-ეველი — 5.8. 1708

7 1120 წლის 7 ჟემაზი ულ-ეველი — 25.7. 1708

8 1120 წლის 10 ჟემაზი ულ-ეველი — 28.7. 1707

9 (1) 120 წლის 12 ჟემაზი ულ-ეველი — 30.7. 1708

ის [ალაპი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართათვის კანონიერად განკუთვნილი ზორცისა და ზორბლის თანხების გაგზავნისა და სალიანეს საკითხზე ფირმანი სულთანზეა.

ზემოხსენებული თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართა ზოგიერთი ჯამათის 1120 წლის მასარის¹ სარგოს შესახებ:

ჯარისკაცები — 55

აღნიშნულის მიხედვით, ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართა მხოლოდ 55 ჯარისკაცია ამჟამად დავთარში რეგისტრირებული და ჩაწერილი.

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართა ზორცისა და პროდუქტების თანხები განსაზღვრულია 1119 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ჭემაზი ულ-ახირის მიწურულამდე². თესქერე გაიცა ამავე წლის ჭემაზი ულ-ახირის 27³.

ჯარისკაცები — 128; ახჩა — 46954.

დღეში:

ზორცი

ოყა — 25,5

დღე — 177

ოყა — 4513,5; თითოეული ოყა 7 ახჩაა. —

ახჩა — 31594

თვეში:

ზორბალი

ქილა — 62

თვეები: 6

ქილა — 384, თითოეული ქილა — 40 ახჩაა

1 ახჩა — 15360.

განსაზღვრულია 1120 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ჭემაზი ულ-ახირის მიწურულამდე⁴:

ჯარისკაცები — 55

დღეში:

ხორცი

ოყა — 11

დღეები: 354

ოყა 3894; თითოეული ოყა 7 ახჩაა.

ახჩა — 27258

თვეში:

ხორბალი

ქილა — 11

წელიწადში:

ქილა — 330; თითოეული ქილა — 40 ახჩაა

ახჩა 13200

ჯ ა მ ი : 40458 ახჩა

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა [1] 121 წლის¹ ხორცისა და პროდუქტების თანხები როდესაც მთლიანად დაიანგარიშეს, მხოლოდ 4457 ახჩა შეადგინა. ფირმანი ჩემს სულთანზეა. 1120 წლის 18 ჯემაზი ულ-ეველი².

ერთწლიანი ანგარიში ჩაატარეთ!

თესქერე გაიცეს!

ხაზინის თესქერე გაიცა 1120 წლის ჯემაზი ულ-ეველის 19-ს⁷.

(მეორე გვერდზე):

55	5 55
<u>5</u>	<u>11</u>
27,5	354
<u>12</u>	<u>44</u>
550	55
<u>275</u>	<u>55</u>
330,0	33
<u>4</u>	<u>3894</u>
13200	7
	<u>27258</u>
	13200
	<u>40458</u>

¹ 1120 წლის მასარი — 1708 წლის მარტი, აპრილი, მაისი

² 1119 წლის მუპარემის დასაწყისიდან ამავე წლის ჯემაზი ულ-აბირის მიწურულამდე — 4.4. 1707 — 27.9. 1707.

³ (1119 წ.) 27 ჯემაზი ულ-ახირი — 25.9. 1707 წ.

- 4 1120 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ჭებაზი ულ-ახირის მიწურულამდე — 23.3 1708 — 15.9. 1708.
 5 (1)121 წელი 13.3. 1709 — 1.3. 1710
 6 1120 წლის 18 ჭებაზი ულ-ეველი — 5.8. 1708.
 7 1120 წლის 9 ჭებაზი ულ-ეველი — 6.8. 1708.

№ 7

ის [ალაჰი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ჯანმრთელად იყოს. თქვენი უდიდებულესობა. რადგანაც რუხის ციხის დასაცავად დანიშნული უმაღლესი სამეფუფეო კარის ჭებეჯიები შორ მანძილზე იმყოფებიან, სალიანეჯის გაგზავნა არაა საჭირო. საზღვარზე მყოფთათვის მოწყალეობის გამოხატვად [1]120 წლის¹ ოთხი კვარტლის ულუფების გაცემისა და ბოძების განკარგულების საკითხზე ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი და პატივმოსილი სულთნის ნებაა.

[თქვენი] ხსენებული მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

მაღალი ფირმანის საფუძველზე რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის ზოგიერთი ჭებეჯის სარგო დაინიშნა. 1120 წლის ჭებაზი ულ-ახირის დასაწყისი².

ჯარისკაცი — 30

დღე — 272

გადაკვეთილია — 244426 ახჩა

ზემოხსენებულთა (1)120 წლის სარგოთაგან იქმალი მოითხოვეს. ბრძანება [და] ფირმანი ჩემი ბედნიერი და პატივმოსილი სულთნის ნებაა.

შემოწმებული დავთრის თანახმად. 1120 წლის 4 ჭებაზი ულ-ახირი³.

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ ფიადე მუჰაბელეს [გამგებლის] მიერ გაკეთებული მინაწერის მიხედვით (და) მაღალი ფირმანით, რუხის ციხის დასაცავად დანიშნული 30 ჯარისკაცის — უმაღლესი სამეფუფეო კარის ჭებეჯიებისათვის 276 დღეზე 24426 ახჩაა გადაკვეთილი. რადგანაც შორ მანძილზე მდებარე ციხის დასაცავად მყოფთათვის ყოველ ზაფხულს სალიანეჯის გაგზავნა აუცილებელი არ არის, სხვა მოსაზღვრე ტერიტორიების მსგავსად (1)120 წლის ოთხი კვარ-

ტლის სარგოთა იჯმალის შედგენის სათხოვნელად არზუჰალი გაიცეს. როდესაც ბედნიერების კარს ეუწყება, არსებულის შესაბამისად იჯმალის ბოძების საკითხზე მაღალი ფირმანი გამოიცეს; ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო სულთანო.

პატივცემულო, ბატონო დევთერდარო, განიხილეთ და მოგვახსენეთ. ბრძანება.

[1] 120 წლის 9 ჯემაზი ულ-ახირი¹.

იჯმალი ხელზე ებოძა ხსენებული ჯამაათის ჩაუშს. 1120 წლის 9 ჯემაზი ულ-ახირი.

[მეორე გვერდზე]

276
85
<hr/>
1380
2208
2208
<hr/>
24426
4
<hr/>
97704

1 (1)120 წელი — 4,4 1707 — 22.3. 1708.

2 1120 წლის ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისი — 18.8. 1708.

3 1120 წლის 4 ჯემაზი ულ-ახირი — 21.8. 1708.

4 (1)120 წლის 9 ჯემაზი ულ-ახირი — 26.8. 1708.

№ 8

ის [ალაპი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრებისათვის კანონიერად განკუთვნილ სარგოთა ბოძების ბრძანების საკითხი ეკუთვნის ჩემს ბედნიერ და წმინდა სულთანს.

თქვენი მონა-მორჩილა.

შესაბამისი ადგილი:

უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების ზოგიერთ ჯამაათს, რომლებიც იმყოფებიან რუხის ციხის დამცველებად, ებოძათ 1122 წლის მასარის სარგო.

აღნიშნულის მიხედვით, რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების 1122 წლის მასარის სარგოს ვადაკვეთა კანონიერია.

ოთხი კვარტლის იჯმალი გაიცეს.

იჯმალი ხელზე ებოძა ჰაჯი ალი იაზიჯის ოჯახს,
1122 წლის ზილ-კაადეს 19-ს².

1 1122 წლის მასარი — 1710 წლის მარტი, აპრილი, მაისი.

2 1122 წლის ზილ-კაადეს 19 — 1711 წლის 9 იანვარი.

№ 9

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრებისათვის კანონიერად განკუთვნილ სარგოთა ბოძების ბრძანების საკითხი ეკუთვნის ჩემს ბედნიერ და წმინდა სულთანს.

თქვენი მონა-მორჩილი

შესაბამისი ადგილი:

უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების ზოგიერთ ჯამაათს, რომლებიც იმყოფებიან ანაკლიის ციხის დამცველებად ებოძათ 1122 წლის მასარის სარგო.

აღნიშნულის მიხედვით, ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების 1122 წლის მასარის სარგოს ვადაკვეთა კანონიერია.

ოთხი კვარტლის იჯმალი გაიცეს.

იჯმალი ხელზე ებოძა ჰაჯი ალი იაზიჯის ოჯახს,
ზილ-კაადეს 19, წელი 1122.

№ 10

ის [ალაპი] შეეწიოს

ბედნიერების უმაღლესი სამეუფეო კარისადმი თქვენი ფენტა მტკერი მონის არზა ისაა, რომ რუხის ციხის დასაცავად დანიშნული უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების 34 ბოლუქიდან, დღიური 8 ახ-

ჩა ულუფას მფლობელი მუსტაფა ისმაილი რადგანაც დედაქალაქში თოფხანეს ყულების ოდაში გაამწესეს, მისი სახელი (შესაბამის წიგნში) ჩაწერეს. ხოლო ხსენებულ ბოლუქში [მყოფი] დღიური 8 ანჩა ულუფას მქონე მეჭმედ შაბანი ფილიბეს ყულების [ჯარისკაცების] სამსახურში დანიშნეს. მისი სახელის აღნიშნულ სამსახურში მცველად ჩაწერისათვის ბრძანების საკითხი სასახლის ზღურბლს ეცნობა [და] არზა მიერთვა. ბრძანება და ფირმანი უმაღლესი სამეუფეო კარააა.

თქვენი მონა-მორჩილი — ახლანდელი სერ ჯებე იუსუფი.
მწერალი

[1]121 წლის 1 შაბანი¹.

სწორია.

რეგისტრირებულის საფუძველზე შეღავათები გაწეულ იქნას. ბრძანება.

18 ზილ-კაადე, [1]121 წელი².

¹ 1 (1) 121 წლის 1 შაბანი — 6.10. 1709

² 18 ზილ-კაადე, (1)121 წელი — 19.1.1710.

№ 11

ის [ალაპი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. რუხის ციხის დასაცავად მყოფა უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრებისათვის კანონით განკუთვნილი ხორცის თანხის ბოძების განკარგულების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო.

[თქვენი] მონა-მორჩილი

შესაბამისი ადგილი:

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების ზოგიერთი ჯამაათის 1124 წლის მასარის¹ სარგოს შესახებ.

ჯარისკაცები — 79

აღნიშნულის თანახმად, რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების მხოლოდ 79 ჯარისკაცია ამჟამად დავთარში ჩაწერილი და რეგისტრირებული.

3. ნ. შენგელია

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანი-
ჩართა ხორცისა და პროდუქტების თანხები გადაკვეთილია 1123 წლის
მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე².

თესქერე გაიცა 1123 წლის ზილ-კაადეს 28-ს³.

ჯარისკაცები — 160

ახჩა — 117696

თვეში: ხორბალი

ქილა — 80

წელიწადში

ქილა — 960, თითოეული ქილა 40-40 ახჩაა

ახჩა — 38400

დღეში:

ხორცი

ოყა — 32

დღეები — 354

ოყა 11328, თითოეული ოყა 7 ახჩაა.

ახჩა — 79296

გადაკვეთილია 1124 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის
ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე⁴.

ჯარისკაცები — 79

თვეში:

ხორბალი

ქილა — 39,5

წელიწადში

ქილა — 474, თითოეული ქილა 40 ახჩაა.

ახჩა — 18960

დღეში:

ხორცი

ოყა — 15,5

დღეები — 354

ოყა — 5487, თითოეული ოყა 7 ახჩაა.

ახჩა — 38409

ჯ ა მ ი — 57369 ახჩა.

ერთწლიანი ანგარიში ჩატარდეს, თესქერე გაიცეს.
თესქერე გაიცა [1]124 წლის 9 რეჯებს⁵.

მწერალი.

[მეორე გვერდზე]:

7	2
79	5 7 9
5	15
39 5	354
12	620
790	775
395	465
474 0	5487,5
4	7
18960	39409
	18960
	57369

- 1 1124 წლის მასარი — 1712 წლის თებერვალი, მარტი, აპრილი
 2 1123 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-პიჯეს მიწურულამდე — 19.2. 1711 — 8.2. 1712
 3 1123 წლის 28 ზილ-კაადე — 1712 წლის 5 იანვარი
 4 1124 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-პიჯეს მიწურულამდე — 9.2. 1712 — 27.1. 1713.
 • 5 (1)124 წლის 9 რეჯები — 12.8. 1712

№ 12

ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩრების სარგოთა ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართა ზოგიერთი ჯამათისთვის 1125 წლის მასარის¹ სარგო გადაკვეთილია.

აღნიშნულის თანახმად, ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართათვის 1125 წლის მასარის სარგოები კანონიერია.

ოთხი კვარტლის იჯმალი გაიცეს.

1 1125 წლის მასარი — 1713 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი.

2 (1)125 წლის 12 შევალი — 1713 წლის 1 ნოემბერა.

№ 13

ის [ალაჰი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, წმინდა და მოწყალე სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. თქვენი მორჩილი მონის მოხსენების მიზეზი ისაა, რომ რუხის ციხის დასაცავად უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების რაზმის ჯარისკაცების გარდა ალაები, იამაკი და სხვა მცველები სახეზე არ იყვნენ ზარბაზნების, ჯაბახანის, პროდუქტებისა და პროვიანტის უქონლობის გამო, ასეთ პირობებში დაცვისა და წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოხერხდა. რადგანაც დიდი სიძნელეები შეიქმნა, მის სანახებში მყოფმა აფხაზმა და მეგრელმა ურწმუნო ყაჩაღებმაც პროდუქტების გადმოსაზიდად ჩამოსული ისლამის ხალხი დახოცეს. მათ განზრახული ჰქონდათ სოფლებიდან სავაჭროდ ჩამოსული ურწმუნო მოსახლეობის გაწყვეტასთან ერთად ფაშას ციხე გაენადგურებინათ. როდესაც ანაკლიისა და ბათუმის მოსახლეობა სასამართლოს წინაშე წარსდგა, ამის შემდეგ ხსენებული ციხის მუსლიმანი მოსახლეობის თხოვნის თანახმად, მომხდარი ამბის შესახებ არზა ალაჰის წყალობით თქვენს ფეხთა მტვერს [სულთანს] წარედგინა. ამ საკითხის შესახებ საბოლოო ბრძანება ეკუთვნის ჩემს ბედნიერ, მოწყალე სულთანს.

დაიწერა კეთილი საფარის თვის ოთხში, 1126 წელი¹.

ბათუმთან ახლოს მდებარე გონიოს კაზას განმგებელი, მუჰამედის დიდებისათვის მლოცველი ომერი.

1 საფარის ოთხი, 1126 წელი—1714 წლის 19 თებერვალი

№ 14

ქვეყნად უსამართლობისა და ძალმომრეობის დამთრგუნველის, ბედნიერების უმაღლესი კარის, დედაქალაქის ზღურბლის მტკვერისადმი [სულთნისადმი] წარდგენილ რუხის ციხის მოსახლეობაში არსებული

ვითარების ამსახველ მოხსენებაში სახელმწიფოს სიმტკიცისა და ბედნიერებისათვის მლოცველების: ულემას, სულჰას, იმამის, ხატების, გლახაკისა და უმწეოს [თქვენი მონა-მორჩილის] უმორჩილესი განმარტება ისაა, რომ ამჟამად რუხის ციხის დაცვის გარდა უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების პოლკის ჯარისკაცებს სხვა რაიმე დავალება არ ჰქონიათ, [მაგრამ] ზემოხსენებული ციხისადმი განკუთვნილი ზარბაზნის, ჯაბახანის, პროდუქტების, პროვიანტის უკმარისობის გამო წინააღმდეგობის გაწევა ველარ შეძლეს. დიდი სიძნელეები შეექმნათ. ამჟამად მის სანახებში მყოფმა აფხაზმა და მეგრელმა ჭაფირმა ყაჩაღებმაც პროდუქტების გადმოსაზიდად ჩამოსული ისლამის ხალხი დახოცეს. სოფლებში სავაჭროდ მოსულ ჭაფირ მოსახლეობას როდესაც დავს უბედურება დაატეხეს და დაფანტეს, განიზრახეს ფადიშაჰის ციხის განადგურება. მომხდარი ამბავი, ალაჰის წყალობით, ზემორე თხოვნის სახით, თქვენს წმინდა ფეხთა მტვერს გაეგზავნა და წარედგინა. ამ საკითხის შესახებ საბოლოო ბრძანება ეკუთვნის ჩემი ბედნიერი და სამართლიანი სულთანის უდიდებულესობას.

დაიწერა დიდებული საფარის თვის 5-ს, წელი 1126¹.

[თქვენი] მონა-მორჩილი ჰუსეინ მესამე — ამჟამად რუხის უპირველესი მცველი, 77.

[თქვენი] მონა-მორჩილი აჰმედ მეორე — ამჟამად რუხის დამცველი, 77

[თქვენი] მონა-მორჩილი ჰასან ალამდარი, — ამჟამად რუხის დამცველი, 77

[თქვენი] მონა-მორჩილი მეჰმედ სერ ოდა, — ამჟამად რუხის დამცველი, 77

[თქვენი] მონა-მორჩილი ალი ჯებეჯი — ამჟამად რუხის დამცველი.

¹ საფარის თვის 5, წელი 1126 — 20.2. 1714.

№ 15

ის [ალაჰი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, წმინდა და მოწყალე სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. თქვენი მორჩილი მონის მოხსენების მიზეზი ისაა, რომ რუხის ციხის დასაცავად მხოლოდ უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების რაზმის ჯარისკაცების გარდა აღაები, იამაკი

და სხვა მცველები სახეზე არ იყვნენ ზარბაზნების, ჯაბახანის, პროღუქტებისა და პროვიანტის უქონლობის გამო, ასეთ პირობებში დაცვისა და წინააღმდეგობის გაწევა ვერ მოხერხდა. რადგანაც დიდი სიძნელეები შეიქმნა, მის სანახებში მყოფმა აფხაზმა და მეგრელმა ურწმუნო ყაჩაღებმაც პროღუქტების გადმოსაზიდად ჩამოსული ისლამის ხალხი დახოცეს. მათ განზრახული ჰქონდათ სოფლებიდან სავაჭროდ ჩამოსულ ურწმუნო მოსახლეობის გაწყვეტასთან ერთად ფაშას ციხე გაენადგურებინათ. როდესაც ანაკლიისა და ბათუმის მოსახლეობა სასამართლოს წინაშე მოწმეებად წარსდგა, ამის შემდეგ ხსენებული ციხის მუსლიმანი მოსახლეობის თხოვნის თანახმად, მომხდარი ამბის შესახებ არზა ალაპის წყალობით თქვენს ფეხთა მტვერს [სულთანს] წარედგინა. ამ საკითხის შესახებ საბოლოო ბრძანება ეკუთვნის ჩემს ბედნიერ, მოწყალე სულთანს.

დაიწერა კეთილი საფარის თვის ოთხში, 1126 წელი¹.

ანაკლიის მცველი იანიჩართა ოფიცერი მონა მეჰმედი [ბეჰედი]
ანაკლიის ციხის ახლანდელი მეციხოვნე მონა ომერი [ბეჰედი]
ანაკლიის ციხის ახლანდელი თოფჩი ბაში მონა ისლამი [ბეჰედი]
ანაკლიის ციხის ახლანდელი იამაკთა ოფიცერი მონა მაჰმედი
[ბეჰედი]

ანაკლიის ციხის ახლანდელი მცველი ქედხუდა მონა აჰმედი
[ბეჰედი]

ანაკლიის ციხის ახლანდელი მცველი აზაბთა ქედხუდა მონა ჰუსეინი [ბეჰედი]

ანაკლიის ახლანდელი მცველი ბეშლუიანების ქედხუდა მონა
მაჰმედი (ბეჰედი).

¹ საფარის ოთახი, (1)126 წელი — 1714 წლის 19 თებერვალი.

№ 16

ის [ალაპი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო, ხანგრაქლივი იყოს თქვენი უდიდებულესობის სიცოცხლე. რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართათვის კანონიერად განკუთვნილი ზორცის თანხის ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო.

(თქვენი) მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანი-ჩართა ზოგიერთი ჯამაათის 1126 წლის მასარის¹ სარგოს შესაჩებ.

ჯარისკაცები — 182

აღნიშნულის თანახმად, რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართა მხოლოდ 82 ჯარისკაცია ამჟამად დავთარში ჩაწერილი და რეგისტრირებული.

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართა ხორცისა და პროდუქტების თანხები გადაკვეთილია 1125 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე². თესქერე გაიცა 1125 წლის 12 ჯემაზი ულ-ეველს³.

ჯარისკაცები — 194

ახჩა — 141963.

დღეში: ხორცი 38,5 ოყა,

დღეები — 754,

ოყა — 13629, თითოეული

ოყა 7 ახჩაა.

ახჩა — 95403.

თვეში: ხორბალი 97 ქილა,

წელიწადში: 1164 ქილა,

თითოეული ქილა 40 ახჩაა.

ახჩა — 46560.

სარგო 1126 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე⁴.

ჯარისკაცები — 182

დღეში ხორცი: 36 ოყა.

დღეები — 354

ოყა — 12744, თითოეული

ოყა 7 ახჩაა.

ახჩა — 89208.

თვეში ხორბალი: 91 ქილა,

წელიწადში: 1092 ქილა,

თითოეული ქილა 40 ახჩაა.

ახჩა — 43680

ჯ ა მ ი — 132888 ახჩა.

მინაწერის თანახმად მთავარმა მონაგარიშემ დაიანგარიშოს, თესქერე გაიცეს.

თესქერე გაიცა (1)126 წლის 11 ჯემაზი ულ-ახირს⁵.

მეორე გვერდზე:

182	5 32
<u>5</u>	<u>182</u>
91,5	36
<u>12</u>	354
182	

91	36
1092	2124
4	1062
43680	12744
89218	7
132888.	89208

- 1 (1)126 წლის მასარი — 1714 წლის მარტი, აპრილი, მაისი.
- 2 1125 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე —
- 3 1125 წლის ჭემაზი ულ-ვეელი — 6.6.1713.
- 4 1126 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე — 17.1.1714. — 6.1.1715.
- 5 [1]126 წლის II ჭემაზი ულ-ახირი — 24.6.1714.

№ 17

ის [ალაჰი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენ-
ნი უდიდებულესობა. თქვენზე მლოცველთა მოხსენება ისაა, რომ საქა-
რთველოს საზღვრის ბოლოს მდებარე ანაკლიის ციხეში მუსტაფაზებო
ზარბაზნების, ჯაბახანისა და პროვიანტის ნაკლებობას განიცდიან, ამიტომ
წინააღმდეგობის გაწევას ველარ ახერხებენ ,დიდი სიძნელები შეექმ-
ნათ. მეზობელ სანახებში მყოფმა აფხაზთა ჭაფირმა ყაჩაღებმაც პრო-
ვიანტის ჩამოსატანად წარგზავნილი ისლამის ხალხი დახოცეს. სოფ-
ლებში სავაჭროდ მოსულ ჭაფირთა მოსახლეობას ვაჭრობა აუკრძალეს.
ამასთანავე განზრახული აქვთ ფადიშაჰის ციხის განადგურება. ანაკ-
ლიის მხარეში მოსულმა ვაჭრებმა შარიათის ზღურბლს შეაფარეს თა-
ვი. ეს ამბავი ხსენებული ციხის მოსახლეობიდანაც მათი წარდგინების
საფუძველზე მათზე მაღალი მოწყალების თხოვნითა და მაღალი ღმერთის
შემწევობით თქვენს ფეხთა მტვერს ეუწყა. აწი ფირმანი ჩემს სულთან-
ზეა. 1126 წლის რები ულ-ვეელის თვე¹.

ბათუმის ახლოს მდებარე გონიოს კაზას მწირი, მლოცველი ომერ
ალ-სეიდი.

[მეორე გვერდზე]:

აფხაზების შესახებ ანაკლიიდან და გონიოდან მოსული არზა ესაა.

¹ 1126 წლის რები ულ-ვეელის თვე — 1714 წლის 17.3. —15.4.

თქვენი ფეხთა მტვერი მონების არზა სამეუფეო კარს, სამყაროსა და პალატების ცენტრს, ზეციურ ხელისუფლებას ისაა, რომ ეს ჭარისკაცები ისლამის საზღვართან ახლოს მდებარე ანაკლიის ციხის ადგილობრივი მუსტაფაზები, ბეშლუიანები, აზაბები არიან. 1127 წლის¹ კანონიერად წამსახურევი სარგოების სახელმწიფოსაგან მისაღებად ამ სამი რაზმიდან აზაბთა ქედხუდა — ჰუსეინ ქედხუდა — ვეჭილად დაინიშნა და ჩვენგან თქვენს ღიდებულ ფეხთა მტვერთან გაიგზავნა. მალალი ალაჰის წყალობით, როდესაც იგი დანიშნულ ადგილს მიაღწევს, ამ საწყალი ჭარისკაცებისათვის ძღვევამოსილ საზღვარზე საფადიშაჰო მოწყალების გაღების საკითხი, გლახაკთადმი კეთილშობილების გამოჩენა თქვენს უღიდებულესობაზეა, ჩემო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი მაჰმუდი, ანაკლიის ციხის ახლანდელი აზაბი. [ბეჭედი: მონა-მორჩილი მაჰმუდი, აზაბი.]

[თქვენი] მონა-მორჩილი მუსტაფა, ანაკლიის ციხის ახლანდელი ბეშლუიანი.

[ბეჭედი: ღვთის მონა მუსტაფა] ხსენებული მუსტაფას ბეჭედი დასმული არაა. ბრძანება ჩემი სულთნის უღიდებულესობაზეა.

1128 წლის 11 მუჰარემი².

[თქვენი] მონა-მორჩილი ომერი, ანაკლიის ციხის ახლანდელი მეციხოვნე.

იხილეთ შესაბამისი ადგილი:

127 წელი. მინაწერი:

საქართველოში მდებარე ანაკლიის ციხის ადგილობრივი ბეშლუიანების, აზაბების, მუსტაფაზების სარგო გადაკვეთილია 1126 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე³ ანაკლიის ციხის სერ თოფჩიების — ისლამის არზის, მინაწერის, თელზისისა და მალალი ბრძანების თანახმად.

1126 წლის 16 რები ულ-ეველი⁴.

ჭარისკაცები — 120

ღლეში — 1350 ახჩა.

წელიწადში — 477900 ახჩა.

განმარტებული წესით, ჭარისკაცებზეც ზემოხსენებული წლის მუჰარემის დასაწყისიდან ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე, ერთწლიანი სარგოების შესახებ აღნიშნულ რიცხვში გაცემული ხაზინის თესქერე დავთარ-

ში რეგისტრირებულია. ფირმანი ჩემი მოწყალე, ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა.

1128 წლის 14 მუჰარემი⁵.

შეჯერებულია.

მეციხოვნისა და აზაბთა ალების ბეჭედი იდენტურია. ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა. 1128 წლის 11 მუჰარემი.

მონათა არზა ისაა, რომ საქართველოს საზღვარზე მდებარე ანაკლიის ციხის 120 ჯარისკაცს — მუსტაფაზებს, აზაბებს, ბეშლუიანთა ადგილობრივ ჯარისკაცებს დღიურად 1350 ახჩა, ხოლო წლიურად 477900 ახჩა სარგო აქვთ. [1]126 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ხსენებული წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე სარგოთათვის გაცემული ხაზინის თესქერე მინაწერშია მითითებული. [1]127 წლის სარგოთა ბოძების ბრძანების საკითხზე ჩაუშს ალათა არზა მიეცა. ეს სახელმწიფოს ზღურბლს ეცნობა: მინაწერის თანახმად, [1]127 წლის სარგოთათვის თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

სწორია.

თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს, ბრძანება.

[1]128 წლის 14 მუჰარემი.

სწორია.

ხაზინის თესქერე გაიცა, [1] 128 წლის 19 მუჰარემი⁶.

[მეორე გვერდზე]

[1]127 წელი. იხილეთ მთავარი მოანგარიშის მინაწერი.

თელხისი.

ხსენებული ციხის აზაბთა აღას — მეჰმედის, მეციხოვნე ომერის არზის, დავთრის, თელხისისა და მალალი ფირმანის თანახმად:

1350

354

5400

6750

4050

477900

¹ 1127 წელი — 1715 წელი.

² 1128 წლის II მუჰარემი — 6.1.1716.

³ 1126 მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე — 17.1.1714. — 6.1.1715.

⁴ 1126 წლის 16 რეზი ულ-ეველი — 1.4. 1714.

⁵ 1128 წლის 14 მუჰარემი — 9.1.1716.

⁶ [1]128 წლის 19 მუჰარემი — 14.1.1716.

თქვენი ფეხთა მტვერი მონის მოხსენება სამეფუფეო კარს, სამყაროსა და პალატების ცენტრს, ზეციურ ხელისუფლებას ისაა, რომ ამ [1]130 წლიდან¹ თქვენგან გაღებული კანონიერი მოწყალების ჩვენდამი ბოძების სანუქფოდ აღემდარი მაჰმუდი ჩვენს მიერ ვეჟილად დაინიშნა და [თქვენს] პატიოსან ფეხთა მტვერს გაეგზავნა. როდესაც თქვენამდე მოაღწევს, ამ ძღვევამოსილ საზღვარზე [მყოფი] მოაჩილა ჯარისკაცებისადმი ფაღიშაჰის წყალობით სიხარულის მომნიჭებელი საბოძვარის შესახებ ბრძანების საკითხი თქვენზეა, ჩემო უზომოღ კეთილშობილო, მოწყალო სულთანო.

ანაკლიის ციხის ახლანდელი თოფჩიების მონა ალი.

იხილე შესაბამისი ადგილი:

საქართველოს საზღვარზე მდებარე ანაკლიის ციხეში მყოფი ადგილობრივი თოფჩიების ჯარისკაცების სარგო განსაზღვრულია მხოლოდ 1129 წლის რეგების დასაწყისიდან² ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე³. სახელმწიფო ზაზინიდან თანხის გაცემის ბრძანება გამოვიდა ზემოხსენებული ციხის სერ თოფჩის — ალი ალას არზის, [სათანადო] მიწაწერის, თელხისისა და მაღალი ბრძანების თანახმად.

თესქერე გაიცა რები ულ-ეველის 19-ს, წელი 1130⁴.

ჯარისკაცი — 24, დღეში [სარგო] — 290, დღე — 177, ახჩა — 51330.

ზემოაღნიშნულის მიხედვით, [1]129 წელს⁵ დარჩენილი ექვსთვიანი სარგოსთვის აღნიშნულ რიცხვში მითითებული თანხას შესახებ ზაზინის თესქერეს გაცემა დაეთარში რეგისტრირებულია. ამ საკითხის შესახებ ბრძანება ეკუთვნის ჩემს ბედნიერ [და] წმინდა სულთანს.

16 ზილ-ჰიჯე, წელი 1130⁶.

დაიანგარიშეთ!

სარგო 1130 წლის მუჰარემის დასაწყისიდან⁷ 1130 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე⁸.

ჯარისკაცი — 24, დღეში — 290 ახჩა; დღე — 354, ახჩა — 102660, შეადარე!

ბეჰედი დასმულია, ბრძანება თქვენზეა, ჩემო ბედნიერო სულთანო.

15 ზილ-ჰიჯე, 1130 წელი⁹.

როდესაც ზემოხსენებულ ჯარისკაცთა 1130 წლის სარგო დაიანგარიშეს, ერთი იუჟი ქისა და 1660 ახჩა აღმოჩნდა. ბრძანება ეკუთვნის ჩემს ბედნიერსა და წმინდა სულთანს. 18 ზილ-ჰიჯე, 1130 წელი¹⁰.

ზემოხსენებული ციხის დასაცავად კაფუ კულუს თოფჩი თუ იმყოფება. ქვეითების შესახებ იხილეთ მინაწერი!

ანაკლიის ციხეში ქვეითთა უწყებაში არსებული კაფუ კულუს თოფჩი რეგისტრირებულია, ბრძანება თქვენზეა, ჩემო ბედნიერო და წმინდა სულთანო. [1] 130 წლის 22 ზილ-პიჯე¹¹.

შემოწმებული დავთრის თანახმად:

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ ანაკლიის ციხის ადგილობრივი თოფჩიების [1] 120 წლის სარგოს შესახებ თოფჩიების აღამ არზა წარადგინა. მინაწერის თანახმად თესქერეს ბოძების საკითხი თქვენზეა, ჩემო ბედნიერო და წმინდა სულთანო.

სწორია!

თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს.

პატივცემულო დევთერღარ ეფენდი ...[?] ბრძანება, 27 ზილ-პიჯე, წელი [1130].¹².

თესქერე გაიცა 28 ზილ-პიჯეს, წელი 1130¹³.

მწერალი.

1 [1] 130 წ. 5.12.1717. — 23.II.1718.

2 1129 წლის რეჯების დასაწყისი — 1717 წლის II ივნისი.

3 [1129 წ.] ზილ-პიჯეს მიწურული — 1717 წლის 6 ნოემბერი.

4 რები ულ-ვეელის 19, წელი 1130 — 1718 წლის 20 თებერვალი

5 [1] 192 წელი — 16.12.1716. — 4.12.1717.

6 16 ზილ-პიჯე, წელი 1130 — 1718 წლის 11 ნოემბერი.

7 1130 წლის მუჰარემის დასაწყისი — 1717 წლის 5 დეკემბერი.

8 1130 წლის ზილ-პიჯეს მიწურული — 1718 წლის 23 ნოემბერი.

9 15 ზილ-პიჯე, წელი 1130 — 1718 წლის 10 ნოემბერი

10 8 ზილ-პიჯე, წელი 1130 — 13 ნოემბერი, 1718 წელი.

11 [1] 130 წლის 22 ზილ-პიჯე — 17.ნოემბერი, 1718 წელი.

12 27 ზილ-პიჯე, წელი 1130 — 22 ნოემბერი, 1718 წელი.

13 28 ზილ-პიჯე, წელი 1130 — 23 ნოემბერი, 1718 წელი.

№ 20

თქვენი ფეხთა მტვერი მონის მოხსენება სამეფუფეო კარს, სამყაროსა და პალატების ცენტრს, ზეციურ ხელისუფლებას ისაა, რომ საქართველოს საზღვარზე მდებარე ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი ადგილობრივი დამცველებისა... და ბეშლუიანების ჯარისკაცთა 1133 წლის¹ კანონიერი სარგო... [?] ხსენებულებს სრულად ებოძათ. შესაბამისი თანხა გამოეყოთ. ბრძანება თქვენზეა, ჩემო ბედნიერო სულთანო.

ანაკლიის სერ თოფჩი მონა ჰუსეინი.
 ანაკლიის აზაბთა ალა მონა ალი.
 ანაკლიის ბეშლუიანების ალა მონა აჰმედი.
 ანაკლიის...

შესაბამისი ადგილი:

სახელმწიფო ზაზინის დავთრის შესაბამისად [იმოქმედეთ!]

საქართველოს საზღვრის ბოლოს მდებარე ანაკლიის ციხის ადგი-
 ლობრივი ჯარისკაცების სარგოდან 1132 წლის მუჰარემის დასაწყისი-
 დან² ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე³ სარგოს გადაკვეთის შესა-
 ხებ ბრძანება გამოვიდა. შემოხსენებული ციხის ალათა ბეჰდიანი არზის,
 მინაწერის, თელხისა და [1] 132 წლის 9 ჯემაზი ულ-ეველი⁴ მალაღი
 ბრძანების საფუძველზე თესქერეს გაცემის პატიოსანი ბრძანება გამო-
 ვიდა. ამავე წლის 18 ჯემაზი ულ-ეველი⁵.

ჯარისკაცები —	დღე —
40 450 დამცველი
40 450 აზაბი
40 450 ბუშლუიანი
24 290 თოფჩი
<hr/>	<hr/>
144	1940

დღეები — 354, ახჩა — 580560

შემოხსენებული ციხის ჯარისკაცების 1132 წ. მუჰარემის დასაწყი-
 სიდან ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე, ერთ წელიწადში, სარგოთა შესახებ
 აღნიშნულ რიცხვში ზაზინის თესქერეს გაცემა რეგისტრირებულია. ამ
 საკითხზე ბრძანების ბოძება თქვენზეა, ჩემო ბედნიერო, დიდსულოვანო
 სულთანო.

1133 წ. 20 მუჰარემი⁶.

ხსენებული ციხის მეციხოვნეებისა და სხვების ბეჰედი დასმულია.
 ბრძანება ჩემს ბედნიერ სულთანზეა. 1133 წლის 20 მუჰარემი.

1 1133 წელი — 2. 11.1720. — 21.10.1721.
 2 1132 წ. მუჰარემის დასაწყისი — 14.11.1719.
 3 [1132 წ.] ზილ-ჰიჯეს მიწურული — 1.11.1720.
 4 [1] 132 წ. 9 ჯემაზი ულ-ეველი. — 19.3.1720.
 5 [1] 132 წ. 18 ჯემაზი ულ-ეველი — 28.3. 1720.
 6 1133 წ., 20 მუჰარემი — 21.11.1720.

№ 21

თქვენი ფეხთა მტვერისა და უმწეო მონის მოხსენება სამეფეო
 კარს, სამყაროსა და პალატების ცენტრს, ზეციურ ხელისუფლებას ისაა,

რომ საქართველოს მხარეში რუხის ციხის დასაცავად მყოფი ადგილობრივი ჯებეჯიების ჯარისკაცებისათვის ამ 1133 წლ. ანგარიშში შესული კანონიერი ვალდებულებებიდან პროდუქტების თანხის ბოძებისა და მის შესახებ ბრძანების გამოცემის თხოვნა სასახლის ფეხთა მტვერს ეუწყა, საბოლოო სამართლიანი ბრძანება თქვენზეა.

რუხის ციხის ჯებეჯიების ახლანდელი მონა მუსტაფა.

შესაბამისი ადგილი.

რუხის ციხის თოფჩიებისა და ადგილობრივი ჯებეჯიების ჯარისკაცებს პროვიანტიდან რეჯეჯის² ხორბლის ფასი სარგოდ ებოძათ თელხისისა და მინაწერის თანახმად 1132 წლის მუჰარემის დასაწყისიდან³ ამავე წლის ზილ-ჰიჯეს დასასრულამდე⁴. ამ თანხის სახელმწიფო ხაზინიდან გაცემის ბრძანება გამოვიდა დავთრის, თელხისისა და უმაღლესი ფირმანის თანახმად. პატიოსანი ფირმანის საფუძველზე თესქერე გაიცა ამავე წლის რები ულ-ახირის 10-ს⁵.

ჯარისკაცები — 40 ჯებეჯი

25 თოფჩი

65

თვეში ხორბალი — 65 ქილა, თითოეულ ჯარისკაცს — 1 ქილა.

წელიწადში — 780 ქილა, თითოეული ქილა 40 ახჩაა.

31200 ახჩა, ესედი ყურუში — 260.

არსებული წესის შესაბამისად ზემოხსენებულ რიცხვში [11]32 წლისათვის⁶ პროდუქტების თანხებზე გაცემული ხაზინის თესქერე დავთარში რეგისტრირებულია. ბრძანება თქვენზეა, ჩემო ბედნაერო სულთანო. 1133 წლის შევალი⁷.

[1]133 წლის სარგოთა მდგომარეობის შესახებ იხილეთ მინაწერი.

ხსენებული ჯარისკაცების სარგოების შესახებ ხაზინის თესქერე გაიცა [1]132 წ. ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე. [1]133 წლის რები ულველის 26-ე დღიდან⁸ არზრუმის საბაჟოს ფინანსებიდან თანხის გაღების შესახებ თელხისისა და მაღალი ბრძანების თანახმად ოჯაქლიქი დაენიშნათ. ხსენებულ რიცხვში ოჯაქლიქის ბერათი გაიცა და დავთარში რეგისტრირებულ იქნა. ამ საკითხის შესახებ ბრძანება ეკუთვნის ჩემს ბედნიერსა და წმინდა სულთანს

1133 წლის 26 შევალი⁹.

შეადარე!

ბეჰედი დასმულია. ამ საკითხის შესახებ ბრძანება ეკუთვნის ჩემს ბედნიერსა და წმინდა სულთანის უდიდებულესობას. 23 შევალი, 1133 წელი.

ასოცდაცამეტი წელი, დაიანგარიშეთ!

სარგო [1]133 წლის მუჰარემის დასაწყისიდან¹⁰ ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე¹¹.

ჯარისკაცი — 40; თვეში ხორბალი — 40 ქილა; წელიწადში — 480 ქილა; თითო ქილა 40 ახჩაა. 19200 ახჩა; ესედი ყურუში — 160.

არსებულის შესაბამისად, როდესაც დაანგარიშებულ იქნა, 1133 წ. მუჰარემის დასაწყისიდან ხსენებული წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე ერთი წლის განმავლობაში, რუხის ციხის 40 ადგილობრივი ჯარისკაცის, ჯებეჯიების პროდუქტების ფასმა შეადგინა მხოლოდ 160 ყურუში. ამ საკითხის შესახებ ბრძანება ეკუთვნის ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობას. 1133 წლის 26 შევალი.

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ რუხის ციხის დასაცავად მყოფ 65 ჯარისკაცს—ჯებეჯისა და თოფჩის—თითოეულს თვეში თითო-თითო ქილა ხორბალი მიეცეს. (1)132 წელს ხორბლის ფასი შეადგენს 260 ყურუშს. ამაზე გაცემული თესქერე რეგისტრირებულია. (1)133 წლის მუჰარემის დასაწყისიდან 40 ჯარისკაცის, ადგილობრივი ჯებეჯიების პროდუქტების ფასმა 160 ყურუში შეადგინა. ეს დაანგარიშებულია და ამ თანხის გასაცემად ჯებეჯის ემინის არზაა გაცემული. დაანგარიშებულის თანახმად, თესქერეს გაცემის ბრძანების საკითხი ეკუთვნის ჩემს ბედნიერსა და პატიოსანი სულთნის უდიდებულესობას.

სწორია

პატივცემულო ბატონო დევთერდარო, განიხილეთ და გვაუწყეთ ბრძანება.

თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს, ბრძანება. [1]133 წ. 27 შევალი¹².

ხაზინის თესქერე გაიცა, 29 შევალი, წელი [1]133¹³.

მეორე გვერდზე: თელხისი

160	
16	
<hr/>	
960	3
160	
<hr/>	
65600	

¹ 1133 წ. 2.11.1720. — 21.10.1721.

² რეჯეი — რები ულ-ახირი, ჯემაზი ულ-ეველი, ჯემაზი ულ-ახირი.

³ 1132 წლის მუჰარემის დასაწყისი — 1719 წლის 14 ნოემბერი.

⁴ [1]132 წ.[ზილ-ჰიჯეს დასასრული — 1720 წლის 1 ნოემბერი.

⁵ [1132 წ.] რები ულ-ახირის 10 — 1720 წლის 20 თებერვალი.

⁶ [11] 32 წელი — 14.11.1719 — 1.11.1720.

⁷ 1133 წ. 23 შევალი — 1721 წ. 20 აგვისტო.

⁸ [1] 133 წ. რები ულ-ეველის 26-ე დღე — 1721 წლის 25 იანვარი.

- 9 1133 წლის 26 შევალი — 1721 წლის 21 აგვისტო.
 10 [11] 23 წ., ზილ-ჰიჯეს მიწურული — 21.10.1721 წელი.
 11 ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურული — 21.10.1721
 12 [1] 133 წ. 24 შევალი — 18 აგვისტო, 1721 წელი.
 13 29 შევალი, წელი [1] 133 — 26 აგვისტო, 1721 წელი.

№ 22

თქვენი ფეხთა მტვერისა და უმწეო მონის მოხსენება სამეუფეო კარს, სამყაროსა და პალატების ცენტრს, ზეციურ ხელისუფლებას ისაა, რომ საქართველოს საზღვარზე ამჟამად დაპყრობილ რუხის ციხეში თოფჩიები დღე და ღამე ჩვენი ერთგულებისათვის თავდადებით მსახურობენ. ამ ჯარისკაცებისთვის 1133 წელს¹ სახელმწიფო ქონებიდან გამოყოფილი პროდუქტების თანხის ბოძების საკითხზე განსაკუთრებული არზა და ცნობა უმაღლეს სატახტო კარს მიეწერა. აწი ბრძანება შენს სამარლიანობაზეა.

რუხის ციხის თოფჩიების ახლანდელი მონა აღი აღა.

შესაბამისი ადგილი:

რუხის ციხის თოფჩიებისა და ადგილობრივი ჯებეჯიების ჯარისკაცების პროვიანტიდან ხორბლის ფასი რეჯეჯის დროს თელზისისა და მინაწერის მიხედვით განეკუთვნათ 1122 წლის მუჰარემის დასაწყისიდან² ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე³. ასეთი თანხის სახელმწიფო ხაზინიდან გაცემის ბრძანება გაიცა დავთრის, თელზისისა და მაღალი ფირმანის თანახმად. პატიოსანი ფირმანის საფუძველზე თესქერე გაიცა ამავე წლის ზილ-ჰიჯეს 10-ს⁴.

40 — ჯებეჯი

25 — თოფჩი

65

თვეში ზორბალი — 65, წელიწადში ქილა — 780, ახჩა — 31200, ყურუში — 260.

ყოველ ჯარისკაცზე 1 ქილა.

თითოეული ქილა 40 ახჩა.

აღნიშნულის მიხედვით, 1132 წ⁵. პროდუქტების ფასების შესახებ ხსენებულ რიცხვში გაცემული იხაზინის თესქერე დავთარში რეგისტრირებულია. ბრძანება ჩემი ბედნიერი სულთნის ნებაა.

1133 წლის 21 შევალი⁶.

სარგოთა მდგომარეობის შესახებ იხილეთ მინაწერი.

[1]132 წლის ზილ-პიჯეს მიწურულამდე ზემოხსენებული ჭარისკაცების სარგოთა შესახებ ხაზინის თესქერე გაიცა. [1]133 წლის რეგიულ-ეველის 26-ე დღიდან⁷ არზრუმის საბაჟოდან ფინანსები გაცემულ იქნა და თელხისისა და მაღალი ბრძანების თანახმად ოჯაქლიქი დაენიშნათ. ოჯაქლიქის ბერათის გაცემის თარიღი დავთარში რეგისტრირებულია. ამ საკითხის შესახებ ბრძანება ეკუთვნის ჩემს ბედნიერ სულთანს.

1133 წლის 22 შევალი⁸.

შედარებულია!

ბექედი დასმულია, ამ საკითხის შესახებ ბრძანება ეკუთვნის ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობას.

1133 წლის 21 შევალი.

[1]133 წ. პროვიანტი დაიანგარიშეთ ჭარისკაცების მიჭედვით!

რუხის ციხის ადგილობრივი თოფჩიების ჭარისკაცებს პროვიანტიდან სარგო გადაკვეთილი აქვთ 1133 წ. მუჰარემის დასაწყისიდან⁹ [1]133 წ. ზილ-პიჯეს მიწურულამდე¹⁰.

ჭარისკაცები — 25

თვეში ხორბალი: 25 ქილა

თითოეულ ჭარისკაცს ყოველ თვე ერთი ქილა.

წელიწადში: 300 ქილა, თითოეული ქილა 40 ახჩაა.

ახჩა — 12000.

ყურუში ესედი — 100. თითოეული ყურუში ესედი 120 ახჩაა.

როდესაც დაანგარიშებულ იქნა ხსენებული ჭარისკაცების პროვიანტი მხოლოდ 100 ყურუში შეადგინა. ამ საკითხის შესახებ ბრძანება ეკუთვნის ჩემს ბედნიერ სულთანს. 1133 წლის 22 შევალი.

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ რუხის ციხის დასაცავად მყოფი ადგილობრივი თოფჩიების ჭარისკაცების [1]133 წლის ხორბლის თანხის ბოძების თხოვნას თოფჩი ბაში წარმოგიდგენთ. ხსენებული ჯამათი 25 ჭარისკაცია. [1]133 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ხსენებული წლის ზილ-პიჯეს მიწურულამდე ერთ წელიწადში ხორბლის ღირებულებამ მხოლოდ 100 ყურუში შეადგინა. დაანგარიშებულია და რეზოლუცია დადებულია. მინაწერის თანახმად, თესქერეს გაცემის საკითხის შესახებ ბრძანება ეკუთვნის ჩემს ბედნიერ, მოწყალე სულთანს.

პატივცემულო ბატონო დევთერდარო, იხილეთ და გვაუწყეთ. ბრძანება.

სწორია.

თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს, ბრძანება.

[1]133 წ. 23 შევალი¹¹.

ხაზინის თესქერე გაიცა [1]133 წ. 24 შევალს¹².

მეორე გვერდზე: თელხისი [ბეჭედი]:...

- 1 1133 წელი — 2.11.1722. — 21.10. 1721.
- 2 1132 წ. მუჰარემის დასაწყისი — 14.11.1719 წელი.
- 3 [1132 წ.] ზილ-ჰიჯეს მიწურული — 1.11.1720 წელი.
- 4 [1133 წ.] ზილ-ჰიჯეს 10 — 13.10.1720 წელი.
- 5 1132 წელი — 14.11.1719 — 1.11.1720.
- 6 1133 წ. 21 შევალი — 1721 წლის 15 აგვისტო.
- 7 [1] 133. რები ულ-ეველის 26-ე დღე — 25.1.1721.
- 8 1133 წლის 22 შევალი — 16 აგვისტო 1721 წელი.
- 9 1133 წლის მუჰარემის დასაწყისი — 2.11.1720 წელი.
- 10 [11] 33 წ., ზილ-ჰიჯეს მიწურული — 21.10.1721 წელი.
- 11 [11] 33 წ. 23 შევალი — 17 აგვისტო, 1721 წელი.
- 12 [11] 33 წ. 24 შევალი — 18 აგვისტო, 1721 წელი.

№ 23

ის [ალაპი] შეეწიოს

სამეუფეო კარის ბრწყინვალეობისადმი უმწეო მონის არზის მიზანია გურჯისტანში მდებარე რუხის ციხეში ადგილობრივი ჯებეჯიების ჯარისკაცებისათვის ყოველ წელს ხაზინიდან 160 ყურუში პროდუქტების საფასურად დაინიშნოს. რადგანაც ამ ჯარისკაცებს პროდუქტები ღირს რაოდენობით სჭირდებოდათ, 1134 წელსაც¹ დაენიშნათ თანხა პროდუქტებისათვის. ხსენებული წლისათვის დაანგარიშებული აღნიშნული 160 ყურუშის ბოძების ბრძანების თხოვნაზე თქვენს ფეხთა მტვერს არზა გადაეცა. აწი ბრძანება და ფირმანი თქვენი უდიდებულესობის სამართლიანობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი რუხის ციხის ადგილობრივი ჯებეჯიების ახლანდელი ალა—ისმაილი.

იხილეთ შესაბამისი ადგილი:

რუხის ციხის ადგილობრივი ჯებეჯიების პროდუქტები განკუთვნილია [1]133 წლის მუჰარემის დასაწყისიდან² ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე. ხსენებული ჯამათის ალას—მუსტათას არზის, მინაწერის, თელხისისა და მაღალი ფირმანის თანახმად თესქერე გაიცა (1)133 წლის 29 შევალს³.

ჯარისკაცები — 40

1 თვეში ხორბალი: 40 ქილა, თითოეულ ჯარისკაცს ყოველ თვე ერთი ქილა. თითოეული ქილა 40 ახჩა.

წელიწადში: 480 ქილა.

ახჩა — 19200.

! ყურუში — 160

აღნიშნულის თანახმად, ხსენებული ციხის ჯარისკაცების პროდუქტების თანხებისთვის მითითებულ რიცხვში გაცემული ხაზინის თესქერე დაეთარში რეგისტრირებულია. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო პატივმოსილო სულთანო. [1]134 წლის 25 მუჰარემი⁴.

სარგოები რომელი რაიონიდანაც არ უნდა აიღონ, იხილეთ რეზოლუცია. ზემოხსენებული ციხის ჯარისკაცების სარგოები, 1133 წლიდან⁵ არზრუმის საბაჟოს ზედამხედველის მუკატაას თანხებიდან ოჯაქლიქის სახით დანიშნული, დაეთარში რეგისტრირებულია. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო პატივმოსილო სულთანო.

შეჯერებულია. ბეჭედი დასმულია, ფირმანი ჩემს სულთანზეა.

[1]134 წლის 25 მუჰარემი⁵.

ჩემი მოკრძალებული წინადადებაა, რომ რუხის ციხის დასაცავად მყოფი ჯებჯეების ადგილობრივი ჯამათი 40 ჯარისკაცია. 1133 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე ერთწლიანი ხორბლის თანხებისთვის — 160 ყურუშისთვის გაცემული ხაზინის თესქერე რეგისტრირებულია, 1134 წლის ხორბლის თანხებზეც ბოძების სათხოვნელად აღას არზა არსებობს. მინაწერის თანახმად, თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

სწორია.

პატივცემულო ბატონო დევეთერდარო, განიხილეთ და მოგვახსენეთ. ბრძანება. თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს. ბრძანება. [1]134 წლის 12 რეზი ულ-ეველი⁷.

ხაზინის თესქერე გაიცა [1]134 წლის 14 რეზი ულ-ეველს⁸.

მეორე გვერდზე: თელხისი. ჯარისკაცები — 40,

ხორბალი თვეში — 40

12	410
80	4
40	1920
480	
4	
1920,5	
620,5	
6400	
25600	

- 1 1134 წელი — 22.10.1721. — 11.10.1722.
- 2 1133 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე — 2.11.1720 — 21.10.1721.
- 3 [1] 133 წლის 29 შევალი — 23.8.1721.
- 4 [1] 133 წლის 25 მუჰარემი — 26.11.1720.
- 5 1133 წელი — 2.11.1720. — 1.12.1720.
- 6 [1] 134 წლის 25 მუჰარემი — 16.11.1721.
- 7 [1] 134 წლის 12 რეზი ულ-ეველი — 31.12.1721.
- 8 [1] 134 წლის 14 რეზი ულ-ეველი — 2.1.1722.

№ 24

ის [ალაჰი] შეეწიოს

თქვენი უმწეო მონის არზა ისაა, რომ საქართველოს საზღვართან ახლო რაიონში მდებარე ანაკლიის ციხეს, რომელიც ფაქტობრივად მიწისა და ხისგანაა აშენებული, ამას წინათ ერთი მხარე წვიმისაგან დაუზიანდა და გავერანდა. ამიტომ ამჟამად შიგნითა სიმაგრისა და ძველი სიმტკიცის შენარჩუნება ვერ მოხერხდა, ჯარისკაცები დღე და ღამე კარვებში იყვნენ დაბინავებულნი. ზამთარ-ზაფხულ მქროლავი ქარისგან კარვები დაზიანდა. სხვა გასაჩერებელი და საცხოვრებელი ადგილები არ ჰქონდათ. გარდა ამისა, ციხის შიგნით ჯაბახანა დ პროდუქტებიც არ ჰქონდათ. რადგანაც ვერაგი და ცბიერი ყაჩაღებისაგან მოსვენება არ გვექონდა, ზსენებული ციხე შევაკეთებინეთ. საკმარისი რაოდენობის პროვიანტი და ჯაბახანა გაიგზავნა. შექმნილი მდგომარეობისათვის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის ჯარისკაცები და ადგილობრივი ჯარისკაცები მზად იყვნენ. ვინაიდან ზსენებული ციხე საქართველოს საზღვართან ახლო რაიონში მდებარეობს, განაღდურებული ადგილები აღდგენილ იქნა, საკმარისი ოდენობის პროვიანტი, ჯაბახანა საჭიროებისამებრ მომზადდა. შესაკეთებლად საჭირო მასალაზე იმ მხარეში თადარიგის დაჭერა აუცილებელი იყო, ამჟამად ტრაპიზონის ვალი, დიდებული, ბედნიერი მუსტაფა ფაშას უდიდებულესობისაგან სპეციალური ქედხუდა გაიგზავნა. იმ რაიონის დასაცავად დანიშნული ოთხი ეშკამფუიაც ბაშბულებს დაუჭვემდებარეს მთლიანად, მათთან ერთად დანიშნა და ზსენებული ციხისკენ გაიგზავნა. როდესაც ადგილზე მივიდნენ, ციხის შეკეთების დამთავრებამდე იმ მხარეში დარჩნენ და მთელი დღე და ღამე დიდი მონდომებით მუშაობდნენ. აღნიშნული რემონტისთვის საჭირო სპეციალურ ზეებსა და მასალას ზემოხ-

სენებულ ციხესთან ახლოს მდებარე მთებში კაფუ კულუს ადებთან ერთად ამზადებდნენ ხსენებული ეშკამფუიას ლევენდათები, ოქვე მყოფი ადგილობრივი ჯარისკაცები და ადგილზე აგზავნიდნენ და ამუშავებდნენ. ლურსმნის განსაკუთრებულ სახეობას ტრაპიზონში აკრეცინებდნენ. როდესაც ყველა მასალა ადგილზე იყო, მთელ ლაშქარსა და ეშკამფუიას ლევენდათებს დამატებით აღნიშნული ციხის დანგრეულ ადგილებზე საჭიროების მიხედვით სპეციალურ მორებს ალაგებინებდნენ და მიწით ავსებინებდნენ. თითოეულის პირადი ძალ-ღონის დაუზოგავად სიმაგრის საფუძვლიანად შეკეთებისა და თანაც სამუშაოს ერთი დღით ადრე დამთავრებისას ზსენებულის უდიდებულესობამ [მშენებლობის უფროსმა] აღწერა, თუ რა სახის პროვიანტი და ჯაბახანა იყო საჭირო, გაითვალისწინა რაოდენობაც და დედაქალაქში გააგზავნა. ციხის შეკეთების დამთავრებაზე არზისა და ცნობის თაობაზე პატიოსანი ბრძანება დაიწერა. ამ საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

1134 წლის 11 შაბანი¹.

პირველი მოანგარიშე. •

სწორია

თელხისის თანახმად პატიოსანი ბრძანება დაიწერა. ბრძანება.

თესქერეს ბრძანება გაიცა. [1] 134 წლის 11 შაბანი. მწერალი.

¹ 1134 წლის 11 შაბანი — 27.5.1722.

№ 25

ის [ალაპი] შეეწიოს

ფეხთა მტვერი მონის არზა სამეუფეო კარის, სამყაროსა და პალატებმის ცენტრის, ხელისუფლების ზეცისადმი ისაა, რომ ისლამის საზღვართან საქართველოში მდებარე ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი 144 ადგილობრივი რაზმის ჯარისკაცებისათვის წლიურად საჭიროა 3628,5 ყურუში სარგო. ყოველ წელს სალიანეჩიები აქ მოდიან, თითოეულ ადგილს ბეგრავენ და იღებენ გადასახადს. ადგილზე ბევრს ხარაჯავენ და სიძნელეებს ქმნიან. 133 წლის მუჰარემის დასაწყისში წლიურად საჭირო 1628,5 ყურუში სარგოდან 628,5 ყურუში ოჯაქლიქის სანაცვლოდ ჩამოაკლეს. არზრუმის საბაჟოს საზედამხედველოს მუკატაას ფინანსებიდან 3000 ყურუშის გამოქვითვა ემინს დაევალა და სხვა რაიონს მიეწერა. მათ ხელზე ებოძათ პატიოსანი ბრძანება და ოჯაქლიქის ბერათი. ხსენებულ ციხეში... სამეუფეო სამსახურს არ ასრულებენ.

ამჟამად ქაფორები... ყაჩაღობასა და ძარცვას ეწევიან. პროდუქტები და გასამრჩელო აღარაა. რადგანაც მდგომარეობა დიდხანს ასეთი იყო, მათი ვეჭილები — ჰასანისა და მეორე ჰასანის მიერ სარგოები გაიგზავნა. ხსენებული ემინის ზეღით სარგოები ჩაბარდა და ერთი საათით ადრე ადგილზე გაიგზავნა... რადგანაც საჭიროება მოითხოვდა..., ბრძანება ჩემს სულთანზეა.

თქვენი მონა-მორჩილი მუსტაფა, ბათუმისა და გონიოს ახლანდელი მირლივა.

იხილეთ შესაბამისი ადგილი:

სწორია!

ანაკლიის ციხის ადგილობრივი ჯარისკაცების ოჯაქლიქის შესახებ მაღალი ბრძანება გაიცა ალების არზის, მინაწერისა და თელხისის საფუძველზე 1133 წლის 3 ჯემაში ულ-ეველს¹.

ბერათი გაიცა ამავე წლის 13 ჯემაში ულ-ეველს².

ჯარისკაცები — 144, დღეში — 1640, თითოეულს — 160

წელიწადში:

ახჩა — 580560 •

ყურუში — 36285 ოჯაქლიქი

6285 ოჯაქლიქის სანაცვლო ჯარისკაცებისათვის

3000

არზრუმის საბაჟოს საზედამხედველოს მუკატას ფინანსებიდან [1]133 წლის რეჯებს³ ოჯაქლიქის სახით სარგო დაინიშნა. განმარტებული წესის მიხედვით 3000 ყურუში სარგო არზრუმის საბაჟოს საზედამხედველოს მუკატას ფინანსებიდან (11)33 წელს⁴ თითო-თითო... [გადაკვეთა]. აღნიშნულ რიცხვში გაცემული ოჯაქლიქის ბერათი დავთარში რეგისტრირებულია. ფირმანი ჩემი ბედნიერი მოწყალე სულთანის უდიდებულესობაზეა.

1134 წლის 14 ზილ-კაადე⁵.

ბეჭედი დასმულია. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთანის სამართლიანობაზეა. 16 შაბანი წელი 1134⁶. სწორია.

თელხისის თანახმად განიხილეთ! ბრძანება.

პატივცემულო დევთერდარ ეფენდი, განიხილეთ და მაუწყეთ! ბრძანება.

თქვენი მონის არზა ისაა, რომ ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი ადგილობრივი ჯარისკაცებისთვის შემცირებული სახით არსებული წლიური 3000 ყურუში სარგოები [1]133 წლიდან არზრუმის საბაჟოს საზედამხედველოდან ოჯაქლიქად დაინიშნა და რადგანაც რეგისტრირებულია, კანონიერად არსებული სარგოები ოჯაქლიქებია. იგი ხსენებული საზედამხედველოს ემინის მიერ ვეჭილად გამწესებულ პირს

ებოდა. ბათუმის მუთასარიტმა. გონიოს ყადიმ და ჯარისკაცთა ალებმა არზა მიართვეს. რადგანაც 3000 ყურუში სარგო ხსენებული საზედამხედველოდან ოჯაქლიქის სახით იყო გადაკვეთილი, კანონიერი იყო. მდგომარეობის შესაფერისად ამ სარგოების ასაღებად და საბოქებლად პატიოსანი ბრძანება დაიწერა. ამ საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

თესქერეს ბრძანებზე გაიცა.

[1]134 წლის 20 ზილ-კაადე⁷. მწერალი.

-
- 1 1133 წლის 3 ჯემაზი ულ-ვეელი — 2.3.1721.
 - 2 [1133] 12 ჯემაზი ულ-ვეელი — 12.3.1721.
 - 3 [1]133 წლის რეჯები — 28.4. — 27.5.1721 წელი.
 - 4 [1]133 წელი — 2.11.1720 — 21.10.1721.
 - 5 1134 წლის 4 ზილ-კაადე — 26.8.1722.
 - 6 1134 წ. 16 შაბანი — 1.6.1722.
 - 7 [1]134 წლის 20 ზილ-კაადე — 19.1722.

№ 26

სწორია!

თელხისის თანახმად პატიოსანი ბრძანება დაიწეროს, პრძანება.

თქვენი უმწეო მონის წინადადება ისაა, რომ აფხაზი და მეგრელი ქაფირები სხვა ქართველ ტომებთან ერთად სრული ერთსულოვნებით შეკავშირდნენ და იმ რაიონში მდებარე გონიოს, ბათუმისა და ანაკლიის ციხეებსა და მათ გარშემო არსებული სოფლებისა და ნაჰიეების მოსახლეობას უბედურებასა და ზიანს აყენებენ. გავერანებასთან ერთად აღნიშნული ყაჩაღების ცბიერებისა და ვერაგობისაგან ხსენებული ციხეების დაცვისა და უვნებელყოფის მიზნით ტრაპიზონის ვალი დიდებული, ბედნიერი მუსტაფა ფაშას უდიდებულესობის მიერ ადრე გონიოს სანჯაყის მუთასარიფი მეჰმედ ფაშა ბაშ ბულად დაინიშნა და აღნიშნულ ლივიაში მდებარე კაზების სარდლებიც მისი ბაირალის ქვეშ დაირაზმნენ, თავიანთ ჯარისკაცებთან ერთად აღნიშნული ფაშას ხელქვეითებად დაინიშნენ. რადგანაც ხსენებული ყაჩაღების უმეტესობა ჩეთეს ნავეებით ზღვის სანაპიროზე დაცურავდნენ, მხოლოდ ხმელეთზე ლაშქრის გაგზავნით შეიძლებოდა უბედურებისაგან თავის დაღწევა და რეალურად უშიშროების გარანტია. ზღვის მხრიდანაც, როგორც საჭიროება მოითხოვდა, აუცილებელი თავდაცვის მიზნით საზღვაო ფლოტში ორგანიზებულ იქნა ათი ეშკამფუიასა და ათი დიდი ფირკათის ტიპის გემების მომზადება და გაგზავნა. ხსენებული ვეზირის უდიდებულესობას კაიმეებით ეცნობა, ტრაპიზონის ყადს არზა გაეგზავნა, ხოლო მო-

სახლეობას — კოლექტიური თხოვნა. სინამდვილეში ხსენებული ყაჩაღების უმეტესობა ჩეთეს ნავეებით ზღვის ნაპირზე დაცურავდნენ. იქითა სანაპიროზე მყოფი იბადულლაპი ზღვის მხრიდან ტრადიციულად სისტემატურად ზიანს აყენებდა მათ, ამიტომ აღნიშნული ტომები ზღვისპირას არ დასეირნობდნენ. იმისათვის, რომ ზიანისა და ზარალისაგან ის რაიონი დაუცველი არ დარჩენილიყო, ძლიერ შეიარაღებული ეშკამფუიების დანიშვნა საჭირო იყო. ამიტომ თითოეული მათგანი 12-12 საჯდომით სახელმწიფო ვერფებში ააგეს. ხუთი ეშკამფუიას მშენებლობა სასწრაფოდ და მთლიანად დაამთავრეს. ყოველგვარი სამზადისის დამთავრების შემდეგ დიდებული ვეზირის, ბედნიერი კაფუდან ფაშას უდიდებულესობა თავისი საზრიანობით სახელმწიფო ფლოტის კაფუდანების თვალისჩინი და გამოცდილი პირი გახდა. იგი გულადი და სახელოვანი, იმ რაიონის ვითარების ზედმიწევნით მცოდნე პირი იყო. მამაკური თვისებების მქონე კაფუდანებიდან ჩუთი კაცი — კაფუდანი გამორჩეულ იქნა. ამათგან ერთ კაცს მიენიჭა უპირატესობა და იგი ყველას ბაშბულად დაინიშნა. დანარჩენებს როგორც წინათ იყო ისე წლიურად 2-2 იუქი ახჩა სალიანებთან ერთად გადაეკვეთათ და ეშკამფუიების კაფუდანებად დაინიშნენ. ყოველ ეშკამფუიას კაფუდანს 29 ჯარისკაცი მიუჩინეს. მათთვის განკუთვნილი ლევენდათები წარმოსადეგი და ღონიერი ლევენდებისაგან იყო ამორჩეული. ეშკამფუიებში არსებულ საქმეებზე ჯარისკაცები მკაცრად გააფრთხილეს. ამ რაოდენობის ეშკამფუიასთვის გადაკვეთილი პროვიანტიც ამ მხარეში გაიცა. უდიდესი შეჯნაერთის შექმნის შემდეგ ერთ დღეს თავდაპირველად გამიხნული მხარისკენ გაემართნენ. გაგზავნის თაობაზე ზემოხსენებული ვეზირის უდიდებულესობას მიმართეს. პატოსანი ბრძანების დაწერის საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

საზღვაო ემინის ეფენდის ასლი ებოძა.

1135 წლის 9 რეზი ულ-ეველი¹.

მწერალი:

¹ 1135 წლის 9 რეზი ულ-ეველი — 18.12.1722.

№ 27

- ის [ალაპი] შეეწიოს

უწინდელი ნიმუშების მიხედვით ჯაბახანის დავთრით აქლმძღვანელეთ! რა რაოდენობასაც გადაუკვეთავთ, ანგარიში მინაწერში წარმოადგენეთ!

ჯაბახანის დავთრის შესახებ მინაწერში იხილეთ! დაანგარიშებულის

მიხედვით გადაკვეთილი მასალები სახეზე იყოს! პატივცემული ჯებეკი ბაშის აღას გულმოდგინეობით ჯაბახანიდან რაც სახეზეა ნივთები ერთ დღეში შეისყიდეთ და ჩააბარეთ! ყუმბარის საცობებით დატვირთეთ და ადგილზე გააგზავნეთ

თოფის წამალი — ერთი ყანთარი.

გვარჯილის ჩიბუხი — 22 ოყა.

გოგირდი — 10 ოყა.

სკიპიდარი — 3 ოყა.

თაფლის სანთელი — 2 ოყა.

ქაფური — ერთი ოყა.

კვიპაროსის ხის ბურბუშელა — 15 ოყა.

ფიჭვის ფისი — 5 ოყა.

არაყი — 4 ოყა.

? — ერთი ჩიფთი.

საქონლის ტყავისგან დამზადებული ფეხსაცმლის ძირი — 2 ცალი
კანაფი — ერთი ოყა.

საცერი — 2 ცალი.

ზის გობი — ერთი ცალი.

დამუშავებული ტყავისგან დამზადებული ქისა — 30

წმინდა ტყავი — 8 ცალი.

ჩემო ბედნიერო და მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელი იყოს თქვენი უდიდებულესობა. სახელმწიფო ჯაბახანიდან გასაცემია იარაღის გარკვეული რაოდენობა, რომელიც ზემოაღწერილის მიხედვით შეადგენს 4200 ხელყუმბარის საცობს. სხვა მასალებთან ერთად მისი საქართველოს მხარეში გაგზავნის შესახებ ფირმანი ვაცემულია. ამ საკითხზე ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნისაა.

მონა-მორჩილი მაჰმუდი, ამჟამად სერ ყუმბარაჯი.

1128 წელს¹ გადაკვეთილ პროდუქტებთან ერთად ზელყუმბარის საცობით დატვირთული გემის შესახებ:

ხელყუმბარის საცობის რაოდენობა — 100 ცალი.

ხსენებული ყოვლად საჭირო პროვიანტის შესახებ:

შავი თოფის წამალი — 126 ღირჰემი.

გვარჯილა — 36 ღირჰემი.

გოგირდი — 24 ღირჰემი.

კვიპაროსის ხის ბურბუშელა — 24 ღირჰემი.

ტირიფის ზის ნახშირი 12 ღირჰემი.

ქაფური — 12 ღირჰემი.

არაყი — 18 ღირჰემი.

ფიჰვის ფისი — 10 ღირჰემი.

ხელყუმბარემის განსაზღვრული რაოდენობის საჰიროემის შესახებ ამავე მასალებიდან დაიანგარიშეს და დაადგინეს ხელყუმბარის რაოდენობა — 4200 ცალი.

ხსენებული ყოვლად საჰირო პროვიანტის შესახებ:

შავი თოფის წამალი — 12,5 ოყა, ღირჰემი — 92.

გვარჯილა — 3,5 ოყა, ღირჰემი — 112.

გოგირდი — 2,5 ოყა, ღირჰემი — 8.

კვიპაროსის ხის ბურბუშელა — 2,5 ოყა, ღირჰემი — 8.

ნახშირი — ერთი ოყა, ღირჰემი — 104.

არაყი — 1,5 ოყა, ღირჰემი — 156.

ფიჰვის ფისი — ერთი ოყა, ღირჰემი — 20.

ქაფური — 1 ოყა. ღირჰემი — 104.

არსებულის შესაბამისად, ჩილდირის ეიალეთში მდებარე ახალციხის, აწყურისა და სხვა ციხეებისათვის გემი საჰურვლით დაიტვირთა და გაიგზავნა. გაცემული ფირმანის მიხედვით, 4200 ცალი ხელყუმბარისთვის საჰირო საცობი 1128 წლისათვის სანიმუშოდ ზემოთაა ჩაწერილი. ყოველი 100 ყუმბარის საცობის რაოდენობისა და მისი ღირჰემობით დაანგარიშების საფუძველზე ამჯერად არის: 4200 ხელყუმბარის საცობი — 12,5 ოყა, 92 ღირჰემი; თოფისწამალი — 3,5. 112 ღირჰემი. გვარჯილა—3,5 ოყა. 8 ღირჰემი. გოგირდი 2,5 ოყა. 8 ღირჰემი. ბურბუშელა 2,5 ოყა. ერთი ოყა ნახშირი — 104 ღირჰემი. 1,5 არაყი — 156 ღირჰემი. ერთი ოყა ფიჰვის ფისი — 20 ღირჰემი გადაკვეთილი აღირიცხა და სახელმწიფო ჯაბახანის დავთარში რეგისტრირებულ იქნა. ფირმანი ჩემი სულთნისაა. 1135 წლის 21 მუჰარემი²

რადგანაც გაცემული ფირმანის საფუძველზე არსებული პროვიანტი ჯაბახანიდან მივიღე, ამ რაიონს კანონიერად ებოძა. 135 წლის 22 მუჰარემი³.

მწირი მაჰმუდი ამჟამად სერ ყუმბარა.

¹ 1128 წელი — 27.12.1715 — 15.12.1716.

² 1135 წლის 21 მუჰარემი — 31.10.1722.

³ 1135 წლის 22 მუჰარემი — 1.11.1722.

№ 28

ის [ალაჰი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელი იყოს თქვენი უდიდებულესობა. ანაკლის ციხისათვის სხვა ნივთებთან ერთად გასა-

ვზავნი 400 ხელყუმბარის საცობის ჯაბახანიდან გატანისა და ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი სულთნისაა.

თქვენი მონა-მორჩილი.

ამას წინათ წარმოდგენილი სახეობების მიხედვით გადაკვეთილი პროდუქტებიდან, რაც ჯაბახანაშია, შესყიდულ იქნეს და ყუმბარაჯი ბაშს ჩაბარდეს, სამუშაო დასრულდეს, გაიგზავნოს!

სახელმწიფო ჯაბახანიდან:

შავი თოფისწამალი — 1 ოყა, ღირჰემი — 104.

გვარჯილა — 144 ღირჰემი.

გოგირდი — 96 ღირჰემი.

კვიპაროსის ხის ბურბუშელა — 96 ღირჰემი.

ტირიფის ხის ნახშირი 48 ღირჰემი.

ქაფური — 48 ღირჰემი.

არაყი — 72 ღირჰემი.

ფიჭვის ფისი — 40 ღირჰემი.

რადგანაც აღნიშნული პროდუქტები სახელმწიფო ჯაბახანიდან ჩემ მიერაა აღებული, მას კანონიერი სახე მიეცა.

1135 წლის 26 მუჰარემი¹.

მწირი მაჰმუდი, ამჟამად სერ ყუმბარა.

¹ 1135 წლის 26 მუჰარემი — 5.11.1722.

№ 29

საქართველოს საზღვარზე მდებარე ბათუმის ციხესთან ახლოს ანაკლიის ციხის დასაცავად გამწესებული მეციხოვნეების, ბეშლუიანების, აღების, აზაბთა აღების, თოფჩიების აღების, მათი ქედხუდების, სერ ბოლუქების რეალური მდგომარეობის შესახებ კოლექტიური მიმართვა ის არის, რომ ანაკლიის დასაცავად დანიშნული 144 ადგილობრივი ჯარისკაცისთვის 1640 ახჩა დლიურია, წლიური — 3628,5 ყურუში. 1134 წლის¹ სარგოები — 3000 ყურუში არზრუმის საბაჟოს სახედაძხედველოს ფინანსებიდან ოჯაქლიქად დაენიშნათ. ზემოხსენებული მუკატაას ემინისაგან აღნიშნული წლის სარგოს მისაღებად ხსენებული მცველები სახეზე არიან. დანიშნული მეციხოვნეების ბეშლუიანების აღას, აზაბების აღას, თოფჩიების აღების, ქედხუდებისა და სერ ბოლუქების მიერ წარდგენილი უმორჩილესი თხოვნით ვექილის ხალხი — ჰასანისა და მეორე ჰასანის ხელქვეითებით დანიშნულ რაიონში გაიგზავნა. მოწყალე მალა-

ლი ღმერთის დახმარებით, როდესაც ეს ხალხი დანიშნულ ადგილს მიაღწევს, ჩვენი ბედნიერი, მოწყალე და კეთილი ბატონისადმი უმორჩილესი თხოვნა ის იქნება, რომ კანონიერად არსებული ზემოხსენებული წლის სარგოები გამწესებული სამსახურის ადგილზე იყოს. ამაზე მაღალი აღაპის დიდსულოვნებით თქვენს ფეხთა მტვერს [სულთანს] არზა წარედგინა და ეცნობა. აწი ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე და კეთილი ბატონის — სულთნის უდიდებულესობაზეა.

დაიწერა ხსენებული წლის რეზი ულ-ახირის თვის დასაწყისში².

მონა-მორჩილი მეციხოვნე ისმაილი, ანაკლიის მცველი.

მონა-მორჩილი ბეშლუიანების ალა ჰასანი, ამჟამად ანაკლიის მცველი.

მონა-მორჩილი აზაბთა ალა ჰუსეინი, ამჟამად ანაკლიის მცველი.

მონა-მორჩილი თოფჩიების ალა ჰასანი, ამჟამად ანაკლიის მცველი.

მონა-მორჩილი მეციხოვნეთა ქედხუდა ალი, ამჟამად ანაკლიის

მცველი

მონა მორჩილი... ქედხუდა აჰმედი, ამჟამად ანაკლიის მცველი.

მონა-მორჩილი აზაბთა ქედხუდა... ამჟამად ანაკლიის მცველი.

მონა-მორჩილი სერ ბოლუქი მეჰმედი, ამჟამად ანაკლიის მცველი.

მონა-მორჩილი თოფჩიების ქედხუდა ალი, ამჟამად ანაკლიის

მცველი.

მონა-მორჩილი სერ ბოლუქი ოსმანი, ამჟამად ანაკლიის მცველი.

მონა-მორჩილი ბეშლუიანთა სერ ბოლუქი მუსტაფა, ამჟამად ანაკლიის მცველი.

მონა-მორჩილი აზაბთა სერ ბოლუქი იბრაჰიმი, ამჟამად ანაკლიის მცველი.

¹ 1134 წელი — 22.10.1721 — 11.10.1722.

² [1134 წ.] რეზი ულ-ახირის თვის დასაწყისი — 19.1.1722.

№ 30

ის [ალაჰი] შეეწიოს

უმწურო მლოცველის არზა ბედნიერების უდიდებულესი კარისადმი ისაა, რომ ჩვენს მხარესთან მდებარე რუხის ციხის დასაცავად დანიშნული ადგილობრივი ჯარისკაცები — ციხის აზაბები, ბეშლუიანები, თოფჩიები უკვე დაცვის სამსახურში იმყოფებიან. მათ გარშემო მყოფი

დასამიწებელი ქაფირები თავდასხმებს აწყობენ, მათ პროდუქტებს არ-
თმევენ და ანადგურებენ. ამის გამო ზემოხსენებულ ჯარისკაცთა ჯგუფ-
მა აღნიშნული კაზა დატოვა, გაქცევით უშველა თავს და ციხე ცარიე-
ლი დაადო. რადგანაც ასეთი ვითარება შეიქნა, უმაღლეს სახელმ-
წიფოს კარზე ცნობა გაიგზავნა და მდგომარეობა მოხსენდა. ახლა ფირ-
მანი თქვენს სამართლიანობაზეა.

თქვენი მონა-მორჩილი მლოცველი ომერი — ბაღდადჯიქსა და ვარ-
დციხესთან ახლოს მდებარე ქუთაისის კაზას ყადი.

№ 81

ის [ალაპი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ხანგრძლივი იყოს თქვე-
ნი უდიდებულესობის სიცოცხლე. რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმა-
ღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების [1]137 წლის¹ ოთხი კვარტლის
სარგოთა გაცემისა და ბოძების განკარგულების საკითხზე ფირმანი
თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულ-
თანო.

თქვენი ზემოხსენებული მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ზო-
გიერთი ჯებეჯის სარგო:

ჯარისკაცები — 6

დღე — 42

გადაკვეთილია — 4717 ახჩა.

ზემოხსენებულთა [1]138 წლის მასარის² სარგოზე იჯმალის მოით-
ხოვეს. ბრძანება და-ფირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა.

შემოწმებულია დაეთრის მიხედვით.

1138 წლის 22 რეზი ულ-ახირი³.

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ რუხის ციხის დასა-
ცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების 1138 წლის სარ-
გოთა საბოძებლად არზუპალი გაიცეს. როდესაც ეს ბედნიერების კარს
ეუწყება, ხსენებული წლის სარგოთა შესახებ ოთხი კვარტლის იჯმალის
ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიე-
რო, მოწყალეო სულთანო.

სწორია

თელხისის თანახმად იჯმალი გაიცეს, ბრძანება. 1138 წლის 27 რე-
ბი ულ-ახირი⁴. იჯმალი ხელზე ებოძა კადრი ჩაუშს. 1138 წლის 27 რები
ულ-ახირი.

მეორე გვერდზე: თელხისი.

42
85
<hr style="width: 50%; margin: 0 auto;"/> 210
336
336
<hr style="width: 50%; margin: 0 auto;"/> 3717
41
<hr style="width: 50%; margin: 0 auto;"/> 14868

1 [1]38 წელი — 20.9.1724 — 8.9.1725.

2 [1]138 წლის მასარი — 1725 წლის სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი.

3 1138 წლის 22 რები ულ-ახირი — 19.1.1724.

4 1138 წლის 27 რები ულ-ახირი — 24.1.1724.

№ 32

ის [ალაპი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ხანგრძლივი იყოს
თქვენი უდიდებულესობის სიცოცხლე. რუხის ციხის დასაცავად მყოფი
უმალღესი სამეფუფეო კარის იანიჩართათვის კანონიერად არსებული
სარგოთა ბოძების განკარგულების საკითხზე ბრძანება და ფირმანი
თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმალღესი სამეფუფეო კარის იანი-
ჩართა ზოგიერთი ჯამაათის 1137 წლის მასარის¹ სარგოს შესახებ:

აღნიშნულის თანახმად, რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმალღესი
სამეფუფეო კარის იანიჩართა 1137 წლის მასარის სარგო კანონიერია.

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ რუხის ციხის დასაცა-
ვად მყოფი უმალღესი სამეფუფეო კარის იანიჩართა 1137 წლის² სარგო-
თა ბოძების სათხოვნელად არზუჰალი გაიცეს. ხსენებული წლიდან ოთ-

ხი კვარტლის სარგოთა იჯმალის ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

სწორია.

თელხისის თანახმად იჯმალი გაიცეს. ბრძანება [1]137 წლის 26 რეზი ულ-ახირი³.

იჯმალი ხელზე ებოძა ალი ბეშეს.

1137 წლის 26 რეზი ულ-ახირი.

[მეორე გვერდზე] თელხისი.

1 1137 წლის მასარი — 724 წლის სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი

2 1137 წელი — 20.9.1724 — 8.9.1725.

3 1137 წლის 26 რეზი ულ-ახირი — 12.1.1725.

№ 33

ის [ალაპი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ხანგრძლივი იყოს თქვენი უდიდებულესობის სიცოცხლე. რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩრების [1]138 წლის¹ კანონიერად არსებული სარგოთა ბოძების განკარგულების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი

შესაბამისი ადგილი:

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართა ზოგიერთი ჯამათის 1138 წლის მასარის² სარგოს შესახებ.

აღნიშნულის თანახმად, რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართა 1138 წლის მასარის სარგო კანონიერია.

მოკრძალებული მონის არზა ისაა, რომ რადგანაც რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩრების 1138 წლის სარგოთა საბოძებლად არზუპალი არსებობს, ოთხი კვარტლის სარგოთა იჯმალის ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

სწორია.

თელხისის თანახმად იჯმალი გაიცეს. ბრძანება. 8 რეზი ულ-ახირი, [1]138 წელი³.

იჯმალი ხელზე ებოძა ალი ფაშას. 1138 წლის 8 რეზი ულ-ახირი.

1 [1] 138 წელი — 9.9.1725 — 28.8.1726.

2 1138 წლის მასარი — 1725 წლის სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი.

3 8 რეზი ულ-ახირი, [1] 138 წელი — 17.12.1725.

№ 34

ის [ალაპი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ხანგრძლივი იყოს თქვენი უდიდებულესობის სიცოცხლე. ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფო კარის იანიჩართა [1] 138 წლისთვის¹ კახონიერად განკუთვნილი სარგოთა ბოძების განკარგულების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფო კარის იანიჩართა ზოგიერთი ჯამათის 1138 წლის მასარის² სარგოს შესახებ.

აღნიშნულის თანახმად, ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფო კარის იანიჩართა 138 წლის მასარის სარგო კანონიერია.

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ რადგანაც ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფო კარის იანიჩართა [11] 38 წლის სარგოთა საბოძებლად არზუპალი არსებობს, ოთხი კვარტლის სარგოთა იჯმალის ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

სწორია

თელხისის თანახმად იჯმალი გაიცეს. ბრძანება.

[1] 138 წლის 8 რეზი ულ-ახირი³.

იჯმალი ხელზე ებოძა ალი ფაშას. 1138 წლის 8 რეზი ულ-ახირი.

[მეორე გვერდზე] თელხისი

1 [1] 138 წელი — 9.9.1725 — 28.8.1726,

2 1138 წლის მასარი — 1725 წლის სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი.

3 [1] 138 წლის 8 რეზი ულ-ახირი — 14.12.1725.

ის [ალაპი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო ხანგრძლივი იყოს თქვენი უდიდებულესობის სიცოცხლე. ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფო კარის იანიჩრებისათვის კანონიერად არსებულ 140 წლის¹ ოთხ-ოთხი კვარტლის სარგოთა ბოძების განკარგულების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი

შესაბამისი ადგილი:

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფო კარის იანიჩართა ზოგიერთი ჯამათის შესახებ 1140 წლის მასარში².

აღნიშნულის თანახმად, ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფო კარის იანიჩართა 1140 წლის მასარის სარკო კანონიერია.

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფო კარის იანიჩართა (1)140 წლის სარგოთა ბოძებისათვის არზუპალი გაიცეს; როდესაც ცნობა მიღწევს სამეფო კარს, ოთხი კვარტლის იჯმალის ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

სწორია.

თელხისის თანახმად იჯმალი გაიცეს. ბრძანება.

1140 წლის 22 ზილ-კაადე.

იჯმალი ხელზე ებოძა მუსტაფა ეფენდის.

1140 წლის 22 ზილ-კაადე.

[მეორე გვერდზე] თელხისი.

¹ 1140 წელი — 19.8.1727 — 6.8.1728.

² 1140 წლის მასარი — 1727 წლის აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი

³ 1140 წლის 22 ზილ-კაადე — 1728 წლის 30 ივნისი.

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ხანგრძლივი იყოს თქვენი უდიდებულესობის სიცოცხლე. რუხის ციხის დასაცავად დანიშ-

ნული უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების 1143 წლის¹ კანონიერად არსებული თითო-თითო წლის პროდუქტების ბოძების ბრძანების საკითხზე განკარგულება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

თქვენი ზემოხსენებული მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების ზოგიერთი ჯამაათის შესახებ.

ჯარისკაცი — 4.

მითითებული ოთხი ჯარისკაცი აღნიშნულის თანახმად რუხის დასაცავად არის რეგისტრირებული. ბრძანება და ფირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა. 1143 წლის 26 ჯემაზი ულ-ეველი². შემოწმებული დავთრის თანახმად.

მთავარმა მოანგარიშემ მინაწერი გააკეთოს და დაიანვარიშოს.

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიებისათვის ხორბლის ფასი გადაკვეთილია 1142 წლის მუჰარემის³ დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე³. თესქერე გაიცა 1142 წლის 4 ზილ-ჰიჯეს⁴.

ჯარისკაცები — 5.

თვეში ხორბალი: 2,5 ქილა.

წელიწადში: 30 ქილა, თითოეული ქილა 40 ახჩა.

ახჩა — 1200.

გადაკვეთილია 1143 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე⁵.

ფიადე მუკაბელეს [უწყების მეთაურის] მინაწერის თანახმად.

ჯარისკაცები — 4.

თვეში ხორბალი: 2 ქილა.

წელიწადში: 24 ქილა, თითოეული ქილა 40 ახჩა.

ახჩა — 960,

თელხისი.

აღნიშნულის თანახმად, რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების [1]142 წლის⁶ ხორბლის თანხისთვის გაცემული ზაზინის თესქერე რეგისტრირებულია. ფიადე მუკაბელეს (უწყების მეთაურის) მინაწერის თანახმად ამჟამად ხსენებულ დასაცავად აღვილას მყოფი მხოლოდ ოთხი ჯარისკაცის [1]143 წლის ხორბლის ფასები როდესაც დაიანგარიშეს, მხოლოდ 960 ახჩა შეადგინა. ფირმანი ჩემი ბედნიერი სულთნის უდიდებულესობაზეა. 1143 წლის 29 ჯემაზი ულ-ეველი⁷.

თქვენი მონის მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფო კარის ჯეშეჯიების [1] 143 წლის ზორბლის თანხის საბოძებლად არსებული გაიცეს. როდესაც დაიანგარიშეს, 960 ახჩა შეადგინა, ამიტომ თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

სწორია.

თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს. ბრძანება.

[1] 143 წლის 5 ჯემაში ულ-ახირიზ.

თესქერე გაიცა (1) 143 წლის 6 ჯემაში ულ-ახირიზ.

1 1143 წელი — 17.7.1730. — 5.7.1731.

2 1143 წლის 26 რები ულ-ეველი — 9.10.1730.

3 1142 წლის მუჟარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე — 27.7.1729. — 16.7.1730.

4 1142 წლის 4 ზილ-ჰიჯე — 30.6. 1730.

5 1143 წლის მუჟარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე — 17.7.1730 — 5.7.1731.

6 [1] 142 წელი — 27.7.1729 — 16.7.1730.

7 1143 წლის 29 ჯემაში ულ-ეველი — 10.11.1730.

8 [1] 143 წლის 5 ჯემაში ულ-ახირი — 16.12.1732.

9 [1] 143 წლის 6 ჯემაში ულ-ახირი — 17.12.1730.

№ 37

ის [ალაპი] შეეწიოს

თქვენი უმწეო მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ანაკლიის ციხე მთლიანად ხის მორებისა და თინისგან აშენებული ციხეა. რადგანაც გასულ წელს აფხაზმა ყაჩაღებმა ზოგიერთი ადგილი ცეცხლს მისცეს და იავარჰყვეს, საჭირო გახდა ნაგებობის ეკლავ განასლება. თუმცა ისევ ხისგან ნაგები შენობა ხანგრძლივად გამოსადეგი არ იყო. მისი საფუძვლიანი შეკეთებისათვის დილა ხარჯების გაღების საჭიროება აშკარა იყო. უწინ ფოთის ციხეში ალა ვექილის თანამდებობაზე მყოფმა პასქი ჰალილ ალამ თავისი ჯარისკაცების იმ რაიონში [ანაკლიაში] გამოგზავნის თაობაზე როგორც კი ცნობა მიიღო, გაცემული მაღალი ფირმანის საფუძველზე ჯარისკაცები გააგზავნა. ვინაიდან აღნიშნული ციხე ძალიან საჭირო [სტრატეგიულ] ადგილზე ადგებარეობდა, სასწრაფო მშენებლობის შესახებ საგანგებო ბრძანების დასტური გაიცა. დამთავრებული იყო მხოლოდ ზეებით აშენებული ქვედა ნაწილი. სიგრძე-სიგანე [ოთხკუთხედად] 40-40 წყრთა იყო. ზოლო ოთხკუთხედის ფართობი [სიგრძე-სიგანით დაანგარიშებული] 1600 წყრთა.

ოთხკუთხედად იყო ნაგები. ყოველ კუთხეში მომცრო კოშკი ააგეს. პატარა მტკიცე ციხეს საკეტი [ხრახნი] გაუკეთეს, შიგნით კი — აღას კარი, მეციხოვნის კარი, გამოსაზამთრებელი [ყიშლალი], პატროსანი ჭამე და პატარა თავშესაფარი აშენდა სასწრაფოდ. ზამთრის პირს უწინდელი მდგომარეობა აღდგენილ იქნა. პირობები გაუმჯობესდა და წესრიგი თანდათანობით დამყარდა. ჰემმარიტი სამართლიანობა მნიშვნელოვნად აღსდგა. ეს ანაკლის ციხე ფოთის ციხესთან 18 მილის მანძილზე მდებარეობს. ამრიგად, რადგანაც ფოთი ახლოს იყო, ფოთის მცველების მეშვეობით მშენებლობას ადვილად გაართვეს თავი. საჭირო ქვები ფოთის ციხეში გაიგზავნა ხოფას სახელწოდების ადგილიდან. იმ მხარეში მშენებლობისათვის საჭირო მოჭრილ ხეებზე თადარიგი დაიკავეს. პატიოსანი ბრძანება გაიცა ციხეებში არსებული ნაგებობის ქვების გადასაზიდად გამოყენების თაობაზე. ერთი ჯარისკაცის, ჩაუშის მუბაშირად დანიშვნა მიზანშეწონილ იქნა. განმარტებულ იქნა, რომ აუცილებელია ბედნიერების დედაქალაქიდან გარკვეული რაოდენობის ერთგვარი სახის ლურსმანთან ერთად ხის ხურო, ზოგი პროვიანტი და მუშა გაიგზავნოს. როდესაც ეს სახელმწიფოს დედაქალაქისათვის ცნობილი გახდა, ზემოხსენებული ციხის მშენებლობის საქმე ფოთის მცველ ჯარისკაცებს დაევალოთ. მიმარ აღას ხალხის მეშვეობით ამ მხარეში გაიგზავნა საჭირო მუშა-ხელი, სხვადასხვა სახის ლურსმანი, ხის ჭურბები და პროდუქტები. მოგვარდა სხვა საკითხებიც. როდესაც მუშები ადგილზე მივიდნენ, ზემოხსენებული მცველის მეშვეობით ერთ საათში ერთნაირი ხალხით დაიწყეს ხსენებული ციხის მშენებლობა. მუშაობაში მონაწილეობდნენ და ზამთრის დადგომამდე არ მიუტოვებიათ. მდგომარეობა გამოსწორდა, სამართლიანობა თანდათანობით აშკარა გახდა. შენობა აიგო. ზემოხსენებული ვალდებულება სასწრაფოდ დამთავრდა და დასრულდა. ალაჰისა და ღმერთის თანხმობით, საქმის კეთილად დასრულების შემდეგ მეურნეობა და ხარჯები განმარტებულ და დადგენილ იქნა, დაეთარი შედგა და სახელმწიფოს სააჯო კარზე გაიგზავნა. ხსენებული პასქი ზალილ აღასთვის იმ რაიონის ყოველგვარი ვითარება, სათანადო საკითხები, შემთხვევები, მუშახელის განწყობილებანი ნათელი და გასაგები იყო. ჯარისკაცების ასაწერად იმ მხარეში ზალხი გაამწესეს. ხსენებულმა დამცველმა ციხის მშენებლობასა და საჭირო პროვიანტით მომარაგებაშიც თადარიგი დაიჭირა. ზემოხსენებულ აღასთან ჰოლაპარაკება, შეთანხმება, სრული ერთიანობა და კავშირი დამყარდა. დიდი გულმოდგინება, გულთბილობა და ყურადღება იქნა გამოჩენილი. სოხუმის ციხის დასაცავად საზღვაო ემირებმა: მარიულ ზადე მუსტაფა ფაშამ და საქიზელი ველი ბეგის შვილმა მისი ფაშამ „ჩეჭდირის“ გემები იმთავითვე გამოყვეს. რაკი ზამთარში იმ მხარეში გემები საჭირო არ იყო,

აღნიშნული „ჩექდირის“ გემები მოიყვანეს და ფოთში გამოიზამთრეს. მისი მსახურნი [მონები] ანაკლიის ციხის მშენებლობის საჭიროებისათვის გამოიყენეს, უწინდელივით აუცილებელი ხელფასი ფოთის მცველის ხალილ ფაშას ჯარისკაცებისგან ებოძათ. რადგანაც ანჩეების მომპირნეობისა და დაზოგვის მიზნით სამშენებლო ქვების ღირფას სახელწოდების რაიონიდან და სხვაგან არსებული ადგილებიდან სისტემატურად გატანა და მოტანა ძალიან მნიშვნელოვანი აუცილებლობა იყო, უმაღლესი სამეფო კარის იანიჩართა ოჯახის მიერ სასწრაფოდ იქნა შესრულებული. მოწინავე¹ და მტკიცე ჯარისკაცი ჩაუში დაინიშნა და სასწრაფოდ გაიგზავნა ფოთის ციხეში. იმ რაიონიდან ციხეში არსებული გემები გამოიყვანეს და ქვების გადაზიდვისათვის გამოიყენეს. აღნიშნული ვალდებულებისა და გადასახადის მიხედვით ჩანდა, რომ ციხე ძალიან პატარა იყო. უმნიშვნელო ხარჯებით ააშენეს, მტკიცე იყო, იჯარით სამუშაოების, ქვისა და პროდუქტების თანხები და ხელფასი როგორც საჭირო იყო ისე ეგზავნებოდათ და ეძლეოდათ. საჭიროზე ზედმეტი ერთი ახჩა და ერთი ნამცეცი მარცვალი არ იხარჯებოდა. ახლანდელი საერთო ანგარიშით 7 500 ყურუში ებოძათ და გაეგზავნათ. მთავარ მონაგარიშესთან აღირიცხა. აღნიშნული თანხის თესქერესა და საჭიროების მიხედვით, ბრძანების დაწერის საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

თესქერე გაიცა 1144 წლის 6 მუჰარემს¹.

მწერალი.

სწორია.

თელხისის თანახმად მთავარ მონაგარიშესთან იქნეს რეგისტრირებული და თესქერესა და კანონიერების მიხედვით ბრძანებები დაიწეროს.

ბრძანება.

[1] 144 წლის მუჰარემის დასაწყისი².

¹ 1144 წლის 6 მუჰარემი — 11.7.1731 წ.

² [1] 144 წლის მუჰარემის დასაწყისი — 6.7.1731 წ.

ჩემო ბედნიერო, პატივმოხილო სულთანო, ხანგრძლივი იყოს თქვენი უდიდებულესობის სიცოცხლე. რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფო კარის იანიჩართა მონების ამ 1145 წლის¹ ხორცისა და პროდუქტების თანხის ბოძებისა და მთავარი მონაგარიშის მიერ თესქე-

რეს შედგენის თაობაზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

[თქვენი] მონა-მორჩილი

შესაბამისი ადგილი:

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანი-ჩართა ზოგიერთი ჯამათისათვის გადაკვეთილია სარგო 1145 წლის მასარისთვის².

ჯარისკაცები — 196.

აღნიშნულის თანახმად, რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრები [196 ჯარისკაცი] ამჟამად დაჯთარში რეგისტრირებული და ჩაწერილი არიან. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო.

დაიანგარიშეთ.

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანი-ჩართა ხორცისა და პროდუქტების თანხა გადაკვეთილია 1144 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე³. ეს თანხა გაიცა ზაზინიდან არზუპალის, უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ქათების მინაწერის, თელხისისა და დიდებული ფირმანის საფუძველზე 1144 წლის 23 ჯემაზი ულ-ეველს⁴.

თესქერე გაიცა 1144 წლის 21 ჯემაზი ულ-ეველს⁵.

ჯარისკაცები. 130

ახჩა — 95628.

დღეში: ხორცი 26 ოყა.

დღეები — 354.

ოყა — 9204, თითოეული ოყა 7 ახჩაა.

ახჩა — 64428.

თვეში ხორბალი: 65 ქილა

წელიწადში: 780 ქილა, თითოეული ქილა 40 ახჩაა

ახჩა — 31200

სარგო 1145 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე⁶:

ჯარისკაცები: 196

დღეში: ხორცი 39 ოყა

თვეში: ხორბალი 98 ქილა.

დღეები — 354

წელიწადში: 11765 ქილა.

ოყა — 13806, თითოეული

თითოეული ქილა 40 ახჩაა.

ოყა 7 ახჩაა.

ახჩა — 47040.

ახჩა — 96642

ჯ ა მ ი — 143682 ახჩა.

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანი-ჩრების გასული წლის პროდუქტების თანხისთვის გაცემული ხაზინის თესქერე რეგისტრირებულია. იანიჩართა ქათობის მინაწერის თანახმად, ამ [11]45 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ხსენებული წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე პროდუქტების თანხა როდესაც დაიანგარიშეს, მხოლოდ 143682 ახჩა შეადგინა. ფირმანი ბედნიერ სულთანზეა.

1145 წლის 23 ზილ-ჰიჯე⁷.

თელხისი:

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა [1]145 წლის პროდუქტების თანხის ბოძების შესახებ არხუჰალი გაიცეს. როდესაც იანიჩართა ქათობის მინაწერის თანახმად დაიანგარიშეს, 143682 ახჩა შეადგინა. ხსენებული თანხის თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

ალი ეფენდი ჯანიბი.

თელხისის თანახმად თესქერე გაიცა. ბრძანება. [1]145 წლის 24 რები ულ-ახირი⁸.

თესქერე გაიცა 1145 წლის 25 რები ულ-ახირს⁹.

1 1145 წელი — 24.6.1732 — 13.6.1733.

2 1145 წლის მსარი — 1732 წლის ივნისი, ივლიზი, აგვისტო.

3 1144 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე — 6.7.1731 — 23.6.1732.

4 1144 წლის 23 ჯემაზი ულ-ეველი — 23.11.1731.

5 1144 წლის 21 ჯემაზი ულ-ეველი — 21.11.1731.

6 1145 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე — 24.6.1732. — 146.1733.

7 1145 წლის 23 ზილ-ჰიჯე — 1733 წლის 6 ივნისი.

8 [1]145 წლის 24 რები ულ-ეველი — 1732 წლის 14 ოქტომბერი.

9 1145 წლის 25 რები ულ-ახირი — 1732 წლის 15 ოქტომბერი.

№ 39

ის [ალაჰი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ხანგრძლივი იყოს თქვენი უდიდებულესობის სიცოცხლე. რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების ამ 1145 წლის ჩოზის თანხის ბოძებისა და მთავარი მოანგარიშის მიერ თესქერეს შედგენის საკითხზე

ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატა ევმოსილო სულთანო.

[თქვენი] მონა-მორჩილი

შესაბამისი ადგილი.

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ზოგერთ იანიჩართა გამოსაზამთრებელი თანხის შესახებ 1144 წლის ერბაინის დასაწყისიდან² 1145 წლის ერბაინამდე³:

ბარანი: — 195

აღნიშნულის თანახმად რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების რაოდენობაა 195. 1144 წლის ერბაინიდან 1145 წლის ერბაინამდე მხოლოდ 195 ბარანის ჩონხა კანონიერი. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო და პატიევმოსილო სულთანო.

ღაიანგარიშეთ.

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გამოსაზამთრებელი თანხა გადაკვეთილია 1143 წლის ერბაინის დასაწყისიდან⁴ 1144 წლის ერბაინის დასაწყისამდე. თესქერე ვაიცა 1144 წლის 23 ჯემაზი ულ-ეველს⁵.

ჯარისკაცები — 129.

ბარანის ჩონხა: 129 თოფი, თითოეული თოფი 240 ახჩაა.

ახჩა — 30960

გადაკვეთილია 1144 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1145 წლის ერბაინის დასაწყისამდე.

ჯარისკაცები — 195.

ბარანის ჩონხა: 195 თოფი, თითოეული თოფი 240 ახჩაა.

ახჩა — 46800.

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების გასული წლის გამოსაზამთრებელი თანხებისთვის გაცემული ხაზინის თესქერე რეგისტრირებულია. იანიჩართა ქათიბის მინაწერის თანახმად [1] 144 წლის ერბაინიდან [1] 145 წლის ერბაინის მიწურულამდე გამოსაზამთრებელ თანხაზე გაცემული ფირმანის მიხედვით როდესაც ღაიანგარიშეს, მხოლოდ ამ თანხამ 46800 ახჩა შეადგინა. ფირმანი ბედნიერ სულთანზეა. 1145 წლის 21 რები ულ-ახირი⁶.

თელხისი

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გამოსაზამთრებელ ჩონხის თანხის საბოძებლად თხოვნა დაიწეროს. იანიჩართა ქათიბის მინა-

წერის თანახმად [11]44 წლის ერბაინიდან [11]45 წლის ერბაინამდე როდესაც დაიანგარიშეს, თანხამ 46800 ახჩა შეადგინა. აღნიშნული თანხის თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო. ალი ეფენდი ჯანიბი.

თელზისის თანახმად თესქერე გაიცა. ბრძანება. [1]145 წლის 24 რები ულ-ახირი⁷.

თესქერე გაიცა 1145 წლის 25 რები ულ-ახირს⁸.

[მეორე გვერდზე]

195

24

780

390

46800

1 1145 წელი — 24.6.1732. — 13.6.1733.

2 1144 წლის ერბაინის დასაწყისი — 1.12.1731 წელი.

3 1145 წლის ერბაინი — 18.12.1732 წელი.

4 1143 წლის ერბაინის დასაწყისი — 12 დეკემბერი, 1730 წელი.

5 1144 წლის 23 ჭემაზი ულ-ეველი — 23.11.1731 წელი.

6 1145 წლის 2 რები ულ-ახირი — 11 ოქტომბერი, 1732 წელი.

7 [1]145 წლის 24 რები ულ-ახირი — 14 ოქტომბერი, 1752 წელი.

8 1145 წლის 25 რები ულ-ახირი — 15 ოქტომბერი, 1732 წელი.

№ 40

ის [ალაპი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ხანგრძლივი იყოს თქვენი უდიდებულესობის სიცოცხლე. ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართა ჯარისკაცების ამ 1145 წლის¹ ზორცისა და პროდუქტების თანხის ბოძებისა და მთავარი მოანგარიშისაგან თესქერეს გამოცემის საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი

შესაბამისი ადგილი:

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართა ზოგიერთი ჯამათისათვის სარგო 1145 წლის მასარში². ჯარისკაცები — 130.

აღნიშნულის თანახმად, ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრები (130 ჯარისკაცი) ამჟამად დავთარში რეგისტრირებული და ჩაწერილია. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო.

დაიანგარიშეთ.

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა პროდუქტებიდან ხორცის თანხა გადაკვეთილია 1144 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ჟემაზი ულ-ახირის მიწურულამდე³ არზუჰალის, უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ქათიბის მინაწერის, თელხისისა და მაღალი ფირმანის საფუძველზე. დაიწერა 1144 წლის 23 ჟემაზი ულ-ეველს⁴.

თესქერე გაიცა ამავე წლის 24 ჟემაზი ულ-ეველს⁵.

ჯარისკაცები — 125

დღეში: 25 ოყა ხორცი.

დღეები: 354

ოყა — 8850, თითოეული ოყა 7 ახჩაა.

ახჩა — 61950

გადაკვეთილია 1145 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე⁶.

ჯარისკაცები — 130.

დღეში: 26 ოყა ხორცი.

დღეები — 354.

ოყა — 9204, თითოეული ოყა 7 ახჩაა.

ახჩა — 64428.

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გასული წლის ხორცის თანხებისათვის გაცემული ხაზინის თესქერე რეგისტრირებულია. იანიჩართა ქათიბის მინაწერის თანახმად ამ [1]145 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ხსენებული წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე ხორცის თანხა როდესაც დაიანგარიშეა მხოლოდ 64428 ახჩა შეადგინა. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო. 1145 წლის 23 რები ულ-ახირი⁷.

თელხისი

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა [1i]45 წლის ხორცის თანხების წყალობისათვის არზუჰალი გაიცეს. იანიჩართა ქათიბის მინაწერის თანახმად, ხსენებულ წელს ხორცის თანხები 24428 ახჩად დაიანგარიშეს, აღნიშნული თანხის თესქერეს ბოძების საკითხზე

ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

ალი ეფენდი ჯანიბი.

თელხისის თანახმად თესქერე გაიცა. ბრძანება. (1)145 წლის 24 რეზი ულ-ახირი⁸.

თესქერე გაიცა 1145 წლის 25 რეზი ულ-ახირი⁹. მწერალი.

1 1145 წელი — 24.6.1732 — 13.6.1733.

2 1145 წლის მასარი — 1732 წლის იენისი, ივლისი, აგვისტო.

3 1144 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ჯემაზი ულ-ახირის მიწურულამდე — 24.6.1732. 29.12.1732.

4 1144 წლის 23 რეზი ულ-ეველი — 24.11.1731 წელი.

5 [1144 წ.], 24 რეზი ულ-ეველი — 24.11.1731 წელი.

6 1145 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე — 24.6.1732 წლიდან — 13.6.1733 წლამდე.

7 1145 წლის 23 რეზი ულ-ახირი — 13 ოქტომბერი, 1732 წელი.

8 [1]145 წლის 24 რეზი ულ-ახირი — 14 ოქტომბერი 1732 წელი.

9 1145 წლის 25 რეზი ულ-ახირი — 15 ოქტომბერი, 1732 წელი.

№ 41

ის [ალაჰი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ხაგნრძლივი იყოს თქვენს უდიდებულესობის სიცოცხლე. ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართა ჯარისკაცების ამ 1145 წლის¹ ჩოხის თანხების ბოძებისა და მთავარი მოანგარიშის მიერ თესქერეს გაცემის საკითხზე ბრძანება. [და] ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის ზოგიერთი იანიჩრის გამოსაზამთრებელი თანხის შესახებ 1144 წლის ერბანის დასაწყისიდან² 1145 წლის ერბანამდე³:

ბარანი — 129

აღნიშნულის თანახმად, ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩრების (129 ჯარისკაცი) 1144 წლის ერბანიდან 1145 წლის ერბანამდე მხოლოდ 29 ბარანის ჩოხაა კანონიერი. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო.

დაიანგარიშეთ.

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გამოსაზამთრებელი თანხა გადაკვეთილია 1143 წლის ერბაინის დასაწყისიდან⁴ 1144 წლის ერბაინის დასაწყისამდე. თესქერე გაიცა 1144 წლის 23 ჯემაში ულ-ეველს⁵.

ჯარისკაცები — 124

ბარანის ჩოხა: 124 თოფი. თითოეული თოფი 240 ახჩაა.

ახჩა — 29740

გადაკვეთილია 1144 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1145 წლის ერბაინის დასაწყისამდე.

ჯარისკაცები — 129.

ბარანის ჩოხა: 129 თოფი, თითოეული თოფი 240 ახჩაა.

ახჩა — 30940

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გასული წლის გამოსაზამთრებელი თანხისათვის გაცემული ხაზინის თესქერე რეგისტრირებულია. იანიჩართა ქათიბის მინაწერის თანახმად, [1]144 წლის ერბაინიდან [1]145 წლის ერბაინის მიწურულამდე გამოსაზამთრებელ თანხაზე გაცემული ფირმანის საფუძველზე როდესაც დაიანგარიშეს, გამოსაზამთრებელმა თანხამ მხოლოდ 30960 ახჩა შეადგინა. ფირმანი ბედნიერ სულთანზეა. 1145 წლის 21 რები ულ-ახირი⁶.

თელხისი

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ ანაკლიის ციხეში მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გამოსაზამთრებელი ჩოხის თანხების საბოძებლად არზუჰალი გაიცეს. იანიჩართა ქათიბის მინაწერის თანახმად, [1]144 წლის ერბაინიდან [1]145 წლის ერბაინამდე როდესაც დაიანგარიშეს, საერთო თანხამ 30960 ახჩა შეადგინა. ხსენებული თანხის ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

ალი ეფენდი ჯანიბი.

თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს. ბრძანება. [1]145 წლის 24 რები ულ-ახირი⁷.

თესქერე გაიცა 1145 წლის 25 რები ულ-ახირს⁸.

[მეორე გვერდზე:]

129
24
<hr/>
516
258
<hr/>
30960

- 1 1145 წელი — 24.6.1732. — 13.6.1732.
- 2 1144 წლის ერბაინის დასაწყისი — 1.12.1731.
- 3 1145 წლის ერბაინი — 1732 წლის 18 დეკემბრიდან 40 დღე.
- 4 1143 წლის ერბაინის დასაწყისი — 1730 წლის 12 დეკემბერი.
- 5 1144 წლის 23 ჯემაზი ულ-ეველი — 23.11.1731 წელი.
- 6 1145 წლის 21 რეზი ულ-ახირი — 11 ოქტომბერი, 1733 წელი.
- 7 [1] 145 წლის 24 რეზი ულ-ახირი — 14 ოქტომბერი, 1732 წელი.
- 8 1145 წლის 25 რეზი ულ-ახირი — 15 ოქტომბერი, 1732 წელი.

№ 42

ის [ალაპი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ჯანმრთელი იყოს თქვენი უდიდებულესობის სიცოცხლე. რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართა მონების ამ 1146 წლის¹ ხორცისა და პროდუქტების თანხების ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი

შესაბამისი ადგილი:

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართა ზოგიერთი ჯამათის სარგო 1146 წელს.

ჯარისკაცები 69.

აღნიშნულის თანახმად, რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართა 69 ჯარისკაცის არსებობა ამჟამად დავთარში რეგისტრირებული და ჩაწერილია. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო.

სარგო 1146 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-პიჯეს მიწურულამდე².

ჯარისკაცები „ 69.

დღეში ხორცი: 12,5 ოყა.

თვეში ხორბალი: 34,5 ქილა,

დღეები — 354

წელიწადში: 414 ქილა, თითოეული

ოყა — 4779; თითოეული ოყა

ქილა 40 ახჩაა.

7 ახჩაა.

ახჩა — 16560

ახჩა — 22463

ჯ ა მ ი: 50023 ახჩა.

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანი-
ჩართა ზორცისა და პროდუქტების თანხა გადაკვეთილია 1145 წლის
მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-პიჯეს მიწურულამდე³. თეს-
ქერე გაიცა 1145 წლის 5 რეზი ულ-ახირს⁴.

ჯარისკაცები — 196. ახჩა — 143682.

დღეში: ხორცი 39 ოყა.

დღეები — 354

ოყა — 13806, თითოეული

ოყა 7 ახჩაა.

ახჩა — 96642.

თვეში ხორბალი: 98 ქილა.

წელიწადში: 1176 ქილა,

ათითოეული ქილა 40 ახჩაა.

ახჩა — 47040.

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანი-
ჩართა პროდუქტების თანხისთვის გაცემული ხაზინის თესქერე რეგისტ-
რირებულია. იანიჩართა ქათიბის მინაწერის თანახმად, ამ [1]146 წლის
მუჰარემის დასაწყისიდან ხსენებული წლის ზილ-პიჯეს მიწურულამდე
გაცემული პროდუქტების თანხა როდესაც დაიანგარიშეს, მხოლოდ
50023 ახჩა შეადგინა. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბე-
დნიერო და პატივმოსილო სულთანო. 1146 წლის 29 ჯემაზი ულ-ვეელი⁵.

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ რუხის ციხის დასა-
ცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართა პროდუქტების
თანხების საბოძებლად არზუჰალი გაიცეს. იანიჩართა ქათიბის მინაწე-
რის თანახმად, 1145 წლის ერბაინიდან⁶ [1]146 წლის ერბაინამდე⁷
პროდუქტების თანხა — 50023 ახჩა ზუსტად იქნა დაანგარიშებული,
ამიტომ, აღნიშნული თანხის თესქერეს ბოძების საკითხზე ბრძანება და
ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო და პატივმოსი-
ლო სულთანო.

თელხისის თანახმად, თესქერე გაიცეს. ბრძანება. [1]146 წლის ჯე-
მაზი ულ-ახირის დასაწყისი⁸.

თესქერე გაიცა [1]146 წლის 3 ჯემაზი ულ-ახირს⁹. მწერალი.

1 1146 წელი — 14.6.1733. — 2.6.1734.

2 1146 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-პიჯეს მიწურულამდე —
14.6.1733. — 2.6.1733.

3 1145 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-პიჯეს მიწურულამდე—
24.6.1732. — 13.6.1733.

4 1145 წლის 5 რეზი ულ-ახირი — 25.9.1732.

5 1146 წლის 29 ჯემაზი ულ-ვეელი — 1733 წლის 8 ნოემბერი.

6 145 წლის ერბაინი — 1732 წლის 18 დეკემბრიდან 40 დღე.

7 1146 წლის ერბაინი — 1733 წლის 8 დეკემბრიდან 40 დღე.

8 [1]146 წლის ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისი — 9.11.1733.

9 [1]146 წლის 3 ჯემაზი ულ-ახირი — 11.11.1733.

ის [ალაპი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ჯანმრთელი იყოს თქვენი უდიდებულესობის სიცოცხლე. რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა მონების ამ 1145 წლის¹ ჩოხის თანხების ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ზოგიერთი იანიჩრის გამოსაზამთრებელი თანხის შესახებ 1145 წლის ერბაინის დასაწყისიდან² 1146 წლის ერბაინამდე³:

ბარანი — 68

აღნიშნულის თანახმად, რუხის ციხის დასაცავად იმყოფება უმაღლესი სამეუფეო კარის 68 იანიჩარი. 1145 წლის ერბაინიდან 1146 წლის ერბაინამდე მხოლოდ 68 ბარანის ჩოხაა კანონიერი. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო.

დაიანგარიშეთ.

გადაკვეთილია 1145 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1146 წლის ერბაინის დასაწყისამდე.

ჯარისკაცები — 68.

ბარანის ჩოხა: 68 თოფი,

თითოეული თოფი 240 ახჩაა.

ახჩა — 16140.

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გამოსაზამთრებელი თანხა გადაკვეთილია 1144 წლის ერბაინის დასაწყისიდან⁴ 1145 წლის ერბაინის დასაწყისამდე. ამის შესახებ თესქერე გაიცა 1145 წლის 25 რეზი ულ-ახირს⁵.

ჯარისკაცები — 195.

ბარანის ჩოხა: 195 თოფი.

თითოეული თოფი 240 ახჩაა.

ახჩა — 46800.

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გასულ წელს გამოსაზამთრებელი თანხების თაობაზე გაცემული ხაზინის თესქერე რეგისტრირებულია. იანიჩართა ქათიბის პინაწერის თანახმად, [1]145 წლის ერბაინიდან [1]146 წლის ერბაინის მიწურულ-

ლამდე გამოსაზამთრებელი თანხა როდესაც დაიანგარიშეს, მხოლოდ 16120 ახჩა შეადგინა. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო. 1146 წლის 29 ჟემაზი ულ-ეველი⁶.

ჩენი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გამოსაზამთრებელი ჩოხის თანხების ბოძების ბრძანების საკითხზე არსუპალი გაიცეს. იანიჩართა ქათების მინაწერის თანახმად, 1145 წლის ერბაინიდან [1]146 წლის ერბაინამდე 16120 ახჩაა გადაკვეთილი; ეს თანხა დაანგარიშებულია. აღნიშნული თანხის თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

სწორია

თელხისის თანახმად, თესქერე გაიცეს. ბრძანება. [1]146 წლის ჟემაზი ულ-ახირის დასაწყისი⁷.

თესქერე გაიცა [1]146 წლის 3 ჟემაზი ულ-ახირს⁸.

[მეორე გვერდზე]

68
24

25
1362

16120

1 1146 წელი — 14.6.1733 — 2.6.1734.

2 1145 წლის ერბაინის დასაწყისი — 18.12.1732.

3 1146 წლის ერბაინი — 8.12.1733 წლიდან 40 დღე.

4 1144 წლის ერბაინის დასაწყისი — 1.12.1731.

5 1145 წლის 25 რეზი ულ-ახირი — 15.10.1732.

6 1146 წლის 29 ჟემაზი ულ-ეველი — 1733 წლის 8 ნოემბერი.

7 [1]46 წლის ჟემაზი ულ-ახირის დასაწყისი — 1733 წლის 8 ნოემბერი.

8 [1]146 წლის 3 ჟემაზი ულ-ახირი — 1733 წლის 11 ნოემბერი.

№ 44

ის [ალაპი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ჟანმრთელი იყოს თქვენი უდიდებულესობის სიცოცხლე. ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფო კარის იანიჩარი-მონების ამ 1146 წლის¹ ზორცისა და პროდუქტების თანხების ბოძების საკითხზე ბრძანება და

ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი

შესაბამისი ადგილი:

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების ზოგიერთი ჯამათისათვის 1146 წლის მასარის² სარგოს შე-სახებ.

ჯარისკაცები: 109.

აღნიშნულის თანახმად, ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღ-ლესი სამეუფეო კარის 109 იანიჩარის არსებობა ამჟამად დავთარში რეგისტრირებულია და ჩაწერილია. ფირმანი თქვენს უდიდებულესო-ბაზეა, ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო.

დაიანგარიშეთ.

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართათვის გასულ წელს ფოთის მცველისგან ხორბლის გაცემის თაობაზე ფირმანი გამოვიდა. ამავე წელს მხოლოდ ხორცის თანხისთ-ვის გაცემული ხაზინის თესქერე იქნა რეგისტრირებული. ამ კურთხეუ-ლი წლის დასაწყისში თუმცა ბრძანება გაიცა, მაგრამ ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

1146 წლის 29 ჭემაზი ულ-ეველი³.

ხორცის თანხა დაიანგარიშეთ.

სარგო გადაკვეთილია 1146 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე⁴. არზუჰალისა და იანიჩართა ქათიბის მინაწერის თანახმად:

ჯარისკაცები — 109.

დღეში ხორცი: 21,5 ოყა.

დღეები — 354

ოყა — 7611; თითოეული ოყა — 7 ახჩაა.

ახჩა — 53277.

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართათვის განკუთვნილი პროდუქტებიდან ხორცის თანხა გადაკვე-თილია 1145 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მი-წურულამდე⁵. ამაზე თესქერე გაიცა [1] 145 წლის 25 შევალს⁶.

ჯარისკაცები — 130

დღეში ხორცი: 26 ოყა

დღეები — 354

ოყა — 9204, თითოეული ოყა 7 ახჩაა. ახჩა — 64423.

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის

იანიჩართა გასული წლის ხორცის თანხისთვის გაცემული ხაზინის თესქერე რეგისტრირებულია. იანიჩართა ქათიბის მინაწერის თანახმად, ამ [1]146 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ზემოხსენებული წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე საჭირო ზორცის თანხა როდესაც დაიანგარიშეს, მხოლოდ 53277 ახჩა შეადგინა. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო. 1146 წლის 29 ჯემაზი ულ-ეველი.

სწორია. თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს, ბრძანება. [1]146 წლის ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისი⁷.

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართათვის [1]146 წლის ხორცის თანხების საბოძებლად არზუჰალი გაიცეს. იანიჩართა ქათიბის მინაწერის თანახმად, ზსენებულ წელს ხორცის თანხამ 53277 ახჩა შეადგინა. აღნიშნული თანხის თესქერეს გაცემის საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

თესქერე გაიცა [1]146 წლის 4 ჯემაზი ულ-ახირის⁸. მწერალი.

1 1146 წელი — 14.6.1733 — 2.6.1734.

2 1146 წლის მასარი — 1733 წლის იენისი, ივლისი, აგვისტო.

3 1146 წლის 29 ჯემაზი ულ-ეველი — 1733 წლის 8 ნოემბერი.

4 1146 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე — 14.6.1733. — 2.6.1734.

5 1145 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე — 24.6.1732. — 13.6.1733.

6 [1]145 წლის 25 შევალი — 10.4.1733.

7 [1]146 წლის ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისი — 1733 წლის 9 ნოემბერი

8 [1]146 წლის 4 ჯემაზი ულ-ახირი — 1733 წლის 12 ნოემბერი.

№ 45

ის [ალაჰი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო, ხანგრძლივი იყოს თქვენი უდიდებულესობის სიცოცხლე. ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩარი-მონების 1146 წლის¹ ჩოხის თანხების ბოძების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ზოგიერთი იანიჩრის გამოსაზამთრებელი გადასახადი 1145 წლის ერბაინის² დასაწყისიდან 1146 წლის ერბაინამდე³.

ბარანი — 108 ცალი.

აღნიშნულის თანახმად, ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩრების რაოდენობა 108.1145 წლის ერბაინიდან 1146 წლის ერბაინამდე მხოლოდ 108 ბარანი ჩოხაა კანონიერი. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო.

დაანგარიშებულ იქნას.

1145 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1146 წლის ერბაინის დასაწყისამდე სარგო:

ჯარისკაცები — 168.

ბარანის ჩოხა: 108 თოფი.

ახჩა — 25920.

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გამოსაზამთრებელი თანხა გადაკვეთილია 1144 წლის ერბაინის დასაწყისიდან⁴ 1145 წლის ერბაინის დასაწყისამდე. თესქერე გაიცა 1145 წლის 25 რები ჟულ-ახირს⁵.

ჯარისკაცები — 129.

ბარანის ჩოხა: 129 თოფი,

თითოეული თოფი 240 ახჩაა.

ახჩა — 30960.

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გასული წლის გამოსაზამთრებელი თანხის შესახებ გაცემული ხაზინის თესქერე რეგისტრირებულია. იანიჩართა ქათიბის მინაწერის თანახმად დაანგარიშებულ იქნა 145 წლის ერბაინიდან 146 წლის ერბაინის მიწურულამდე⁶ საჭირო გამოსაზამთრებელი თანხა. მასზე გაცემული ფირმანის მიხედვით, ამ თანხამ მხოლოდ 25920 ახჩა შეადგინა. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

1146 წლის 29 ჯემაზი ჟულ-ეველი⁷.

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა 146 წლის გამოსაზამთრებელი თანხის საბოძებლად არზუპალი გაიცეს. როდესაც იანიჩართა ქათიბის მინაწერის მიხედვით დაანგარიშებული იქნა [1] 145 წლის ერბაინიდან [11] 46 წლის ერბაინამდე 108 ჯარისკაცის გამოსაზამთრებელი თანხა, მან 25920 ახჩა შეადგინა. რადგანაც ეს თანხა გადაიკვეთა,

უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.
სწორია.

თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს, ბრძანება. 146 წლის 4 ჯემა-
ზი ულ-ახირი⁸.

თესქერე გაიცა 146 წლის 6 ჯემაზი ულ-ახირს⁹.

[შეორე გვერდზე]

108
24
<hr/>
432
226
<hr/>
25920

1 1146 წელი — 14.6.1733 — 27.6.1734.

2 1145 წლის ერბაინის დასაწყისი — 18.12.1732 წელი.

3 1146 წლის ერბაინი — 8.12.1733 წლიდან 40 დღე.

4 1144 წლის ერბაინის დასაწყისი — 30.12.1731 წელი.

5 1145 წლის 25 რეზი ულ-ახირი — 15 ოქტომბერი, 1732 წელი

6 [1] 146 წლის ერბაინის მიწურული — 16 იანვარი, 1734 წელი.

7 1146 წლის 29 ჯემაზი ულ-ეველი — 1733 წლის 8 ნოემბერი.

8 [1] 146 წლის 4 ჯემაზი ულ-ახირი — 12 ნოემბერი, 1733 წელი.

9 [1] 146 წლის 6 ჯემაზი ულ-ახირი — 14 ნოემბერი, 1733 წელი.

№ 46

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვე-
ნი უდიდებულესობა. რუხის ციხის დასაცავად დანიშნული უმაღლესი
სამეუფეო კარის ჯეზეჯიების 1147 წლის!... თანხების ბოძების განკარ-
გულების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა,
ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

ზემოხსენებული თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯეზე-
ჯიების ზოგიერთი ჯამათის შესახებ.

ჯარისკაცი — 6

აღნიშნული 6 ჯარისკაცი მითითებულის თანახმად რუხის დამცველადაა ჩაწერილი და რეგისტრირებული. ბრძანება და უირმანი ჩემს ბედნიერ სულთანზეა.

შემოწმებულია დავთრის თანახმად.

(1)147 წლის 17 ჯემაზი ულ-ახირი².

მთავარმა მონაგარიშემ მინაწერი დაიანგარიშოს!

1146 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე³ რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების ზორბლის თანხის გაცემის შესახებ თესქერე გაიცა 1146 წლის 23 ზილ-ჰიჯეს⁴.

ჯარისკაცები — 12

თვეში ზორბალი: 6 ქილა.

წელიწადში: 72 ქილა, თითოეული ქილა 40 ახჩაა.

ახჩა — 2880

სარგო 1147 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე⁵.

ფიადე მუკაბელეს (უწყების მონაცემების) საფუძველზე:

ჯარისკაცები — 6.

თვეში ზორბალი: 3 ქილა.

წელიწადში: 36 ქილა.

თითოეული ქილა 40 ახჩაა.

ახჩა — 1440.

თელხისი

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების (1)146 წლის⁶ ზორბლის თანხა როდესაც დაიანგარიშეს, გაცემული თესქერე რეგისტრაციაში გაატარეს. ფიადე მუკაბელეს (უწყების) მინაწერის თანახმად დაანგარიშებულ იქნა აღნიშნულ დაცვაში მყოფი 6 ჯარისკაცის (1)147 წლის ზორბლის თანხა. მან მხოლოდ 1440 ახჩა შეადგინა. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

1147 წლის 19 ჯემაზი ულ-ახირი⁷.

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ რუხის ციხის დასაცავად მყოფი [უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების] [1]147 წლის პროდუქტების თანხა გაიცეს. ფიადე მუკაბელეს [უწყების] მინაწერის თანახმად... ებოძა... აღნიშნული თანხა. [ფირმანი] თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

სწორია

თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს. ბრძანება. [1]147 წლის 22
ჯემაზი ულ-ახირ⁸.

თესქერე გაიცა 1147 წლის 22 ჯემაზი ულ-ახირს.

1 1147 წელი — 3.6.1734. — 23.5.1735.

2 [1]147 წლის 17 ჯემაზი ულ-ახირი — 15.11.1734.

3 1146 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე—
14.6.1733. — 2.6.1734.

4 1146 წლის 23 ზილ-ჰიჯე — 127.5.1734.

5 1147 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე—
3.6.734 — 23.5.1735.

6 [1]146 წელი — 14.6.1733 — 2.6.1734.

7 1147 წლის 19 ჯემაზი ულ-ახირი — 17.11.1734.

8 [1]147 წლის 22 ჯემაზი ულ-ახირი — 20.11.1734.

№ 47

ის [ალაჰი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ხანგრძლივი იყოს თქვენი უდიდებულესობის სიცოცხლე. რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა 1157 წლის¹ კანონიერი ოთხი კვარტლის სარგოთა წყალობისა და ბოძების განკარგულების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

თქვენი ზემოხსენებული მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ზოგიერთი ჯამათის 1157 წლის მასარის² სარგოს შესახებ.

აღნიშნულის თანახმად, რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა 1157 წლის მასარის სარგო კანონიერია, ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

თელხისი.

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა [1]157 წლის სარგოთა საბოძებლად არზუჰალი არსებობს და როდესაც აუწყებენ ბედნიერების კარს, მინაწერის თანახმად, ხსენებულ ციხეში მყოფი იანიჩარ-

თა აღნიშნული წლის ოთხი კვარტლის სარგოთათვის იჭმალის ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

თელხისის თანახმად, იჭმალი გაიცეს. ბრძანება. [1]158 წლის 3 რეზი ულ-ახირი³.

იჭმალი ზელზე ებოძა ფერდ აღას.

1158 წლის 3 რეზი ულ-ახირი.

¹ 1157 წელი — 15.2.1744 — 2.2.1745.

² 1157 წლის მასარი — 1744 წლის თებერვალი, მარტი, აპრილი.

³ [1]158 წლის 3 რეზი ულ-ახირი — 1745 წლის 5 მაისი.

№ 48

ის [ალაპი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო, ხანგრძლივი იყოს თქვენი უდიდებულესობის სიცოცხლე. ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფეო კარის იანიჩარი მონებისტვის 1157¹ წლიდან კანონიერად განკუთვნილი ოთხი კვარტლის სარგოთა იჭმალის წყალობისა და ბოძების ბრძანების საკითხზე განკარგულება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, მოწყალეო ბატონო სულთანო.

ზემოხსენებული თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფეო კარის იანიჩართა ზოგიერთი ჭამათის სარგო 1157 წლის მასარში².

აღნიშნულის თანახმად, ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფეო კარის იანიჩართა 1157 წლის მასარის სარგო კანონიერია, ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო და პატივმოსილო სულთანო.

თელხისი

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფეო კარის იანიჩართა [11]57 წლის სარგოთა საბოძებლად არზუპალი გაიცეს და როდესაც მოხსენდება უმაღლეს კარს, იანიჩართა ქათიბის მინაწერის თანახმად, ზემოხსენებული წლის ოთხი კვარტლის სარგოთა იჭმალის ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

სწორია

თელხისის თანახმად იჯმალი გაიცეს. ბრძანება. [1]158 წლის 4 საფარი³.

იჯმალი ჩველზე ებოძა ფერდ აღას. [1]158 წლის 6 საფარი⁴.

1 1157 წელი — 15.2.1744. — 2.2.1745.

2 1157 წლის მასარი — 1744 წლის თებერვალი, მარტი, აპრილი..

3 [1]158 წლის 4 საფარი — 8.3.1745 წელი.

4 [1]158 წლის 6 საფარი — 10.3.1745 წელი.

№ 49:

ის [ალაპი] შეეწიოს

ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო, ხანგრძლივი იყოს თქვენი უდიდებულესობის სიცოცხლე. ყულეს ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ყულების [1]167 წლიდან¹ კანონით არსებული ოთხი კვარტლის სარგოთა ბოძებისა და წყალობის ბრძანების საკითხზე ბრძანება და ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო სულთანო.

თქვენი მონა-მორჩილი.

შესაბამისი ადგილი:

ყულეს ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ზოგიერთი ჯამათის 1167 წლის მასარის² სარგოს შესახებ.

აღნიშნულის თანახმად, ყულეს ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა [1]167 წლის მასარის სარგო კანონიერი ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

თელხისი.

ჩემი მოკრძალებული წინადადება ისაა, რომ ყულეს ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა [1]167 წლის სარგოთა ბოძების თხოვნაზე არზუჰალი არსებობს და იანიჩართა ქათიბის მინაწერის თანახმად, ზემოხსენებულ წლის ოთხი კვარტლის სარგოთა იჯმალის ბოძების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

თელხისის თანახმად იჯმალი გაიცეს. ბრძანება.. [1]167 წლის 2 რეზი ულ-ახირი³.

იჯმალი ზელზე ებოდა სალიანეჯი აბდულაპ ფაშას. 1167 წლის 26 რეზი ულ-ახირი⁴.

1 [1] 167 წელი — 29.10.1753 — 17.10.1754.

2 1167 წლის მასარი — 1753 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.

3 [1] 167 წლის 2 რეზი ულ-ახირი — 27.1.1754 წელი.

4 1167 წლის 26 რეზი ულ-ახირი — 20 თებერვალი, 1754 წელი.

№ 50

ის [ალაპი] შეეწიოს

. თქვენი მონა-მორჩილთა მოხსენება ისაა, რომ [ოსმალეთის] სა-
ზელმწიფო ციხეებს შორის ანაკლიის ციხეში ოდიშის მელიქმა კაცია
დადიანმა ხისგან აშენებული ბურჯების გარდა ამჟამად ორი სართუ-
ლის სიმაღლეზე ხის მტკიცე კედელი ააგო. ამ კედლის შუა ადგილები
ქვითა და თიხით აავესებინა. ამრიგად, გაამაგრა და განამტკიცა. ციხე
დღე და ღამე მუდმივად დაცული იყო. როდესაც ეს მე მწირმა ვაგიგე,
ზემონსენებულმა მელიქმა იკითხა: თუ მე უმაღლესი საზელმწიფოს ერ-
თგული მონა-მორჩილი ვარ, აღნიშნული ციხის ტერიტორიაზე საგან-
გებო ხის კედლებისა და ბურჯების აშენება თავდაცვისათვის ჩემი მო-
ვალეობაა. ციხის გამაგრების შემდეგ განა ჩემი სურვილია სხვა ვინმე,
მტერი მოვიდეს და დაიპყროსო? პასუხი გასცეს. ხსენებული მელიქის
ნათქვამი ხალხიდან იყო გამოსული, ეს ქრისტიანი ხალხი დაპყრობილ
და მორჩილი იყო. როდესაც ეს საზელმწიფო კარისათვის ცნობილი გახ-
დებოდა, ფირმანი ჩემს ბატონზეა.

ფოთის ციხის გარშემო ოთხივე მხარეს ტყეა და ხეები დიდძალი
ნაყოფის მომცემია. წლის მოსავლის სიუხვის გარდა აღნიშნული ხეები
მაგარი ჯიშისაა. ციხის ოთხივე მხარე მთლიანად ხეებით იყო გარშემო-
რტყმული. თუ მაღალი ღმერთი ინებებდა და საიდუმლოდ რომელიმე
მხრიდან მტერი შემოვიდოდა და ტყეში დაიმალებოდა, იგი არავისთ-
ვის შესამჩნევი არ იქნებოდა. საჭიროების შემთხვევაში ტყიდან ზარ-
ბაზნით შეიძლებოდა არემარის განადგურება. ამ ადგილების გასაწმე-
ნდად მრავალი ღონისძიება გატარდა. ტყის ტოტები მოულოდნელ სიღ-
ნელებს ქმნიდა. მსგავსს ვერ იპოვიდით. რადგანაც ხეების მოჭრა მთლი-
ანად უფრო მნიშვნელოვანი და საჭირო საქმე იყო, ამიტომ აუცილებე-
ლი შეიქმნა ბალთაჯიების მუშაობა. ამ რაიონიდან მათთვის მხოლოდ
დღიური ზელფასის გასაცემად თადარიგის დაჭერა იყო საჭირო. საერ-

თოდ ამ საქმეს საზრიანად და სამართლიანად შეხედეს. ამიტომ ფადი-შაჰის ციხის დასაცავად ხსენებული ტყის მთლიანად აჩეხვა და ძირ-ფესვიანად ამოძირკვა მაღალი კარის ღირსეული ღონისძიების გატარებაა. ამ საკითხზე ფირმანი ჩემს ბატონზეა.

ფოთის ციხეში არსებული ზარბაზნებიდან ერთნახევაროციანი ერთი ცალი ე. წ. „ინგლისის შაჰი“ — რკინის ზარბაზანი ამას წინათ ხსენებული ციხის იანიჩართა ოფიცერმა — სერ თურნამ გამოითხოვა. მუსტაფა აღამ გასულ წელს ერთ საღამოს იგი საიდუმლოდ გამაგრებულ ადგილიდან ქვევით ჩამოიტანა. ამავე საღამოს თავისი ქვეითებისათვის განკუთვნილ ადგილზე—ხოფას ციხის კოშკში დადგა. ამის შემდეგ... ამაზე მას უსაყვედურეს. ხსენებული ზარბაზნის მოტანა როდესაც უბრძანეს, მოვიტანო, განაცხადა, შეჰპირდა. დღე-დღეზე უნდა მოეტანათ. რადგანაც აქამდე არ მოიტანა, ვითარება მაღალი სახელმწიფოს ფეხთა მტვერს [სულთანს] ეუწყა და განმარტება მიეცა. მაღალი სახელმწიფოსათვის ყოველივე ცნობილი გახდა. ფირმანი ჩემს ბატონზეა.

[1] 201 წლის ზილ-პიჯეს დასაწყისი¹.

¹ [1] 201 წლის ზილ-პიჯეს დასაწყისი — 14.9.1787 წელი.

№ 51

ქვეყნად უსამართლობისა და ძალმომრეობის დამორგუნველის, ბედნიერების უმაღლესი კარის [დედაქალაქის] ზღურბლის მტვრისადმი, მაღალმა ღმერთმა იწებოს ალაჰის დიდებული განკითხვის ყამს, წარდგენილ თვით ბათუმისა და გარშემო მდებარე ადგილებში არსებული ვითარების ამსახველ მოხსენებაში სახელმწიფოს ხანგრძლივი სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის საჭირო მლოცველების: უღემას, სულჰას, იმამის, ხატების, გლახაკისა და უმწეოს უმორჩილესი ახსნა-განმარტება ისაა, რომ რუხის ციხის დასაცავად მხოლოდ რუმალესი სამეუფეო კარის იანიჩართა რაზმის ჯარისკაცებს შორის ალების, იამაკისა და მუსტაფაზების გარდა არავინ არ არის. ზარბაზნის, ჯაბახანის, პროდუქტებისა და პროვიანტის უკმარისობის გამო დაცვა შესაფერის წინააღმდეგობას ვერ უწევს. დიდი სიძნელეები შეიქმნა. მეზობლად მყოფმა აფხაზმა და მეგრელმა ქაფირმა ყაჩაღებმა პროვიანტის გადმოსაზიდად გაგზავნილი ისლამის ზალხი დახოცეს. სოფლებიდან სავაჭროდ ჩამოსულ ქაფირთა მოსახლეობას ვაჭრობა აუკრძალეს. დიდი ხანია ასეთ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, დაფანტულები არიან. ფადიშაჰის ციხის

იავარჰყოფა რომ განზრახული აქვთ, ამის მოწმეა ანაკლიის მოსახლეობა, მოწმეთა დასტურით, მომხდარი ამბის შესახებ ცნობა და დანართების თხოვნა, მაღალი ღმერთის წყალობით, წმინდანთა ფეხთა მტვერს ეუწყა, არზა და მოწმეები წარედგინა. აწი ბრძანება და ფირმანი ჩემი ბედნიერი და მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა. დაიწერა კეთილშობილი საფარის თვის დასაწყისში, წელი 1126¹.

თქვენი მონა-მორჩილი ჰუსეინი, ამჟამად ბათუმის დაცვის ჯებეჯიების ქედხუდა.

თქვენი მონა-მორჩილი ომერი, ამჟამად ბათუმის დაცვის თოფჩიების ქედხუდა.

თქვენი მონა-მორჩილი ომერი, ამჟამად ბათუმის დაცვის აზაბთა ქედხუდა.

თქვენი მონა-მორჩილი მუსტაფა, ამჟამად ბათუმის დაცვის მუსტაფაზების ქედხუდა.

თქვენი მონა-მორჩილი ბექირი, ამჟამად ბათუმის დაცვის ბეშლუიანთა ქედხუდა.

თქვენი მონა-მორჩილი ომერი, ამჟამად ბათუმის დაცვის სერჯებეჯი.

თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედი, ამჟამად ბათუმის დაცვის ბეშლუიანების ალა.

თქვენი მონა-მორჩილი იუსუფი, ამჟამად ბათუმის დაცვის აზაბთა ალა.

თქვენი მონა-მორჩილი ალი, ამჟამად ბათუმის დაცვის თოფჩი ბაში.

თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედი, ამჟამად ბათუმის დაცვის მეციხოვნე.

თქვენი მონა-მორჩილი...

¹ 1126 წლის საფარის თვის დასაწყისი — 1714 წლის 16 თებერვალი.

№ 52

ბედნიერების ცენტრისადმი თქვენი ფეხთა მტვერი მონის არზა ისაა, რომ საქართველოსა და აფხაზების საზღვარზე მდებარე ანაკლიისა და რუხის ციხეებს ზარბაზანი, ჯაბახანა, სხვა აუცილებელი ნივთები და პროვიანტი სჭირდება. ამგვარი აუცილებელი და საჭირო რამეების უქონლობის გამო მათ დაცვის სამსახურის შესრულების შესაძლებლობა არა აქვთ. მეზობლად მყოფი აფხაზი და მეგრელი ქაფიერების თავდასხ-

მეზის გამო პროდუქტებისა და სხვა საჭიროებისათვის ხალხი ციხე-ბიდან გარეთ ველარ გამოდის. ასეთი საგანგაშო მდგომარეობის შესახებ ზემოხსენებულ ციხეთა მეთაურების, გონიოსა და ბათუმის ყადებისა და ციხის მეთაურთა მიერ გამოგზავნილი ცნობებისა და კაცების მიერ მოტანილი ამბების მიხედვით მდგომარეობა ბედნიერების ცენტრს ტრაპიზონის ყადის ლოცვა-კურთხევით ეუწყა. უპირველეს ყოვლისა, არსებული ვითარება უმაღლეს ტახტს ეცნობა. ამის შესახებ პატიოსანი ბრძანება სულთანზეა.

თქვენი მონა-მორჩილი აბდულლაპი — ამჟამად ტრაპიზონის ვალი.

№ 53

ჩემო ბედნიერო, კეთილისმყოფელო და მოწყალეო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. ამ ჯარისკაცების დასანიშნად ბოძებული ბრძანება გამოვიდა. როდესაც შერიფის მეშვეობით ისლამის შარიათი რუხისა და ანაკლიის ციხეებში გავრცელდა, ურწმუნო დადიანი ურჯულო აფხაზებთან ერთად გაერთიანდა, გაუერთგულდნენ ერთმანეთს და ბრძანება გასცეს შერიფს არ დამორჩილებოდნენ. როდესაც ხმელეთით და ზღვით ჩვენი გზები დაიკავეს, ანაკლიის ციხე გაუმოცული აღმოჩნდა და დავრჩით იმ ადგილზე, სადაც თავის მოვალეობას ასრულებდა ოსმალეთის სახელმწიფოს მიერ დანიშნული ფირკატის ნავები, სამმა ქაფირმა ვერაფერი გააწყო. ისინი გონიოსა და ბათუმში თავიანთ რაიონებში იყვნენ გამწვსებულნი. უზენაესს ეცნობა, რომ ამრიგად ამ გარემოცვიდან გამოსვლა შეუძლებელია. აწი ფირმანი ჩემს სულთანზეა.

თქვენი მონა-მორჩილი და მლოცველი მაჰმუდი.

№ 54

ჩემო ბედნიერო, მოწყალეო და კეთილისმსურველო სულთანო, ჯანმრთელად იყოს თქვენი უდიდებულესობა. თქვენი სახელმწიფოსათვის მლოცველის მოხსენება ისაა, რომ ანაკლიის ციხის გარშემო მყოფი დადიანის ხალხი და აფხაზი ქაფირები გაერთიანდნენ, ერთმანეთს გაუერთგულდნენ და ანაკლიისა და რუხის ციხეებისაკენ ხმელეთითა და ზღვით მიმავალ ვაჭრებს, ჯარისკაცებს, პროვიანტის მიმწოდებლებს (ზაპირე-ჯიებს) მგზავრობის დროს თავს ესხმიან, ძარცვავენ, ხალხს ზოცავენ და პროვიანტს იტაცებენ. ციხის მოსახლეობა გარეკეს. მგზავრობისაგან დი-

დძალი ხალხი გაწყდა. ბაღდადკიკის საყადოსთან ახლოს მდებარე ქუთაისისა და ანაკლიის ციხის მცველებმა არზა და მოთხოვნები წარადგინეს და ქაფირთაგან განთავისუფლებას ითხოვდნენ. მუსლიმანთა მიწებზე მოსულმა საწყლებმა (ჯარისკაცებმა) შარიათის ზღურბლს წესრიგის შესახებ მოახსენეს და ზეპირად გასცეს პასუხი სასამართლოს. ქაფირებმა ამ საქმიანობით დიდძალი სიმდიდრე იგდეს ხელთ. ცხადი გახდა, რომ აჯანყება, არეულობა და ბოროტი საქმიანობა გრძელდებოდა. მათი მოხსენება მომხდარ ამბებზე თქვენს ფეხთა მტვერს წარედგინა და ეუწყა. აწი ბრძანება და ფირმანი თქვენზეა.

დაიწერა ჟემაზი ულ-ეველის თვეს.

23 ჟემაზი ულ-ეველი, წელი 1126¹.

ბათუმთან ახლოს მდებარე გონიოს კაზას ყადი — ჟაფარ ოსმანი. შეუწდოს ალაჰმა.

1 23 ჟემაზი ულ-ეველი, წელი 1126 — 6.6.1714.

№ 55

ქვეყნად უსამართლობისა და ძალმომრეობის დამორგუწველის, ბედნიერების უმაღლესი კარის [დგდაქალაქის] ზღურბლის მტკრისადმი წარდგენილ თვით გონიოსა და გარშემო მდებარე ადგილებში არსებული ვითარების ამსახველ მოხსენებაში სახელმწიფოს ხანგრძლივი სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის საჭირო მლოცველებს: ულემას, სულჰას, იმამის, ხატების, გლახაკისა და უმწეოს უმორჩილესი თხოვნა ისაა, რომ რუხის ციხის დასაცავად მხოლოდ უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა რაზმის ჟარისკაცებს შორის ადგილობრივი კორპუსის ალების, იამაკთა და სხვა მუსტაფაზების ჟარისკაცების გარდა არავინ არ არის სახეზე. ზარბაზნის, ჟაბახანის, პროდუქტებისა და პროვიანტის უკმარისობის გამო დაცვა შესაფერის წინააღმდეგობას ვერ უწევს. დიდი სიძნელეები შეიქმნა. მეზობლად მყოფმა აფხაზმა და მეგრელმა ქაფირმა ყაჩაღებმაც პროვიანტის გადმოსაზიდად გაგზავნილი ისლამის ხალხი დახოცეს. სოფლებიდან სავაჭროდ ჩამოსულ ქაფირთა მოსახლეობას ვაჭრობა აუკრძალეს, ისინი მუდმივ უბედურებაში იმყოფებიან, დაფანტულები არიან. ფადიშაჰის ციხის იავარჰყოფა რომ განზრახული აქვთ, ამის მოწმეა ანაკლიისა და ბათუმის მოსახლეობა. მაღალი ღმერთის წყალობით, მოწმეთა მონაცემების მიხედვით, მომხდარ ამბებზე დახმარების თხოვნა მოწმეებთან ერთად წმინდანთა ფეხთა მტვერს წარედგინა. ახლა ფირმანი ჩემს სულთანზეა. დაიწერა კეთილშობილი საფარის თვეში, წელი 1128¹.

თქვენი მონა-მორჩილი ჰასანი, ამჟამად გონიოს დაცვის ბეშ-
 ლუიანების ქედხუდა
 თქვენი მონა-მორჩილი ალი, ამჟამად გონიოს დაცვის მუსტა-
 ფაზების ქედხუდა.
 თქვენი მონა-მორჩილი ალი ეფენდი, ამჟამად გონიოს მუდლი.
 თქვენი მონა-მორჩილი იუსუფ ეფენდი, ამჟამად გონიოს იმამი.
 თქვენი მონა-მორჩილი ალი ეფენდი, ამჟამად გონიოს ვაიზი.
 თქვენი მონა-მორჩილი ბეშლუიანების ალა მუსტაფა, ამჟამად
 გონიოს მცველი.
 თქვენი მონა-მორჩილი ამჟამად გონიოს მცველი აზაბთა ალა
 ომერი.
 თქვენი მონა-მორჩილი ამჟამად გონიოს მცველი თოფჩი ბაში
 იბრაჰიმი.
 თქვენი მონა-მორჩილი მეციხოვნე ჰუსეინი ამჟამად გონიოს
 მცველი.
 თქვენი მონა-მორჩილი ამჟამად ანაკლიის მცველი თოფჩიების
 სერ ბოლუქი ჰალილი.
 თქვენი მონა-მორჩილი სერ ბოლუქი სულეიმანი, ამჟამად ანაკ-
 ლიის მცველი აზაბი.
 თქვენი მონა-მორჩილი სერ ბოლუქი მეჰმედი, გონიოს მცველი
 ბეშლუიანი
 თქვენი მონა-მორჩილი ალემდარი მეჰმედი, გონიოს მცველი
 ბეშლუიანი
 თქვენი მონა-მორჩილი ალემდარი მუსტაფა, ამჟამად გონიოს
 მცველი აზაბანი.
 თქვენი მონა-მორჩილი ალემდარი ალი, მუსტაფაზა გონიოს
 მცველი.
 თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედ ქედხუდა, ამჟამად გონიოს მცვე-
 ლი აზაბანი.
 თქვენი მონა-მორჩილი მეჰმედ ქედხუდა, ამჟამად გონიოს მცვე-
 ლი თოფჩი.
 თქვენი მონა-მორჩილი ოდა ბაში ოსმანი, ამჟამად გონიოს მცვე-
 ლი იამაკი.

1 საფარის თვე, 1128 წელი — 26.1.—23.2.1716 წელი.

№ 56

რუხის ციხის ადგილობრივი მუსტაფაზების მეციხოვნის თანამ-
 დებობა.

რადგანაც ზემოხსენებულ ციხეში მეციხოვნის თანამდებობის მქონე ოსმანი, რომელსაც დღიური 45 ახჩა ულუფა ჰქონდა, გარდაი-
ვალა და მისი თანამდებობა თავისუფალი დარჩა, იგი ჯელფ ოფლი ოს-
მანმა შემოსავლის წყაროდ გაიხადა. რადგანაც მან ბერათის ბოძება
ითხოვა, ზემოხსენებული ციხის იანიჩართა აღას, ჯებეჯი ბაშის — ვე-
ლის, კაფუ აღას — სულეიმანის, თოფჩი ბაშის — მეჰმედისა და აზაბთა
აღას—აჰმედის არზის წარდგინების საფუძველზე ბერათი მიეცა. რეჯე-
ბის დასაწყისი 1121 წელი¹.

ბერათის ასლი ებოძა.

1121 წლის 4 რეჯები². ბრძანება.

45

22

67

30

2010

ყურუმი — 17.

¹ 1121 წლის რეჯების დასაწყისი — 6.9.1709.

² 1121 წლის 4 რეჯები — 9.9.1709.

№ 57

ანაკლიის ციხეში მცველთა აღას თანამდებობა

ანაკლიის ციხეში მცველთა აღას თანამდებობაზე მყოფი მეჰმედი,
რომელსაც დღიური ულუფა 40 ახჩა გააჩნდა, ციხეში არ ცხოვრობდა,
მისდამი არავითარ ყურადღებას არ იჩენდა, შორს იმყოფებოდა და
აუცილებელი სამსახური მიტოვებული ჰქონდა. ეს თანამდებობა ამას-
წინათ გონიოს სანჯაყის მფლობელის, გარდაცვლილი მეჰმედ ბეგის არ-
ზის საფუძველზე, ყოველგვარი საჭირო სამსახურის შესრულების პი-
რობით ებოძა ციხეში მცხოვრებ, ყოვლისშემძლე, ტოლთა და სწორ-
თა შორის უპირველეს იბრაჰიმს, იმატოს მისმა სიძლიერეჰ. იმ დღიდან
იგი ციხიდან არ გამოსულა. აქამდე დღე და ღამე იქ იმყოფებოდა და
სამსახურს ასრულებდა, მაგრამ აიძულეს გადამდგარიყო. რადგანაც ეს
ადგილი თავისუფალი იყო, ადრე, [1] 120 წლიდან¹ მოკიდებული ხსე-
ნებულ ლივანში მყოფმა გადაყენებულმა აჰმედ ბეგმა ქრთამით სხვა ად-
გილზე მცხოვრებ პირს—მურადს არზა მიართვა და ყოველნაირად შეე-
ცადა ბერათის მიღებას. რადგანაც ამჟამად აღნიშნული ციხე ცარიელი
და მიტოვებული იყო, იგი ამ ციხის უპირველესი პატრონი ვაზლა, მაგრამ

ამჯერად საჭირო სამსახურის შემსრულებელსა და უფლება დაკარგულ ხსენებულ იბრაჰიმს, იმატოს მისმა ძლიერებამ, აღნიშნული დამცველთა აღას თანამდებობა როგორც უწინ იყო ისე ებოძა და ხელზე უმაღლესი პატიოსანი ბერათის გაცემის სათხოვნელად ბათუმთან ახლოს მდებარე გონიოს სანჯაყის მფლობელმა მუსტაფა ბეგმა არზა წარადგინა. აღნიშნული დამცველთა აღას თანამდებობა მეჰმედის შუამდგომლობით როდესაც იბრაჰიმს ეკავა, მაშინ ციხე მეჰმედმა დაატოვებინაო, თქვეს და იგი მურად ბენ აჰმედს უბოძეს. იგი ამჟამად ციხეში ცხოვრობს. რადგანაც ამაზე მინაწერი არსებობს, მის საფუძველზე მიტოვებული სამსახური მას ებოძა და ბერათი გაიცა.

წელი: რეჯების ორი, 1132² ბრძანება.

ბერათი გაიცა ზილ-კაადეს 7, წელი [1]132³. მწერალი

1 [1]120 წელი — 23.3.1708. — 12.3.1709.

2 რეჯების ორი, წელი 1132 — 1720 წლის 10 მაისი.

3 ზილ-კაადე, 1132 წელი — 1720 წლის 10 სექტემბერი.

№ 58

ანაკლიის ციხის მეციხოვნის თანამდებობა.

ზემოხსენებული ციხის მეციხოვნე იბრაჰიმი სხვა მხარეში, აჭარის სანჯაყში ცხოვრობდა, მისი დღიური ჟღერდა 40 ახჩა იყო. მიტოვებული ციხე უსახელოდ და უპატრონოდ იყო. რადგანაც იბრაჰიმი თავის მოვალეობას სრულებით არ ასრულებდა, ამდენად აუცილებელი სამსახური თავისუფალი იყო. ზემოხსენებულ ციხეში კი კანონიერად ცხოვრობდა მურად იბნ აჰმედი, იმატოს მის სამფლობელოში ალაჰის მფარველობამ და კანონიერებამ. რადგანაც აღნიშნულ სამსახურში მისი ავტორიტეტი გაიზარდა, ზემოხსენებული მეციხოვნეობა ხსენებულ მურადს ებოძა. იმის გამო, რომ ამ თანამდებობის მოვალეობის შემსრულებელი პირი გადაკარგული იყო, ბათუმის სანჯაყში მცხოვრები აჰმედ ბეგის აზრისა და ამასთანავე ბათუმის ყადის ოსმან ეფენდის არზის საფუძველზედაც მეციხოვნეობა მურადს ებოძა და ხელზე პატიოსანი, დიდებული ბერათი მიეცა.

17 ჟემაზი ულ-ეველი, წელი: 1132¹. ბრძანება.

ბერათი გაიცა.

[1]132 წლის 21 ჟემაზი ულ-ეველი².

1 17 ჟემაზი ულ-ეველი, 1132 — 27.3.1720.

2 21 ჟემაზი ულ-ეველი, [1]132 — 31.3.1720.

ის [ალაპი] შეეწიოს

თოფჩი ბაშის თანამდებობა რუხის ციხეში.

ამას წინათ, 1132 წელს¹, მაღალი ალაპის წყალობით რუხის ციხე დაპყრობილ და დაკავებულ იქნა, შიგ მცველებად ჩაყენებულ ადგილობრივ თოფჩიებს ტოლთა და სწორთა შორის უპირველესი ალი, იმატოს მისმა სიძლიერემ, თოფჩი ბაშად დაენიშნა. როდესაც მისი სახელი მაღალ ზღურბლს წარედგინა, თითოეულ ჯარისკაცსა და ოფიცერს პატიოსანი ბერათი ებოძა და გამუდმებით დღე და ღამე ფადიშაჰის ციხის დასაცავად იქნენ ჩაყენებულნი და გულმოდგინეობით და მზრუნველობით სამსახური დაეკისრათ. განმარტებული წესით, მიუხედავად იმისა, რომ თანამდებობიდან გადაყენებული არ იყო, სხვა ადგილიდან მოსულმა აჰმედის სახელწოდების პირმა მის წინააღმდეგ საქმიანობით მას თოფჩი ბაშის თანამდებობა წაართვა. ვერაგული საქმიანობის მიუხედავად, თოფჩი ბაშის თანამდებობა როგორც უპირველესი მოწყალეა ხსენებულ ალისთვის რომ დაეტოვებინა ჩილდირის ბეგლარ-ბეგმა ისპაჟ ფაშამ [დღედაქალაქში] არზა გააგზავნა. აღნიშნული თოფჩი ბაშის თანამდებობა დღიური 40 ახჩა ულუფას ოდენობით ზემოხსენებული ალის მაგივრად, უპირველესი შუამდგომლობის გამო აჰმედს ებოძა. მიუხედავად იმისა, რომ მინაწერი არსებობდა, შუამდგომლობის საფუძველზე აღნიშნული თანამდებობა მას ებოძა და ბერათი გაიცა.

1133 წლის 17 რამაზანი². ბრძანება.

ბერათის თესქერე გაიცა 1133 წლის 24 რამაზანს³.

1 1132 წელი — 14.11.1719. — 1.11.1720.

2 1133 წლის 17 რამაზანი — 12.7.1721.

3 1133 წლის 24 რამაზანი — 19.7.1721.

№ 60

ანაკლიის ციხის ბეშლუიანების აღას თანამდებობა

ზემოხსენებული ციხის ბეშლუიანების ალა ჰასან იბნ ალი, რომლის დღიური ულუფა 40 ახჩაა, პირადად ყოველთვის უსაზღვრო გულითალობით ასრულებდა თავის მოვალეობას. მას ზემოხსენებული ციხის ალებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, ვილაიეთის მოსახლეობაც მასთან ურთიერთობითა და საქმიანობით კმაყოფილი და გახარებული იყო. ჯარისკაცებს თავიანთი სარგოები სრულად ეძლეოდათ. ყოველ შემთ-

ზევევამი მოსახლეობა სამართლიანი, ღვთისმორწმუნე და საქმიანი იყო. ხსენებულ ციხეში ათასი ჯარისკაცი იყო. ისინი არასდროს არ დაუსჯიათ. რადგანაც მიმოსვლის უფლება ჰქონდა, მუსტაფას სახელწოდების პირი სამსახურში არასდროს არ იმყოფებოდა. მან დედაქალაქში ზოგიერთების დახმარებით აღას თანამდებობის დაკავების უფლება მიიღო. ასეთი სიკეთის მიღების მიუხედავად, ზემოხსენებულ მუსტაფას ფორმალურად ეკავა აღას თანამდებობა, სინამდვილეში კი ადგილზე არასდროს არ იმყოფებოდა, ამის გამო უწესრიგობამ და არეულობამ ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. რადგანაც ლარბ ჯარისკაცებს სარგოები, საკვები და პროვიანტი სრულად ჰქონდათ, მუსტაფა, რომელსაც ზემოხსენებული აღას თანამდებობა ჰქონდა, მაგრამ რეალურად ადგილზე არ იმყოფებოდა, მზარდაჭერის გამო თანამდებობას ინარჩუნებდა. ამიტომ თავდაპირველი პატრონისთვის — ჰასანისთვის ამ თანამდებობის დატოვების საკითხზე მოწყალეობის სათხოვნელად ანაკლიის ციხის მეციხოვნე ისმაილთან ერთად, თოფჩი ბაში ჰასანისა და წარსულში აზაბთა აღა — ჰასან აღას თხოვნა იქნა წარდგენილი. მაგრამ ხსენებული აღას თანამდებობა მთავარ მოანგარიშესთან, ჰასანის თხოვნის მიუხედავად, რეგისტრირებულ და ჩაწერილ იქნა როგორც მუსტაფას თანამდებობა. მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ ინებეს „რუუსი ჰუმაიუნში“ ჩაწერა, ბეშლუიანების აღა მუსტაფა არასერიოზულად იქცეოდა და სხვა მხარეში ცხოვრობდა. წარჩინებული ალების გარდა ხსენებულ ციხეში ვერავინ ვერ შედიოდა. რადგანაც საჭირო სამსახური თავისუფალი და მიტოვებული იყო, იგი მუსტაფა ბეგის სურვილის მიუხედავად, ბათუმის ახლოს მდებარე გონიოს სანჯაყბეგის — მუსტაფა ბეგის თხოვნით ებოძა დამსახურებულ პირს — მეჰმედს, იმატოს მისმა სიძლიერემ. 1134 წლის რეჯების 23-ე¹ დღიდან გაცემულ „რუუსი-ჰუმაიუნში“ რეგისტრირებულ და ჩაწერილ იქნა. მაგრამ რადგანაც მის პირველ მფლობელს შუამდგომლობა გაუწიეს, ამიტომ გაიცა ბრძანება, როგორც უწინ იყო ისე დაეტოვებინათ. (1)134 წლის 11 შაბანი². თესქერეს ბერათი გაიცა (1)134 წლის 15 შაბანს³.

მწერალი.

1 1134 წლის რეჯების 23-ე — 9.5.1722.

2 1134 წლის 11 შაბანი — 27.5.1722.

3 1134 წლის 15 შაბანი — 31.5.1722.

№ 61

ანაკლიის ციხის თოფჩიების თოფჩიბაშილიქი.

იბრაჰიმმა არზა წარადგინა. ზემოხსენებულ ციხეში ადგილობრივი

თოფჩი ბაშის თანამდებობაზე მყოფი პირი, დღიური ულუფა 40 ახჩას ოდენობით, აღნიშნულ ციხეში შესაფერის სამსახურს ასრულებდა. გურჯისტანში, აფხაზეთსა და არზრუმის მხარეებში ტყვეთა სყიდვა იყო გავრცელებული. ამიტომ მან აუცილებელი სამსახური დატოვა და ხელზე ბოძებული არზის თანახმად, რადგანაც აღნიშნული თოფჩი ბაშილიქი, ხსენებულ ოსმანს მიეტოვებინა, თავად მას — იბრაჰიმს ებოძა. მისთვის ხელზე პატიოსანი, დიდებული ბერათის ბოძების საკითხზე არზა წარადგინეს. აღნიშნულის საფუძველზე, ხსენებული ციხის ბეშ-ლუიანების აღამ — ოსმანმაც არზა წარადგინა, მისი შუამდგომლობის გამოც ეს თანამდებობა მას ებოძა.

რები ულ-ახირის 2, წელი 1143¹. ბრძანება.

თესქერე გაიცა. რები ულ-ახირის 4-ს, წელი 1143².

¹ რები ულ-ახირის 2, წელი 1143 — 15.10.1730.

² რები ულ-ახირის 4, წელი 1143 — 17.10.1730.

№ 62

ის [ალაპი] შეეწიოს

დაწერონ!

არზრუმის ვალს დიდებულ ვეზირ ჰალილ ფაშას ებრძანა: შენ რომ შემოხსენებული ვეზირი ხარ და ამჟამად საქართველოში სამსახურში ხარ გამწესებული, მაღალი ალაპის წყალობით დადიანის ქვეყნიდან დასაპყრობი და ჩასაბარებელი რუზისა და ხეთის ციხეების დასაყავებლად ტრაპიზონის ვალის დიდებული ვეზირის იუსუფ ფაშას მარიფათით ბათუმის მხრიდან ნაგები გაიგზავნოს. ჩემი ბრძანების თანახმად, ბათუმისა და რიზეს ციხეებში მდგომი ათი ეშქამფუიას გემებით აუცილებლად ლაშქარი უნდა გაიგზავნოს. როდესაც აღნიშნულ ციხეებს აიღებთ, რაპვილის ციხისთვის განკუთვნილ ზარბაზნებთან, ჯაბახანასთან, პროლუქტებთან ერთად, ჰუვიესა და გონიოში არსებული სახელმწიფო პროვიანტიდანაც დამცველებს საკმარისი რაოდენობით გაეგზავნოს. საწყალი დამცველებისთვის ერთი წლით განკუთვნილი პროვიანტი ნაკლები რაოდენობით გაიგზავნოს. აუცილებელი საჭიროებისათვის მათ გაეგზავნოთ: ნაგებისა და გემების მსახურთა ხელფასი და სხვა აუცილებელი ნივთები. ციხეებისათვის ყოვლად საჭირო რამეები სასწრაფოდ დაიანგარიშეთ 1116 წელს¹. არზრუმის ზახინიდან ანდა ავარიზისა და ნუზლის თანხიდან, ანდა არზრუმის საბაჟოდან 500 ყურუში

გაიგზავნოს და ეს კაიმეთი ეუწყოს. აღნიშნული ეშკამფუიას გემებით ციხეებისთვის გასაგზავნი გადაკვეთილი ხარჯები, შენი ცნობების მიხედვით, ჩემმა სახელმწიფო ხაზინამ არსებული წესით, ამას წინათ ნაღდი ანგარიშით გააგზავნა. რადგანაც გასულ წელს გაგზავნილი სახელმწიფო პროდუქტებიდანაც 3600 ქილა ფქვილი, 1100 ყანთარი ჭვავი, 19556,5 ქილა ქერი, 7145 ქილა ზორბალი ამბარში იყო დაბინავებული, ამიტომ განსაზღვრული რაოდენობის პროდუქტები აქედანაც გაიცა. გაიცა აგრეთვე გაუთვალისწინებელი ხარჯი — ამას წინათ გარდაცვლილი ჯელფ მუსტაფას ვალი. მოვალეობის შემსრულებლებსა და პატიოსანი ეფენდის გადასახადის აკრეფის საკითხზე ჩემი ფირმანი აქვთ... თანხა 4500 ყურუმს შეადგენს. გასულ წელს მსახურმა მეჭმედმა, ხანგრძლივი იყოს მისი დიდებულება, ჩილდირის ბეგლარბეგს ისპაქ ფაშას ბეჭდიანი თამასუქით თანხის სხვაობა მიართვა. ამჟამად ვალად... ყურუმია. არზრუმის ჯიზედარის ვალად არსებული... ყურუმიდან ზემოხსენებულისათვის მთლიანად დაიხარჯა 4000 ყურუმ... ებოძა და მიღებულ იქნა... დამთავრდა. დიდებული ფირმანი გამოვიდა. 1116 წლის 2 მუჰარემი². პირველი მოანგარიშე [1]116 წ. 20 მუჰარემი³.

1 1116 წელი — 6.5.1704 — 24.4.1705.

2 1116 წლის 2 მუჰარემი — 7.5.1704.

3 [1]116 წლის 20 მუჰარემი — 25.5.1704.

№ 63

დაწერონ!

ტრაპიზონის ფაშას, ყადისა და საბაჟოს ემინს ებრძანოს, რომ ამ კურთხეულ წელს ანაკლიის ციხის შესაკეთებლად სადადიანოს გამგებლის (მელიქის) შუამდგომლობით ჩემი ფირმანი გაიცა. მიუხედავად იმისა, რომ ციხის კედლები ქვებით იყო აგებული, აქ ქვის საშუალება არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ რაიონში ქვა არ იშოვებოდა, მთელ სიგრძეზე კედლის აშენება კი საჭირო იყო. ხის სახურავი (ყავრები) დალბა. რადგანაც ციხის კუთხეებისა და წახნაგებისათვის რკინის გაკეთება აუცილებელი იყო, ამიტომ ჩემი ბედნიერების დედაქალაქიდან, სახელმწიფო ჯაბახანიდან 30 ყანთარი რკინა გემით ტრაპიზონის ნავსადგურში გაიგზავნა. მაღალი ალაპის წყალობით როდესაც გემებით ხსენებულ ნავსადგურში მივიდნენ, ანაკლიის ციხიდან ველარ მოახერხეს დაკავშირება. ხსენებულ ციხეში გასაგზავნისადმი თუ საჭირო მზრუ-

ნველობა იქნება გამოჩენილი, მაშინ დროულად გაგზავნისა და ჩაბარებისათვის დიდი დრო და გულითადობა დაგვკვირდება. ამ საკითხზე დიდებული ფირმანი გამოვიდა.

თესქერეს ბრძანება გაიცა.

1121 წლის 25 მუჰარემი¹. მწერალი.

შესრულდა.

პირველი მოანგარიშე.

1121 წლის 25 მუჰარემი — 6.4.1709.

¹ 1121 წლის 25 მუჰარემი — 6.4.1709.

№ 64

ის [ალაპი] შეეწიოს

სამეუფეო ნიშანი დაწერონ, რომ ისლამის საზღვრის დასასრულს საქართველოში მდებარე ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი 144 ადგილობრივი ჯარისკაცის დღიური 1640 ახჩაა, წლიური — 3628,5 ყურუშია. ყოველ წელიწადს თავიანთი ადგილებიდან სალიანეჯიები ჩამოდიან, მათთვის სარგოებს ცალკეული რაიონებიდან აგზავნიან. დანიშნულების ადგილზე მისვლის შემდეგ მათი შესანახი ხარჯების უმეტეს წილს სხვადასხვა სოფლებიდან შემოსული თანხა შეადგენს. ზოგჯერ თავიანთ სარგოებს ჩასვლისთანავე წელიწადნახევრის განმავლობაში თვითნებურად იღებენ. ზოგჯერ კიდევ არსებული წესის მიხედვით იღებენ მოსავალს. თუ დანიშნულ რაიონში წლის განმავლობაში მოუსავლიანობაა, სარგოს სხვა რაიონიდან იღებენ და ისაკუთრებენ. ადგილზე მისვლისთანავე თავიანთთვის გარკვეულ ჯარჯებს გამოჰქვითავენ. სალიანეჯი როდესაც ადგილზე მიაღწევს, მისი სარგოს ნახევარი ჰაზინაში არ შედის. საწყალ ჯარისკაცებს თავიანთი სარგოს ნაწილი რომ შეხვედროდათ, შემოსავლის ადგილთან ახლოს ინიშნებოდნენ. როდესაც რომელიმე რაიონი ოჯაქლიქად გამოიყოფოდა, მაშინ სარგოები მთლიანად იკრიბებოდა და ჯარისკაცებს ეძლეოდათ. ასეთ მდგომარეობაში მყოფი საწყალი ჯარისკაცები დღე და ღამე დაცვის სამსახურში იმყოფებოდნენ მორჩილად. ამ ჯარისკაცებს გაეგზავნათ 132 წლის¹ სარგოები.

133 წლის მუჰარემის დასაწყისიდან² წლიურად ვადაკვეთილი 3628,5 ყურუშიდან 628,5 ყურუში ოჯაქლიქის სანაცვლოდ ჩამოაკლეს. 3000 ყურუში არზრუმის საზღვრამხედველოს ფინანსებიდან ოჯაქლიქად გამოიყოს და მომავალში ჰსენებული მუკატას ემინის ხელით იქნეს

ადებული. ამის შესახებ ცნობები ბერათის ასლზე და ჰუჭეთის მეორე გვერდზეა მოცემული. ხსენებული მუკატაას ემინისთვის (თანხის) ჩაბარების შესახებ ადგილზე ჩაიწერა. ჩემი პატიოსანი ბრძანების საფუძველზე ოჯაქლიქის ბერატი ებოძათ. ამას გარდა, ჩვენი 3000 ყურუში სარგო 1133 წლის მუჰარემიდან არზრუმის საბაჟოს სახედამხედველოს მუკატაას ფინანსებიდან აიღონ და ადგილზე აღრიცხონ. ბერათის საბოძებლად როდესაც თელხისი იქნება, თელხისის თანახმად ადგილზე ჩაწერონ. ოჯაქლიქის ბერათის ბოძების საკითხზე ჩემი უდიდებულესი ფირმანი რადგანაც გამოვიდა, ეს ჩემი სამეფუფეო ბერატი გიბოძე და ვბრძანე, რომ ხსენებული ჯარისკაცების გულმოდგინებით გადაკვეთილი 3000 ყურუში 1133 წლის მუჰარემის დასაწყისში იქნეს აღებული და მსახურებს ებოძოს. მის საბოძებლად ამ დიდებული ბერათის ასლის მეორე გვერდზე მიწერილია სასამართლო გადაწყვეტილება და ბეჭდიანი თამასუქი გაიცეს. აღრიცხვის დროს ვალის დასაანგარიშებლად წესი დაცულ იქნეს და ამგვარად პატიოსანი ბერათის დასაწერად თესქერე გაიცეს.

1133 წლის 13 ჯემაზი ულ-ეველი³.

1 132 წელი — 14.11.1790.

2 133 წლის მუჰარემის დასაწყისი — 2.11.1720.

3 1133 წლის 12 ჯემაზი ულ-ეველი — 11.3.1721.

№ 65

ის [ალაპი] შეეწიოს
დაწერონ!

კაფუდან ვეზირ მუსტათა ფაშას ეუწყოს, რომ აფხაზი და მეგრელი ქაფიერები სხვა ქართველ ტომებთან ერთად გაერთიანდნენ და შეკავშირდნენ. განზრახული აქვთ იმ რაიონში მდებარე გონიოს, ზათუმისა და ანაკლიის ციხეებსა და მათ გარშემო მდებარე სოფლებისა და ნაპიეების მოსახლეობას ზიანი და უბედურება მიაყენონ. ხსენებული ციხეების ყაჩაღებისაგან დასაცავად წინათ ტრაპიზონის ვალმა ვეზირ მუსტათა ფაშამ, ხანგრძლივყოს ყოვლისმძლე ალაპმა მისი დიდებულეობა, გონიოს სანჯაყის მუთასარიფი მეჰმედი, ხანგრძლივი იყოს მისი ბედნიერება, ბაშ ბულად დანიშნა და ხსენებულ ლივაში შემავალი კაზების მეთაურებიც თავისი დროშის ქვეშ დარაზმა. ჯარისკაცებიც ზემოხსენებული ფაშას სამსახურში გამწესდნენ, მაგრამ რადგანაც აღნიშნული ყა-

ჩაღების უმეტესობა ჩეთეს ნავებით ზღვის ნაპირ-ნაპირ დაცურავდნენ, ამიტომ ჩვენები მხოლოდ ხმელეთზე დანიშნული ლაშქრით ახერხებდნენ ზიანისაგან თავის დაღწევას. ცხადი იყო, რომ ამ გზით შედეგებს ვერ მიაღწევდნენ. ზღვის მხრითაც შესაფერისი დაცვა იყო. ჩემს სამეუფეო ფლოტში ეშკამფუიასთან ერთად გაამწესეთ ათი დიდი ფირკათის შენაერთი. მის გასაგზავნად ჩსენებულ ვეზირს კაიმეიი ეცნობოს. ტრაპიზონის ყადის არზისა და მოსახლეობის კოლექტიური თხოვნის თანახმად, სინამდვილეში ჩსენებული ყაჩაღების უმეტესობა ჩეთეს ნავებით ზღვის ნაპირ-ნაპირ დაცურავენ. იმ ნაპირზე მყოფ იბადულლაჰს ზღვის მხრიდან ზიანს აყენებენ. ზიანის მიყენებას სისტემატური ზასიათი აქვს, ამიტომ ხალხი ზღვის სანაპიროზე ველარ დასეირნობს. რადგანაც ზარალს აყენებენ იმ რაიონს, მის დასაცავად აუცილებელია ეშკამფუიას უდიდესი შენაერთის დანიშვნა. ამიტომ შენ რომ ზემოხსენებული ვეზირი ჩსარ, 12—12 ადგილიანი ნავები სახელმწიფო ვერფში განაახლე და ხუთი ცალი ეშკამფუია ააშენე. სასწრაფოდ დაამთავრე მისი მშენებლობა. ყოვლისშემძლე ალაჰის წყალობით ყოველივეს დამთავრების შემდეგ შენ ჩემი სახელმწიფო ფლოტის კაფუდანების მეთაური იქნები. შენ გამოცდილი, საქმის მცოდნე, უშიშარი გმირი ხარ. იმ რაიონის მდგომარეობის ზედმიწევნით მცოდნე, საქმიანი, მამაცი კაფუდანებიდან ხუთი კაცი — კაფუდანი აირჩიე. ამთგან ერთი კაცი სუყველას ბაშ ბულად დაუნიშნე. თითოეულ ეშკამფუიას კაფუდანთან ერთად 29-29 ჯარისკაცი განუწესე, თვალადი და ძლიერი ლევენდები ჩაუწერე. ჩვენი ეშკამფუიების შემადგენლობა მკაცრად გააფრთხილე, რომ უწინდებურად ეშკამფუიას კაფუდანობისათვის მათთვის წლიურად 2-2 იუქი აჩჩა სალიანეს საბოძებლად ჩემს ბედნიერების კარს არზით ეუწყება. ასეთი რაოდენობის ეშკამფუიების ზარბაზნებით, პროდუქტებითა და დიდძალი შეიარაღებით მომზადების შემდეგ ერთ მშვენიერ დღეს წინასწარ განზრახული მიმართულებით გაემართეთ და როდესაც გაემგზავრებით ზედმეტი გულმოდგინება გამოიჩინეთ. აღნიშნულმა ეშკამფუიებმა დანიშნულ დროს უნდა შეასრულონ თავიანთი ამოცანა. რადგანაც იმ რაიონზე სასწრაფოდ იერიშის მიტანა უფრო მნიშვნელოვანი ღონისძიებაა ჩემი მაღალი სახელმწიფოსათვის, ამიტომ ეს მნიშვნელოვანი ჩანაფიქრი როგორც საჭიროა, ისე დაამთავრეთ. აუცილებელია ეშკამფუიების მეთაურებმა ერთი დღით ადრე დაამთავრონ სამზადისი. აუცილებლად საჭიროა იმ რაიონის მდგომარეობის მცოდნე გულადი და სახელოვანი კაფუდანებიდან რამდენიმე კაფუდანას არჩევა და დანიშვნა. ამათი დანიშვნით ჩემ მიმართ სასიამოვნო გულმოდგინებას გამოიჩენ. მაღალი ღმერთის წყალობით სამზადისი ერთი საათით ადრე დაამთავრებინე და დასახული მიზნისკენ გამგზავრებისას სრული ყურა-

დღემა გამოიჩინე. ამაზე ჩემი დიდებული ფირმანი გამოვიდა. ებრძანე-
1135 წლის 10 ზილ-კაადე¹. პირველი მონაგარიშე.

ბრძანების თესქერე გაიცა. 1135 წლის 10 ზილ-კაადე.
დაწერილია.

1 1135 წლის 10 ზილ-კაადე — 12.8.1732.

№ 66

ის [ალაპი] შეეწიოს

რუხის ციხის სკარიოებისათვის აღნიშნული ციხის მოსახლეობის
მიერ მომზადებული საჭურველის შესახებ:

თოფის წამალი	მიწის სათხრელი	მიწის სათხრელი იარაღის-
ყანთარი —	იარაღი—200 ცალი.	სახელური—400 ცალი-
ზარბაზანი—1		

თოფი — $\frac{1}{2}$

ხის დასამუშავებელი	პროდუქტების შესანახი	ტყვია
იარაღი—500 ცალი.	პატარა ჩანთა—1000	ყანთარი—10.
პატრუქი	ცალი.	საჭრეთლის სახელური—
ყანთარი—1.	მოკლე შუბი	ცული
	100 ცალი	50 ცალი
ერთგვარი საჭრეთელი	ერთგვარი ლურსმანი	რკინის ლაგამი
ცალი—20.	ყანთარი—2.	ყანთარი—3.

ერთგვარი ბურღი — 20 ცალი.

ჭებჭეების ბაში აღამ თელხისის თანახმად გასცესო, სწორია, სწო-
რია, სწორია.

ბრძანება. [1]120 წლის 29 ჟემაზი ულ-ეველი¹.

თქვენი მონის განმარტება ისაა, რომ საქართველოს მხარეში მღე-
ბარე რუხის ციხისათვის ბოძებული ფირმანი პროდუქტებისა და თოფის
წამლის დაეთარია. როდესაც ეს სახელმწიფოს ზღურბლს ეუწყება, ჟე-
ბეჯი ბაშის აღას მოხერხებულობით მათთვის ამ დაეთარის ბოძების
საკითხზე მაღალი ფირმანი თუ გაიცემა, ფირმანი ჩემი ბედნიერი სულ-
თნის უდიდებულესობაზეა.

ასლი გაიცა 1120 წლის ჟემაზი ულ-ახირის 18-ს².

1 [1]120 წლის 29 ჟემაზი ულ-ეველი — 16.8.1708.

2 1120 წლის ჟემაზი ულ-ახირის 18 — 4.9.1708.

ის [ალაპი] შეეწიოს

შესაბამის ადგილას ჩაიწეროს, ანლი გაიცეს!

მალალი ფირმანის თანახმად რუხის ციხის საჭიროებისათვის ჯაბახანისა და პროდუქტების დავთარი გაიგზავნა და გემის კაპიტანი დაიბეგრა:

შავი თოფისწამალი 20 ყანთარი	ტყვია 10 ყანთარი	მოკლე შუბი 100 ცალი
მცირე მოცულობის ლითონი: 7 ცალი	არსებული მდგომარეობისათვის ზანდუკი—2.	
აღნიშნული ვათარებისათვის საჭირო კურჭელი [საწყაო] 19 ცალი	ქსოვილი]ფარჩა] ერთი	საჭრეთელი 20 ცალი
მიწის სათხრელი იარაღი 200 ცალი ? — 2 ცალი	მიწის სათხრელი იარაღის სახელური—400 ცალი.	არსებული ვითარებისათვის ზანდუკი—1.
ხის დასამუშავებელი იარაღი—500 ცალი	შეშის ცული 50 ცალი	ეგვიპტის პატრუქი ერთი ცალი.
რკინის ლაგამი 3 ყანთარი	ხარი—7. ქსოვილი—1.	ერთგვარი ლურსმანი ორი ყანთარი
ტყავის ჩანთა 1000 ცალი. სწორია.	საჭრეთლის სახელური 20 ცალი.	ჩანთა — ორი ცალი.

რადგანაც განმარტებული წესით მალალი ფირმანი გაიცა რუხის ციხის საჭიროებისათვის, ზემოთ აღრიცხული ჯაბახანის საჭურველის გაგზავნის თაობაზე მალალი ალაპის წყალობით აღნიშნული საჭურველი ადგილზე იქნა მიტანილი და ჩაბარებული. ამჟამად რუხის ციხის მცველებმა ჯებეჯი ბაშის, ბედნიერი იუსუფ აღასგან საჭურველი სრულად მიიღეს და ამის გამო ეს თამასუქი გაიცა. 1120 წლის 19 ჯემაზი ულ-ახირი¹.

თქვენი მონა-მორჩილი ველი ჩორბაჯი, ამჟამად რუხის ციხის სერ. ჯებეს ვეჟილი.

¹ 1120 წლის 10 ჯემაზი ულ-ახირი — 27.8.1708.

ის [ალაპი] შეეწიოს

ასლი გაიცეს. შეჯერებულია.

შემოსავლისა და გასავლის ანგარიშის იჯმალი. ანაკლიაში მცხოვრები თურქმენ ბოზ ულუსის მუკატაას ფინანსებიდან 1126 წლის მუჰარემის დასაწყისიდან¹ ბოზოღლი ვეზირ მუსტაფა ფაშას ქედხულა სალეპ ალის ვალდებულება დაეკისროს.

განსხვავებასთან ერთად წელიწადში ყურუში ესედი — 7678.

თამასუქების თანახმად, დაუყოვნებლივ სახელმწიფო ხაზინეებს ჩაბარდეს.

ყურუში ესედი:

1 ცნობა:

ეს საქმე ასე დამთავრდა: 1126 წლის რეჯების დასაწყისში² რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ზოგიერთი იანიჩართა სარგო 77 ჯარისკაცისათვის ჯამი აღამ მიიღო და იამაკებმა [1]126 წლის³ მასარის, რეჯეჯის, რომენისა და ლეზეზის მთელი სარგო უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა იაზიჯის აიუბ მეჰმედის ხელით ჩაიბარეს.

ყურუში ესედი — 3020,5. [და] ფარა — 12.

2 ცნობა:

ეს საქმე ასე დამთავრდა: 1126 წლის რეჯების დასაწყისში რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა ხორცისა და პროდუქტების თანხები, გადაკვეთილი [1]126 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე⁴, ზემოხსენებულის ხელით ჩააბარეს.

ყურუში ესედი — 830,5 [და] ფარა — 2.

აღნიშნული საერთო თანხა — ყურუში 830,5 [და] ფარა — 2.

სახელმწიფო ხაზინას ჩაბარდა:

ყურუში: 3020,5	ფარა:
0381	12
0271,5	02
<u>4005</u>	<u>14</u>
7678	

3 ცნობა:

ეს საქმე ასე დამთავრდა: 1126 წლის რეჯების დასაწყისში, რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გამოსაზამთრებელი თანხა გადაკვეთილი 1125 წლის ერბაინის დასაწყისი-

დან⁵ 1126 წლის ერბაინის დასაწყისამდე,⁶ ზემოხსენებულის ხელით ჩაბარდა.

ყურუში ესედი — 271,5

4 ცნობა:

ეს საქმე ასე დამთავრდა: 1126 წლის რეჯების დასაწყისში თაქსილ-დარ მუსტაფა აღას ხელით ჩაბარდა 4005 ყურუში ესედი.

სახელმწიფო ხაზინას ჩაბარდა:

3020.5	ყურუში	ფარა
381		12
271,5		02
4005		14
<hr/>		
7678		

აღნიშნულის თანახმად, მხოლოდ 7678 ყურუში რეგისტრირებულია ადგილზე იბრაჰიმ ხალიფას მემკვიდრებით. 1126 წლის 4 ზილ-კაადე⁷.

ანგარიშის ასლი გაიცა 1126 წლის 15 ჯემაზი ულ-ეველს⁸.

[1] 126 წლის რეჯების დასაწყისი.

ყურუში: 0830,5

449,5
381

გადახდილია 1126 წლის 9 რეჯებს⁹.

აღნიშნული თანხის „სებები თაპირის“ ვალდებულების მიღების თესქერე გაიცა 1126 წლის ზილ-კაადეს თვეში¹⁰. ყველაფერი კანონიერადაა დაცული.

1 1126 წლის მუჰარემის დასაწყისი — 1714 წლის 17 იანვარი.

2 1126 წლის რეჯების დასაწყისი — 1714 წლის 13 ივლისი.

3 [1] 126 წელი — 1714 წელი.

4 1126 წლის ზილ-ჰიჯეს მიწურული — 1715 წლის 6 იანვარი.

5 1125 წლის ერბაინის დასაწყისი — 19.12.1713.

6 1126 წლის ერბაინის დასაწყისი — 8.12.1714.

7 126 წლის 14 ზილ-კაადე — 1714 წლის 21 ნოემბერი.

8 1126 წლის 15 ჯემაზი ულ-ეველი — 1714 წლის 29 მაისი.

9 1126 წლის 9 რეჯები — 1714 წლის 21 ივლისი.

10 1126 წლის ზილ-კაადე — 8.11.1714. — 8.12.1714.

№ 69

ის [ალაპი] შეეწიოს

სალეპ ქედხუდა ბოზაიკლი მუსტაფა ფაშას ვალდებულებაა გადაიხადოს სარგო ანაკლიის მკვიდრ ბოზ ულუს თურქმანათის მუკატას შე-

მოსავლიდან 1126 წლისათვის¹ გადაკვეთილი, მუსტაფა ალა თაჰსილ-
დარის ხელით.

ახალი ოქრო [ზოლთა ჯედიდი]:

ესედი ყურუშით დაანგარიშებული — 3005

ახჩა — 480600

ზემოხსენებული ახჩიდან — 483872

თეფაუტი ჰასანათი — 6728

ეს საქმე ასე დამთავრდა სახელმწიფო რუზნამჩეს მეშვეობით
1126 წლის რეჯების დასაწყისში².

თამასუქის მიხედვით, ამ დოკუმენტის ასლი სახელმწიფო რუზნამ-
ჩესია და ინიეს რაიონიდან გაიგზავნა. 1126 წლის 28 რეჯები³.

იხილეთ შესაბამისი კალემიე [განყოფილება].

აღნიშნულის თანახმად, ზემოხსენებული მუკატაას 1124 წელს გა-
დაკვეთილი დაკანონებულია, ვალდებულებანი სრულად ჩაბარებული,
დავთარში რეგისტრირებული და ჩაწერილია. ბრძანება და ფირმანი
თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო პატივმოსილო სულთანო. 1126
წლის 16 ზილ-პიჯე⁴.

1 1126 წელი — 1714 წელი

2 1126 წლის რეჯების დასაწყისი — 1714 წლის 13 ივლისი.

3 1126 წლის 28 რეჯები — 1714 წლის 9 აგვისტო.

4 1126 წლის 6 ზილ-პიჯე — 1714 წლის 23 დეკემბერი.

№ 70

ეშკამფუიას ლევენდათებისა და კაფუდანებისათვის საქირო პრო-
დუქტების შესახებ, რომელიც 1124 წელს¹ გამოიყო და გაიგზავნა ბედ-
ნიერების დედაქალაქიდან ანაკლიის მხარისაკენ. მინაწერისა და პატიო-
სანი ფირმანის თანახმად ბრძანება გაიცა ამჟამად ელ ჰაჯ ნურ ად-დინის
მეშვეობით [?] თერთმეტამდე ყანთარი ორცხობილას გაცემისა და გაგ-
ზავნის შესახებ.

ეშკამფუია — 4 ცალი.

ჯარისკაცები — 116.

დღეში:

ორცხობილა — 58 ოყა.

დაანგარიშებულია:

46ნ,5 ყანთარი და 6 ოყა.

თითოეულ ნაწილში ჯარისკაცები:

28.—ლევენდათი

1—კაფუდანი.

29

ყოველ დღე:

თითოეულ ჯარისკაცს — 0,5 ოყა.

1124 წელს ბედნიერების დედაქალაქიდან ანაკლიის მხარისკენ და-
ნიშნული და გაგზავნილი ოთხი სახელმწიფო ეშკამფუიას ლევენდათებ-

სა და კაფუდანებს ერთი წლით ებოძათ ორცხოვნილია — 466,5 ყანთარი და 6 ოყა. მიუხედავად იმისა, რომ ამჯერადაც წლიურად ბოძებული მხოლოდ 466,5 ყანთარი და 6 ოყა ორცხოვნილია კვლავაც საკმარისი არაა, იგი ელ ჰაჯ ნურ აღ-დინის მიერ გაიცა და გაიგზავნა. რადგანაც ამაზე ფირმანი არსებობს, მის საფუძველზე პროდუქტის მისაღებად ეს ასლი გაიცა.

1126 წლის 12 ზილ-კაადე².

აღნიშნული ორცხოვნილია 466,5 ყანთარი და 6 ოყა აიღება იმ პირობით თუ იგი მაღალხარისხოვნად იქნება გამომცხვარი.

ბეშირ მეჰმედ კაფუდანი.
მწერალი.

¹ 1124 წელი — 1712 წელი.

² 1126 წლის 2 ზილ-კაადე — 19.12.1714.

№ 71

ის [ალაპი] შეეწიოს

უმალღესი სამეუფეო კარის იანიჩრების თაობაზე მთავარ მოანგარიშეს დაევალოს, მთავარ მოანგარიშეს დაეწეროს, პირველი მუბაშირი დაინიშნოს და სარგოთათვის გაიგზავნოს.

ანაკლიის ციხის დასაცავად:

ჯარისკაცები — 128.

ყურუში 674—1119 წლის მასარსა და რეჯეჟში¹ გადაკვეთილი სარგო.

$\frac{293}{967}$ —[1]119 წლის² ხორცისა და პროდუქტების თანხა

სახელმწიფო რუზნამჩეს ასლის მიხედვით მხოლოდ 967 ყურუშია. დაიწერა 1119 წლის 4 რამაზანს³.

¹ 1119 წლის მასარი და რეჯეჯი — 1707 წლის აპრილი, მაისი, ივნისი და 1708 წლის ივნისი, ივლისი და აგვისტო.

² [1]119 წელი — 4.4.1707. — 22.3.1708.

³ 1119 წლის 4 რამაზანი — 29.11.1707 წელი.

№ 72

ის [ალაპი] შეეწიოს

სწორია
ბრძანება.

1125 წელი. არზრუმის საბაჟოს ფინანსებიდან შეივსოს.

რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ზოგერთი ჯებეჯის სარგოს იჯმალი გადაკვეთილია 1125 წლის მასარის, რეჯეჯის, როშენისა და ლეზეზისთვის², ბედნიერების (დედაქალაქის) ხაზინის ბრძანების შემოწმების საფუძველზე.

125 წლის 29 ზილ-კაადე³.

ჯარისკაცი — 28

დღე — 192

გადაკვეთილია ოთხი კვარტალი

ახჩა — 67968

მხოლოდ 67968 ახჩაა.

დაანგარიშებულია 1125 წლის ზილ-ჰიჯეს დასაწყისში⁴. არზრუმის საბაჟოს თანხებიდან 1125 წლის სარგო ჯებე (ჯიების) ჩაუშის ისმაილის მიერ გაიგზავნა.

[მეორე გვერდზე]:

424,5

1.5

8490

4245

46

57976

16995

67968

1 1125 წელი — 28.1.1713 — 16.1.1714.

2 1125 წლის მასარი, რეჯეჯი, როშენი ლეზეზი — მასარი: 1713 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი; რეჯეჯი: აპრილი, მაისი, ივნისი; როშენი: ივლისი, აგვისტო, სექტემბერი; ლეზეზი: ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.

3 1125 წლის 29 ზილ-კაადე — 1713 წლის 17 დეკემბერი.

4 1125 წლის ზილ-ჰიჯეს დასაწყისი — 1713 წლის 19 დეკემბერი.

№ 78

ის [ალაპი] შეეწიოს

სწორია. ბრძანება.

1125 წელი¹. სივასის სურსათ-ბედელიდან შეივსოს.

საქართველოს განაპირა საზღვარზე მდებარე ანაკლიის ციხის ჯარისკაცების სარგო გადაკვეთილია 1125 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე². რადგანაც გაცემულია ბრძანება სა-

ხელმწიფო ხაზინის მიერ ასეთი თანხის ბოძების თაობაზე, სსენებულო-
ციხის დიზდარის—ჰუსეინის არზის, ისლამის სერ თოფჩიების ბეშლუ-
იანების ალას—მუსტაფას მინაწერის, თელხისისა და მაღალი ფირმანის
საფუძველზე პირველი მოანგარიშის მიერ დაწერილი ხაზინის თესქერე
გაიცა. დაიწერა 1125 წლის ჯემაზი ულ-ახირის მიწურულსა პატიოსანი
ფირმანის საფუძველზე.

ჯარისკაცები — 144. დღე — 1240.

წელიწადში:

ახჩა — 580560

მხოლოდ 580560 ახჩაა.

დაიწერა 1125 წლის რეჯების დასაწყისში⁴.

დაანგარიშებულია [1]125 წლის რამაზანის დასაწყისში⁵ (1)125
წლის სივასის სურსათის თანხიდან ანაკლიის ციხის აზაბთა ქედხუდას
— ჰუსეინის მიერ.

გაიგზავნა.

[მეორე გვერდზე]: გასულ წელს რუზნამჩესაგან.

1124 წლის⁶ ჯიზიას დავთრის მიხედვით.

$$16 \frac{1}{4}$$

38
<hr style="width: 50%; margin: 0 auto;"/>
580560
<hr style="width: 50%; margin: 0 auto;"/>
3628,5
<hr style="width: 50%; margin: 0 auto;"/>
12
<hr style="width: 50%; margin: 0 auto;"/>
7256
<hr style="width: 50%; margin: 0 auto;"/>
36286
<hr style="width: 50%; margin: 0 auto;"/>
435420
<hr style="width: 50%; margin: 0 auto;"/>
145440
<hr style="width: 50%; margin: 0 auto;"/>
480560

ძირითადი
ზედმეტი

-
- 1 1125 წელი — 28.1.1713. — 16.1.1714.
 - 2 1125 წ. მუპარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე — 28.1.1713 — 16.1.1713.
 - 3 1125 წლის ჯემაზი ულ-ახირის მიწურული — 23.7.1713.
 - 4 1125 წლის რეჯების დასაწყისი — 24.7.1713.
 - 5 [1]125 წლის რამაზანის დასაწყისი — 21.9.1713.
 - 6 1124 წელი — 9.2.1712. — 27.1.1713

ის [ალაპი] შეეწიოს

1128 წლის საფარის დასაწყისის¹ ანგარიშის ასლი.

სეიდ დერვიშ ალას ვალდებულებაა სოფელ ველადეთსა და მასთან არსებული ავარიზისა და ბედელი ნისფი ბალათის მუკატაას თანხიდან 1127 წლისათვის² გადაკვეთილი სარგოები საქართველოს საზღვარზე მდებარე ანაკლიის ციხის ადგილობრივი ბეშლუიანებისათვის, აზაბებისა და მუსტაფაზებისათვის გაიღოს 1127 წლის მუჰარემის დასაწყისიდან³ ამავე წლის ზილ-პიჯეს მიწურულამდე⁴ ბეშლუიანების ქუდიხუდას ჰასანის ხელით.

ჯარისკაცები — 120

დღეში — 1350

ახჩა — 24000 — ძირითადი.

8000 — ზედმეტი

32.000

საგადასახადო ორდერით [თესქერეთი] აღნიშნული საერთო თანხა 477900 გაუფასურებული ახჩა,

ყურუშით დაანგარიშებული — 200. თითოეული — 160 ახჩაა.

ზემოხსენებული ახჩიდან — 23664.

თეფაუტი ჰასენათი — 336.

განსხვავება მხოლოდ 200 ყურუში ესედია.

თესქერე გაიცა [1]128 წლის საფარის 6⁵.

[მეორე გვერდზე] შეჭერებულია დავთრის დედანთან.

¹ 1128 წლის საფარის დასაწყისი — 26.1.1716.

² 1127 წელი — 1715 წელი.

³ 1127 წლის მუჰარემის დასაწყისი — 7.1.1715.

⁴ [1127 წ.] ზილ-პიჯეს მიწურული — 26.17.1715.

⁵ [1]128 წლის საფარის 6 — 31.1.1716.

ის [ალაპი] შეეწიოს

1128 წლის საფარის დასაწყისის¹ ანგარიში [ასლი].

თარსუსის ზასების მუკატაასა და მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორიების შემოსავლიდან 1127 წლის მუჰარემის დასაწყისში² ბოსნევი აჰმედ ალამ და მეორე აჰმედ ალამ ვალდებულება იკისრეს საქართველოს საზღვარზე მდებარე ანაკლიის ციხის ადგილობრივი ბეშლუიანების

ნების, აზაბების, მუსტაფაზებისათვის გადაკვეთილი სარგოს გადახდა 1127 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე³. ჩაბარდეს ბეშლუიანების ქედხუდა ჰუსეინის ხელით.

ჯარისკაცები — 120

დღეში — 1350

96000 ძირითადი

32000 ზედმეტი

128000

საგადასახადო ორდერით [თესქერეთი] აღნიშნული საერთო თანხა — ახია — 477900.

ყურუშით დანგარიშებული — 800, თითოეული 160 ახია.

ზემოხსენებული ახიდან — 94656.

თეფაუტი ჰასანათიდან — 1344.

განსხვავება მხოლოდ 800 ყურუშში ესედია.

თესქერე გაიცა [1]128 წლის 9 საფარს⁴. მწერალი.

(მეორე გვერდზე): შეჭერებულია დავთრის დედანთან.

1 1128 წლის საფარის დასაწყისი — 26.1.1716.

2 1127 წლის მუჰარემის დასაწყისი — 7.1.1715.

3 [1]1127. წ. [ზილ-ჰიჯეს მიწურული — 26.12.1715.

4 [1]128 წლის 9 საფარი — 4.1.1716.

№ 70

ის [ალაპი] შეეწიოს

1128 წლის საფარის დასაწყისის¹ ანგარიში [ასლი].

შეჰიდ ალისა და შეჰიდ დერევიშის ვალდებულებათურქმენი ჩიკაკლუს მუჰატას შემოსავლიდან გაიღონ 1127 წლის მუჰარემის დასაწყისიდან² გურჯისტანის საზღვარზე მდებარე ანაკლიის ციხის ადგილობრივი ბეშლუიანებისათვის, აზაბებისა და მუსტაფაზებისათვის გადაკვეთილი სარგო 127 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე³. ჩაბარდეს ბეშლუიანების ქედხუდა ჰუსეინის ხელით.

ჯარისკაცები — 120, დღეები — 1350.

24000 ძირითადი.

8000 ზედმეტი.

30000

საგადასახადო ორდერით [თესქერეთი] აღნიშნული საერთო თანხა — ახჩა — 277900.

ყურუშით დაანგარიშებული — 200. თითოეული 160 ახჩაა.

23664

336

24000

ზემოხსენებული ახჩიდან — 23664.

თეფაუტი პასანათისგან — 336.

განსხვავება მხოლოდ 200 ყურუში ესედია.

თესქერე გაიცა [1]128 წლის საფარის 6¹.

[მეორე გვერდზე]: შეჭერებულია დავთრის დედანთან.
მწერალი.

1 1128 წლის საფარის დასაწყისი — 26.1.1716.

2 1127 წლის მუჰარემის დასაწყისი — 7.1.1715.

3 [1127. წ.] ზილ-ჰიჯეს მიწურული — 26.12.1715.

4 [1]128 წლის საფარის 6 — 31.1.1716.

№ 77

ის [ალაპი] შეეწიოს

1128 წლის 9 ჯემაზი ულ-ახირის¹ ანგარიში (ასლი)

ჰუსეინ აღას ვალდებულებაა მიდილლუს კუნძულისა და მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორიების ურწმუნოთა ჯიზიას თანხიდან გაიღოს არზრუმის მხარეში, გურჯისტანის ვილაიეთში, რუხის ციხეში მყოფი ადგილობრივი თოფჩიების ჯარისკაცებისათვის გადაკვეთილი სარგო და პროდუქტების თანხა 1128 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე². გადაკვეთილი სარგო ჩაბარდეს მუსტაფა ჯელფ სარაის ხელით.

ჯარისკაცები — 15

ახჩა — 56066 ძირითადი

18688 ზედმეტი

74754, თითოეული 120-120 ახჩაა.

ყურუშით დაანგარიშებული — 467, ფარა — 8, ნალდევ — 2.

მხოლოდ 467 ყურუში, 8 ფარა და ორი ნალდევია.

სარგო — 15 ჯარისკაცზე

დღეში — 201.

წელიწადში — 71154 ახჩა.

პროდუქტების თანხა:

ჯარისკაცები — 15

თვეში ზორბალი: 8,5 ქილა,

წელიწადში: 90 ქილა, თითოეუ-

ლი ქილა 40.—40 ახჩაა.

ახჩა — 3600

თამასუქი გაიცა. მწერალი.

[მეორე გვერდზე]: შეჭერებულია დავთრის დედანთან.

1 1128 წლის 9 ჯემაზი ულ-ახირი — 1716 წლის 31 მაისი.

2 1128 წ. მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე — 27.2.1715. — 15.12.1716.

№ 78

ის [ალაპი] შეეწიოს

1130 წლის ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისის¹ ანგარიშის ასლი.

მარდინის მუჰატაასა და მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორიების შემოსავლიდან 1129 წლისათვის² გადაკვეთილი ვალდებულებიდან... საქართველოს საზღვარზე მდებარე ანაკლიის ციხის ადვილობრივი თოფჩიების ჯარისკაცების სარგო გადაკვეთილია 1129 წლის რეჯების დასაწყისიდან³ ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე⁴. იგი გადახდილ უნდა იქნეს სტამბოლში, თოფხანეში მცხოვრები თოფხანელი ჰაჯი აბდულლაჰ თალიმჯი ზადეს მიერ.

ჯარისკაცები — 24,

დღეში — 29

დღეები — 177

ძირითადი — 38498

ზედმეტი — 12832

150330

ყურუში ესედით დაანგარიშებული — 320,5, თითოეული — 160—160 ახჩაა, ფარა — 12, ნალდიე — 2.

თეფაუტი ჰასენესაგან — 641.

ზემოხსენებული ახჩიდან — 78857.

განსხვავება მხოლოდ 320,5 ყურუში, 12 ფარა და ორი ნალდიეა.

თამასუქი გაიცა. [1]130 წლის ჯემაზი ულ-ახირის 9⁵. მწერალი.
[მეორე გვერდზე]: შეჯერებულია დავთრის დედანთან.

- 1 1130 წლის ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისი — 1718 წლის 2 მაისი.
- 2 1129 წელი — 16.12.1717.
- 3 1129 წლის რეჯების დასაწყისი — 1717 წლის 11 ივნისი.
- 4 [1129 წ] ზილ-პიჯეს მიწურული — 1717 წლის 4 დეკემბერი.
- 5 [1]130 წლის 9 ჯემაზი ულ-ახირი — 1718 წლის 10 მაისი.

№ 70

ის [ალაპი] შეეწიოს

1130 წლის ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისის¹ ანგარიშის ასლი.

მარდინის მუკატაასა და მისდამი დაქვემდებარებული ტერიტორიების შემოსავალზე 1129 წლისათვის² გადაკვეთილი ფულადი ვალდებულებიდან... გადაკვეთილია საქართველოს საზღვარზე მდებარე ანაკლიის ციხის ბეშლუიანების ჯამათის ჯარისკაცების სარგო 1130 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-პიჯეს თვის მიწურულამდე³. იგი გადახდილ უნდა იქნეს სტამბოლში, თოფხანეში მცხოვრები თოფხანელი ჰაჯი აბდულლაპ თალიმჯი ზადეს მიერ.

ჯარისკაცები — 40,
დღეში — 450,

დღეები: — 354
ძირითადი — 119475
ზედმეტი — 39825

159300

ყურუშით დაანგარიშებული — 995,5 და 5 ფარაა. თითოეული ყურუში 160-160 ახჩაა

თეფაუტი ჰასენე — 1991

შემოსხენებული ახჩიდან — 127484

განსხვავება მხოლოდ 995,5 ყურუში და 5 ფარაა.

თამასუქი გაიცა. [1]130 წლის 9 ჯემაზი ულ-ახირი⁴. მწერალი
[მეორე გვერდზე]: შეჯერებულია დავთრის დედანთან.

-
- 1 1130 წლის ჯემაზი ულ-ახირის დასაწყისი — 1718 წლის 2 მაისი.
 - 2 1129 წელი — 16.12.1716. — 4.12.1717.
 - 3 1130 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-პიჯეს მიწურულამდე — 5.12.1717. — 23.11.1718.
 - 4 [1]130 წლის 9 ჯემაზი ულ-ახირი — 1718 წლის 10 მაისი.

ქაფირთა ხელიდან წართმეული და განთავისუფლებული და ისპაკ ფაშას გულმოდგინეობით განახლებული, აღწერილი და დადგენილი: რუხის ციხეში მყოფი ადგილობრივი თოფჩიებისა და ჭებეჯიების ჯარისკაცთა პროდუქტების თანხისათვის სარგო გადაკვეთილია 132 წლის მუჰარემის დასაწყისიდან¹ ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე².

ჯარისკაცები — 40 ჭებეჯიების ჯარისკაცები
25 თოფჩიების ჯარისკაცები
 65

თვეში ხორბალი: 65 ქილა

თითოეულს [ჯარისკაცს] თითო ქილა

თვეები: 12.

ქილა — 780, თითოეული 40 სალი ახჩა.

ახჩა — 31200

ყურუში ესედი — 260.

სწორია.

თელხისის თანახმად თესქერე გაიცეს. ბრძანება.

თესქერე გაიცა. 1132 წლის 10 რები ულ-ახირი³.

თქვენი მონა-მორჩილის თხოვნა ისაა, რომ საქართველოს საზღვარზე მდებარე ქაფირთა ხელიდან გამოგლეჯილი და განთავისუფლებული რუხის ციხის დასაცავად ჩილდირის ბეგლარბეგის ისპაკ ჯარისკაცების გულმოდგინეობით 65 ადგილობრივი ჯარისკაცი—ჭებეჯი და თოფჩი ზელახლა ორგანიზებულ და ხსენებულ ციხეში ჩაყენებულ იქნა. [1]132 წლის მუჰარემიდან ერთი წლით ბოძებული ულუფები მათი კალემიდან (ბიუროდან) გაიცა. ხსენებული ციხე ზელახლა იქნა დაპყრობილი. რადგანაც ჯარისკაცები პროდუქტებს საჭიროებდნენ, სხვა საზღვრებზე არსებულის მსგავსად, თითოეულ ჯარისკაცს თვეში თითო-თითო ქილა ებოძა. 65 კაცზე [1]132 წლის მუჰარემიდან ერთი წლით ხორბალმა 780 ქილა შეადგინა. იმ რაიონში რადგანაც სახელმწიფოს მიერ გამოგზავნილი პროდუქტები არ იყო, თადარიგის დასაქერად თითოეულ ქილაზე 40-40 სალი ახჩა დაწესდა. საჭირო ხორბლის თანხა, 260 ყურუში, დაანგარიშებულ იქნა და აღნიშნულის თანახმად, მთავარ მოანგარიშესთან ჩაიწერა. აღნიშნული თანხის თესქერეს გაცემის საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

[მეორე გვერდზე].

260
16

1560
260

41600

-
- 1 1132 წლის მუჰარემის დასაწყისი — 14.11.1719.
 - 2 [1]1132 წ. ზილ-ჰიჯეს მიწურული — 1.11.1720.
 - 3 1132 წლის 10 რეზი ულ-ახირი — 20.2.1720.

№ 81

ის [ალაჰი] შეეწიოს

ქაფირთა ხელიდან წართმეულ და განთავისუფლებულ, საქართველოს ვილაიეთში მდებარე რუხის ციხის დასაცავად მყოფი ადგილობრივი თოფჩიებისა და ჯებეჯიების ჯარისკაცთა ხორბლის თანხა და პროდუქტები გადაკვეთილია 1132 წლის მუჰარემის დასაწყისიდან¹ ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე². საამისო თანხა სახელმწიფო ხაზინიდან გაცა პირველი მოანგარიშის ბრძანების, ხაზინის თესქერეს დაწერის, თელხისის, მალალი ფირმანისა და პატიოსანი ბრძანების საფუძველზე.

1132 წლის 1 რეზი ულ-ახირი³.

ჯარისკაცები — 40 — ჯებეჯიების ჯარისკაცები
25 — თოფჩიების ჯარისკაცები

65

თვეში: ხორბალი: 65 ქილა

თითოეულ ჯარისკაცს თითო-თითო ქილა.

თვეები — 780⁴.

ახჩა — 31200, თითოეული ქილა 40 ახჩაა.

ყურუშით დაანგარიშებული — 260.

ახჩა — 41600, თითოეული 160 ახჩაა. ;

დაიწერა 1132 წლის 10 რეზი ულ-ახირს⁵.

-
- 1 1132 წლის მუჰარემის დასაწყისი — 14.11.1719.
 - 2 [1132 წ.] ზილ-ჰიჯეს მიწურული — 1.11.1720.
 - 3 1132 წლის 1 რეზი ულ-ახირი — 11.2.1720.
 - 4 დედანში 780 წერია, რაც აშკარა შეცდომაა, უნდა იყოს 12.
 - 5 1132 წლის 10 რეზი ულ-ახირი — 20.2.1720.

ის [ალაპი] შეეწიოს

1134 წლის 12 რები ულ-ახირის¹ ანგარიშის ასლი.

გუმუშპანეს ემინის ქესქინ ისმაილ ალას ვალდებულებაა: მაადენ შანუმისა, მეორე სახელი გუმუშპანესა და მისდამი დაქვემდებარებული მუკატაას შემოსავლის თანხიდან საარსებო საშუალებათა სახით 1133 წლისათვის² გაილოს რუხის ციხეში დამცველებად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიებისათვის 1134 წლის მასარის, რეჯეჯის, როშენისა და ლეზეზის³ სარგო, [ჩაბარდეს] ჯებე [ჯიების] ჩაუშის იაყუბის ხელით.

ჯარისკაცები — 39; დღე — 308.

გადაკვეთილია — ახჩა 108676. თითოეული ახჩა 120--120 შეადგენს.

ყურუშით დაანგარიშებული — 905,5, ფარა — 5 და ერთი ნაღდია.

თეფაუტი ჰასანათი — 1521.

ზემოხსენებული ახჩიდან — 108155.

[მასთან ერთად] სხვაობა მხოლოდ 90,5 ყურუში, ფარა — 5 და ერთი ნაღდია.

თამასუქი გაიცა.

1134 წლის 20 რები ულ-ახირი⁴.

[მეორე გვერდზე]: შეჯერებულია დავთრის დედანთან.

1 1134 წ. 12 რები ულ-ახირი — 30.1.1722.

2 1133 წელი — 21.11.1720. — 21.10.1721.

3 1134 წლის მასარი, რეჯეჯი, როშენი და ლეზეზი — 1. მასარი — 1721 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი. 2. რეჯეჯი — 1722 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი. 3. როშენი — 1722 წლის აპრილი, მაისი, ივნისი. 4. ლეზეზი — 1722 წლის ივლისი, აგვისტო, სექტემბერი.

4 1134 წლის 20 რები ულ-ახირი — 1722 წლის 7 თებერვალი.

ის [ალაპი] შეეწიოს

1146 წლის რამაზანის დასაწყისის¹ ანგარიშის ასლი.

მეჰმედ ალა ქულბუღა ჰათიჯე სულთანისა და მეჰმედ ბეგ ჰასან ფაზა-ზადეს ვალდებულებებია: 1146 წლისათვის² გადაკვეთილი თანხის გადახდა ყარსის საზღვარზე მდებარე ბრინჯის მუკატაას, სისის ლი-

ვასა და მისდამი დაქვემდებარებული რაიონის გვარჯილას გადასახადი-
დან. ქურქჩიებსა და სხვა ჯარისკაცებს გასამრჯელო ნაკლები ოდენობით
ეძლეოდათ. ეშკამფუიას გემების სალიანელ კაპიტნებს, რომლებიც
ფოთის, სოხუმისა და ანაკლიის განახლებულ, მშენებარე ციხეებს იცა-
ვენ და აღნიშნული ციხეების დაცვის სამსახურში იმყოფებიან, გადაკ-
ვეთილი აქვთ სარგო 1144 წლის მუჰარემის დასაწყისიდან³ 1145 წლის
საფარის მიწურულამდე⁴. აღნიშნული თანხა ხელზე ებოძოს ეშკამ-
ფუიას კაპიტნების სახელით იბრაჰიმ კაფუდან მიდან ზადეს.

60000 — ძირითადი

20000 — ზედმეტი

80000

ყურუშით დაანგარიშებული — 500, თითოეული ყურუში 160 ახ-
ჩაა.

აღნიშნული საერთო თანხა თესქერეში — 3150. :

ზემოხსენებულთა ახჩეებიდან — 99160

თეფაუტი ჰასანათი — 840

განსხვავება მხოლოდ 500 ყურუში ესეღია.

თესქერე გაიცა. (1)146 წლის 9 რეზი ულ-ეველი⁵.

[მეორე გვერდზე]: შეჯერებულია დავთრის დედანთან.

1 1146 წლის რამზანის დასაწყისი — 5.2.1734.

2 1146 წელი — 14.6.1733. — 2.6.1734.

3 1144 წლის მუჰარემის დასაწყისი — 6.7.1731.

4 1145 წლის საფარის მიწურული — 21.8.1732.

5 [1]146 წლის 9 რეზი ულ-ეველი. — 30.8.1732.

№ 84

თულრა: აჰმედ შაჰი, ძე მეჰმედ ხანისა¹, მულამ გამარჯვებული.

უმაღლესი სამეუფეო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ
უდიდებულესთა და უწარჩინებულესთა შორის უპირველესის ბოზაიუ-
კლი მუსტაფა ფაშას ქედხუდას — სალეპის, იმატოს მისმა დიდებულე-
ბამ, ვალდებულება 1126 წლისათვის² დაიანგარიშეს. იგი ანკარის მკვი-
დრთაგანი იყო. ზემოხსენებულის მოვალეობა იყო ბოზ ულუს თურქმა-
ნათის მუჰატაას შემოსავლიდან — თანხის გაღება ამჟამად ჩემს ძლევა-
მოსილ საზღვარზე მდებარე რუხის ციხის დასაცავად მყოფი 181 ჯარის-
კაცის, უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართათვის 1125 წლის ერბაი-
ნის დასაწყისიდან³ 1126 წლის ერბაინის დასაწყისამდე⁴. ზემოხსენებუ-

ლებს კანონიერად ერგებოდათ: 18 თოფი ბარანის ჩოხის ყოველ თოფზე 240-240 ახჩა. იგი განკუთვნილი იყო გამოსაზამთრებელი ტანისამოსის — ჩოხათა თანხებისათვის. 1126 წლისათვის აღნიშნული ანკარის მკვიდრთაგან ბოზ ულუს თურქმანათის მუკატაას თანხიდან გადაკვეთილია 32124 ახჩა. ჰასენესა და ყურუშის მონეტების სხვაობა 456 ახჩაა, რომელთა ჯამია 32580 ახჩა. ყოველი ყურუში 120-120 ახჩაა. ესედით დაანგარიშებული მხოლოდ 251,5 ესედი ყურუშია. რადგანაც ზემოხსენებული თანხა ამ [11]26 წლის დიდებული რეჯების დასაწყისი დღიდან⁵ აიუბი მეჰმედ იაზიჯის, იმატოს მისმა სიძლიერემ, ზელით ჩემს ბედნიერების დედაქალაქში სახელმწიფო ხაზინის შემოსავალ-გასავლის დაეთრებში ჩაიწერა, საამისო თამასუქად ეს ჩემი პატიოსანი განჩინება გაიცა. ასე იცოდეთ პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა ერთადერთი რეჯების თვის 13-ს, წელი 1126⁶.

ღვთივდაცული კონსტანტინეს რეზიდენციაში.

(მეორე გვერდზე): სალიანე.

ყურუში: 271,5.

რუხის ციხის ჩოხის თანხა ბოზ ულუს თურქმანის მუკატაას ახჩე-ბიდან. ანკარის მკვიდრის ბოზ ულუსის 1126 წლის ანგარიშის იჯმალი და თამასუქია. რადგანაც დოკუმენტში აღნიშნული ზემოხსენებული თანხა სრულად ჩაბარდა, შარიათი გაიცა.

[11]26 წლის 29 შევალი⁷.

თქვენი მონა-მორჩილი ალი ბეშე, ახლანდელი იანიჩართა იაზიჯის ჭელქვეითი.

(ბეჰედი): ალი.

1 აჰმედ შაჰი, ძე მეჰმედ ხანისა — სულთან აჰმედ III (1703—1730)

2 1126 წელი — 17.1.1714 — 6.1.1715.

3 1125 წლის ერბაინის დასაწყისი — 19.12.1713.

4 1126 წლის ერბაინის დასაწყისი — 8.12.1714.

5 [11]26 წლის დიდებული რეჯების დასაწყისი — 13.7.1714.

6 რეჯების თვის 13, 1126 წელი — 25.7.1714.

7 [11]26 წლის 29 შევალი — 8.11.1714.

თულრა: აჰმედ შაჰი, ძე მეჰმედ ხანისა¹, მუდამ გამარჯვებული.
უმალღესი სამეუფეო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ ტო-

ლთა და სწორთა შორის უპირველესმა, სეიდ ჰასანმა, იმატოს მისმა სიძლიერემ, ვალდებულება იკისრა. 1123 წლის ზილ-კაადეს 22-ე² დღიდან მის განმგებლობაში არსებულის საფუძველზე ზემოხსენებულის მოვალეობა იყო აწყურის ციხის გონულიანთა ალალიქისათვის გადაკვეთილი ახჩებიდან ამჟამად ჩემს ძლევაშვილ საზღვარზე მდებარე ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი 94 ჯარისკაცისათვის, უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართათვის, [1]124 წლის ერბანის დასაწყისიდან³ 1126 წლის ერბანის დასაწყისამდე⁴ შესანახი თანხის გადახდა. ზემოხსენებულთათვის კანონიერად არსებული 94 თოფი ბარანის ჩოხის ყოველი თოფი 240 ახჩას შეადგენს. გამოსაზამთრებლად საჭირო ჩოხათა თანხისათვის ზემოხსენებულ რიცხვში დაანგარიშებულის თანახმად, აღნიშნული აწყურის ციხის გონულიანების ალალიქისათვის გადაკვეთილი თანხიდან დანიშნულია 16000 ახჩა, რომლის თითოეული ყურუში 160 ახჩაა. ესედით დაანგარიშებული მხოლოდ 100 ესედი ყურუშია. აღნიშნული თანხა 1125 წლის ჯემაზი ულ-ეველის დასაწყისი⁵ დღიდან აიუბი მეჰმედ იაზიჯის, იმატოს მისმა სიძლიერემ, ხელით სახელმწიფო ხაზინის დავთრებში რადგანაც შემოსავალ-გასავლად რეგისტრირებული, საამისო თამასუქად ამას წინათ „სებები თაჰირი ჰუქმი“ გაიცა. თუმცა ბოქებული „სებები თაჰირი ჰუქმი“ სალიანეჯის ხელში დაიკარგა, ამიტომ რადგანაც საამისო თამასუქი დაკარგული იყო, გაცემული დიდებულ ფირმანის საფუძველზე ხელახლა ეს პატიოსანი განჩინება გაიცა და ხელახლა რეგისტრირებულ იქნა. ასე იცოდეთ პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა კეთილი საფარის 18-ს, წელი 1126⁶.

ღვთივდაცული კონსტანტინეს რეზიდენციაში.

[მეორე გვერდზე] სალიანე.

შესაბამისი ადგილი:

აწყურის ციხის გონულიანთა აღას თანამდებობისათვის გადაკვეთილი თანხიდან სარგო 1123 წლის 22 ზილ-კაადედან სეიდ ჰასანის ვალდებულებაა.

ეს საქმე ასე გათავდა: 1125 წლის ჯემაზი ულ-ეველის დასაწყისიდან გადაკვეთილია ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გამოსაზამთრებელი თანხა 1124 წლის ერბანის დასაწყისიდან 1125 წლის ერბანის დასაწყისამდე. ავლი მეჰმედ იაზიჯის ხელით გადახდეს 100 ყურუში ესედი.

მითითებულის შესაბამისად თანხა დავთარში რეგისტრირებულია. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო პატივმოსილო სულთანო. 1126 წ. 28 ზილ-კაადე⁷.

თქვენი ფეხთა მტკვარი მონის წინადადება ისაა, რომ [1]124 წელს⁸ ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის

რანიჩართა [1]124 წლის გამოსაზამთრებელი ახჩების შესახებ ეს ორი ცალი „სებები თაპირი ჰუქმი“ გაიცა. [1]123⁹ და [11]24 წლების აწყურის გონულიანთა აღას თანამდებობისათვის გადაკვეთილიდან გაიგზავნა 141 ყურუში. მაგრამ ადგილზე არ იქნა მიღებული. „სებები თაპირი ჰუქმი“ რადგანაც უკან მოვიდა, სხვა ფონდიდან თანხის გამოყოფისა და გაგზავნის შესახებ დიდებული ფირმანი უნდა გამოიცეს. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო. სწორია, თელხისის თანახმად ვალდებულება ჩაიწერა. ბრძანება. [1]127 წლის 10 მუჰარემი¹⁰.

ვალდებულების თესქერე გაიცა, [1]127 წლის 15 მუჰარემი¹¹. მწერალი.

1 აჰმედ შაჰი, ძე მეჰმედ ხანისა — სულთან აჰმედ III (1703 — 1730).

2 1123 წლის ზილ-კაადეს 22 — 11.1712.

3 1124 წლის ერბაინის დასაწყისი — 19.1.1713.

4 1125 წლის ერბაინის დასაწყისი — 17.12.1713.

5 1125 წლის ჟემაზი ულ-ვეელის დასაწყისი — 26.5.1713.

6 1126 წლის საფარის 18 — 6.3.1714.

7 1126 წლის 28 ზილ-კაადე — 25.2.1714.

8 [1]124 წელი — 9.2.1712. — 27.1.1713.

9 [1]123 წელი — 19.2.1711. — 8.2.1712.

10 [1]127 წლის 10 მუჰარემი — 16.1.1715.

11 [1]127 წლის 15 მუჰარემი — 21.1.1715.

№ 86

ის [ალაჰი] შეეწიოს

თულრა: აჰმედ შაჰი, ძე მეჰმედ ხანისა, მულამ გამარჯვებული.

უმალღესი სამეუფეო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ ტოლთა და სწორთა შორის უპირველესმა სეიდ ჰასანმა, იმატოს მისმა სიძლიერემ, ვალდებულება იკისრა. 1124 წლის ზილ-კაადეს 22-ე დღიდან² მის განმგებლობაში არსებულის საფუძველზე შემოხსენებულის მოვალეობა იყო აწყურის ციხის გონულიანების ალალიქისათვის გადაკვეთილი ახჩებიდან აჰჰამად ჩემს ძღვევამოსილ საზღვარზე მდებარე ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი 94 ჯარისკაცისათვის, უმალღესი სამეუფეო კარის რანიჩართათვის 1124 წლის ერბაინის დასაწყისიდან³ 1125 წლის ერბაინის დასაწყისამდე⁴ შესანახი თანხის გადახდა. შემოხსენებულთათვის კანონიერად გადაკვეთილი 94 თოფი ბარანის ჩოხის ყოველი თოფი 240 ახჩას შეადგენს. გამოსაზამთრებლად საჭირო ჩოხა-

თა თანხისათვის ზემოხსენებულ რიცხვში დაანგარიშებულის საფუძველზე აღნიშნული აწყურის ციხის გონულიანთა ალალიქისათვის გადაკვეთილი თანხიდან დანიშნულია 6560 ახჩა, რომლის თითოეული ყურუში 160 ახჩაა. ესედიტ დაანგარიშებული მხოლოდ 41 ესედი ყურუშია. რადგანაც ხსენებული თანხა 1125 წლის ჯემაზი ულ-ეველის დასაწყისი დღიდან აიუბი მეჰმედ იაზიჯის, იმატოს მისმა სიძლიერემ, ხელით სახელმწიფო ხაზინის დავთრებში შემოსავალ-გასავლად იქნა რეგისტრირებული, საამისო თამასუქად ამას წინათ „სებები თაჰირი ჰუქმი“ გაიცა. თუმცა გაცემული „სებები თაჰირი ჰუქმი“ სალიანეჯიების ხელში დაიკარგა, ამიტომ რადგანაც საამისო თამასუქი დაკარგული აქო, გაცემული დიდებული ფირმანის საფუძველზე ხელმეორედ ეს პატიოსანი განჩინება გაიცა, ხელმეორედ რეგისტრირებულ იქნა. ასე იცოდეთ პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა კეთილი საფარის 18-ს, წელი 1126⁶.

ღვთივდაცული კონსტანტინეს რეზიდენციაში.

[მეორე გვერდზე]: სალიანე. კუირუკლუ იმზა.

შესაბამისი ადგილი:

სეიდ ჰასანის ვალდებულებიდან: 1124 წლის 22 ზილ-კადეს, აწყურის ციხის გონულიანების ალალიქისთვის გადაკვეთილი თანხის შესახებ:

1125 წლის ჯემაზი ულ-ეველის დასაწყისიდან ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა გამოსაზამთრებლად თანხა სარგოს სახით, 1124 წლის ერბაინის დასაწყისიდან 1125 წლის ერბაინის დასაწყისამდე, მიღებულია აიუბი მეჰმედ იაზიჯის ხელით. ყურუში ესედი — 41.

აღნიშნულს თანახმად თანხა დავთარში რეგისტრირებულია. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო პატივმოსილო სულთანო. 1126 წლის 28 ზილ-ჰიჯე⁷.

1 აჰმედ შაჰი, ძე მეჰმედ ხანისა — სულთან აჰმედ III (1703—1730).

2 1124 წლის ზილ-კადეს 22 — 21.12.1712.

3 1124 წლის ერბაინის დასაწყისი — 30.12.1712.

4 1125 წლის ერბაინის დასაწყისი — 19.12.1713.

5 1125 წლის ჯემაზი ულ-ეველის დასაწყისი — 26.5.1713.

6 საფარის 18, წელი 1126 — 6.3.1714.

7 1126 წლის 28 ზილ-ჰიჯე — 4.1.1715.

ის [ალაპი] შეეწიოს

თულრა: აჰმედ შაჰი, ძე მეჰმედ ხანისა¹, მუდამ გამარჯვებული.

უმალლესი სამეუფეო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ ბოზაიუკლი მუსტაფა ფაშას ქედხუდა სალეპის, იმატოს მისმა დიდებულებამ, ვალდებულებები 1126 წელს² დაიანგარიშეს. იგი ანკარის მკვიდრთაგანი იყო. ზემოხსენებულის მოვალეობას შეადგენდა ბოზ ულუს თურქმანათის მუკატაას შემოსავლის თანხიდან გაელო აჰემად ჩემს ძლევამოსილ საზღვარზე მდებარე რუხის ციხის დასაცავად მყოფი 182 ჯარისკაცის, უმალლესი სამეუფეო კარის იანიჩართათვის დღიური სარგო 1024 ახჩას ოდენობით ამ 1126 წლის მასარის, რეჯეჯის, როშენისა და ლეზეზისთვის³. ანკარის მკვიდრთაგან ბოზ ულუს თურქმანათის მუკატაას თანხიდან 1126 წელს ჯარისკაცებისათვის დაინიშნა სარგოები 3 იუქი, 57422 ახჩა. პასენესა და ყურუშის მონეტის ღირებულებათა სხვაობა 5074 ახჩაა, რომლის ჯამია 3 იუქი, 62496 ახჩა. ჩემ მიერ გამოცემული დიდებული ფირმანის თანახმად თითოეული ყურუში 120 ახჩაა. ესედიტ დაანგარიშებული მხოლოდ 3020,5 ესედი ყურუშია. რადგანაც ხსენებული თანხა 1126 წლის დიდებული რეჯეჯის დასაწყისი დღიდან⁴ აიუბი მეჰმედ იაზიჯის, იმატოს მისმა სიძლიერემ, ხელით ჩემს ბედნიერების დედაქალაქში სახელმწიფო ხაზინის დავთრებში შემოსავალ-გასავლადა ჩაწერილი, საამისო თამასუქად ეს ჩემი პატიოსანი განჩინება გაიცა. ასე იცოდეთ პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა ერთადერთი რეჯეჯის თვის 14-ს, წელი 1126⁵.

ადგილი: ღვთივდაცული კონსტანტინეს რეზიდენციაში.

3020,5 ყურუში. ბოზ ულუს თურქმანის მუკატაას ახჩებიდან რუხის ციხის სარგო. რადგანაც დოკუმენტში აღნიშნული ზემოხსენებული თანხა სრულად და უკლებლივ არის მიღებული, ეს შარიათი ადგილობრივ გაიცა.

თქვენი მონა-მორჩილი ალი ბეშე, იანიჩართა იაზიჯის ხელქვეითი.

[ბეჰედი]: ალი. სალიანე.

1 აჰმედ შაჰი, ძე მეჰმედ ხანისა — სულთან აჰმედ III (1703—1930).

2 1126 წელი — 17.1.1714. — 6.1.1715.

3 1126 წლის მასარი, რეჯეჯი, როშენი, ლეზეზი.—1) 1714 წ. I.—III. 2) IV.—VI. 3) VII.—IX. 4) X—XII.

4 [1] 126 წლის რეჯეჯის დასაწყისი — 13.7.1714.

5 1126 წლის 14 რეჯეჯი — 26.7.1714.

თულრა: აჰმედ შაჰი, ძე მეჰმედ ხანისა¹, მუდამ გამარჯვებული

უმალღესი სამეუფეო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ უდიდებულესთა და უწარჩინებულესთა შორის უპირველესის ბოზაიუკლი მუსტაფა ფაშას ქედხუდა — სალეჰის, იმატოს მისმა დიდებულებამ, ვალდებულებები [11]26 წელს² დაიანგარიშეს. ანკარის მკვიდრთაგან იყო. ზემოხსენებულის მოვალეობას შეადგენდა ბოზ ულუს თურქმანათის მუკატაას შემოსავლის ახჩებიდან ამჟამად ჩემს ძლევაშოსილ საზღვარზე მდებარე რუხის ციხის დასაცავად მყოფი 182 ჯარისკაცის, უმალღესი სამეუფეო კარის იანიჩრებისათვის [1]126 წ. მუჰარემის დასაწყისიდან³ ხსენებული წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე⁴ თანხის გაღება. ზემოხსენებულთა ერთ წელიწადში კანონიერად არსებული ხორცისა და პროდუქტების თანხებისთვის 1126 წელს აღნიშნული ანკარის მკვიდრთაგან ბოზ ულუს თურქმანათის მუკატაას ფინანსებიდან დაინიშნა 98271 ახჩა. პასენესა და ყურუშის [მონეტების] სხვაობა — 1395 ახჩაა, რომლის ჯამი 99636 ახჩაა. ყოველი ყურუში 120 ახჩაა. ესედით დაანგარიშებული მხოლოდ 830,5 ესედი ყურუში და ორი ცალი ეგვიპტური ფარაა. რადგანაც აღნიშნული თანხა ამ 1126 წლის ერთადერთი რეჯების დასაწყისიდან⁵ აიუბი მეჰმედ იაზიჯის, იმატოს მისმა სიძლიერემ, ხელით ჩემს ბედნიერების დედაქალაქში სახელმწიფო ზახინის დავთრებში შემოსავალ-გასავლად არის რეგისტრირებული, საამისო თამასუქად ეს პატიოსანი განჩინება გაიცა. ასე იცოდეთ პატიოსან ნიშანს ენდეთ..

დაიწერა ერთადერთი რეჯების თვის 18-ს, წელი 1126⁶
ღვთივდაცული კონსტანტინიეს რეზიდენციაში.

[მეორე გვერდზე]:
შესაბამისი ადგილი:

840,5
381

449,5 ყურუში. რუხის ციხის ხორცის თანხა ბოზ ულუს თურქმანათის მუკატაა... ფირმანი...

ანკარის მკვიდრი ბოზ ულუს თურქმანათის მუკატაას თანხიდან. სარგო 1126 წ. ბოზაიუკლი ვეზირ მუსტაფა ფაშას ქედხუდა — სალეჰ ალას ვალდებულებიდან:

ეს საქმე ასე დამთავრდა: 1126 წლის რეჯების დასაწყისში⁷ რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმალღესი სამეუფეო კარის იანიჩართა იაზიჯის აიუბი მეჰმედის ხელით სარგო ხორცისა და პროდუქტების თანხის

სახით გადაკვეთილია 1126 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ამავე წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე. 830,5 ყურუში.

აღნიშნულის თანახმად არსებული სალიანე დავთარში რეგისტრირებულია. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო პატივმოსილო სულთანო. 1126 წლის ზილ-კაადეს დასაწყისი⁹.

თქვენი ფეხთა მტვერი მონის წინადადება ისაა, რომ ანკარაში მცხოვრები ბოზ ულუს თურქმანის მუკატაას [11]26 წლის თანხიდან რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეფოფო კარის იანიჩართა [11]26 წლის ხორცის ახჩებიდან 830,5 ყურუშის „სებება თაჰირი ჰუქმი“ გაიგზავნოს. 38 ყურუში აღებული იქნა. დანარჩენი 449,5 ყურუში ნაღდი ანგარიშით ხაზინას ჩაბარდა. რადგანაც აღება ვერ მოხერხდა, აღნიშნული თანხა სხვა თანხიდან გაიგზავნა. ვალდებულების მიწერის საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოსილო სულთანო.

სწორია.

თელხისის თანახმად ვალდებულება ჩაიწეროს. ბრძანება. [1]126 წლის 8 ზილ-კაადე⁹. თესქერე გაიცა [1]126 წლის 9 ზილ-კაადეს¹⁰.

რეგისტრირებულია არასრულად აღრიცხული დავთრის მიხედვით.

830,5

449,5

381

სალიანე. რადგანაც აღნიშნული თანხიდან 381 ყურუში მუსტაფა ალას ხელით ჩაბარდა, შარიათი გაიცა. 1126 წლის 29 შევალი¹¹.

თქვენი მონა-მორჩილი ალი ბეშე, ახლანდელი იანიჩართა იაზიჯის ხელქვეითი.

1 აჰმედ შაჰი, ძე მეჰმედ ხანისა — სულთან აჰმედ III (1703—1730).

2 [11]26 წელი 17.1.1714. — 6.1.1715.

3 [1]126 წლის მუჰარემის დასაწყისი — 17.1.1714.

4 [1]126 წ. ზილ-ჰიჯეს მიწურული — 6.1.1715.

5 1126 წლის ერთადერთი რეჯების დასაწყისი — 13.7.1714.

6 1126 წლის რეჯების 18 — 30.7.1714

7 1126 წლის რეჯების დასაწყისი — 13.7.1714.

8 1126 წლის ზილ-კაადეს დასაწყისი — 8.11.1714.

9 [1]126 წლის 8 ზილ-კაადე — 16.11.1714.

10 [1]126 წლის 9 ზილ-კაადე — 16.11.1714.

11 1126 წლის 29 შევალი — 7.11.1714.

ის [ალაპი] შეეწიოს

თულრა: აჰმედ შაჰი, ძე მეჰმედ ხანისა¹, მუდამ გამარჯვებული.

უმალღესი სამეუფეო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ ნაკისრი ვალდებულება 1129 წელს² დაანგარიშებულია. ჰსენებული ემინის მოვალეობაა ჰემშირესა და მისდამი დაქვემდებარებული მუკატაას შემოსავლის ახჩებიდან ამჟამად ჩემს ძღვევამოსილ საზღვარზე მდებარე ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი 81 ჯარისკაცისათვის, უმალღესი სამეუფეო კარის იანიჩრებისათვის დღიურ სარგოთა 399 ახჩის გადახდა. ზემოხსენებულათვის კანონიერად არსებული 1128 წლის როშენის, ლეზეზის³ სარგოების თანხებისთვის 1129 წელს რეგისტრირებული ჰემშირესა და მისდამი დაქვემდებარებული მუკატაას ფინანსებიდან გადაკვეთილია 63718 ახჩა. ჰასენესა და ყურუმის მონეტებს შორის სხვაობა 904 ახჩაა, რომელთა ჯამია 64622 ახჩა. ყოველი ყურუმში 120 ახჩაა, ესეღით დაანგარიშებული მხოლოდ 538,5 ესედი ყურუმში და ორი ახჩაა. რადგანაც აღნიშნული თანხა ამ 1129 წლის საფარის დასაწყისიდან⁴ სიფაჰი მეჰმედ იაზიჯის, იმატოს მისმა სიძლიერემ, ზელით ეღირნეში სახელმწიფო ზაზინის დავთრებში შემოსავალ-გასავლად იქნა რეგისტრირებული, საამისო თამასუქად ეს პატიოსანი განჩინება გაიცა. ასე იცოდეთ პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა კეთილი საფარის 8-ს, წელი 1129⁵.

ღვთივდაცულ ეღირნეში

[მეორე გვერდზე]: სალიანე. კუირუკლუ იშა.

შესაბამისი ადგილი:

ანაკლიის დამცველთა სარგო 538,5 ყურუმში, ჰემშირეს მუკატაასგან ვაგზავნილია. ჰემშირეს მუკატაას ფინანსებიდან ავარიზთან და ბედელი ნუზულისთან ერთად გადაკვეთილია 1129 წელს ჰალილ ეფენდის მალიქანეს ვალდებულებიდან.

ეს საქმე ასე დამთავრდა: სიფაჰი მეჰმედ იაზიჯის ზელით 1129 წ. ზილ-კაადეს დასაწყისში⁶ ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი უმალღესი სამეუფეო კარის ზოგიერთი იანიჩრის 1128 წლის როშენისა და ლეზეზის სარგოები გადაკვეთილია — 538,5 ყურუმში ესედი.

აღნიშნულის თანახმად არსებული სალიანე დავთარში ...რეგისტრირებულია, ბრძანება ...თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო პატივმოსილო სულთანო.

1131 წლის 22 მუჰარემი⁷.

ვალდებულების გადახდაზე იხილეთ რეზოლუცია.

ძირითადი თანხა წელიწადში გაგზავნილი — 120000

084004

360000

საბოლოოდ გასაგზავნი

843 ყურუში.

ზედმეტი — ახჩა 543.

გასაგზავნი 543 ყურუში ზედმეტია. ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო პატივმოხილო სულთანო. 1131 წლის 13 მუჰარემი⁸.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ რადგანაც ანაკლიის ციხეში მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართა სარგოთათვის ჰემშირეს მუკატაას თანხიდან 538,5 ყურუში ზედმეტი გაიგზავნა, სხვა ფონდიდან თანხის გამოყოფისა და ანგარიშის გასწორების საკითხზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, პატივმოხილო სულთანო.

სწორია.

თელხისის თანახმად ვალდებულება ჩაიწეროს. ბრძანება. [1]131 წლის 17 მუჰარემი⁹.

ვალდებულება გაიცა 1131 წლის 18 მუჰარემს¹⁰.

რეგისტრირებულია შეუვსებელი დავთრის მიხედვით.

1 აჰმედ შაჰი, ძე მეჰმედ ხანისა — სულთან აჰმედ III (1703—1730).

2 1129 წელი — 16.17.1716. — 4.12.1717.

3 1128 წ. როშენი, ლეზეზი — 1716 წლის VI—VIII და IX—XI თვეები.

4 1129 წლის საფარის დასაწყისი — 15.1.1716.

5 1129 წლის საფარის 8 — 22.1.1716.

6 1129 წლის ზილ-კაადეს დასაწყისი — 7.10.1717.

7 1131 წლის 22 მუჰარემი — 15.12.1718.

8 1131 წლის 13 მუჰარემი — 6.12.1718.

9 [1]131 წლის 17 მუჰარემი — 10.12.1718.

10 1131 წლის 18 მუჰარემი — 11.12.1718.

№ 90

თულრა: აჰმედ შაჰი მეჰმედ ხანის ძე¹, მუდამ გამარჯვებული

უმაღლესი სამეუფეო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ უდიდებულესთა და უწარჩინებულესთა შორის უპირველესის, ქესქინ ისმაილის, იმატოს მისმა დიდებულებამ, ვალდებულება 1132 წელს² დაიანგარიშეს. ხსენებული ემინის ვალდებულება იყო, მალიქანეს საფუძველზე, ჩანჭას, მეორე სახელწოდება გუმუშჰანეს საბადოებისა და ისპირის სანჯაყის პროდუქტების, ავარიზების, ბედელი ნუზულისა და

მათდამი დაქვემდებარებული მუკატაას [შემოსავლის] თანხებიდან ამჟამად ჩემს ძღვევამოსილ საზღვარზე მდებარე რუხის ციხის დასაცავად მყოფი უწინდელი და ახლანდელი 40 ჯარისკაცის, უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიებისთვის დღიურები 303 ახჩა გაელო. უწინდელი ჯარისკაცებისათვის კანონიერად იყო დადგენილი 1133 წლის მასარის, რეჯეის, როშენისა და ლეზეზის³ სარგოები. ასევე ახლანდელი ჯარისკაცებისთვის კანონიერად იყო განკუთვნილი 1132 წლის როშენისა და ლეზეზის⁴ სარგოები. 1132 წლის როშენისა და ლეზეზის სარგოები და 1133 წლის მასარის, რეჯეის, როშენისა და ლეზეზის გადაკვეთილი სარგოების ახჩეებისთვის 1132 წ. რეგისტრირებული ჩანას, მეორე სახელწოდება გუმუშჰანესა და მისდამი დაქვემდებარებული მუკატაას ფინანსებიდან დანიშნული 168760 ახჩაა. ჰასენესა და ყურუშის მონეტების ღირებულების სხვაობა 2396 ახჩაა, რომლის საერთო ჯამია 171156 ახჩა. გაცემული დიდებული ფირმანის საფუძველზე ყოველი ყურუში 120-120 ახჩაა. ესედით დაანგარიშებული მხოლოდ 1426 ესედი ყურუში და 12 ეგვიპტური ფარაა. აღნიშნული თანხა ამ 1133 წლის რეზი-ულ-ახირის დასაწყისი დღიდან⁵ რეალურად ჯებეჯიების მეთაურის იაყუბის მიერ, იმატოს მისმა ძლიერებამ, ჩემი ბედნიერების დედაქალაქში ჩემი სახელმწიფო ზაზინის დავთრებში რადგანაც შემოსავალ-გასავლად რეგისტრირებულია, საამისოდ ეს ჩემი პატიოსანი განჩინება გაიცა. ასე იცოდეთ პატიოსან ნიშანს ენდეთ. დაიწერა რეზი-ულ-ახირის თვის 10, წელი 1133⁶.

ღვთივდაცული კონსტანტინეს რეზიდენციაში.

დოკუმენტში ჩაწერილია მონა-მორჩილის აღსარების შინაარსი, ჩაწერა იგი დიდებული ალაჰის გლახაკმა, თორულის კაზხას ყადიმ აჰმედმა. შეუწდოს ალაჰმა.

ამ საბუთის გადმოწერის მიზეზი ისაა, რომ ამ დიდებული „განჩინების დაწერის მიზეზში“ რეგისტრირებული და ჩაწერილია იმის შესახებ, რომ ძღვევამოსილი საზღვრიდან რუხის ციხის დასაცავად მყოფი ძველი და ახალი 40 ჯარისკაცის, უმაღლესი სამეუფეო კარის ჯებეჯიების მიერ ქვემოთ აღნიშნული თანხა მიღებულია და მათთვის გადაცემულია სასამართლოს წესისა და მოთხოვნების დაცვით. დიდებულ სასამართლოში შესაბამისი ეტიკეტის დაცვით, მუდმივმა წარმომადგენელმა მუსტაფა ბეშე იბნ მეჰმედის სახელწოდების პირმა, მალიქანეს საფუძველზე გუმუშჰანეს მუკატაას ემინმა, სამართლიანი ემინების იმედმა, ქესქინ აღსეიდ ისმაილ აღამ და ტოლთა შორის უპირველესმა ვეჰილმა აღსეიდ ომერ აღამ სასამართლოს წინაშე წარსდგომისას თავიანთი აღსარება თქვეს: ზემოხსენებული ჯარისკაცების დღიურები 303 ახჩაა. ძველი ჯარისკაცებისათვის კანონიერად იყო გადაკვეთილი 1133 წლის მასარის,

რეჯევის, როშენისა და ლეზეზის სარგოები. ახალი ჯებეჯიებისათვის კანონიერად გადაკვეთილი იყო 1132 წლის როშენისა და ლეზეზის და 1133 წლის მასარის, რეჯევის, როშენისა და ლეზეზის სარგოები. ძველი და ახალი ჯებეჯიებისათვის კანონიერად არსებული დღიურები პატრიოსანი ბრძანების საფუძველზე მთლიანად შეადგენს 142ა ესედი ყურუმს და 12 ეგვიპტურ ფარას. როდესაც განაცხადეს, რომ ეს თანხა ზემოხსენებული ვეჭილის ხელით სრულად და უკლებლივ ჩავაბარე და ამის შესახებ „სებები თაპირიი ჰუქმის“ მეორე გვერდზე ჰუჯეთი დაიწერაო, მომხდარი ამბავი მოთხოვნილებისამებრ ამოწერილ იქნას.

დაიწერა ჰიჯრის — პატივი და დიდება მას — 1133 წლის ჯემაზა ულ-ახირის სამში⁷.

1 სულთან აჰმედ III (1703 — 1730).

2 1132 წელი — 14.11.1719 — 1.11.1720.

3 1113 წლის მასარი, რეჯევი, როშენი და ლეზეზი — მასარი -- 1720 წლის ნოემბერი, დეკემბერი. რეჯევი — 1721 წ. იანვარი, თებერვალი, მარტი, როშენი: 1721 წ. აპრილი, მაისი, ივნისი, ლეზეზი: 1721 წ. ივლისი, აგვისტო, სექტემბერი.

4 1132 წლის როშენი და ლეზეზი: როშენი: 1720 წლის მაისი, ივნისი, ივლისი. ლეზეზი: 1720 წლის აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი.

5 1133 წლის რები ულ-ახირის დასაწყისი — 30.1.1721 წელი.

6 რები ულ-ახირის თვის 10, წელი 1133 — 8.2.1721.

7 1133 წლის ჯემაზი ულ-ახირის სამი — 1.4.1721.

№ 91

ის [ალაპი] შეეწიოს

თულრა: აჰმედ შაჰი მეჰმედ ხანის ძე¹, მუღამ გამარჯვებული.

უმალღესი სამეუფეო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ უდიდებულესთა და უწარჩინებულესთა შორის უპირველესის ქესკინ ისმაილის, იმატოს მისმა დიდებულებამ, ვალდებულება 1132 წელს² დაინგარიშეს. ზემოხსენებულის ვალდებულებას შეადგენდა მალიქანეს საფუძველზე ჩანჰას, მეორე სახელწოდება გუმუშჰანესა და მისდამი დაქვემდებარებული მუკატაას [შემოსავლის] თანხიდან ამჟამად რუხის ციხის დასაცავად მყოფი 40 ჯარისკაცისათვის, უმალღესი სამეუფეო კარის ჯებეჯიებისათვის, ყოველ თვეში 20 ქილა ხორბლის გაღება. 1132 წლის რეჯების დასაწყისიდან³ 1132 წლის ზილ-ჰიჯეს დასასრულამდე⁴, 18 თვეში ზემოხსენებულისათვის კანონიერად გადაკვეთილია 360 ქილა ხორბალი. ყოველი ქილა 40-40 ახჩას შეადგენდა. აუცილებლად საჭირო ხორბლის საფასური ახჩებით 1132 წელს აღნიშნული ჩანჰას, მეო-

რე სახელწოდება გუმუშპანესა და მისდამი დაქვემდებარებული მუკატაას ფინანსებიდან გადაკვეთილია 1064⁹ ახჩა. ჰასენესა და ყურუშის მონეტების ღირებულებათა სხვაობა 151 ახჩაა. მისი მთლიანი ჯამია 10800 ახჩა. ყოველი ყურუში 120-120 ახჩაა. ესედიტ დაანგარიშებული თანხა მხოლოდ 90 ესედი ყურუშია. რადგანაც აღნიშნული თანხა ამ 1133 წლის რები ულ-ახირის თვის დასაწყისიდან⁵ რეალურად ჯებეჯიების ჩაუშის, იაყუბის მიერ, იმატოს მისმა ღირებამ, ჩემი ბედნიერების დედაქალაქში ჩემი სახელმწიფო ზაზინის დავთრებში შემოსავალ-გასავლადაა რეგისტრირებული, საამისო თამასუქად ეს ჩემი პატიოსანი განჩინება გაიცა. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა რები ულ-ახირის თვის 10-ში. წელი 1133⁶.

ადგილი: ლთივდაცული კონსტანტინეს რეზიდენციაში.

[მეორე გვერდზე]: რუხის ციხის ხორბლის ფასი. წელი.

ამ მონა-მორჩილის აღსარების შემცველი დოკუმენტის შინაარსი გადაწერა დიდებული ალაჰის გლახაკმა—ჰამედმა, თორულის ყადიმ. შეუნდოს უფალმა.

განჩინების დაწერის მიზეზი ისაა, რომ მისი შინაარსი სასულთნო ბრძანებაშია აღნიშნული და „სებები თაჰირი ჰუქმისთან“ ერთადაა რეგისტრირებული. რუხის ციხის დასაცავად მყოფი 40 ჯარისკაცის, უმაღლესი სამეფუფო კარის ჯებეჯიების მიერ ქვემოთ აღნიშნული თანხა მიღებულია და მათთვის გადაცემულია. როდესაც სასამართლო წესისა და მოთხოვნების დაცვით მუდმივმა წარმომადგენელმა მუსტაფა ბეშე იბნ მეჰმედის სახელწოდების პირმა სასამართლოს ნათელი მოჰფინა, მაშინ მალიქანეს საფუძველზე გუმუშპანეს მუკატაას ემინი, უწარჩინებულესთა და უკეთილშობილესთა იმედი, განდიდებულთა და ღირსეულთა მფარველი ქესქინ ალ-სეიდ ისმაილ ალა და ვეჰილი — ტოლთა და სწორთა სიამაყე — ალ-სეიდ ომერ ალა სასამართლოს წინაშე წარსდგნენ და სრული რწმუნებითა და ჭეშმარიტებით აღიარეს: ამ „სებები ჰუქმის“ მიხედვით, მასში რეგისტრირებული ზემოხსენებული ჯარისკაცებისთვის ყოველ თვეში, 1132 წლის რეჯების დასაწყისიდან⁷ 1133 წლის ზილ-ჰიჯეს დასასრულამდე⁸, 20 ქილა ხორბალი უნდა გაეღოთ. ზემოხსენებულთა კანონიერი ვალდებულება იყო 360 ქილა ხორბლის გადახდა, რომლის თითოეული ქილა 40-40 ახჩა ღირდა. საჭირო ხორბლის თანხა 1133 წლისათვის⁹ მთლიანად 90 ესედი ყურუშია. ხსენებული ვეჰილის ალ-სეიდ ომერ ალას ხელით სრული რწმუნებით მთლიანად მივიღე და ამ „სებები თაჰირი ჰუქმის“ მეორე გვერდზე ჰუჯეთი დაიწერაო, ამის შემდეგ მომხდარი ამბავი მოთხოვნილებისამებრ იქნა ამოწერილი. დაიწერა ჯემაზი ულ-ახირის მეორე დღეს, წელი 1133¹⁰, ყოვლისშემძლისა და სამართლიანის ალაჰის ჰიჯრისას.

საქმის მოწმენი: ომერ ეფენდი პალილ აღას ძე
მეკმედ ალ-ხადიმი
მეკმედ ბეშე ილპაჯ მეკმედის ძე
ჰუსეინ მუსტაფას ძე

- 1 სულთან აჰმედ III (1703 — 1730).
- 2 1732 წ. — 14.XI.1719 — I.XI.1720.
- 3 1132 წლის რეჯების დასაწყისი — 9.V.1720.
- 4 1133 წლის ზილ-ჰიჯეს დასასრული — 21.1.1721.
- 5 1133 წლის რეგი ულ-ახირის თვის დასაწყისი — 30.1.1721.
- 6 რეგი ულ-ახირის თვის 10, წელი 1133 — 1721 წლის 8 თებერვალი.
- 7 1132 წლის რეჯების დასაწყისი — 9.5.1720.
- 8 1133 წლის ზილ-ჰიჯეს დასასრული — 21.10.1721.
- 9 1133 წელი — 2.11.1720 — 21.10.1721.
- 10 ჯემაზი ულ-ახირის მეორე დღე, წელი 1133 — 31.3.1721.

№ 92

თულრა: აჰმედ შაჰი მეკმედ ხანის ძე¹, მუდამ გამარჯვებული.

უმალღესი სამეუფეო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ უწარჩინებულესთა და უკეთილშობილესთა სიამაყის — დადევნირის, დღეგრძელჰყოს მაღალმა ალაჰმა დიდებულება მისი, ქედხუდობის სამსახურში მყოფმა მუჰამედმა და უწინდელი ხასის ბოსტანჯი ბაშიმ — მეორე მუჰამედმა, იმატოს მათმა ბედნიერებამ, 1135 წლისათვის² ვალდებულება იკისრეს. ზემოხსენებულთა მოვალეობას შეადგენდა თოქათის სავოევოდოსა და მისდამი დაქვემდებარებული ნაკვეთების შენოსავლის ახჩებიდან ამჟამად ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი III ჯარისკაცის, უმალღესი სამეუფეო კარის იანიჩრებისათვის [1] 135 წლის მუჰარემის დასაწყისიდან³ აღნიშნული წლის ზილ-ჰიჯეს მიწურულამდე⁴, ერთ წელიწადში, ხსენებულთათვის კანონით დადგენილი ხორცისა და სურსათ-სანოვავის ღირებულება ახჩებით გადაეხადათ. 1135 წელს აღნიშნული თოქათის სავოევოდოსა და მისდამი დაქვემდებარებული ნაკვეთების შემოსავლის თანხიდან გადაკვეთილია 69863 ახჩა. ჰასენესა და ყურუშის მონეტების ღირებულებას შორის განსხვავება 1014 ახჩაა, რომლის ჯამი 60867 ახჩას შეადგენს. თითოეული ყურუშში 120-120 ახჩას შეიცავს. ესედით დაანგარიშებული მხოლოდ 507 ესედი ყურუშია. აღნიშნული თანხა 1135 წლის ჯემაზი ულ-ეველის დასაწყისიდან⁵ უსქუდარი მუსტაფა იაზიჯის, იმატოს მისმა ღირსებამ, ხელით ჩემს ბედნიერების დედაქალაქში ჩემი სახელმწიფო ხაზინის დავთრებში შემოსა-

ვალ-გასავლად იყოს რეგისტრირებული, საამისო თამასუქად ეს ჩემი პატიოსანი განჩინება გაიცა. ასე იცოდეთ პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა ჯემაზი ულ-ეველის თვის 15-ს, წელი 1135⁶.

ლეთივდაცულ კონსტანტინეს რეზიდენციაში.

[მეორე გვერდზე]: ანაკლიის ციხის მცველი.

ხორცისა და პროვიანტის ღირებულება — 507 ყურუში თოქათის საოვევოდოს ნაკვეთზეა შეწერილი.

ამ აღსარების შინაარსი ისაა, რომ ეს დაწერა ყოვლის მძლე ალაპის, მასზე იყოს მშვიდობა, გლახაკმა ალ-სეიდ აბდულბაკიმ, ქალაქ თოქათის მოლას მოადგილემ. შეუნდოს ალაპმა.

ამ მართალი საბუთის გადმოწერის მიზეზი ისაა, რომ თვით ამ განჩინებაში აღნიშნული სახელის — უსქუდარი მუსტაფა იაზიჯის ხელითაა შემოსავალ-გასავალი რეგისტრირებული. ქვემოთ აღნიშნული თანხის მისაღებად დანიშნულმა რიხთვან მეჰმედ ჩაუშმა როდესაც ნათელი მოჰფინა სასამართლოს, ამჟამად ქალაქ თოქათის ვოევოდამ, უწარჩინებულესთა და უკეთილშობილესთა სიამაყემ აჰმედ ალამ, იმატოს მისმა დიდებამ. უნებლიეთ სრული ჰეშმარიტება აღიარა სასამართლოს წინაშე. 1135 წლისათვის შეწერილი თოქათის საოვევოდოსა და მისდამი დაქვემდებარებული საიჯარო ნაკვეთის საფუძველზე, ამჟამად ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი 111 ჯარისკაცის, უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩრებისათვის ზემოხსენებული წლის მუჰარემის დასაწყისიდან ზილჩიჯეს მიწურულამდე გადაკვეთილია ხორცისა და სურსათ-სანოვავის საფასური თანხა, როგორც ეს მირმირანის განჩინების დაწერის მიზეზის თანახმადაა დადგენილი და გადაკვეთილი. როდესაც განაცხადა, რომ ზემოხსენებულმა ვოევოდამ ესედით დაანგარიშებული მხოლოდ 507 ესედი ყურუში ჩააბარა და მეც მისგან სრულად მივიღეო, შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილება ისაა, რომ მომხდარი ამბავი მოთხოვნილები-სამებრ ამოწერილ იქნას.

დაიწერა დიდებული შაბანის დღის 21-ს, წელი 1135⁷.

საქმის მოწმენი: ტოლთა სიამაყე სალუჰ ეფენდი,

ალი ეფენდი, რუმის ხაზინის ჭათიბი,

მაჰმედ ალა აჰმედის ძე,

ბექთაშ ალა ომერის ძე,

სალიანე.

[კუირუკლუ იმზა]: ილპაჯ იბრაჰიმ ეფენდი.

[1] 135 წლის ჯემაზი ულ-ეველის მიწურული⁸.

1 სულთან აჰმედ III (1703—1730).

2 1135 წელი—12.10.1722 — 30.9.1723.

- 3 [1]135 წ. მუჰარემის დასაწყისი — 12.9.1723.
 4 [1135 წ.] ზილ-ჰიჯეს დასასრული — 30.9.1723.
 5 1135 წ. ჟემაზი ულ-ეველის დასაწყისი — 7.2.1723.
 6 ჟემაზი ულ-ეველის თვის 15, წელი 1135 — 21.2.1723.
 7 შაბანის დღის 21, წელი 1135 — 27.5.1723.
 8 [1]135 წლის ჟემაზი ულ-ეველის მიწურული — 1723 წლის 9 მარტი.

№ 93

თულრა: აჰმედ შაჰი ძე მეჰმედ ხანისა¹, მუდამ გამარჯვებული

უმალღესი სამეუფეო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ უწარჩინებულესთა და უკეთილშობილესთა სიამაყის, დიდეხიხის, მაღალმა ღმერთმა მუდამ ხანგრძლივი ჰყოს მისი დიდებულება, ქედღედობის სამსახურში მყოფი მუჰამედისა და წარსულში ჰასე ბოსტანჯი ბაშის — მეორე მუჰამედის, ხანგრძლივი იყოს მათი დიდებულება, ვალდებულებანი 1135 წლისათვის² დაიანგარიშეს. ზემოხსენებულთა მოვალეობა იყო ძალიქანეს საფუძველზე არსებული თოქათის სავოევოდოსა და მისდამი დაქვემდებარებული მუკატაას შემოსავლის თანხიდან გადაეხადათ აჰმად რუხის ციხის დასაცავად მყოფი 15 ჯარისკაცისათვის, უმალღესი სამეუფეო კარის ჯებეჯიებისათვის დღიური ულუფა — 128 ახჩა. ზემოხსენებულთა კანონიერად არსებული 1135 წლის მასარის, რეჯეჰის, როშენისა და ლეზეზის³ სარგოები გადაკვეთილია. საამისო თანხა, 1135 წლისათვის ჩაწერილი, თოქათის სავოევოდოსა და მისდამი დაქვემდებარებული მუკატაას ფინანსებიდან გამოიყო 44557 ახჩა. განსხვავება ჰასენესა და ყურუშის მონეტებს შორის 755 ახჩაა, რომლის საერთო ჯამია 45312 ახჩა. ყოველი ყურუში 120 ახჩას შეადგენს. ესედით დაანგარიშებული მხოლოდ 377,5 ესედი ყურუში და ოთხი ეგვიპტური ფარაა. რადგანაც ხსენებული თანხა ამ 1135 წლის ჟემაზი ულ-ეველის თვის 24-ე დღიდან⁴ რეალურად ჯებეჯიების ჩაუშის — იაყუბის, იმატოს მისმა სიძლიერემ, ხელით ჩემი ბედნიერების დედაქალაქში სახელმწიფო ხაზინის დავთრებში შემოსავალ-გასავლად იყო რეგისტრირებული, საამისო თამასუქად ეს ჩემი პატიოსანი განჩინება გაიცა. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა ჟემაზი ულ-ეველის 28-ს, წელი 1135⁵.

ლეთივდაცული კონსტანტინეს რეზიდენციაში.

[მეორე გვერდზე.]

1135 წლის რუხის სარგო: ყურუში — 377,5 (და) ფარა — 4.

ამ აღსარების შინაარსი და საბუთიანობა ისეა, როგორც აქაა დაწერილი. გადაწერა იგი ალაჰის, მაღალიმც არს იგი, გლაზაკმა, ქალაქ თოქათის წმინდანის (ბატონის) მოადგილემ ალ-სეიდ აბდალბაკიმ. შეუნდოს ალაჰმა.

ამ მართალი ჰუჯეთის გადმოწერის მიზეზი ისაა, რომ სინამდვილეში უმაღლესი სამეფუფეო კარის მუდმივი, ნამდვილი დამცველების, ჯებეჯიების ჩაუშთაგან, ტოლთა და სწორთა შორის უპირველესის, იაყუბ ჩაუშის ხელით სახელმწიფო ზაზინის დავთრებში შემოსავალ-გასავლად რეგისტრირებული ქვემოთ აღნიშნული თანხა ამ „სებები თაპირი ჰუქმით“ მიღებულია. როდესაც ელჰაჯ მუსტაფა ჩაუში, ამჟამად თოქათის ვოევოდა შარიათის სასამართლოზე წარსდგა, უდიდებულესთა და უწარჩინებულესთა შორის უპირველესმა აჰმედ ალამ სასამართლოს წინაშე უნებლიედ აღიარა სრული ქვეშაობა. 1135 წლისათვის დაიანგარიშეს, თოქათის საოევოლოსა და მისდამი დაქვემდებარებული მუკატას თანხიდან ამჟამად რუხის ციხის დასაცავად მყოფი 15 ჯარისკაცის, უმაღლესი სამეფუფეო კარის ჯებეჯიების დღიურები და კანონიერად არსებული მასარის, რეჯეჯის, როშენისა და ლეზეზის სარგოები გადაკვეთილია და საამისოდ ამ „სებები თაპირი ჰუქმის“ მონაცემების მიხედვით, დანიშნულია მხოლოდ 377,5 ესედი ყურუში და ოთხი ეგვიპტური ფარა. როდესაც თოქათის ვოევოდამ განაცხადა—ზემოხსენებულმა ალამ აღნიშნული თანხა სრულად ჩააბარა და მეც მისგან სრულად მივიღეო, შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილება ისაა, რომ მომხდარი ამბავი მოთხოვნილებისამებრ ამოწერილ იქნას.

დაიწერა ერთადერთი რეჯების 22-ს, წელი 1135⁶.

საქმის მოწმენი: სალჰ ეფენდი, ალი ეფენდი, რუმის ზაზინის ქათიბი, მაჰმუდ ბეგი ძე აჰმედისა. ბექთაშ ბეგი ძე ომერისა და სხვა დამსწრენი.

სალიანე. [კუირუკლუ იმზა] [1]135 წლის 24 ჯემაზი ულ-ეველი-ჯებეჯი.

1 აჰმედ შაჰი, ძე მეჰმედ ხანისა — სულთან აჰმედ III (1703—1730).

2 [1]135 წელი — 12.10.1722. — 30.9.1723.

3 1135 წლის მასარი, რეჯეჯი, როშენი, ლეზეზი — 1) 1722 წლის ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი. 2) 1723 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი. 3) 1723 წლის აპრილი, მაისი, ივნისი. 4) 1723 წლის ივლისი, აგვისტო, სექტემბერი.

4 1135 წლის ჯემაზი ულ-ეველის 24 — 3.3.1723.

5 1135 წლის ჯემაზი ულ-ეველის 28 — 7.3.1723.

6 1135 წლის რეჯების 22 — 28.4.1723.

ის [ალაპი] შეეწიოს

თულრა: აჰმედ შაჰი, ძე მეჰმედ ხანისა¹, მუდამ გამარჯვებული.

უმალღესი სამეუფეო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ უწარჩინებულესთა და უკეთილშობილესთა სიდიადემ მუჰამედმა და მეორე მუჰამედმა, ხანგრძლივი იყოს მათი ღიღება, თავიანთი ვალდებულება 1141 წ. მუჰარემის დასაწყისიდან² იკისრეს. ზემოხსენებულთა მოვალეობას შეადგენდა თოქათის სავოევოდოსა და მისდამი დაქვემდებარებული მუკატაას შემოსავლის ახჩებიდან გადაეხადათ ამჟამად ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი 88 ჯარისკაცისათვის, უმალღესი სამეუფეო კარის იანიჩართა დღიური ულუფებისათვის 532 ახჩა. ზემოხსენებულთა კანონიერად არსებული 1141 წლის მასარას, რეჯევის, რომენისა და ლეზეზის³ სარგოთა ახჩები ხსენებულ რიცხვში დაიანგარიშეს. აღნიშნული თოქათის სავოევოდოსა და მისდამი დაქვემდებარებული მუკატაას ფინანსებიდან დაინიშნა ორი იუქი და 20 ახჩა. პასენესა და ყურუშის მონეტების ღირებულებათა შორის სხვაობა 3728 ახჩაა, რომლის ჯამია ორი იუქი და 23728 ახჩა. ყოველი ყურუში 120 ახჩაა. ესედით დაანგარიშებული მხოლოდ 1764 ესედი ყურუში და 10 ფარაა. რადგანაც აღნიშნული თანხა ამ 1141 წლის ჯემაზი ულ-ეველის დასაწყისი დღიდან⁴ უსქუდარი მუსტაფა იაზიჯის, იდიდოს მისმა სიდიადემ, ხელით ჩემი ბედნიერების დედაქალაქში სახელმწიფო ხაზინის დავთრებში შემოსავალ-გასავლად არის რეგისტრირებული, საამისო თამასუქად ეს ჩემი პატიოსანი განჩინება გაიცა. ასე იცოდეთ პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა ჯემაზი ულ-ეველის 4-ს, წელი 1141⁵.

ღვთივდაცული კონსტანტინეს რეზიდენციაში.

მეორე გვერდზე: ანაკლიის ციხის დამცველი.

სარგო 1864 ყურუში და 10 ფარაა.

თოქათის სავოევოდოს მუკატაას გაგზავნილიდან.

საქმე ისეა, როგორც აქაა დაწერილი. გადაწერა იგი ალაპის. მაღალიმც არს იგი, გლახაკმა, ქალაქ თოქათის წმინდანის [ბატონის] მოადგილემ მუსტაფამ.

ამ მართალი ჰუჯეთის გადმოწერის მიზეზი ის არის, რომ ამ „სებები თაპირი ჰუქმში“ აღნიშნული ხსენებული თანხა მიღებულია. საქსახურში მყოფი უმალღესი სამეუფეო კარის ნამდვილი მფარველის, იანიჩართა ოჯახში მთავარი იაზიჯისაგან დანიშნული, მეხუთე ბოლუქიდან გამოსული ელ-პაჯ იბრაჰიმ ჩაუში უმალღესი შარიათის სასამართ-

ლოზე როდესაც წარსდგა, ქალაქ თოქათის ვოევოდამ, უდიდებულესთა და უდიდესთა საყრდენმა ელ-ჰაჯ ომერ აღამ სრულად აღიარა თავისი აღსარება. ამ „სებები თაჰირი ჰუქმის“ საფუძველზე ამჟამად ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი 88 ჯარისკაცისთვის, უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩრებისათვის 1141 წლის მასარის, რეჯეჯის, როშენისა და ლეზეზის სარგოთა დღიური ახჩები 1141 წლისათვის¹ დაიანგარიშეს. თოქათისა და მისდამი დაქვემდებარებული მუკატაას ფინანსებიდან დაინიშნა და გადაიკვეთა. კანონიერად არსებული მხოლოდ 1364 ყურუში და 10 ფარა ზემოხსენებულის ხელით სრულად და უკლებლივ ჩავაბარეთ. — განაცხადა, შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილება ისაა, რომ მომხდარი ამბავი მოთხოვნილებისამებრ ამოწერილ იქნეს.

დაიწერა ზილ-კაადეს დასაწყისში, წელი 11417.

საქმის მოწმენი: სალეჰ ეფენდი ძე...

აჰმედ ალა ძე...

მაჰმუდ ალა ძე აჰმედისა.

ჰაჯი ჰასან ძე მეჰმედისა და სხვა დამსწრენი.

1 აჰმედ შაჰი, ძე მეჰმედ ხანისა — სულთან აჰმედ III (1703 — 1730).

2 1141 წლის მუჰარემის დასაწყისი — 7.8.1728.

3 1141 წლის მასარი, რეჯეჯი, როშენი, ლეზეზი — მასარი: 1728 წლის VII—X. რეჯეჯი: 1728 წლის XI—XII. როშენი: 1729 წლის I—III. ლეზეზი: 1729 წლის IV—VI.

4 1141 წლის ჟემაზი ულ-ეველის დასაწყისი — 3.12.1728.

5 1141 წლის ჟემაზი ულ-ეველის 4 — 6.12.1728.

6 1141 წელი — 7.8.1728. — 26.7.1729.

7 1141 წლის ზილ-კაადეს დასაწყისი -- 29.5.1729.

№ 95

თულრა: მაჰმუდ ხანი, შაჰი, ძე მუსტაფასი¹ მუდამ გამარჯვებული.

უმაღლესი სამეფუფეო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ უდიდებულესთა და უწარჩინებულესთა შორის უპირველესის — მუსტაფასა და წარსულში ჩემი სასულთნოს სამზარეულოს ემინის ელ-ჰაჯ ჰალილისთვის, იმატოს მათმა დიდებულებამ, ვალდებულებები 1145 წლის² მარტის დასაწყისიდან იქნა დაკისრებული. [1]145 და [1]146 წლების³ ანგარიშების მიხედვით, ზემოხსენებულთა ვალდებულებანი იყო მარაშის სანჯაყში მდებარე ზამანათისა და სხვა ნაჰიეს თიმარების მუკატაას ახჩათაგან გადაუხადათ ამჟამად ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფი 109 ჯარისკაცისათვის, უმაღლესი სამეფუფეო კარის იანიჩართვის [1]146 წლის მუჰარემის დასაწყისიდან⁴ აღნიშნული წლის ზილ-

პიჯეს მიწურულამდე⁵, ერთ წელიწადში კანონით არსებული 7611 ოყა. საჭირო სხორცის ფასები ახჩებით აღნიშნულ წლებში დაიანგარიშეს. ხსენებული მუკატაას ფინანსებიდან დანიშნულია 39968 ახჩა, რომლის თითოეული ყურუში 120 ახჩაა. ესედიტ დაანგარიშებული მხოლოდ 332 ესედი ყურუში, 39 ფარა და ერთი ახჩა შეადგინა. რადგანაც ხსენებული თანხა ამ 1145 წლის პატიოსანი რეჯების დასაწყისი დღიდან¹ შეპრინ მუჰამედ იაზიჯის, იმატოს მისმა სიღიადემ, ხელით ჩემი ბედნიერების დედაქალაქში სახელმწიფო ხაზინის შემოსავალ-გასავლის დავთრებში იქნა რეგისტრირებული, საამისო თამასუქად ეს პატიოსანი განჩინება გაიცა. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა ერთადერთი რეჯების 5-ს, 1146 წწ.

ღვთივდაცული კონსტანტინეს რეზიდენციაში.

ანაკლიის ციხის დამცველებს 1146 წლის ხორცის თანხა ყურუ-შით — 332. ფარა — 39. ერთი ახჩა. 1145—1146 წწ. მარაშის სანჯაყის ზამანათის ნაპიესაგან გაგზავნილი თანხიდან გადასახადის თესქერე გაიცა. [1]146 წლის 18 ზილ-პიჯე⁸.

დავთრით ნაკლებია რეგისტრირებული 39 ახჩა.

თქვენი მონა-მორჩილის წინადადება ისაა, რომ ანაკლიისა და რუხის ციხეების დასაცავად მყოფი უმაღლესი სამეუფეო კარის იანიჩართათვის [1]145 წლის სარგო, ჩოხისა და პროდუქტების თანხები 4290.5 ყურუშია. [1]145 და [11]46 წლების მარაშის სანჯაყში მდებარე ზამანათის მუკატაასთან ერთად [1]145 და [11]46 წლების ზულკადირიეს ხასის მუკატაადან გამოყოფილია პროდუქტები. ეს ექვსი ცალი „სიგებები თაპირირი ჰუქში“ გაიცა და გაიგზავნა, რადგანაც სხვა შესაძლებლობა არ იყო. სხვა რაიონიდან გასაგზავნად ვალდებულების ჩაწერის თაობაზე ფირმანი თქვენს უდიდებულესობაზეა, ჩემო ბედნიერო, მოწყალეო სულთანო.

სწორია.

თელხისის თანახმად ვალდებულება ჩაიწერა. ბრძანება.

[1]146 წლის 16 ზილ-პიჯე⁹.

1 მაჰმედ ხანი, შაჰი, ძე მუსტაფასი — სულთან მაჰმედ I (1730—1754).

2 1145 წელი — 24.6.1732. — 13.6.1733.

3 [1]146 წელი — 14.6.1733. — 2.6.1734.

4 [1]146 წლის მუჰარემის დასაწყისი — 14.6.1733.

5 [1146 წ.] ზილ-პიჯეს მიწურული — 2.6.1734.

6 1145 წლის რეჯების დასაწყისი — 18.12.1733.

7 რეჯების 5, წელი [1]146 — 12.12.1733.

8 [1]146 წლის 18 ზილ-პიჯე — 22.5.1734.

9 [1]146 წლის 16 ზილ-პიჯე — 20.5.1734.

...მუკატაას ახჩებიდან ამჟამად ანაკლიის ციხის დასაცავად... [11]45 წლის ერბაინის მიწურულიდან 1146 წლის ერბაინის დასაწყისამდე¹ ...გამოსაზამთრებელი ჩოხებისთვის საჭირო თანხა ახჩებით აღნიშნულ წლებში დაიანგარიშეს. ზემოხსენებული... გადაკვეთილი ...19440 ახჩაა, რომლის ყოველი ყურუში 120 ახჩაა. ესედით დაანგარიშებული მხოლოდ 162 ესედი ყურუშია. რადგანაც ხსენებული თანხა ამ 1146 წლის პატიოსანი რეჯების დასაწყისი დღიდან² შეჰრინ მუჰამედ იაზიჯის, იმატოს მისმა სიდიადემ, ხელით ჩემი ბედნიერების დედაქალაქში სახელმწიფო ზაზინის დავთრებში შემოსავალ-გასავლად არის რეგისტრირებული, საამისო თამასუქად ეს ჩემი პატიოსანი განჩინება გაიცა. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა ერთადერთი რეჯების 5-ს, წელი 1146³.

ღვთივდაცული კონსტანტინეს რეზიდენციაში.

[მეორე გვერდზე]: სალიანე. კუირუკლუ იმზა.

[11]45 წლის ერბაინის მიწურულიდან [1]146 წლის ერბაინის დასაწყისამდე — 26.1.1733 წლისა — 8.12.1733 წლისა.

² 1146 წლის პატიოსანი რეჯების დასაწყისი — 8.12.1734.

³ რეჯების 5, წელი 1146 — 12.12.1734.

№ 97

...თიმარების მუკატაას ახჩებიდან ამჟამად ანაკლიის... რეგისტრირებულია 917 ახჩა. ზემოხსენებულთათვის კანონიერადაა ბოძებული. მასარის, რეჯეჯის, როშენისა და ლეზეზის სარგოთა ახჩები აღნიშნულ წლებში დაიანგარიშეს. ხსენებული მუკატაას ფინანსებიდან დაინიშნა 324616 ახჩა, რომლის თითოეული ყურუში 125 ახჩას შეადგენს. ესე-დით დაანგარიშებული მხოლოდ 2705 ესედი ყურუში, 5 ფარა და ერთი ახჩაა. რადგანაც ხსენებული თანხა ამ 1146 წლის დიდებული რეჯების დასაწყისი დღიდან¹ შეჰრეფი მუჰამედ იაზიჯის, იმატოს მისმა დიდებამ, ხელით ჩემი ბედნიერების დედაქალაქში სახელმწიფო ზაზინის დავთრებში შემოსავალ-გასავლად არის რეგისტრირებული, საამისო თამასუქად ეს ჩემი პატიოსანი განჩინება გაიცა. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა ერთადერთი რეჯების 5-ს, წელი 1146².

ღვთივდაცული კონსტანტინეს რეზიდენციაში.

(მეორე გვერდზე): სალიანე. კვირუკლუ იმზა.

1 1146 წლის დიდებული რეჯების დასაწყისი — 8.12.1734.

2 რეჯების 5, წელი 1146 — 12.12.1734.

№ 98

ის [ალაპი] შეეწიოს

თულრა: მუსტათა ხან შაპი, ძე აჰმედისა, მუდამ გამარჯვებული. უმაღლესი სამეფუფო დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ ვალდებულება ნაკისრია მარტის დასაწყისიდან. 1175 წელს² დაანგარიშებული ზემონსენებულის ვალდებულებას შეადგენდა სიდასა და ბეირუთის ხასებისა და მათდამი დაქვემდებარებული მუკატაას შემოსავლის ახჩებიდან ამჟამად ანაკლიის ციხის დასაცავად დანიშნული 48 ჯარისკაცის, უმაღლესი სამეფუფო კარის იანიჩრების შესანახი თანხის გადახდა 1174 წლის ჯემაზი ულ-ეველის შეოთზე დღიდახ, ერბაიხის დასაწყისიდან³ 1175 წლის ჯემაზი ულ-ეველის მეთხოთმეტე დღემდე [1175 წ.] ერბაიხის დასაწყისამდე. კანონიერად არსებული გამოსაწამორებელი ჩოხის თანხები, აღნიშნული მუკატაას ფინანსებიდან ხსენებულ რიცხვში დაანგარიშებული და გადაკვეთილია 15120 ახჩა. ყოველი ყურუში 120 ახჩაა. რადგანაც ესედით დაანგარიშებული მხოლოდ 126 ესედი ყურუშია, ხსენებული თანხა ამ 1175 წლის რები ულ-ახირის დასაწყისი დღიდან⁵, ალი იაზიჯის, იმატოს მისმა სიდიადემ, ზელით ჩემი ბედნიერების დედაქალაქში სახელმწიფო ხაზინის დავთრებში შემოსავალ-გასავლად არის რეგისტრირებული, საამისო თამასუქად ეს პატიოსანი განჩინება გაიცა. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა რები ულ-ახირის 28-ს, წელი 1175⁶.

ღვთივდაცულ ისლამბოლში.

[მეორე გვერდზე]: ანაკლიის ციხის დაცვაში სარგო: 1174 წლის შასარი⁷.

ჩოხის თანხა 126 ყურუში.

1175 წლის სიდასა და ბეირუთის ეიალეთების ხასების მუკატაას ფინანსებიდან.

ამ აღსარების შინაარსი ისეა, როგორც აქაა გადმოწერილი. გადაწერა იგი ალაპის, მალალიმც არს იგი, გლახაკმა, ქალაქ სიდას წმინდანმა ალ-სეიდ ალ აბდიმ.

შეუწდოს ალაპმა.

ამ 1175 წლისათვის დაანგარიშებული სიდასა და ბეირუთის ეიალე-
თის მუკატაას ფინანსებიდან ანაკლიის ციხის ჯარისკაცების შესანახო
თანხა „სებები თაპირის“ მიხედვით გაიგზავნა. „სებები თაპირში“
აღნიშნული იყო: ხსენებული მხოლოდ 126 ყურუშია, ამჟამად სიდას ვა-
ლდებულება გადაეკვეთა. იგი ჩვენი ბატონი ელ-სეიდ ნიჰან ფაშას უდი-
დებულესობის ხელით სრულად ჩაბარდა და ეს ამ „სებები თაპირშია“
აღნიშნული.

თქვენი მონა-მორჩილი ხსენებული გურჯისტანის სალიანეჯი ჩაუშ
მეპმედი. სალიანე.

1 მუსტაფა ხან შაჰი, ძე აჰმედისა — სულთან მუსტაფა III (1757--1773).

2 1175 წელი — 2.8.1761. — 22.7.1762.

3 1174 წლის ჯემაზი ულ-ვევლის მეოთხე დღე, ერბაინის დასაწყისი — 12.12.
1760 წელი.

4 1175 წლის ჯემაზი ულ-ვევლის მე-15 დღე, ერბაინის დასაწყისი — 12.12.
1761 წელი.

5 1175 წლის რეზი ულ-ახირის დასაწყისი — 30.10.1761.

6 რეზი ულ-ახირის 28, წელი 1175 — 27.11.1761 წელი.

7 1174 წლის მასარი — 1760 წლის აგვისტო, სექტემბერი, ოქტობერი.

№ 99

პატიოსნის, მაღალღირსეულის, ზეციური სამეფო ნიშნისა და
ბრწყინვალე, ქვეყნისმპყრობელი, უზენაესი თულრის ბრძანება ის
არის, რომ ჩემი ძლევაგამოსილი საზღვრის ბოლოს საქართველოში მდებარე
ანაკლიის ციხის დასაცავად მყოფ საგანგებოდ რეგისტრირებულ,
სამეფუფეო სიხარულის მომნიჭებელ 144 ადგილობრივ ჯარისკაცს დღიუ-
რად 1640 ახჩა, ხოლო წლიურად 3628,5 ყურუში სარგო აქვს. ყოველ
წელიწადს მათგან სალიანეჯი მოდის და მათ სარგოებს ცალკეული
რაიონიდან აგზავნიან, იღებენ, ადგილებზე მიაქვთ. დიდძალი ხარჯები
აქვთ სოფლიდან სოფელში გაგზავნისას, წლიური სარგო მათთან რო-
გორც კი მიაღწევდა, წელიწადნახევრის აღვირახსნილი საქმიანობისა და
გაუკითხაობის შედეგად შემოსავალი ჰქონდათ. ზოგჯერ, როდესაც წლის
განმავლობაში შემოსავალი არ გააჩნდათ, ანდა სალიანებისათვის არ
იყო მიწერილი თანხები, მაშინ სხვა რაიონიდან იგზავნებოდა სარგო,
ამავე დროს საკმარისი რაოდენობისა იყო. ამ თანხას როგორც კი ად-
გილებზე მიიტანდნენ, ამ თანხიდან მოხელეებისათვის ზარჯები გათვა-
ლისწინებულაო და სარგოების ნახევარი ჯარისკაცების ხელში ვერ
ხვდებოდა. საწყალი ჯარისკაცების მიმართ სრულ უსამართლობას სჩა-
დიოდნენ. მაგრამ იმ რაიონის ახლო ადგილები ოჩაქლიქად დაინიშნა.
ოჩაქლიქად არსებული ადგილიდან სარგოებს მთლიანად იღებდნენ

და ჯარისკაცებს აძლევდნენ. ჯარისკაცებიც დამშვიდებულნი, დაკისრებულ მოვალეობასაც ასრულებდნენ და დაცვის სამსახურშიც მტკიცედ იდგნენ დღე და ღამე. ამრიგად... ზემოხსენებულ ჯარისკაცებს [1]132 წლის¹ სარგოები გაეგზავნათ და ებოძათ. [1]133 წლის მუჰარემის დასაწყისიდან² წლიურად გადაკვეთილი 3628,5 ყურუში სარგოდან 628,5 ყურუში ოჯაქლიქის სანაცვლოდ ჩამოაკლეს. არზრუმის საბაჟოს საზედამხედველოს ფინანსებიდან 3000 ყურუში ოჯაქლიქი დაინიშნა. აღნიშნული მუკატაა ხსენებული ემინის მიერ იქნა მიღებული და ლეგისტირირებული. პატიოსანი ბრძანება გაიცა. ოჯაქლიქის სანაცვლო მთლიანად არ იქნა გაცემული. არსებულის შესაბამისად ოჯაქლიქის სანაცვლოს ბოძების საკითხზე ზემოხსენებული ჯარისკაცების მეთაურთა თხოვნით ჩამოკლებული თანხის შემდეგ დარჩენილი წლიურად გადაკვეთილი 3000 ყურუში სარგო აიღეს [1]133 წლის მუჰარემიდან³ არზრუმის საბაჟოს საზედამხედველოს მუკატაას ფინანსებიდან. რადგანაც თავის რაიონში ჩაწერისა და ოჯაქლიქის სანაცვლოს ხელზე ბოძების საკითხზე თელხის თანახმად ჩემი დიდებული ფირმანი გამოვიდა, სატახტო ზღურბლზე ჩემი ურიცხვი საფადიშაჰო წყალობა გაიცა და ეს სიხარულის მომგვრელი ბერათი გიბოძეთ და ებრძანე, რომ ხსენებულ ჯარისკაცებს სარგო ებოძოთ.

აღნიშნული ჯარისკაცებისთვის შემციირებული სახით ოჯაქლიქად დანიშნული წლიური 3000 ყურუში სარგოა. 1133 წლის მუჰარემის დასაწყისიდან ეს თანხა ...ჩაბარდეს და თითოეულს ებოძოს. ამ ჩემი დიდებული ბერათის ასლის მეორე გვერდზე შარიათის ჰუჯეთი დაიწერა და მეთაურისგან ბეჭდიანი თამასუქი მიღებულ იქნა. სააღრიცხვო უწყებაში დაანგარიშების დროს დაიცავით წესრიგი. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა რები ულ-ახირის თვის პირველს, წელი 1133⁴.

ღვთივდაცული კონსტანტინეს რეზიდენციაში.

მთავარმა მოანგარიშებ მინაწერი გააკეთოს!

ანაკლიის ციხის ადგილობრივი ჯარისკაცების სარგო ოჯაქლიქის წესით დაინიშნოს არზრუმის საბაჟოს საემინოს მუკატაას ფინანსებიდან. [1]133 წლის 8 ზილ-კაადე⁵.

ჯარისკაცები — 144

დღეში — 1620

წელიწადში — 580560 ახჩა.

ყურუშით დაანგარიშებული: 3628,5

მუკატაას ოჯაქლიქის თანხა: 0628,5

3000

თელხისი:

ჰასან აღამ შემოსავალი მიიღო არზრუმის საზღვდამხედველოს მუკატაას ფინანსებიდან მუკატაას საემინოს ვეჟილის, ხსენებულა ჯარისკაცის ელ-ჰაჯ ოსმანისგან 1134 წლიდან ბერათის ასლის, არზრუმის კაზას მევლანა აბდურაჰმან ეფენდის შარიათის ჰუჯეთის საფუძველზე. 1135 წლის 7 ზილ-კაადე⁷. დამთავრდა.

ანაკლიის ციხის ადგილობრივი ჯარისკაცების წლიური სარგო — 3000 ყურუში — არზრუმის საზღვდამხედველოს მუკატაას ფინანსებიდან ოჯაქლიქი იყო. 1134 წლისათვის ჯარისკაცების ვეჟილმა ჰასანმა იგი მუკატაას ემინისაგან სრულად მიიღო. რადგანაც ბექდიანი ბერათის ასლში შარიათის ჰუჯეთია მოცემული, ხაზინისთვის შემოსავალ-გასავლის თესქერე ითხოვეს. ფირმანი, ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

1136 წლის 18 ჯემაზი ულ-ეველი⁸.

სწორია, უმაღლესი დედანი გადაწერა მწირმა, იყოს დიდება და პატივი მასზე, აბდურაჰმანმა, ქალაქ არზრუმის ყადიმ. შეუნდოს ალაჰმა. სწორია.

თელხისის თანახმად თესქერე გაიცა, ბრძანება.

[1]136 წლის ჯემაზი ულ-ეველის 23⁹.

თქვენი მონა-მორჩილის არზა ისაა, რომ საქართველოს საზღვარზე მდებარე ანაკლიის ციხეს 1640 ახჩა დღიურით 144 ადგილობრივი ჯარისკაცი ჰყავს. მინაწერში აღნიშნულია, რომ არზრუმის საზღვდამხედველოს მუკატაას ფინანსებიდან წლიურად 3000 ყურუში სარგო ოჯაქლიქია. შემოხსენებულმა ჯარისკაცებმა 1134 წლის სარგოები აღნიშნულ წელს მუკატაას ემინის ზელით მიიღეს. რადგანაც სააპისოდ ოჯაქლიქის ბერათის ასლის მეორე მხარეზე შარიათის ჰუჯეთია, მუკატაას ემინის ვალის დასაანგარიშებლად შემოსავალ-გასავლის თესქერეს ბოძების საკითხზე ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

თესქერე დასაანგარიშებლად გადაეცეს!

1136 წლის 2 ჯემაზი ულ-ახირი¹⁰.

საქმე ისეა, როგორც აქაა დაწერილი. გადაწერა იგი ალაჰის, იყოს წმინდა სახელი მისი, გლახაკმა ქალაქ არზრუმის ყადიმ, აბდურაჰმანმა. შეუნდოს ალაჰმა.

ამ ჰუქმის დაწერის მიზეზი ისაა, რომ ძლევეამოსილი საზღვრის ბოლოს. გურჯისტანში მდებარე ანაკლიის ციხეში მყოფი 144 ადგილობრივი ჯარისკაცის მიერ ქვემოთ აღნიშნული თანხა მიღებულია. შარიათის წესების დაცვით მათთვის გაპიროვნებული ვეჟილი ჰასან ალა იბნ ალი პატიოსანი შარიათის სასამართლო ბრწყინვალეების წინაშე წარსდგა. 1134 წელს არზრუმის საბაყოს და საზღვდამხედველოს ემინმა, განდიდე-

ბუღალტრული და წარჩინებული შორის უპირველესმა, პატივცემულმა ელ-
 პაჯ ოსმან ალაბ სასამართლოს წინაშე როდესაც წარსდგა, სრულად აღი-
 არა თავისი აღსარება. ამ დოკუმენტის უკანა მხარეზე მიწერილი მაღალი
 ფირმანის შინაარსის მიხედვით, ხსენებულ ჯარისკაცებს არზრუმის სა-
 ბაჟოს საზედამხებდველოს ფინანსებიდან 3000 ყურუში ოჯაქლიქი დაენი-
 შნა. აღნიშნულ ჯარისკაცებსაც 1134 წ. კანონიერად არსებული 3000
 ყურუში სარგო მითითებული მუკატაას ფინანსებიდან ებოქათ. ზემოხ-
 სენებული ალას დავალებით როდესაც მოვთხოვეთ, მანაც აღნიშნული
 თანხა — 3000 ყურუში, აღნიშნული წლისთვის დაიანგარიშა და უკლე-
 ბლივ მე ჩამაბარა და მეც სრულად მივიღე. მომავალში ხსენებული სარ-
 გოდან აღნიშნული ემინის ვალი არც ერთი ნამცეცი ახჩა ნაშთი არ და-
 რჩა და ამ მაღალი ბრძანების მეორე გვერდზე ჰუჯეთი დაიწერაო, ეს
 რომ განაცხადა, შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილება ისაა, რომ მომ-
 ხდარი ამბავი მოთხოვნილებისამებრ ამოწერილ იქნას.

დაიწერა რები ულ-ეველის თვის 7-ს, წელი 1135¹¹.

საქმის მოწმენი: ალ-სეიდ მეჰმედ პალილი.

მაჰმუდ ალა	26203,5
პალილ ჯელფი.	03000
აჰმედ ბეშე.	06986
იუსუფ ბეშე.	02337
	<hr/>
	38523,5

1 [1] 132 წელი — 14.11.1719 — 1.11.1720.

2 [1] 133 წლის მუჰარემის დასაწყისი — 2.11.1720.

3 [1] 133 წლის მუჰარემი — 2.11. — 1.12.1720 წელი.

4 1133 წლის რები ულ-ახირის პირველი — 30.1.1721.

5 [1] 133 წლის 8 ზილ-კაადე — 31.8.1721.

6 1134 წელი — 22.10.1721 — 11.10.1720 წელი.

7 1135 წლის 7 ზილ-კაადე — 9.8.1723 წელი.

8 1136 წლის 18 ჯემაზი ულ-ეველი — 13.2.1724 წელი.

9 [1] 136 წლის ჯემაზი ულ-ეველის 23 — 18.2.1724 წელი.

10 1136 წლის ჯემაზი ულ-ახირის 2 — 27.2.1724 წელი.

11 რები ულ-ეველის თვის 7, წელი 1135 — 16.12.1722.

№ 100

ის [ალაპი] შეეწიოს

პატიოსანი, მაღალღირსეული, ზეციური სამეფო ნიშნისა და ბრწყინ-
 ნვალე და ქვეყნისმპყრობელი უზენაესი თულრას ბრძანება ისაა, რომ

დიდებულთა ემირთა-ემირმა, ჩილდირის ბეგლარ-ბეგმა ისპაკმა, ხან-გრძლივი იყოს მისი ბედნიერება, სამეუფეო დივანს არზა გაუგზავნა: საქართველოს საზღვარზე მდებარე რუხის ციხის დასაცავად მყოფი უმაღლესი თულრას მატარებელი მაღალი სასულთნოს 40 ჯარისკაცის — ადგილობრივი ჯებეჯიებისა და 25 თოფჩის ჯარისკაცისათვის — წლიურად გადაკვეთილი სარგოების ვალეზა გადაწყდა 1133 წლის დასაწყისიდან¹ არზრუმის საბაჟოს საზედამხედველოს მუკატაას თანხიდან. თუმცა ბერათი არ გაცემულა, მაგრამ როდესაც მისი ძმისთვის ოჯაქლიქის ბერათის ბოძების საკითხზე მოწყალეობა ითხოვეს, ჩემს სახელმწიფო ხაზინაში დაცული მთავარი მოანგარიშის დავთრებში რეგისტრირებულ იქნა ისე, რომ 750 ახჩას ერთი ნამცეციც არ აკლდა. რუხის ციხის დასაცავად მყოფი 40 ჯარისკაცის — ადგილობრივი ჯებეჯისა და 25 ჯარისკაცის — თოფჩისთვის განკუთვნილი ყოველი ყურუში 160 ახჩაა. გადაკვეთილი 1659 ყურუში სარგოა. ყოველ წელს სალიანეჯი ჩამოდის. მათი სარგოები ადგილიდან იგზავნება და ებოძებათ. როგორც კი ადგილზე მოაღწევენ, გარდა დიდი ხარჯების ვალეზისა, ზოგიერთ წელიწადს სარგოები მათთვის არაკანონიერი შემოსავლის წყარო ხდება. წელიწადნახევრიანი დაკაბალებისა და ზოგიერთ წელიწადს შემოსავლის ზედმეტად მითვისების გამო მათთვის გარკვეული რაოდენობის ხარჯები იყო გათვალისწინებული. რადგანაც ლარიზი ჯარისკაცების მიმართ სრული გაუკითხაობა იყო, წლიურად გადაკვეთილი 1659 ყურუში სარგოდან ოჯაქლიქის სანაცვლო 259 ყურუში დააკლეს. დანარჩენი 1133 წლიდან არზრუმის საბაჟოს საზედამხედველოს ვინანსებიდან 1400 ყურუში სარგო ოჯაქლიქის სახით დაენიშნათ. გაცემული ჩემი პატიოსანი ბრძანების, მინაწერისა და განმარტებული წესის მიხედვით აღნიშნული ნაღდი თანხა ხსენებული საზედამხედველოს ფინანსებიდან ჩამოწერილ იქნა ოჯაქლიქის სახით 1400 ყურუში სარგო. 1133 წლის დასაწყისიდან ოჯაქლიქი დაინიშნა. როდესაც თელხისის თანახმად დარჩენილ თანხაზე ბერათის გაცემის საკითხი დადგა, ჩემი უმაღლესი ფირმანის გამოსვლა სამართლიანი ვახდა, აშკარა შეიქმნა ჩემი საფადიშაჰო მოწყალეობა. 1133 წლის რეზი ულ-ახირის 27-ე დღეს² ეს სამეუფეო ბერათი გიბოძე და ვბრძანე, რომ აღნიშნულა 65 ჯარისკაცის დღიური 750 ახჩიდან ყოველი 160 ახჩა ერთი ყურუშია. წლიურად გადაკვეთილი 1450 ყურუში სარგოს ოჯაქლიქის შესაბამისი 250 ყურუში შირინია. ნაშთი 1400 ყურუში სარგო 1133 წლის არზრუმის საბაჟოს საზედამხედველოს ფინანსებიდან ოჯაქლიქია. ყოველ აღნიშნულ მუკატაას წელს თანხის მისაღებად ემინებისგან დანიშნულ პირებს გარკვეულ ვალდებულებას უხდებიან და აბარებენ. ამ ჩემი დიდებული ბერათის ასლზე მიწერილი შარიათის ჰუჯეთის საფუძველზე ბოძებული ბე-

ქდიანი თამასუქი აღებულ იქნა. ანგარიშის დროს ემინების დასათვლელად თადარიგი დაიჭირეთ. ასე იცოდეთ, პატიოსან ნიშანს ენდეთ.

დაიწერა რები ულ-ახირის მეორე დღეს, 1133 წელი³.

ღვთივდაცული კონსტანტინეს ქალაქი.

შესაბამისი ადგილი:

საქართველოს საზღვარზე მდებარე რუხის ციხის ადგალობრივო ჯარისკაცების სარგო:

ჯარისკაცები:	40	დღეში:	450	ჯებეჯიების ჯარისკაცები.
	25		300	თოფჩიების ჯარისკაცები.
	<u>65</u>		<u>750</u>	

წელიწადში:

ახნა — 265500, თითოეული ყურუში 160 ახნაა.

ყურუში ესედით დანაგარამებული:	1659	1	— 0
	<u>0259</u>	<u>1</u>	<u>2 0</u>
ყოველ წელიწადს ოჯაქლაქის სანაცვლო:	1400.	0	<u>2 0</u>
			0 0

არზრუმის საბაჟოს საზედამხედველოს მუკატაას ფინანსებიდან ოჯაქლიქი დაინიშნა.

ჯებეჯიების ჩორბაჯთა ალა ალიმ და თოფჩიების მეორე ალი ალამ სალეპ ჩოკდარის ხელით მიიღეს სარგო ზსენებული მუკატაას ემინის ელ-ჰაჯ ჰალილ ეფენდისაგან 1143 წ. დიდებული ბერათის ასლისა და არზრუმის ყადის მევლანა ჰასან ეფენდის ჰუჯეთის მეორე გვერდზე მიწერილის საფუძველზე.

ყურუში ესედი — 1400.

რუხის ციხის დასაცავად მყოფი 40 ჯარისკაცი ჯებეჯისა და 25 ჯარისკაცის — თოფჩის წლიური სარგოა 1400 ყურუში. იგი არზრუმის საბაჟოს საზედამხედველოს მუკატაას ფინანსებიდან ოჯაქლიქის სახითაა გადაკვეთილი. ჯარისკაცებისათვის განკუთვნილი 1134 წლის⁴ სარგოები ჩორბაჯი ალი ალას, თოფჩი ბაშისა და მეორე ალი ალას მიერ აღნიშნული მუკატაას ემინის ჩოკდარ სალეპისგან სრულად აღებულ და რეგისტრირებულ იქნა.

ამ დიდებული ბერათის მეორე გვერდზე მიწერილია არზრუმის ყადის არაერთი სასამართლო ჰუჯეთი, ფირმანი ჩემი ბედნიერი, მოწყალე სულთნის უდიდებულესობაზეა.

1144 წლის 27 რები ულ-ახირი⁵.

მინაწერისა და ანგარიშის მიხედვით შემოსავალ-გასავლისთვის თესქერე გაიცეს.

ბერათი გაიცა, 1144 წლის 26 ჯემაზი ულ-ეველი⁶.

მწერალი.

ასლი დედანთან სწორია, გადაწერა გლახაკმა ალაპისა (იყოს მისი წმინდა სახელი), ჰასანმა, ქალაქ არზრუმის ყადიმ. შეუნდოს უფალმა. [ბექედი]: ჰასანი.

საქმე ისეა, როგორც აქ არის მოთხრობილი. გადაწერა ეს მისმა — ალაპის — იყოს მასზე დიდება და პატივი — მწირმა ჰასანმა, ქალაქ არზრუმის ყადიმ. შეუნდოს უფალმა. [ბექედი]: ჰასანი.

ამ დოკუმენტის დაწერის მიზეზი ისაა, რომ ამჟამად რუხის ციხის დასაცავად მყოფი 40 ჯარისკაცის — ადგილობრივი ჯებეჯიებისა და 25 თოფჩის ჯარისკაცის მიერ მიღებულია აღნიშნული თანხა. მათთვის ვე-ქილად დანიშნულმა ჯებეჯი ჩორბაჯი ალი ალა იბნ მეკმედმა და თოფჩი ბაშამ, მეორე ალი ბენ სულეიმანმა სახელოვანი შარიათის სასამართლოს მოუთხრეს და ვრცლად მოახსენეს შემდეგი: 1143 წ. არზრუმის საბაჟოს საზედამხედველოს ფინანსები დაცულია. ამჟამად მაღალ სახელმწიფოში ჯიზიას მონაგარიშემ, ბედნიერმა ჰალილ ეფენდიმ და ვექილმა ჩოხადარ სალუკ ალამ სასამართლოს წინაშე უკლებლივ და სრულად აღიარეს. დიდებული ბერათის ასლის მიხედვით, რომლის მეორე გვერდზე მიწერილია ეს სიჯილი, ზემოხსენებული ჯარისკაცებისთვის შემცირებული ნაწილით განკუთვნილი 1400 ყურუში წლიური სარგო აღნიშნული საზედამხედველოს ფინანსებიდან გასაგზავნად დაინიშნა, აღნიშნული თანხა — 1400 ყურუში 1143 წლისთვის დაიანგარიშეს. როდესაც ხსენებული საზედამხედველოდან დასახელებულ ალებს მოვთხოვეთ ფინანსები, მათ აღნიშნული თანხა — 1400 ყურუში მითითებული წლისთვის დაიანგარიშეს, აღნიშნული საზედამხედველოს ფინანსებიდან უკლებლივ ჩვენ გვიბოძეს და ჩავგაბარეს. ჩვენც ხსენებული თანხა სრულად ჩავიბარეთ მისგან და მივიღეთ. აღნიშნული თანხიდან ვალი ერთი ნამცეცი ახჩა ნაშთი არ დარჩაო, ეს რომ განაცხადეს, შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილება ისაა, რომ მომხდარი ამბავი მოთხოვნილებისამებრ ამოწერილ იქნას.

დაიწერა პატიოსანი ზილ-კაადეს 17-ს, 1143 წელი⁷.

საქმის მოწმენი: ომერ კალფი — მუჰაზირი.

შაჰმუდ ალა — სერ მუჰაზირი.

ელ-ჰაჯ ჰასანი — ჩოხადარი.

ომერ ალა — ქედხუდა და სხვა დამსწრენი

1400

16

8400

1400

224000

¹ 1133 წლის დასაწყისი — — 2.11.1720.

- ² 1133 წლის რები ულ-ახირის 27-ე დღე — 25.2.1722.
- ³ რები ულ-ახირის მეორე, 1133 წელი — 31.1.1721.
- ⁴ 1143 წელი — 17.7.1730.
- ⁵ 1144 წლის 27 რები ულ-ახირი — 29.10.1731.
- ⁶ 1144 წლის 26 ჟემაზი ულ-ეველი — 26.11.1732.
- ⁷ ზილ-კაადეს 17, წელი 1143 — 24.5.1731.

ტარმინოლოგიური ზანიზვევაი

1. ავარიზი — საგანგებო შემთხვევებთან, უპირატესად სამხედრო ექსპედიციებთან დაკავშირებული ერთდროული გადასახადი, რომელიც თავდაპირველად 4-5 წელიწადში ერთხელ იკრიბებოდა, შემდეგში იგი ყოველწლიურ გადასახადად იქცა და მძიმე ტვირთად აწვებოდა მწარმოებელ საზოგადოებას.

2. აზაბი — ოსმალეთის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი სახეობა. აზაბები ცხენოსანთა რაზმებს შეადგენდნენ. ისინი სიფაპიების უცოლშვილო ნაწილისაგან შედგებოდნენ. მათ იერიშების, თავდასხმების, საჭურვლის გადაზიდვისას იყენებდნენ. აზაბები იყვნენ ძალიან გულადი და თავზებელაღებული. რაზმებისაგან შემდგარი მხედრები, რომლებიც ძირითადად თავმოყრილნი იყვნენ ოსმალთა მიერ დაპყრობილ ამა თუ იმ ციხესიმაგრეში, განსაკუთრებით ზღვისპირა ადგილებში. გემსაშენებში. მათ გემსაშენი ვერფების ხალხს ეძახდნენ. ისინი ყოველ სამ თვეში ერთხელ იღებდნენ ზელფასს. აზაბების შესახებ იხ. Z. Karamursal, Osmanlı Malı Tarihi Hakkında Tetkikler. Ankara, 1940 გვ. 130. 1. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. 1948. Ankara.

3. აზაბთა ალა — აზაბთა ლაშქრის უმაღლესი მეთაური.

4. აზაბთა სერ ბოლუქი — აზაბთა რაზმის, ბოლუქის მეთაური.

5. აზაბთა ქათიბი — აზაბთა ალას შემდეგ თანამდებობით მოდიოდა აზაბთა ქათიბი, რომელსაც ევალებოდა აზაბთა შესახებ ყოველგვარი მონაცემის რეგისტრაცია სათანადო დოკუმენტებში, დავთრებში.

6. აზაბთა ქელზუდა — აზაბები ძირითადად ზღვისპირა სიმაგრეებში მეციხოვნეებად მსახურობდნენ, მათ გემსაშენებშიც ამუშავებდნენ. აზაბთა საქმეების ზედამხედველს ქელზუდა ეწოდებოდა, ხალხში ქაპიას სახელითაც იყო ცნობილი.

7. აღემდარი — იგივე ალამდარი, მედროშე. ალამდარობა იანიჩართა კორპუსის ერთერთ წევრს ეკისრებოდა. ალამდარის შესახებ იხ. M. Z. Pakalin, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. I. fasikül I. 1946. გვ. 49; Z. Karamursal, Osmanlı Malı Tarihi Hakkında Tetkikler. Ankara, 1940. გვ. 148.

8. არზუშალი — განცხადება, არზა, თხოვნა, ვედრება. ოსმალური საფინანსო დოკუმენტის გარკვეული კატეგორია.

9. ახჩა — თეთრი, ფულის წვრილი ერთეული, ვერცხლის ფული. იგი პირველად 1328 წ. მოიპრა ორხან ბეის სახელზე და 1,54 გრამს იწონიდა. პირველ ხანებში იგი უმაღლესი ხარისხისა იყო, მაგრამ დროთა ვითარებაში ერთი ხუთად შემცირდა და ისე გაუფასურდა, რომ სპილენძისაგან ველარ არჩევდნენ. 1687 წლიდან ახჩა ყურუშით შეიცვალა.

10. აკ ახჩა — ვერცხლის ფული.

11. ალა — ოსმალთა სახელმწიფოში სასახლის ცალკეული კატეგორიების მსახურთა მეთაურების სახელწოდება. დიდ თანამდებობაზე მყოფ პირთა მეთაურების სახელწოდება. სასახლეში იყო ორი კატეგორიის ალა: შინაგანი ალა და საგარეო ალა. შინაგანი ალა: კაფუ ქედხუდა, ხაზინადარ ბაში, ქილარჯი ბაში და სხვ. საგარეო ალა: იანიჩართა ალა და მისდამი დაქვემდებარებული იანიჩართა ლაშქრის ცალკეული კატეგორიების მეთაურები: აზაბთა ალა, სიფაპიების ალა, სილაპდართა ალა, ულუფეჯიების ალა და სხვ. А. С. Тверитинова, Второй трактат Кочибей. Ученые записки института востоковедения. Т. VI. 1953. М.—Л. с. 263.

12. ანადოლუ მუჰახებე კალეში — არზრუმის გარდა ანატოლიაში არსებული სულთნისა და დიდევზირის ვაკუფების საფინანსო საქმეების, განსაკუთრებით საალრიცხოვო საქმეების ბიურო ფინანსთა უწყებაში.

13. ბარანი — მოსასხამის, სპეციალური ქსოვილისაგან დამზადებული საწვიმარის ან ქსოვილის გარკვეული სახეობის სახელწოდება.

14. ბალთაჯი — საომარი ცულით შეიარაღებული ბალთაჯიები შეადგენდნენ სულთნის სასახლისა და პარემის მცველ რაზმს. ისინი დიდი მოხელეების მცველებიც იყვნენ. ბალთაჯიების მოვალეობა იყო ლაშქრობის წინ გზები გაესუფთავებინათ ლაშქრისთვის, ტყიანი ადგილები გაეწმინდათ, კარვები გაეშალათ და აეშალათ, ტვირთი გადაეტანათ. იხ. I. H. Uzuncarşili, Osmanlı Devletinin Saray Teşkilatı. Ankara, 1945. გვ. 432—438.

15. ბაშ დევთერდარი — ოსმალეთის იმპერიაში საფინანსო უწყების მეთაური, ფინანსთა მინისტრი.

16. ბაშ ჩაუში — იანიჩართა გაერთიანებაში მეხუთე ზოლუქის მეთაური, ამავე დროს მთელი იანიჩართა ჩაუშების უფროსი. მას სერ ჩაუშს და ჩაუშ ბოზორგს უწოდებდნენ.

17. ბაშ ჩოხადარი — სულთნის სასახლეში სულთნის სამსახურში მყოფი ჩოხადარების მეთაური. იხ. ჩოხადარი.

18. ბაშ ბული — ოსმალთა სახელმწიფოში ლაშქრობის დროს გარკვეული გაერთიანების, ჯგუფის, რაზმის, ერთგვარი პოლიციის მეთაური.

სახელმწიფოს წინააღმდეგ ამხედრებული ძალების მეთაურებსაც ბაშ ბულს უწოდებენ.

19. **ბაშ მუჰასებე კალემი** — ოსმალეთის საფინანსო უწყებაში სააღრიცხვო და სამოანგარიშო განყოფილების მეთაურის სახელწოდება. სახელმწიფოს მთელი შემოსავალ-გასავალი, მუჰაქათას საფუძველზე არსებული თანხები ამ განყოფილებაში იყო აღრიცხული. ეს განყოფილება ყველაზე დიდი იყო მთელს საფინანსო სისტემაში. იხ. I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. 1948. Ankara. გვ. 354.

20. **ბაღდადჯიკი** — ოსმალურ დოკუმენტურ და ნარატიულ წყაროებში იმერეთში მდებარე ბაღდადის ციხის აღსანიშნავად იხმარება ბაღდადჯიკი. ბაღდადის ციხეს ამით განასხვავებდნენ დიდი ბაღდადისაგან.

21. **„ბედელი ნისფი ბაღათ“** — ვენახის გარკვეული ფართობის ნახევრის ფულადი გადასახადი.

22. **ბედელი ნუზლი** — ოსმალეთის სახელმწიფოში ბედელი ნუზლი შემოდებულ იქნა როგორც ნატურალური საგანგებო გადასახადი. იგი გაიღებოდა ომიანობის დროს ლაშქრის საჭიროებისათვის მთელი XVII — XVIII სს.

23. **ბერათი** — ქართული ბარათი, სიგელი, გაცემული სახელმწიფოს უმაღლესი ინსტანციის მიერ ამა თუ იმ პირისათვის მიწის მფლობელობის უფლებებისათვის.

24. **ბეშე** — იანიჩართა შორის დაწინაურებულის მისამართავად იმარებული სიტყვა. საპატივცემულო მიმართვა. იგი საკუთარი სახელის ქემდეგ დაისმის. ძირითადი მნიშვნელობა: „დიდებული“, „მაღალი“, ფაქალინის მიხედვით, ბეშეს ეძახდნენ მომთაბარე ტომებში ტომის დიდ შვილს, უფროს შვილს. შემდეგში ოსმალეთის სახელმწიფოს დაარსებისას პირველ უფლისწულს — ფაშას//ბეშეს სახელწოდება მიეცა. იხ. M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. I. გვ. 211.

25. **ბეშლი აზაბი** — ოსმალთა სახელმწიფოში ზუთი ოჯახიდან ერთი კაცი გამოყავდათ სამხედრო სამსახურში. ასეთი გზით შეკრებილ ლაშქარს ევალებოდა ციხის მეთვალყურეობა. იგი ეიალეთის რჩეულ ლაშქრად ითვლებოდა.

26. **ბეშლუიანები** — ოსმალთა შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი სახეობა, ზუთი აზჩა ულუფას მქონე იანიჩრების კატეგორია, რომელთა მოვალეობა იყო ლაშქრისთვის გზის გაწმენდა, მეგზურობის გაწევა და სხვ.

27. **ბეშლუიანების ალა** — ბეშლუიანების რაზმის მეთაური.

28. ბეშლუიანების სერ ბოლუქი—ბეშლუიანების რაზმში მთავარი გაერთიანების, ბოლქის მეთაური, სერ ბოლუქი.

29. ბეგლარბეგი — ბეგთა ბეგი, ფაშა, ვილაიეთის სამოქალაქო და სამხედრო-ადმინისტრაციული საქმეების განმგებელი.

30. ბექთაშ ბაში — ბექთაშიების ორდენის მეთაური. ბექთაშიები იყვნენ ბექთაშიების ორდენის წევრები. სახელწოდება ამ ორდენმა მიიღო „ჰაჯი ბექთაშ ველის“-გან. ამ ორდენს საფუძველი ჩაეყარა შუა ანატოლიის ერთ-ერთ სოფელში. იგი ქალაქელებისაგან შორს დარჩენილ სოფლებსა და დაბებს შორის გავრცელებული მიმდინარეობა იყო. ბექთაშობა ბათინების მსგავსად ყველგან ვრცელდებოდა, ყველაფერს საიდუმლოდ ინახავდნენ. იხ. M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. I. fas. III. 1947. გვ. 196—202.

31. ბინა ემინი — სულთნებისათვის განკუთვნილი სასახლის, კომკის, ჯამეებისა და სხვა მსგავსი ნაგებობის მშენებლობის ხელმძღვანელს ბინა ემინის ეძახდნენ.

32. ბიუქ რუზნამჩე — დევთერდარის გვერდით მყოფი რუზნამჩეჯიებიდან დაწინაურებული პირის სახელწოდება, რომელსაც ვეალებოდა იანიჩართა ოჯახის აღწერისათვის საბოლოოდ გადაეხედა და გადაწყვეტილება მიეღო.

33. ბოლუქი — იანიჩართა კორპუსში ნაწილს, დანაყოფს, გარკვეულ ჯგუფს ბოლუქი ეწოდებოდა. იანიჩართა კორპუსი შედგებოდა 10 ბოლუქისაგან (ნაწილისაგან). თითოეულ მათგანში შედიოდა 100 კაცი. დროთა ვითარებაში ბოლუქთა რიცხვი 101-მდე გაიზარდა. სხვადასხვა გახდა თითოეული ბოლუქის წევრთა რაოდენობა, მოვალეობა და სახელწოდება. იხ. M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri sözlüğü. I. 1946. გვ. 242. I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Saray Teşkilatı. Ankara, 1945. გვ. 217.

34. ბოლუქ ბაში — იანიჩართა ოჯახის ორგანიზაციაში ნაწილის, რაზმის, ჯგუფის უფროსს ბოლუქ ბაში ეწოდებოდა. იყო „აღლი ბოლუქ ბაში“ (ექესი ბოლუქის უფროსი). იანიჩართა ლაშქრის გარდა ოსმალთა სახელმწიფო ლაშქრის ორგანიზაციაში თითოეული ბოლუქის მეთაურსაც ჰყავდა ბოლუქ ბაში. იყო აგრეთვე ეიალეთის ლაშქრის მეთაურთა, სეკბანთა, თუფენქჩიებისა და სხვა სახეობის ლაშქართა მეთაურების ბოლუქ ბაშიც. ცხენოსანთა ბოლუქების მეთაურებიც ბოლუქ ბაშები იყვნენ. იხ. M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve terimleri Sözlüğü. I. 1946. გვ. 242. I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Saray Teşkilatı. Ankara- 1945. გვ. 217.

35. ბოსტანჯი — მებოსტნე, იმთავითვე, ოსმალეთის სახელმწიფოს

დაარსებიდან, ხასების ბალების მოვლა-პატრონობა ევალეზოდან, შემდეგში სასახლის მცველების ფუნქცია დაეკისრათ. სასახლის საშინაო და საგარეო საკითხებს აგვარებდნენ. ამ ორგანიზაციისათვის ქრისტიანთა ბავშვებს „დევირმეს“ წესით აგროვებდნენ და სპეციალურად წვრთნიდნენ. ბოსტანჯიების ნაწილი სასახლის ბალებს იცავდა, სასახლისათვის საჭირო ტვირთს ეზიდებოდა. მათ ევალეზოდან „ოქროს რქის“ ყურის ნაპირებისა და დედაქალაქის ზღვისპირა უბნების დაცვა. ბოსტანჯიები სულთნის პირად დაცვას შეადგენდა. ერთგული ბოსტანჯიები მალაღ თანამდებობებზე წინაურდებოდნენ. იხ. 1. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Saray Teşkilatı. Ankara. 1945. გვ. 465—487.

36. **ბოსტანჯი ბაში** — სულთნის სასახლის ბაღის მცველების — ბოსტანჯიების მეთაური. დროთა ვითარებაში მისი ფუნქციები იცვლებოდა და უფრო ფართოვდებოდა. ბოსტანჯიების ოჯახში ყველაზე დიდი ოფიცერი ბოსტანჯი ბაში იყო. იხ. M. Karamursal, Osmanlı Mali Tarihi Hakkında Tetkikler. 1940. Ankara. გვ. 148. M. Z. Pakalin, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. I. fas. III. 1947. გვ. 24.

37. **„განჩინების დაწერის მიზეზი“** („სებები თაპირი ჰუქმი“) — ოსმალეთის სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების მიერ გაცემული საფინანსო დოკუმენტის ერთ-ერთი ტიპის სახელწოდება.

38. **გონულიანები** — ოსმალეთის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი კატეგორია, რომელიც თავისი სურვილისამებრ, თავისუფლად მოქმედებდა როგორც ომიანობის ასევე მშვიდობიანობის დროსაც.

39. **გონულიანების აღალიქი** — გონულიანთა რაზმის, ბოლუქის მეთაურის თანამდებობა, გონულიანების აღას თანამდებობა.

40. **გუმუშჰანე** — თურქეთის თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით გუმუშჰანეს სახელწოდების ვილაიეთის ცენტრალური ქალაქი.

41. **დევეთრდარი** — ოსმალეთის იმპერიაში საფინანსო საქმეების უმაღლესი რანგის მატარებელი პირის წოდება. სახელმწიფოს ტერიტორიულ ზრდასთან ერთად რუმელიისა და ანატოლიის დევეთრდარის თანამდებობა შემოიღეს. სელიმ 1-ის დროს(1512-1520) კი ალექსანდრე დევეთრდარის თანამდებობა გაჩნდა. XVI ს-ის მიწურულისათვის ყოველ ვილაიეთს თავისი დევეთრდარი ჰყავდა და ადგილზევე აწარმოებდა საფინანსო საქმეებს. ცალკეული ვილაიეთის დევეთრდარებს ხელმძღვანელობდა ბაშ დევეთრდარი, რომელიც უშუალოდ დიდვეზირს ექვემდებარებოდა და სახელმწიფო ხაზინასაც განაგებდა. იგი მთელი იმპერიის

საფინანსო უწყების გამგებელი იყო. თანამედროვე ტერმინოლოგიით ფინანსთა მინისტრი იყო.

42. **დევთერდარ ეფენდი** — დევთერდარებისადმი პატივისცემით მიმართვის ფორმა.

43. **დენიზ ბეილერი** — ზღვის ბეგები, კაფუდან ფაშასთან დაკავშირებული სანჯაყ ბეგებისათვის ბოძებული ტიტული.

44. **დიზდარი** — მეციხოვნე, ციხის მცველი. იგი შეიძლება ყოფილიყო სხვადასხვა კატეგორიის. იხ. Nicoara Beldiceanu, Recherche sur la ville Ottomane au XV siecle. Etude et Actes. Paris. 1973. გვ. 58—59.

45. **ღირჰემი** — ერთი ღირჰემი 3,148 გრამს იწონიდა, ოყას 1/400 ნაწილს შეიცავდა. ვერცხლის მონეტა, რომელიც XVI ს-ში უდრიდა 4 ახჩას. 3 ღირჰემი შეიცავდა ერთ ოქროს დინარს.

46. **ვილაეთი** — ვილაიეთი, ქვეყანა, ოლქი, ყველაზე დიდი ადმინისტრაციული ერთეული ოსმალეთის იმპერიაში. ვილაიეთები სანჯაყებად იყოფოდა. ოსმალეთის სამხედრო წარმატებებთან ერთად იზრდებოდა სახელმწიფოს ტერიტორია და შესაბამისად მატულობდა ვილაიეთების რიცხვიც.

47. **ემინი** — ნდობით აღჭურვილი პირი, რწმუნებული, რომელსაც ოსმალეთის სახელმწიფო დაწესებულებებში სხვადასხვა თანამდებობა ეკავა. მაგალითად, ზარაფხანის ემინი ფულის მოჭრას უწევდა კონტროლს, ჯიზიას ემინი — ჯიზიას გადასახადების გაწერასა და აკრეფას, მადენ ემინი — მადნეულის მოპოვებას. იყვნენ: საბაჟოს ემინი, ყაფანის ემინი, ღვინის ემინი და სხვ. ემინის სხვადასხვა ამპლუაში არსებობის შესახებ იხ. Z. Karamursal, Osmanlı Mali Tarihi Hakkında Tetkikler, 1940. Ankara. გვ. 132. Nicoara Beldiceanu, Recherche sur la ville Ottomane au XV siecle. Etude et Actes. Paris. 1973. გვ. 63—73.

48. **ერბაინი** — ზამთრის ყველაზე ცივი დღეების (40 დღის) სახელწოდება, რომელიც 21 დეკემბრიდან 29 იანვრამდე გრძელდებოდა. საფინანსო დოკუმენტებზე ლაშქრის შესახებ რაიმე ანგარიშის აღნიშვნისას წლის ერთი პერიოდი აღინიშნებოდა „ერბაინად“, ე. ი. ზამთრის ყველაზე ცივი 40 დღე 21 დეკემბრიდან.

49. **ესედი ყურუში** — მონეტის ერთი სახეობა, რომელიც ჰერ კიდევ სელჩუკთა დროიდან არსებობდა. ავერსზე ამოტვიფრული იყო ლომი. მისი ოდენობა დროთა ვითარებაში იცვლებოდა. ჩვეულებრივ 70 ახჩას შეადგენდა.

50. „**ესირჯილიქი**“—სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „მეტყვევების“ საქ-

მიანობით დაკავებულ თანამედებობას. ქართულ სინამდვილეში „ტყვეთა სყიდვა“ იგულისხმება. 1847 წ. ოსმალეთში ოფიციალურად გაუქმებულ იქნა ტყვეთა დაჭერა, ყიდვა-გაყიდვა.

51. ეფენდი — საპატიო წოდება, რომელიც განათლებულ, სწავლულ და პატივსაცემ პირებს ეძლეოდათ. მიმართვისას სახელის შემდეგ ისმებოდა.

52. ვაიზი — მუსლიმანური რელიგიის მქადაგებელი, მოძღვარი, მოქალაქე, წინასწარმეტყველი.

53. ვალი — ოლქის მმართველი. ოსმალეთში ვილაიეთის გამგებელს — ბეგლარბეგს ვალი ეწოდებოდა. ვილაიეთის ვალი, ბეგლარბეგი, მირ-მირანი სინონიმები იყო. ვალი იყო მოსაზღვრე ტერიტორიების გამგებელი, უმაღლესი თანამედებობა ფეოდალურ აღმოსავლეთში. ქართლ-კახეთის მეფეები ირანის შაჰისგან ვალის ტიტულის მატარებლები იყვნენ.

54. ვარდციხე — ცნობილი ისტორიული ციხე-სიმაგრე იმერეთში, სადაც ოსმალთა ლაშქარი იყო განლაგებული XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში.

55. ვეჟილი — გარკვეულ საქმეთა გამგებელი, მოხელე, რწმუნებული, წარმომადგენელი, ზედამხედველი, მფარველი, დამცველი (გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., გვ. 292). ვ. გაბაშვილის განმარტებით, „ვეჟილი ეწოდებოდა შაჰის რწმუნებულს, რომელიც შუამავლის როლს ასრულებდა შაჰსა და იმ ხელისუფალს შორის, რომლის კარზეც ის საგანგებო დავალებით იყო წარგზავნილი. შარდენის იტყვიით, ყველა მმართველი და ოლქის სხვა დიდმოხელე შოვალე იყო იავის კარზე ჰყოლოდა აგენტი, რომელსაც ვეჟილს უწოდებდნენ. ვეჟილებს, ირანის სახელმწიფოს მოთხოვნისთანავე, უნდა მიეწოდებინათ საჭირო ცნობები ხელისუფლების საგამგეო ოლქში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბების შესახებ. ვეჟილის სამოხელეო ფუნქციაც დაახლოებით ისეთივე იყო, როგორც ვეზირისა. მეთვალყურე ვეზირის მსგავსად ვეჟილსაც შაჰის ინტერესების დაცვა ევალებოდა. ვეჟილი იყო ირანის შაჰის მოხელედ ირანის შაჰისავე მოხელესთან“. (გ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVIII სს. თბ. 1958. გვ. 392-393.).

56. ზიამეთი — სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ გაცემული მიწის ნაკვეთი, საკარგავი, რომლის წლიური შემოსავალი შეადგენდა 20000-დან 100000 ახჩამდე. აკრეფილი გადასახადი ზიამეთის მფლობელის — ზიამისა იყო. იგი ვალდებული იყო შემოსავლის ყოველ 5 ათას ახჩაზე ერთი შეიარაღებული მხედარი — ჯებელი გამოეყვანა.

57. ზილ-კაადე — მუსლიმანური მთვარის წლის მეთერთმეტე თვის სახელი.

58. ზილ-პიჯე — მუსლიმანური მთვარის წლის მეთორმეტე თვე.

59. ზინჯირლი — 1716 წელს მოჭრილი ოსმალური ოქროს ფულის სახელწოდება.

60. ზოლოთა — პოლონური ფულის მსგავსი ოსმალური ვერცხლის ფული.

61. ზოლთა ჯედიდი — ანუ იენი ზოლთა, ერთ-ერთი ძველი ოსმალური ვერცხლის ფულის სახელწოდება.

62. ზულკადირიე — ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთი ვილაიეთის სახელწოდება. ოსმალთა მიერ ზულკადირიეს დაპყრობამდე 1379 -- 1516 წლებში ქურთების სამთავრო იყო. იხ. Dictionnaire universel d'histoire et de Geographie par Ch. Samy-Bey Frascbery. Tome troisieme. Constantinople. 1891. გვ. 2226—2227.

63. თარსუ — თურქეთის თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით იჩელის ვილაიეთის ერთ-ერთი რაიონის (ილჯეს) — თარსუსის ცენტრი.

64. თაჰსილდარი — თაჰსილდარს მუჰასილსაც უწოდებდნენ. ამ თანამდებობის პირები ვილაიეთისა და სანჯაყის ჯიზიასა და სხვა გადასახადების აღრიცხვის საქმეს განაგებდნენ. ესენი იყვნენ გადასახადის ამკრეფი მოხელეები. იხ. Z. Karamursal, Osmanlı Mali Tarihi Hakkında Tetkikler. Ankara. გვ. 138.

65. თელხისი — თელხისი, მოკლე შინაარსი, რეზიუმე, დიდვეზირის წერილობითი მოხსენება სულთნისადმი.

66. თერსანე ემინი — გემსაშენი ვერფების მეთაური, ემინი.

67. თესქერე — ოსმალთა ხელისუფალთა მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი თანამდებობის თუ წყალობის მიღების თაობაზე.

68. თეფაუტი ჰასენე — გადასახადების გარკვეული რაოდენობა, რომელსაც ცალკეული პირები, სახელმწიფოსაგან განსაზღვრული პირობით მიღებული მიწის ნაკვეთის შემოსავლიდან, სავალდებულო გადასახადების გარდა, სახელმწიფოს დამატებით უხდიდნენ ერთდროულ თანხას მუსლიმანურ და ქრისტიანულ საფინანსო წლების დღეებს შორის არსებული სხვაობის — 14 დღის — გადასახადს. რადგანაც ქრისტიანული წელთაღრიცხვის დღეების რაოდენობა შეადგენს 365 დღეს, 5 საათს და 5 წუთს, ხოლო მუსლიმანური წელთაღრიცხვისა — 354 დღეს, 8 საათს და 48 წუთს, მათ შორის სხვაობაა 10 დღე, 21 საათი და ერთი წუთი. ამასთანავე რადგანაც საფინანსო წელი ქრისტიანულ წელთან სხვაობას იძლევა 10 დღეს, 21 საათსა და ერთ წუთს, ამიტომ როდესაც მიწის ნაკვეთი განსაზღვრული დროით იჯარით გაიცემოდა, დადგენილ სავალდებულო გადასახადელ თანხას დაერიცხებოდა 10 დღის,

21 საათისა და ერთი წუთის გადასახადი. ამ სხვაობას თეფაუტი პასენე ეწოდებოდა. სახელმწიფო მუქატაას გაცემისა და ილითზამის წესით გადასახადის აკრეფის უფლების გაყიდვისას ქრისტიანული წელთაღრიცხვის დღეებს მხედველობაში იღებდა. იგი არაბულ-მუსლიმანურ თვეებთან ერთად იყო აღრიცხული. იხ. I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. 1948. გვ. 386.

69. თიმარი — სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ გაცემული მიწის ნაკვეთი, რომლის წლიური შემოსავალი ორი ან სამი ათასიდან 19.999 ახჩას შეადგენდა. თიმარის მფლობელებს ეწოდებოდათ „საჰიბი თიმარი“, „თიმარლი სიფაჰილერი“. იხ. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში. თბ., 1918. გვ. 185 — 186; ს. ჯიქია, XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, № 91, თბ., 1960, გვ. 178—179. მისივე, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1964, გვ. 104, 111.

70 თოქათი — ოსმალური ადმინისტრაციული ერთეულს — თოქათის პროვინციის, ვილაიეთის ცენტრი.

71. თორულის კაზა — თურქეთის თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით თორულის კაზა შედის გუმუშჰანეს ვილაიეთში და თორულის სახელწოდების რაიონის (ილჯეს) ცენტრია. თორულის რაიონში გაერთიანებულია 37 სოფელი. იხ. Genel Nüfus Sayımı, idarı bölünüş 26.10.1975. № 29.

72. თოფი — ქსოვილის საზომი ერთეული, რომელიც გ. ჯაფარიძის დაკვირვებით, 8-10 მეტრს უდრიდა. (გ. ჯაფარიძე, ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX—XIX სს), თბ., 1973, გვ. 141.

73. თოფჩი — ოსმალეთის შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი სახეობის — „კაფუ კულუს“ შემადგენელი რაზმები — მეზარბაზნეები. იხ. I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devleti Teşkilatından Kapukulu Ocakları. II. Cebeci, Topçu, Top arabacı, Humbaracı, Lağımçı Ocakları ve Kapukulu Suvarileri. Ankara. 1944. გვ. 35—113. M. Z. Pakalin, ... II. 1951, გვ. 512—513.

74. თოფჩი ბაში — ოსმალეთის სახელმწიფო ლაშქრის ერთ-ერთი სახეობის — თოფჩიების ოჯახის მეთაურის სახელწოდება. მეზარბაზნეთა უფროსი. იხ. ევლია ჩელები, „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთუჩიძემ. ნაკვ. 11, 1973, თბ., გვ. 141 — 142.

75. თოფჩიების ჩაუში — ოსმალეთის სახელმწიფო ლაშქრის ერთ-ერთი სახეობის — თოფჩიების ოჯახის ყოველ დანაყოფში იყო ქედხუ-

დას, ჩაუშისა და ქათობის თანამდებობა, ხოლო უფრო მცირე დანაყოფებში კი — ჩორბაჯის, ოღა ბაშის თანამდებობა. კოჩიბეი გორიჯელის მეორე რისალეში ნათქვამია: «Количество ваших слуг топчу... 2—3 тысячи человек. Их обязанность — следить за состоянием пушек. Во время походов они тянут пушки, а их начальниками являются топчу-башни, кетхуда, чавуши и чорбаджи. Они отличают пушки в артиллерийском арсенале, где и находятся их помещения и работа. Среди них имеются искусные мастера, в которых большая нужда на войне. Им, литейщикам и другим работникам арсенала жалование выплачивается в три месяца раз». (А. С. Тверитинова, Второй трактат Кочибея. Ученые записки института востоковедения. 1953, VI. М.—Л., с. 234).

76. თოფჩიბაშილიქი — თოფჩი ბაშის თანამდებობა.

77. თოფჩიების ალა — თოფჩიების მეთაური.

78. თოფჩიების სერ ბოლუქი — თოფჩიების ბოლუქების მეთაური.

79. თოფხანე-ი ამირე — ზარბაზნების ჩამოსასხმელი სახელმწიფო ქარხანა.

80. თოფხანეს ყულების ოღა — ზარბაზნების ჩამოსასხმელი სახელმწიფო ქარხნის მსახურთა, მონათა ჯგუფის, რაზმის სახელწოდება.

81. თულრა — სულთნის მონოგრამა, რომელსაც სულთნის სახელით კანცელარიიდან გამოსული ფირმანის, ბერათის, „სებები თაჰრირი ჰუქმის“ თავში გამოიყვანდა სპეციალური მოხელე — ნიშანჯი. თულრაში იკითხება ამა თუ იმ სულთნის სახელი, მამის სახელი სათანადო ტიტულითა და ეპითეტებით. იხ. ს. ქიჯია, XVIII საუკუნის თურქული დოკუმენტი ოქროს ციხის შესახებ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, № 91, თბ., 1960., გვ. 169 — 170.

82. იაზიგი — მწერალი, მოხელე, ჩინოვნიკი, ცალკეულ უწყებებში, სამხედრო ნაწილებში სამდივანმწიგნობრო საქმეების შემსრულებელი პირი.

83. იანიჩარი — („იენი ჩერი“—ახალი ჯარი) ქვეითი დაქირავებული ჯარი, რომელიც სულთან მურად I დროს (1359 — 1389), 1361—63 წლებში იქნა ორგანიზებული. პირველ ხანებში ამ ლაშქრისთვის აგროვებდნენ ქრისტიან ტყვე ბავშვებს, შემდეგში ეს შეგროვება დაკანონებულ იქნა ქრისტიანებზე სპეციალური გადასახადით დევნიბე. ამ 7-12 წლის ბავშვებს ათურქებდნენ და ამუსლიმანებდნენ ჯერ თურქ გლეხთა ოჯახებში, შემდეგში ასწავლიდნენ სამხედრო საქმეს საგანგებო დაწესებულებებში, რომელსაც „აჯემი ოღლანი“ — „უცხოელთა ბავშვები“ ეწოდებოდა.

84. იანიჩართა იაზიჯი — იანიჩართა მწერალი, მოხელე, გარკვეული დავალებების შემსრულებელი პირი იანიჩართა ორგანიზაციაში.

85. იანიჩართა ალა — მთელი იანიჩართა ლაშქრის უმაღლესი მეთაური. იგი განაგებდა იანიჩართა წვრთნის საქმეს, ჯამაგირების გაცემას, დანიშვნასა და გადაყენებას. იგი იღებდა საჩივრებს და სჯიდა დამნაშავეებს. ის იყო ერთთულიანი გენერალი.

86. იანიჩართა ქათიბი — იგივე იანიჩართა ეფენდი, რომლის მოვალეობა იყო იანიჩართა ულუფისა და აღრიცხვის დავთრის გამგებელთა მეთაურობა. იანიჩართა კორპუსის მწერალი, გადამწერი, მდივანი, კანცელარიის მოხელე. იხ. M. Z. Pakalin, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. III. fas. XXIV. 1956. გვ. 629—630.

87. იანიჩართა კალემი — იანიჩართა კორპუსისადმი გაპიროვნებული ერთ-ერთი უჭრედის სახელწოდება ოსმალეთის საფინანსო უწყებაში. ამ უჭრედის მოვალეობა იყო იანიჩარებისათვის ყოველგვარ საჭიროებაზე ზრუნვა და ყველაფრის რეგისტრაცია სპეციალურ დავთრებსა და უწყისებში.

88. იამაკი — მოსაზღვრე ტერიტორიების ციხე-სიმაგრეებში დამკვევლებად ჩაყენებული იანიჩართა ლაშქრის სახელწოდება. იანიჩართა ოჯახში თოფჩიებისა და ყუმბარაჯიების მსგავსი ლაშქარი იყო, რომელიც მიწის სამუშაოებს ასრულებდა, სალაშქროდ არ მიდიოდა და ციხის მეთვალყურედ რჩებოდა. იხ. Z. Karamursal, Osmanlı Malı Tarih Hakkında Tetkikler. Ankara. 1940. გვ. 150.

89. იენი ალთუნი — სიტყვა-სიტყვით ახალი ოქრო. სულთან მურად II-ის დროს მოჭრილი ოქროს ფულის ერთ-ერთი სახეობა.

90. იმამი — „მუსლიმთა რეგულარული თემის მეთაური, სულიერი მამა, მეჩეთში ღვთისმსახურების ხელმძღვანელი. ასევე ეწოდებოდათ I. ზოგი მუსლიმური სახელმწიფოს უზენაეს ხელისუფლებას, 2. შიიტების უზენაეს სასულიერო მეთაურს, 3. ისლამის ოთხი ძირითადი მიმდინარეობის (ჰანიფიტების, ჰანბალიტების, მალიქიტებისა და შაფიტების) დამაარსებლებს“. (ეგლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფურთუჩიძემ, ნაკვ. II, გამოკვლევა, კომენტარები, თბ., 1973. გვ. 145.). იმამი სახელმწიფოს მიერ ჯამეში დანიშნული მსახური იყო, რომელიც რელიგიური რიტუალების შესრულებას მეთაურობდა. იხ. M. Z. Pakalin, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. I. Istanbul, 1959. გვ. 59.

91. ინიეს რაიონი — იგივე უნიეს რაიონი, თურქეთის თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით უნიეს რაიონის (ილჯეს) ცენტრი ორ-

დუს ვილაიეთში. იხ. Genel Nüfus Sayımı İdarı Bölünüş 26.10. 1975. Ankara. N 52.

92. იურთლუქი და ოჯაქლიქი—მიწების კატეგორია, რომელსაც ოსმალეთის ხელისუფლება აძლევდა დაპყრობილი ქვეყნების ადგილობრივ ფეოდალებს მემკვიდრეობის წესის შენარჩუნებით. ეს ფეოდალები ისლამს იღებდნენ და ცენტრალურ ხელისუფლებას მხარში ედგნენ ქვეყნის დამორჩილების საქმეში. იურთლუქებისა და ოჯაქლიქების მფლობელნი ნახევრად დამოუკიდებლობას ინარჩუნებდნენ. სახელმწიფოს წინაშე სამხედრო სამსახურის შესრულება და ერთდროული გადასახადის გაღება ძღვენისა და ფეშქაშის სახით ევალებოდათ. ძირითადად იურთლუქებად და ოჯაქლიქებად სანჯაყები გაიცემოდა. ფაქტობრივად ეს იყო დაპყრობილი ტერიტორიების ფეოდალებისადმი სამემკვიდრეოდ გაცემული სახელმწიფო მიწების კატეგორია. იხ. M. Z. Pakalin, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. fas. XVII. 1953. გვ. 712—713.

93. იუქი—ტვირთი, საპალნე, ტყავის ტომარა. ფართლუელის ერთ შეკვრა ტვირთს იუქი ან საპალნე ეწოდებოდა. 1687 წლამდე ოსმალეთში 100000 ახჩა ერთ იუქს შეადგენდა.

94. ეშკამფულია — კარაპი, ბარკასი, ნახევრადბარკასი. იალქნიანი მსუბუქი საომარი გემის ერთ-ერთი სახეობა. ამბის შესატყობინებლადაც იყენებდნენ. იხ. I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. 1948. Ankara. გვ. 458.

95. იჯმალი — რეზიუმე, ჯამი, აღწერა, სია. დოკუმენტი, რომელშიც შეჯამებულია გარკვეული ანგარიში. იჯმალ დევთერი კი ეწოდებოდა ისეთ წიგნს, რომელშიც მოცემული იყო ახლად დაპყრობილი ოლქის აღწერილობა, მასში ჩაწერილი იყო მოსახლეობის სია, სოფლის სახელწოდება წლიური შემოსავლით.

96. კაიმე — ოსმალეთის საფინანსო უწყების მიერ გაცემული დოკუმენტის ერთ-ერთი ტიპი, რომელშიც ძირითადად მოცემული იყო გასავლის ანგარიში.

97. კალემიე — ოსმალეთის საფინანსო უწყებაში ცალკეული უკრედის, ბიუროს, განყოფილების სახელწოდება. იგი რამდენიმე ათეულს შეადგენდა.

98. კაფუდანი — სამხედრო ხომალდის ან ხომალდების ჯგუფის მეთაური. XVII ს. დასაწყისამდე რეისის სახელწოდებას ატარებდა, შემდეგ კი — კაფუდანით შეიცვალა. რეისი კი სავაჭრო ხომალდის მეპატრონის სახელად დარჩა. იხ. Nicoara Beldiceanu, Recherche sur la ville Ottomane au XV siecle. Etude et Actes. Parise. 1973. გვ.

60—62. M. Z. Pakalin, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. 1951. İstanbul. გვ. 187.

99. **კაფუდან ფაშა** — კაფუდან ფაშა ანუ კაფუდან დერია ოსმალეთის საზღვაო ფლოტის უმაღლესი მეთაური, ადმირალი. მას ვეზირის ხარისხი ჰქონდა სამი თულით. იგი ფლობდა ხმელთაშუა ზღვის კუნძულებსაც კაფუდან ფაშას ვილაიეთის სახელწოდებით და უდადეს შემოსავალს იღებდა. იხ. I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. 1948. Ankara. გვ. 414—420.

100. **კაფუ კულუ** — ოსმალეთში სახელმწიფო კარის ცხენოანი და ქვეითი ჯარისკაცების სახელწოდება. იგი რამდენიმე სახეობისაგან შედგებოდა.

101. **კაფუჯი** — სასახლის მსახურთა კატეგორია, რომლის მოვალეობას შეადგენდა სასახლის შინაგანი სიმყუდროვის დაცვა. ისინი სასახლის ჯარისკაცებად ითვლებოდნენ.

102. **კაფუჯი ბაში** — სასახლის მსახურთა კატეგორიის მეთაური. კაფუჯი ბაში განაგებდა სულთნის სასახლის კარისა და დივანის სხდომების დაცვას. სასახლეში წარადგენდა ელჩებსა და საპატიო სტუმრებს. ისინი იგზავნებოდნენ პროვინციის მეთაურებთან საიდუმლო დავალებით. ხშირად კაფუჯი ბაშებს სულთნის ხელისუფლებისათვის არასასურველი ფაშებისა და დიდი მოხელეების თავიდან მოშორებისა და მოკვლის საქმეს ავალებდნენ. იხ. I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Saray Teşkilatı. Ankara. 1945. გვ. 404—407. A. C. Тверитинова, Второй трактат Кочинбея... с. 235.

103. **კაფუ აღასი** — სასახლის ყველა კატეგორიის მსახურთა მეთაური.

104. **კაფუ კულუს აღები** — სულთნის სასახლის მსახურთა ცალკეული კატეგორიების მეთაურები.

105. **კაზა** — ოსმალური ადმინისტრაციული დაყოფით სანჯაყში შემავალი მცირე ადმინისტრაციული ერთეული.

106. **კუირუკულუ იშა** — ფინანსთა უწყების მეთაურის ბაშ დევთერდარის ხელრთვა ოფიციალურ დოკუმენტებზე.

107. **ლეზეზი** — მუსლიმანური წლის კვარტლის სახელწოდება, რომელშიც შედიოდა: შევალი, ზილ-კაადე და ზილ-ჰიჯე.

108. **ლევენდები** — ოსმალეთის საზღვაო ფლოტსა და ნავსადგურებში თიშარის საფუძველზე მყოფი ჯარისკაცები. XV ს. მიწურულსა და XVI ს-ის დასაწყისში ხმელთაშუა ზღვაზე თურქ მეკობრეთა გემებზე მომუშავე მეზღვაურებს ლევენდებს ეძახდნენ. ეს ლევენდები შემდეგში ოსმალთა საზღვაო სამსახურში მოეწყვენ. იხ. I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. 1948. Ankara. გვ. 479—482.

109. ლივა — იგივეა რაც სანჯაყი.

110. მადენ შა სალიანე კალემი — საფინანსო უწყების ეს განყოფილება განაგებდა ყირიმის ზანების მემკვიდრეთადმი წლიურად, სალიანეს სახით გაცემული საბაჟოებისა და საბადოების აღრიცხვის საქმეს. იხ. I. H. Uzunçarşılı. Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. 1948. Ankara. გვ. 352.

111. მალიქანე — მიწის ნაკვეთი, რომელსაც ოსმალეთის საფინანსო უწყება გარკვეული ვადით ილთიზამის წესით აძლევდა ამა თუ იმ პირს, რომლის მოვალეობას შეადგენდა ერთდროულად გადაეხადა წინასწარ დადგენილი თანხა. იგი შემოღებულ იქნა 1695 წელს. თუ მალიქანეს საფუძველზე მიწის ნაკვეთის ე. წ. მუკატაას მფლობელი გარდაიცვლებოდა, იგი სხვას გადაეცემოდა გარკვეული თანხის გაღების სანაცვლოდ. მაგრამ თუ გარდაცვლილს შვილი ჰყავდა და იგი კისრულობდა მამის მიერ აღებული ვალდებულების განახლებას და გადახდას, მაშინ შვილს რჩებოდა მიწის ნაკვეთი მალიქანეს უფლებით. იხ. I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. 1948. Ankara. გვ. 348.

112. მარაში — თანამედროვე თურქეთის ადმინისტრაციული ერთეულის — მარაშის ვილაიეთის ცენტრი.

113. მარდინი — თანამედროვე თურქეთის ადმინისტრაციული ერთეულის — მარაშის ვილაიეთის ცენტრი.

114. მასარი — მუსლიმანური წლის კვარტლის სახელწოდება. მასში შედიოდა: მუჰარემი, საფარი, რები ულ-ეველი.

115. მაჰმადის ჯამათი — იგულისხმება ოსმალეთის ლაშქარი.

116. მეველანა — მაღალგანათლებული ღვთისმეტყველი, მასწავლებელი, იმამი. საპატიო ტიტული, რომელიც ეძლეოდა საპატივცემულო უღემებსა და ყადიებს. მისი მნიშვნელობაა: „ჩვენი ქალბატონები“, „ჩვენი ბატონები“.

117. მიმარ ბაში — სულთნის სასახლეების, ოფიციალური სახლების განაწლებისა და მშენებლობის საქმეებით დაკავებული არქიტექტორების, მშენებლების მეთაური.

118. მიდილლის კუნძული — მდებარეობს ეგეოსის ზღვაზე.

119. მირი — სახელმწიფო, სახელმწიფო ზაზინა, სახელმწიფო ქონება.

120. მირმირანი — იგივე ბეგლარბეგი, ვალი, ვილაიეთის განმგებელი.

121. მუბაშირი — საფინანსო მოხელე, რომელიც ძირითადად შე-

მოსავლის აღრიცხვის საკითხებით იყო დაკავებული. იხ. Z. Karamursal, Osmanlı Malı Tarihi Hakkında Tetkikler. Ankara, 1940- გვ. 137.

122. მუდი — მარცვლეულის საწყაო. სულხან-საბას განმარტებით, „მოდი—სარწყავი არს 22 ქსესტიანი. ცხრა ათას დრაჰკანსა მრაცხელნი ერთს მოდსა უწოდენ“. ს.ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1928, გვ. 219.

123. მუკაბელე კალემი — კაფუ კულუს ცხენოსანი და ქვეითი ლაშქრის საქმიანობით დაკავებული საფინანსო უწყების ერთ-ერთი უჯრედის სახელწოდება. კაფუ კულუს, სახელმწიფო სამზარეულოს, ხასეების და სხვ. ხელფასების დავთრები ამ უჯრედში დგებოდა. მას ხაზინაში არსებული ე. წ. ანა დავთრებთან აჯერებდნენ. ხაზინიდან ულუფას სახით თანხა გამოჰქონდათ. იხ. I H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. 1948. Ankara. გვ. 348.

124. მუკატაა — მიწის ნაკვეთი, რომლის შემოსავალი სახელმწიფოს მიერ ფისკალური მიზნით გარკვეული დროით იჯარის წესით გაიციმოდა სამხედრო და სამოხელეო თანამდებობის პირებზე. მუკატაას მფლობელს სახელმწიფოს მიერ ბოძებული სათანადო დოკუმენტის საფუძველზე ევალებოდა გადასახადის აკრეფა და გარკვეული წილის სახელმწიფოსათვის ჩაბარება. კოჩიბეი გორიჯელის განმარტებით: „A „mukataa“ означает следующее: когда, например, кому либо дается на один год за 100 или 500 юк `акча таможня или рудника, их (тогда) называют „макту“ и получившему их выдается священный указ с туירוю. И пока не истечает год назад не отнимается. Это и называется „mukataa“. (А. С. Тверитинова, Второй трактат Ко-чибея... с. 250—251). I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. Ankara. 1948. გვ. 383—384.

125. მუსტაფაზი — თიმარის საფუძველზე არსებული ლაშქარი, რომელსაც იანიჩართა მოსპობამდე ევალებოდა ციხის, გამაგრებული ადგილისა და დაბანაკებული ლაშქრის დაცვა. იანიჩართა განადგურების შემდეგ 40 წელს მიღწეულს, სამხედრო სამსახურის შემდეგ ოთხი წლით ჯარში გაწვეულს მუსტაფაზი ეწოდებოდა.

126. მუჰაზირი — სასამართლოს ბოქაული.

127. მუჰასილი — ძველი ტერმინია. ილთიზამის წესით სახელმწიფოსაგან მუკატაას ამლებ პირს მუჰასილი ეწოდებოდა. ვეზირისგან ან რომელიმე წარჩინებულისგან თუ ვინმეს შემოსავალი ჰქონდა, მას მულთეზიმის ან მუჰასილის ტიტულს აძლევდნენ. მუჰასილი იყო ადგილებზე გადასახადების შემწერი, ამკრეფი და შემგროვებელი მოხელე. იხ. I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı.

1948. Ankara. გვ. 382. M. Z. Pakalin, Osmanlı Terih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. İstanbul, 1953. გვ. 569.

128. მუჰარემი — მუსლიმანური მთვარის წლის პირველი თვის სახელი.

129. მუჰასებეჯი — მოანგარიშე. საფინანსო უწყების თანამშრომელი. მთავარ მოანგარიშეს ბაშ მუჰასებეჯი ეწოდებოდა. ბაშ მუჰასებეჯი ხაზინის შემოსავალ-გასავლის აღრიცხვასა და კონტროლს მუჰასებეჯის საშუალებით აწარმოებდა.

130. ნაღდიე — ფული, თანხა ნაღდად არსებული. გარკვეულ თანხა, გაღებული აენსად, ნაღდად, რომელიმე შეთანხმებასთან დაკავშირებით.

131. ნაჰიე — ქვეყანა, მხარე, ოლქი, რომელიც კაზას შემადგენლობაში შედიოდა და რამდენიმე სოფელს აერთიანებდა. რაიონის ტიპის ადმინისტრაციული ერთეული.

132. ოდა — იანიჩართა ჯარისკაცებისა და სასახლის შიდა მსახურებისათვის არსებული რაზმის, ჯგუფის, გაერთიანების სახელი. ოდის ქვეშ იგულისხმებოდა ოთახი, იანიჩართა ყაზარმა. იანიჩართა ბოლუქებსა და ორთებს ცალკე ყაზარმები ჰქონდათ დედაქალაქში. ოდა ორთას პარალელურადაც იხმარებოდა.

133. ოდა ბაში — იანიჩართა რაზმის, ოდას, ყაზარმის მეთაური. სამხედრო ექსპედიციების დროს ოდა ბაში ცალკე კარავში იყო და იანიჩართა ოდის კარვები მის გარშემო ეწყობოდა. იხ. I. H. Uzuncarşılı, Osmanlı Devleti Teşkilatından Kapukulu Ocakları. I. Acemi Ocağı ve Yeniçeri Ocağı. 1943. გვ. 235. Z. Karamursal, Osmanlı Malı Tarihi Hakkında Tetkikler. Ankara, 1940. გვ. 149.

134. ოთურაკი — სახელმწიფოს წინაშე დამსახურებული იანიჩარი, რომელიც გარკვეულ პენსიას იღებდა მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო. ოთურაკი ეწოდებოდა აგრეთვე ხომალდზე მენიჩბის დასაჯდომ ადგილს.

135. ოყა — ვაკე, წონის ერთეული, რომელიც 100-დან 400 ღირჰემამდე მერყეობდა. სტამბოლის ოყა 400 ღირჰემს შეადგენდა. ეს უკანასკნელი კი — 1282 გრამი იყო. მისი წონა სხვადასხვა პროვინციებში სხვადასხვა იყო.

136. რეზი ულ-ეველი — მუსლიმანური მთვარის წლის მესამე თვის სახელწოდება.

137. რეზი ულ-ახირი — მუსლიმანური მთვარის წლის მეოთხე თვის სახელწოდება.

138. რეჯები — მუსლიმანური მთვარის წლის მეშვიდე თვე, რომლის ეპითეტია „პატივცემული“.

139. რამაზანი — მუსლიმანური მთვარის წლის მეცხრე თვის სახელი. მისი ეპითეტია „კურთხეული“.

140. რეჯევი — მუსლიმანური წლის კვარტლის სახელწოდება. მასში შედიოდა: რეზი ულ-ახირი, ჯემაზი ულ-ეველი, ჯემაზი ულ-ახირი.

141. რიზე — თურქეთის თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით რიზეს ვილაიეთის ცენტრი.

142. როშენი — მუსლიმანური წლის კვარტლის სახელწოდება. მასში შედიოდა: რეჯევი, შაბანი, რამაზანი.

143. რუზნამე — შემოსავალ-გასავლის წიგნები, რომლებშიც ყოველდღიურად ხდებოდა სახელმწიფოსა და სასახლის შემოსავალ-გასავლის რეგისტრაცია. იხ. I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. 1948. Ankara. გვ. 338.

144. რუზნამჩე — საფინანსო მოხელე, რომლის უშუალო მოვალეობას შეადგენდა საფინანსო უწყების სათანადო განყოფილებაში ყოველდღიურად ეწარმოებინა დავთრებში შემოსავალ-გასავლის რეგისტრაცია.

145. რუზნამეჯი — ოსმალეთის სახელმწიფო მმართველობაში დღიური შემოსავალ-გასავლისა და სხვ. დავთრებში რეგისტრაციისა და გატარების უფლების მქონე პირი. რუზნამეჯეები რამდენიმე იყო: ბაშ რუზნამეჯი, რუზნამეჯი ეველ, რუზნამეჯი სანი, ბიუქ რუზნამეჯი, ქუჩუქ რუზნამეჯი, საზღვაო ემირის რუზნამეჯი, დიდვეზირის რუზნამეჯი. იხ. Z. Karamursal, Osmanlı Mali Tarihi Hakkında Tetkikler. Ankara. 1940. გვ. 143.

146. რუზნამჩე-ი ეველ ვე სანი კალემლერი—ოსმალეთის საფინანსო უწყების ერთ-ერთი განყოფილება, რომლის უფლება-მოვალეობას შეადგენდა: მუკატაას, ვაკუფების, ჯიზიას და სხვა ხასიათის შემოსავლის ყოველდღიური აღრიცხვა. იხ. I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. 1948. Ankara. გვ. 338.

147. სავოევოდო — თანამდებობა, რომელიც ვოევოდას ეჭირა ძირითადად ბალკანეთის ქვეყნებში ბეგლარბეგის, სანჯაყბეგისა და ხასეების განმგებლის სახით. იხ. Z. Karamursal, Osmanlı Mali Tarihi Hakkında Tetkikler. Ankara. 1940. გვ. 146.

148. რუუს-ი ჰუმაიუნი—ოსმალური დოკუმენტის ერთ-ერთი ტიპი, რომელსაც „ქუჩუქ ბერათსაც“ უწოდებდნენ. იგი გაიცემოდა უპირატესად რომელიმე ციხესიმაგრეში ან დასახლებულ პუნქტში სამხედრო თუ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე ამა თუ იმ პირის დანიშვნის ან გადაყენების დროს.

149. სალიანე — სალიანე ეწოდებოდა ოსმალეთის ხელისუფლები-

საგან ნახევრად დამოუკიდებელ პროვინციას, რომელიც ცენტრალურ ზელისუფლებას გარკვეული ოდენობის გადასახადს უხდიდა წლიურად და მხოლოდ ამ ვალდებულების შესრულებით იყო დაკავშირებული სულთნის კართან. სულთნის მოხელეებს ხელი არ მიუწვდებოდათ ადგილობრივ მწარმოებელ საზოგადოებაზე. სალიანელი პროვინციები არ იყო დანაწილებული თიმარებად და ზიამეთებად. სალიანელისაგან განსხვავებით იყო არა სალიანელი პროვინციები, რომლებიც ადმინისტრაციულად ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა და რომლებზედაც ვრცელდებოდა ოსმალური საგადასახადო სისტემა.

150. სალიანე მუჟატაასი — საფინანსო უწყების ერთ-ერთი განყოფილების სახელწოდება, რომელშიც წარმოებდა დიდი სახელმწიფო მოხელეების ხელფასის დავთრების შედგენა. სალიანელ წოდებული მიწების შესახებ ყველა ოპერაციას ამ განყოფილებაში ახორციელებდნენ. იხ. İ. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. 1948. Ankara. გვ. 359.

151. სალიანეჯი — საფინანსო მოხელე, რომელსაც ევალებოდა სალიანეს გადასახადის აკრეფა და სხვა ხასიათის საფინანსო საქმეების წარმოება.

152. სანჯაყი — ვილაიეთში შემავალი სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეული, სადროშო.

152. სანჯაყ ბეგი — სანჯაყის მეთაური, სანჯაყის სამხედრო-ადმინისტრაციული გამგებელი, იგი უშუალოდ ვილაიეთის ბეგლარბეგს ემორჩილებოდა. სანჯაყბეგს ზოგჯერ მუთასარიფსა და მირლიყასაც უწოდებდნენ. იხ. Nicoara Beldiceanu, Recherche sur la ville Ottomane au XV siecle. Etude et Actes. Paris. 1973. გვ. 55—57.

153. სერ ბოლუჯი — სულთნის სასახლის ლაშქრის ცხენოსანი და ქვეითი ჯარების ძირითადი ერთეულის — რაზმის, ნაწილის, პოლკის მეთაური. იხ. M. Z. Pakalin, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü. 1953. გვ. 242. İ. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devleti Teşkilatından Kapukulu Ocakları. I. Acemi Ccağı ve Yeniçeri Ocağı. 1943. გვ. 217, 235 ...

154. სერდენგეჩი — ოსმალთა ლაშქრის ერთი კატეგორია, რომელთაც თავზე ზელალებულებს, პატრიოტებს ეძახდნენ. ისინი ცალცალკე ესხმოდნენ თავს მტრის ციხეებს, მტრის ზურგში შესალწევად არაფერს არ იშურებდნენ. ესენი იყვნენ ფიდაები, პირველად იერიში მათ მიქონდათ. იხ. Z. Karamursal, Osmanlı Malı Tarihi Hakkında Tetkikler. Ankara. 1940. გვ. 149.

155. სერ ოდა — ოსმალთა სამხედრო ძალების ერთ-ერთი დანაყოფის ე. წ. ოდას მეთაური. სერ ოდას ოდა ბაშიც ეწოდებოდა. იხ. I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devleti Teşkilatından Kapukulu Ocakları. I. Acemi Ocağı. 1943. გვ. 149, 235.

156. სერ თოფჩი — იგივე თოფჩი ბაში, მეზარბაზნეთა უფროსი.

157. სერ ყუმბარაჯი — გემსაშენ ვერფებზე მსახურთა ერთი ბოლუქის, რაზმის სახელწოდება. ეს რაზმი იმთავითვე დევშირმეს წესით კომპლექტდებოდა. XVI ს-ში მათი რიცხვი 500-600-მდე აღწევდა, XVII ს-ის შუა წლებისათვის 40-50 კაცი დარჩა. ყუმბარაჯების რაზმის მეთაურს სერ ყუმბარაჯი ეწოდებოდა, ზოგჯერ სერ ყუმბარასაც ეძახდნენ. ისინი იანიჩართა ოჯახში ყუმბარებს აკეთებდნენ, ბრძოლებშიც იყენებდნენ. იხ. I. H. Uzunçarşılı, Csmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. 1948. Ankara. გვ. 410—412.

158. სერ თურნა — წეროებზე მონადირეთა რაზმის მეთაური.

159. სერ მუჰაჯირი — სასამართლოს ბოქაულების მეთაური, მთავარი ბოქაული.

160. სალი ახჩა — სრული ღირებულების მქონე, დაუზურდავებელი, საკუთარი წონის სრული ეკვივალენტის შემცველი ფული.

161. სივასი — ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის — სივასის ეიალეთის ცენტრი.

162. სიჯილი — რეგისტრი, სადაც ყადიები წერდნენ სასამართლო გადაწყვეტილებებს — ჰუჯეთებს, ილიამებს, ყოველგვარ დოკუმენტს, რომელიც ცენტრალური ხელისუფლებისაგან გაიცემოდა.

163. ხულეჰა — კულტის მსახურთა ერთი კატეგორია მეჩეთში.

164. სუჰთე — მოწაფე მედრესეში.

164ა. სურსათი, ნუზული ჯაჰირესი — საომარი მოქმედების დროს სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან აღებული გადასახადის სახეობა. ომის დროს რეაია ვალდებული იყო ლაშქრის ადგილსამყოფელთან მიეტანა ქერი, ხორბალი, ფქვილი და სხვ. თითოეულ სახლზე შეწერილი იყო 5 ქილა ქერი, ერთი ქილა ფქვილი.

165. ულუფა — ოსმალთა სახელმწიფოში კაფუ კულუს ლაშქრისთვის, სასახლისა და სახელმწიფოს წარჩინებულებისათვის სამ თვეში ერთხელ ბოძებული გადასახადი.

166. ულუმა — ღვთისმეტყველი, ყურანის სურების ამხსნელი და მასწავლებელი. მუსლიმანური სასულიერო წოდების ძირითადი კატეგორია.

167. ფადიშაჰი — ხელმწიფე, სულთანი, სულთნის სინონიმები იყო: ხანი, ჰუნქარი (ხონთქარი), მაგრამ ხშირად ფადიშაჰსაც ხმარობდნენ.

168 ფადიშაჰის ციხე — იგულისხმება ფადიშაჰის, სულთნის მიერ დაპყრობილი ციხე, ამ შემთხვევაში ანაკლიისა და რუხის ციხეებზეა საუბარი.

169. ფაკიზი — მუსლიმანური სამართლის — შარიათის კანონების მცოდნე პირის სახელწოდება.

170. ფარა — წვრილი მონეტა, რომელიც 1/10 ყურუშს ანუ სამ ახჩას შეადგენდა.

171. ფეშქაში — მბრძანებლებისადმი უფრო დაბალი რანგის გამგებლის მიერ გაგზავნილი საჩუქარი.

172. ფიადე მუჟაბელე კალეში — ოსმალეთის საფინანსო უწყების ერთ-ერთი განყოფილების სახელწოდება, რომლის მოვალეობა იყო ოსმალეთის რეგულარული არმიის — იანიჩრების, ჯებეჯიების, თოფჩიებისა და თოფ არაბაჯიების ქვეითი ნაწილის რეგისტრაცია, მათ შესახებ ყოველგვარი ინფორმაციის გაცემა, ხელფასებზე ზრუნვა, იჯალეების გაცემა, ფინანსური საკითხების გაკონტროლება და სხვ. იხ. I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. 1948. Ankara. გვ. 350—351. გვ. 358.

173. ფილიზე — თანამედროვე ქალაქი პლოვდივი ბულგარეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

174. ფირკათის გემი — გემის ერთ-ერთი სახეობა ოსმალეთში. საომარი იალქინანი გემი, რომელშიც 70-მდე ზარბაზნის აწყობდნენ და 80-მდე მეზღვაურს იტევდა. მას მდინარეებშიც იყენებდნენ. ომიანობის დროს დაზვერვისა და მეთვალყურეობის ყუნქციებსაც ასრულებდა. იხ. I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. Ankara. გვ 459—460; 470—471.

175 ფირმანი — ბრძანება, განკარგულება, წერილობითი დოკუმენტი, გაცემული უმაღლესი კარის მიერ. გარკვეული კატეგორია ოფიციალური დოკუმენტისა.

176. ხაზინადარ ბაში — სახელმწიფო ხაზინის მეთაური.

177. ხასი — მიწის ნაკვეთი, რომელიც სამხედრო ან ადმინისტრაციული სამსახურის სანაცვლოდ ეძლეოდათ დიდ სახელმწიფო მოხელეებს —სანჯაყბეგებს, ბეგლარბეგებს, ვეზირებს და რომლის შემოსავალი 100 ათასი და მეტი ახჩა უნდა ყოფილიყო. ხასები ეძლეოდათ აგრეთვე სულთნის საგვარეულოს წევრებს, თვით სულთანიც ფლობდა ხასებს. იხ. A. C. Тверитинова, Второй трактат Кочиев... с. 240—244.

178. ხატიზი — მოქადაგე, მოლა. მეჩეთში კულტის მსახური, რომელიც პარასკევობით ხუტბას ადავლენდა სულთნის სახელზე.

179. ქაფირი — უღმერთო, ურწმუნო, გაიური, არამუსლიმანი.

180. ქალიდ ემინი — „ქალაღების განმგებელი“, რომელსაც ევალეზობდა აეკრიფა გადასახადი სასახლის მიერ გაცემულ სიგელებზე, დოკუმენტებზე ქალაღის ხარჯის სახით. დოკუმენტის შედგენის დროს ყოველგვარ ორგანიზაციულ საქმიანობას ქალიდ ემინი აწარმოებდა, I. H. Uzunçarşılı. Osmanlı Devletinin Merkez... გვ. 381.

181. ქედხულა — მამასახლისი, მოურავი, მაღალი თანამდებობის პირების დავალებათა შემსრულებელ სხვადასხვა კატეგორიის მოხელეებს ქედხულა ეწოდებოდა. იგი ხალხში „ქაპიას“ სახელითაც იყო ცნობილი. მათ ძირითადად სამეურნეო საქმიანობა ევალეზობდათ. იყო ხაზინის ქედხულა, გემსაშენის ქედხულა, დავთრის ქედხულა, ჩაუშების ქედხულა ა. ს. ტვერიტინოვას განმარტებით, ქედხულა იყო სიფაპიებისა და იანიჩრების ოფიცერთა წოდება. იხ. M, Z. Pakalin. Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü, II. fas. XII. 1951. გვ. 251. N. Beldiceanu. Recherche... გვ. 109—111. A. C. Тверитинова, Второй трактат Кочибдея... с. 256.

182. ქილა — მარცვლეულის საწყაო, რომელიც ოსმალეთის სხვადასხვა პროვინციაში სხვადასხვა ზომისა იყო. მაგ., სტამბოლის ქილა 18-20 ოყას იწონიდა, ე. ი. 25 კილოგრამს შეადგენდა. სოფიის ქილა შეადგენდა დაახლოებით 100 ოყას.

183. ქისა — ქესე, პარკი, ფულის საზომი ერთეული, რომლითაც იზომებოდა ძვირფასეულობა, ოქროსა და ვერცხლის რაოდენობა. იგი დროთა ვითარებაში იცვლებოდა. ქისა 1687 წლამდე შეიცავდა 500 ახჩას, შემდეგ 500 ყურუშს, ე. ი. 40 ათას ახჩას. ქისა დანიშნულების თვალსაზრისით რამდენიმე სახისა იყო: მეტალის მონეტებისათვის, ბეჭდისათვის, საათისთვის, თამბაქოსთვის. იგი სხვადასხვა მასალისგან მზადდებოდა სხვადასხვა ფორმით.

184. ქურქჩი — ერთ-ერთი ოსმალური გადასახადის — ქურქჩის ანუ ქურეჩის ამკრეფი საფინანსო მოხელე. ქურქჩის გადასახადი განკუთვნილი იყო ოსმალეთის სამხედრო გალერებისთვის.

185. ყადი — სასულიერო მოსამართლე, რომელიც შარიათისა და ადათწესების მიხედვით მოქმედებდა. ყადიები განათლებას მედრესეებში იღებდნენ. ყადი იჯდა ყველგან, ნაპიეში, სანჯაყში, ვილაიეთში. ყადიების უმაღლესი მეთაური იყო შეიხ ულ-ისლამი. ყადიების მოვალეობა იყო სასამართლო საქმიანობის გარდა, თვალი ეღვენებინათ ვაკუფების, გზების მშენებლობის, ბაზრებისა და სხვა საქმეების მეთაურთა მოქმედებისათვის, წესრიგის დაცვისათვის. იხ. N. Beldiceanu, Recherche... გვ. 115—119.

186. ყასაბ ბაში — ინტენდანტი, ზორციოთ ლაშქრის მთავარი მომ-
შარაგებელი.

187. ყანთარი — წონის ერთეული, რომელიც 44 სტამბოლის ოყას
შეადგენს (დაახლოებით 56,4 კგ-ია). იგი ოსმალეთის პროვინციებში
სხვადასხვა იყო. მცირე აზიაში — 56,44 კგ. ალყირში—44,79 კგ. ეკვიპ-
ტში — 67,18 კგ.

188. ყურუში შირინი — ოსმალური ფულის წვრილი ერთეულის
სახელწოდება.

189. შაბანი — მუსლიმანური მთავრის წლის მერვე თვის სახელი,
რომლის ეპითეტია „დიდებული“.

190. შარიათი — მუსლიმანური სამართალი, კოდექსი, რომლის სა-
ფუძველსაც ემყარებოდა ოსმალეთის სახელმწიფო. მუსლიმთა რელი-
გიური წესები და კანონები, რომლითაც ხელმძღვანელობდა უმაღლესი
რელიგიური სასამართლო.

191. შევალი — მუსლიმანური მთავრის წლის მეათე თვის სახელი,
რომლის ეპითეტია „პატივსაცემი“.

192. შერიფი — მცოდნე, კეთილშობილი, დიდებული, პატივცე-
მული, წმინდანი, მონათლული. ისტორიულად მექის განმგებლის ტიტუ-
ლი იყო.

193. ჩაუში — სულთნის პირადი გვარდიის კატეგორია, სამხედრო
ოფიცერთა წოდება სიფაჰიებსა და იანიჩრებს შორის. ოსმალთა სა-
ხელმწიფოში სხვადასხვა მაღალი თანამდებობის შემსრულებელი პირი.
ჩაუშები იგზავნებოდნენ ელჩებად, ბრძანებები მიჰქონდათ ვილაიეთე-
ბში, ემსახურებოდნენ დივანის სხდომებს, ლაშქრის მეთაურთა განკარ-
გულებები მიჰქონდათ რაზმების მეთაურებთან და სხვ. ჩაუშების შესა-
ხებ კოჩიბეი გორიჯელის მეორე რისალეში ნათქვამია: „Ваших слуг
чавушей имеется 500—600 человек. Этих также как владею-
щих зеаметами, так и состоявших на жалованье называют ге-
дишли. Они становятся чавушами из ветеранов бостанджи, из
которых выходят с жалованием в 60, 40, 20 акча. Нет закона
брать (в чавуши) из султанского дворца. Когда падишах от-
правляется на прогулку в город или в поход, они шествуют
впереди с палицей на плечах. А когда султан прибывает в ко-
нак, они приветствуют его и хлопают в ладоши. Они стоят в
Диване, скрестив на груди руки, на головах они носят колпак
с перьями. Если возникает необходимость, их посылают в дру-
гие страны. Их начальником является чавуш баши и от него
они получают жалованье. Вступать с ними в разговор (султану)
обычай не позволяет». (А. С. Тверитинова, Второй трак-

тат Кочинбея..., с. 231). «Чавуши категория личной султанской гвардии, стоящая на ступень ниже мутеферриков. Вместе с тем чавуш есть военное офицерское звание у сипахиев и янычар» (там же, с. 267).

194. ჩაუშ ბაში — სულთნის დივანის ჩაუშების მეთაური. იხ. 1. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Saray Teşkilatı. Ankara. 1945. გვ. 407.

195. ჩეთეს ნავები — მცირე მოცულობის სამხედრო ნავების შენაერთი, რომელიც ძირითადად იგზავნებოდა მტრის ზურგში მოულოდნელი თავდასხმებისა და ძარცვა-გლეჯისათვის. ეს ნავები მდინარეებშიც ადვილად გადიოდნენ და მოსახერხებელი იყო მოქნილი მანევრირებისათვის. იხ. 1. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. 1948. Ankara. გვ. 456.

196. ჩექდირის გემები — ნიჩბებითა და იალქნის დახმარებით მოქრავი სხვადასხვა ტიპის საბრძოლო გემების საერთო სახელწოდება.

197. ჩიფთლიქი — „ჩიფთი“ წყვილი, უღელი ხარი. „1. „ჩიფთლიქი“ — მიწის ნაკვეთი, რომელსაც ერთი უღელი ხარი ამუშავებდა. 2. გლეხის მიწის ნაკვეთი, რომელსაც იგი ამუშავებდა და ფეოდალს გადასახადებს უხდიდა. 3. ჩიფთლიქი ეწოდებოდა აგრეთვე, ფეოდალურ მამულს, რომელიც სამემკვიდრეოდ ჰქონდა კაცს და ვალდებული იყო შემოსავლის ხარჯზე მხედრები გამოეყვანა, ან თვითონ წასულიყო ლაშქრობაში“. (ეკვლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთურიძემ. ნაკვ. II. გამოკვლევა, კომენტარები, 1973, თბ., გვ. 17). ჩიფთლიქის ოდენობა დამოკიდებული იყო მიწის ხარისხზე. ერთი ჩიფთლიქი საუკეთესო მიწის 60—80 დონუმი იყო, საშუალო მიწების 80—100 დონუმი და ცუდი მიწების 100—150 დონუმი. იხ. Islam Ansiklopedisi. III. İstanbul. 1945. გვ. 392—397.

198. ჩოხადარი — „1. სასახლის წარჩინებული, რომელსაც სულთნის ქურქები, მოსახამები და სხვა ტანსაცმელი ებარა. ეს თანამდებობა მეჰმედ I ჩელების დროს (1413—1421) დაარსდა. ლაშქრობის დროს სულთანს თან ახლდა, ცხენზე ამხედრებული უკან მიჰყვებოდა და გამზადებული ჰქონდა საწვიმარი მოსახამი. საზეიმო მსვლელობის დროს სულთანს მიჰყვებოდა და მისი სახელით ხალხში ფულს აბნეევდა. სილაჰდარს ცვლიდა ზოლმე და თუ დააწინაურებდნენ, სილაჰდარი გახდებოდა. მუდმივ ჯამაგირსა და საჩუქარს იღებდა სულთნისაგან. 2. ჩოხადარები დიდვეზირს, ვეზირებსა და სხვა დიდკაცებსაც ჰყავდათ. 3. იანიჩართა კორპუსის წევრი, რომელსაც დავალებული ჰქონდა რაიმე სახე-

ლმწიფო საქმე“. (ეგლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“. თურქული-დან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გიორგი ფუთუ-რიძემ, ნაკვ. II. გამოკვლევა, კომენტარები. თბ., 1973, გვ. 170.

199. ჩურუქ ახჩა — სპილენძის ფულის წვრილი ერთეული, რომლის რაოდენობაზე იყო დამოკიდებული ფარას ერთეული. ერთი ფარა შეადგენდა 4 ჩურუქ ახჩას. ადრე ერთი ფარა სამ ახჩას შეიცავდა. იხ. 1. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Merkez ve Bahriye Teşkilatı. 1948. Ankara. გვ. 379.

200. ჯაბახანა — საომარი იარაღის შესანახი ადგილი. არსენალი. ჯაბახანა ეწოდებოდა როგორც ცალკეული ქალაქების არსენალებს, აგრეთვე ციხეების იარაღსა და საომარ მასალას, აგრეთვე იმ საომარი იარაღის სახელწოდებაც იყო, რომელიც ლაშქრობაში თან მიჰქონდათ.

201. ჯამათი — საზოგადოება, მუსლიმანური მრევლი, თემი.

102. ჯებელი — ბრძოლის დროს თიმარის, ზიამეთის სიფაპიებისათვის იარაღის მიმწოდებელი ცხენოსანი ლაშქარი. ჯებელი იყო ჯებეჯიების ერთი კატეგორია, რომელიც ბრძოლის დროს გამოჰყავდათ ლენის მფლობელებს.

203. ჯებეჯი — მეიარაღეები, მეაბჯრეები. ოსმალთა ლაშქრის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ძირითადად სამეურნეო საქმიანობას ეწეოდა. მათ მოვალეობას შეადგენდა იარაღის დამზადება, მათი დაცვა, გადაზიდვა და განაწილება. ჯებეჯიების მეთაური იყო ჯებეჯი ბაში. (Z. Karamursal. Osmanlı Malı Tarihi Hakkında Tetkikler. Ankara. 1940. გვ. 130, 148. I. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devleti Teşkilatından Kapukulu Ocakları. II. Cebeci, Topçu, Top arabacı, Humbaracı, Lağımçı Ocakları ve Kapukulu Suvarileri. Ankara. 1944. გვ. 3—30.

204. ჯებეჯიების ჩაუში — დაქირავებული ჯარის, მეიარაღეების, მეაბჯრეების სხვადასხვა დავალებათა შემსრულებელი პირი, იხ. 1. H. Uzunçarşılı, Osmanlı Devletinin Saray Teşkilatı. Ankara. 1945. გვ. 419.

205. ჯებეჯიების ჩორბაჯთა ალა — ჩორბაჯი იანიჩართა ლაშქარში რიგითი ოფიცრის სახელწოდება იყო. ხშირად მას ბოლუქ ბაშისაც უწოდებდნენ. „ჩორბა“ ნიშნავს წვეს, შეჭამანდს. რადგანაც სულთნის რეგულარულ არმიაში ჯარისკაცები სულთნის ულუფაზე იყვნენ, მათ მეთაურს „ჩორბაჯის“ — „მეწვენეს“ ეძახდნენ და იგულისხმებოდა, რომ სულთნის სახელით ჰკვებავდნენ მათ. იანიჩართა კორპუსში 160 ჩორბაჯი იყო, რამდენადაც ამდენივე იანიჩართა ოჯახი იყო. ჯებეჯიების რაზმში ჩორბაჯიების მეთაურს ჩორბაჯთა ალა ეწოდებოდა. იხ. M. Z. Pakalin, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri. Sözlüğü. I. fas. IV.

206. ჭემაზი ულ-ეველი — მუსლიმანური მთვარის წლის მეხუთე თვის სახელი.

207. ჭემაზი ულ-ახირი — მუსლიმანური მთვარის წლის მეექვსე თვის სახელი.

208. ჭიზია — მუსლიმანური კანონმდებლობით გათვალისწინებული სულადი გადასახადი არამუსლიმანური მოსახლეობისათვის.

209. ჭიზია გაბრან — ოფიციალურად ოსმალეთის იმპერიის ქრისტიანი მოსახლეობა ჭიზიას გადასახადის გადახდით ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ და მუდმივად სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ ექცეოდნენ. ამ მფარველობის სანაცვლოდ გაღებულ ე. წ. ბაჟის გადასახადს ჭიზია გაბრანი ეწოდებოდა. იგი მხოლოდ ქრისტიანი მამაკაცებისაგან გაიღებოდა სხვადასხვა ოდენობით. ყველაზე დიდი — 48 ყურუში იყო, საშუალო — 24 და მცირე — 12 ყურუში.

210. ჭიზედარი — ჩინოვნიკი, რომელიც ჭიზიას გადასახადს აგროვებდა და სახელმწიფო ხაზინას აბარებდა.

211. ჰასენე — ოსმალური ოქროს ფულის ერთ-ერთი სახეობა.

212. ჰას ოდა ბაში — მთავარი მეთვალყურე სულთნის სასახლეში.
იხ. I. H. Uzunçarşılı, Csmanlı Devletinin Saray Teşkilatı. Ankara. 1945.

213. ჰასე ბოსტანჯი ბაში — სულთნის სასახლის სხვადასხვა მსახურთა და ბოსტანჯიების ჩანდაზმული მეთაურები.

214. ჰასეკი — სულთნის პირადი მცველი. ისინი იანიჩართა კორპუსში ითვლებოდნენ და ორ რაზმს შეადგენდნენ. XVIII ს-ის მიწურულისათვის მათი რაოდენობა 300 კაცს შეადგენდა. მათ ბოსტანჯიებისაგან ირჩევდნენ. მათ განსაკუთრებული სამსახურისთვის იყენებდნენ. ჰასეკი ეწოდებოდა რომელიმე სამსახურში დაბერებულ ადამიანს. ისინი პრივილეგირებულთა ჯგუფს მიეკუთვნებოდნენ. იხ. I. H. Uzunçarşılı, Csmanlı Devletinin Saray Teşkilatı Ankara. 1945. გვ. 484.

215. ჰუჯეთი — სასამართლო გადაწყვეტილება, რომლითაც ამა თუ იმ პირს უდასტურდება საკუთრების უფლება უძრავ, ფულად და სხვა ქონებაზე.

216. ჰუქმი — სასამართლო გადაწყვეტილება, განაჩენი, უმაღლეს განკარგულებათა და ბრძანებათა შემცველი სიგელი. ზოგჯერ ბერათისა და ფირმანის სინონიმადაც იხმარებოდა.

ОСМАНСКИЕ ДОКУМЕНТАЛЬНЫЕ ИСТОЧНИКИ О КРЕПОСТЯХ АНАКЛИЯ И РУХИ (XVII — XVIII вв.)

Резюме

В деле изучения истории Западной Грузии XVI—XVIII вв., наряду с грузинскими источниками, особое значение приобретают османские документальные и нарративные источники. История Юго-Западной Грузии указанного периода мало изучена из-за недостатка материалов. Особого внимания заслуживают данные османских летописей, сочинения путешественников-географов и официальные документы османских государственных учреждений, которые составлялись в особых случаях в связи с конкретными событиями. В этих документах показана реальная картина определенного региона. На османском языке веками оформлялись разного вида документы, дефтеры, ферманы, бераты, арзухалы и др. Каждый из них является надежным источником для изучения разных вопросов истории Турции и сопредельных с ней стран. Множество документов хранится в архивах Стамбула, Анкары и Каира, но они пока еще недоступны специалистам. Должным образом описаны и систематизированы лишь те документы, которые находятся в архивах Софии. В настоящее время продолжается научная обработка и ввод их в научный оборот. Изучение и научная публикация фондов, касающихся истории Грузии XVI—XVIII вв., является достаточно трудоемким и сложным процессом.

Материалы, обнаруженные в архивах Болгарии, касаются почти всех частей Грузии. Несколько сот документов отражают положение Южной Грузии. Множество материалов позволяет проследить историю народов Азербайджана, Армении и Северного Кавказа. Документы выданы разными ведомствами Османской империи. Преобладают документы, составленные соответствующими отделами финансового ведомства. Благодаря им можно создать реальное представление о численности, районах дислокации, финансовом и экономическом положении османских войск, расположенных в отдельных регионах Закавказья, о характере их деятельности.

Изучение материала по социально-экономической истории Юго-Западной Грузии, перевод документов с комментариями,

их издание, бесспорно помогут уяснить многие переменные вопросы средневековой Грузии.

В сборник вошла незначительная часть османских документов с грузинским переводом, комментариями и факсимиле, хранящихся в архиве Отдела ориенталистики Народной библиотеки им. Кирилла и Мэфодия г. Софии. Приведены документы «кючюк бераты», «бераты», «арзухалы», «хюкмы» или так называемые «себеби тахрири хюкмы».

Документы содержат сведения относительно расположения, вооружения и общего состояния османских вооруженных сил в крепостях Юго-Западной Грузии, в частности в Батуми, Гонио, Цихисдзири, Рухи, Анаклия, Ахалцихе и др. с 80-х годов XVI века до конца XVIII века. Данный материал проливает свет на многие вопросы, касающиеся владычества османов, форм османского феодального землевладения в Юго-Западной Грузии.

Так называемые «кючюк бераты» хронологически относятся к первой трети XVIII века, а «арзы» к XVIII в. Самый древний ферман датирован 1580 г., поздний—1726 г. Особенно много материала по истории Юго-Западной Грузии XVII—XVIII вв. содержит «себеби тахрири хюкмы».

В первой четверти XVIII в. Османская империя усилила агрессию против княжеств Западной Грузии. Если до XVIII века Османская империя была заинтересована в основном Юго-Восточной Грузией, которая являлась извечным объектом борьбы между Ираном и Портой, начиная с XVIII века в повестку дня своей внешней политики ею был поставлен вопрос о Западной Грузии. Турция прилагала все силы для успешного решения проблемы Черного моря. Вводом гарнизонов в прибрежные крепости, она создавала условия к обеспечению своего тыла для постоянных вторжений во внутренние районы Грузии.

В связи с новыми военными походами османов в страны Закавказья в первой четверти XVIII в. и установлением в Картли своего владычества, так называемой «осмалоба», усилилось их влияние также на Западную Грузию. Османские власти посредством военной силы беглар-бегов Ахалцихского и Трапезундского эялетов систематически совершали опустошительные набеги на территории Западной Грузии. Османские военные отряды, расквартированные в прибрежных крепостях и внутри страны, противопоставлялись местным властям. Последние не сидели сложа руки и отчаянно сопротивлялись захватчикам. Несмотря на энергичные усилия, Османская империя не смогла покорить и установить в Западной Грузии желаемый для себя общественно-политический строй. «Это объясняется

тем, что Западная Грузия являлась труднодоступной страной, с населением, которое успешно противостояло захватчикам»¹.

В публикуемых документах отражена реальная картина бескомпромиссной борьбы населения Западной Грузии против обосновавшихся в крепостях османских войск. Предводители крепостных гарнизонов, состоявших из янычаров, бешлуянов, азабов, топчи, джебеджи и др. постоянно слали османским властям арзы, т. е. отчеты о численности османских войск в той или иной крепости, о необходимых финансовых расходах на их содержание. К арзам приписаны резолюции разных начальников финансового ведомства, которые наглядно иллюстрируют факт, с какой точностью контролировались и учитывались финансовые расходы на каждого солдата, осевшего в крепостях Западной Грузии. Там же приведены соображения о проблемах и вопросах финансирования войск.

Документы свидетельствуют, что на содержание регулярных османских войск в крепостях Западной Грузии государство выделяло значительные суммы. Ответственным за выдачу жалованья войскам были главный счетовод, начальник финансового ведомства, так называемый баш-дефтердар, и, наконец, великий везир, который суммировал полученные данные и информировал султана по вопросам выдачи жалованья гарнизонам тех или иных крепостей.

Отчеты предводителей османских войск крепостей Западной Грузии отличаются своим содержанием. Два идентичных по содержанию документа датированы 1714 годом (ф. 1, арх. ед. 8839 и ф. 1. Арх. ед. 8016), сообщают, что крепости Анаклия и Рухи плохо укреплены. Кроме янычаров, других соединений там не находилось. Нехватало оружия, продуктов и провианта. В таких условиях туркам было трудно защищаться от нападений абхазских и мегрельских «невсрных разбойников». Последние убили лиц, снабжавших гарнизоны продуктами. Они также предполагали физическое уничтожение части населения, прибывшей по своим надобностям, разрушение так называемой «крепости паша». Свидетелями вышеназванного факта на суде предстало население Анаклия и Батум.

Один из документов подписывают предводители военного отряда крепости Анаклия: офицер янычаров, топчи башни, офицер ямаков, кетхуда азабов и бешлун. К документу прилагается печать каждого подписавшегося. Второй документ подписывает только начальник каза Гонно.

Из вышесказанного явствует, что факт нападения и притеснения местным населением османского гарнизона крепости Рухи являлся значительным событием и требовал немедлен-

¹ Очерки по истории Грузии, т. IV. Грузия с начала XVI века до 30-х годов XIX века. Тбилиси, 1973, с. 463.

